

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ირინა ჯავახაძე

ქართული აგიოგრაფიული ნაწარმოებების სიუზეტურ-პომარზიციური  
მიმართება ნათარგმნ აგიოგრაფიასთან

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად  
წარმოდგენილი

დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი ელგუჯა ხინთიბიძე

## შ 0 6 ა ა რ ს 0

|                         |                                                                                                                        |     |
|-------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----|
| შესავალი                | -----                                                                                                                  | 2   |
| თავი I                  | სიუჟეტურ-კომპოზიციური ურთიერთმიმართებანი „ცხოვრებათა“<br>ქანრის ქართულ ორიგინალურ აგიოგრაფიაში -----                   | 7   |
| თავი II                 | სიუჟეტურ-კომპოზიციური ურთიერთმიმართებანი „ცხოვრებათა“<br>ქანრის ნათარგმნ აგიოგრაფიაში -----                            | 47  |
| თავი III                | სიუჟეტურ-კომპოზიციური შაბლონები „იოვანე დამასკელის და<br>კოზმან იერუსალიმელისა“ და „წმინდა პახმიოსის ცხოვრებებში“---92 |     |
| თავი IV                 | სიუჟეტურ-კომპოზიციური ურთიერთმიმართებანი „წამებათა“<br>ქანრის ქართულ ორიგინალურ აგიოგრაფიაში -----                     | 110 |
| თავი V                  | სიუჟეტურ-კომპოზიციური ურთიერთმიმართებანი „წამებათა“<br>ქანრის ნათარგმნ აგიოგრაფიაში -----                              | 128 |
| დასპენა                 | -----                                                                                                                  | 145 |
| გამოყენებული ლიტერატურა | -----                                                                                                                  | 162 |

## შესავალი

საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამ ხელი შეუწყო მის კულტურულ კავშირებს როგორც აღმოსავლეთის, ასევე დასავლეთის ქრისტიან ხალხთან, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ოდითგანვე თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო მტკიცე კავშირები ჰქონდა ამ ქვეყნებთან. საქართველოს პირველ ნახევარში კულტურულ-ლიტერატურული ორიენტაცია მიმართული ჰქონდა აღმოსავლეთისაკენ, VII საუკუნიდან კი ქართლის კათალიკოსის, კირიონის ხელმძღვანელობით საქართველომ გეზი აიღო მონოფიზიტობიდან დიოფიზიტობაზე გადმოსვლით ქრისტიანული დასავლეთისაკენ, კერძოდ - ბიზანტიისაკენ (60, გვ. 13-14). ეს კავშირები, ცხადია, ლიტერატურის სფეროზეც ვრცელდებოდა. მიუხედავად ამ შემოქმედებითი ურთიერთობისა, ქართულ მწერლობას არ დაუკარგავს თავისი თვითმყოფადობა და არ „ათქვეფილა“ ბერძნულ კულტურაში. მან არამცთუ შეინარჩუნა თავისი დამოუკიდებლობა, ორიგინალურობა, უფრო მეტიც მეტოქეობაც კი გაუწია ბიზანტიურ მწერლობას (60, გვ. 15).

V საუკუნიდან საქართველოში, ისევე, როგორც დასავლეთსა და აღმოსავლეთში უფრო ადრე, ფეხი მოიკიდა აგიოგრაფიული ჟანრის ლიტერატურამ, რომელმაც ჩვენი მწერლობის ვრცელი პერიოდი მოიცვა.

რამდენადაც ისტორიულად საქართველოში რელიგიური სფერო მტერთა შემოსევების გამო გარკვეული საფრთხის წინაშე დგებოდა, ამდენად, პ. კეკელიძის აზრით, პირველ პერიოდში ქართული მწერლობის განსაკუთრებულ ინტერესს აგიოგრაფიული ჟანრის თხზულებების თარგმნისადმი განაპირობებდა ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცების აუცილებლობა (24, გვ. 500). ამ პერიოდში შეიქმნა ქართველ წმინდანთა „ცხოვრებები“. სწორედ ქართული აგიოგრაფია არის ორიგინალური სასულიერო მწერლობის სულისავეთების მკვეთრი გამომხატველი. „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა,“ „აბო თბილელის წამება,“ „წმინდა ნინოს ცხოვრება,“ „ასურელ მოღვაწეთა ცხოვრებანი,“ „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ ქართული ლიტერატურის პირველ პერიოდში თანდათან ჩამოაყალიბებუნ ქართულ ეროვნულ აგიოგრაფიულ სტილს, რომელიც დატვირთულია ეროვნული შემართებით („აბო თბილელის წამება“), მოწოდებულია ნაციონალური

საეკლესიო ტრადიციის შექმნისაკენ („წმინდა ნინოს ცხოვრება“) და ამავე დროს მხატვრული სიტყვის სრულყოფით თვალს უსწორებს საეკლესიო ლიტერატურის მსოფლიო სტანდარტებს („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“)“ (60, გვ. 15).

ივ. ჯავახიშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს „ცხოვრებათა“ და „წამებათა“ შესწავლას. იგი ქართული საისტორიო მწერლობის წარმოშობაზე მსჯელობის დროს აღნიშნავს, რომ „ქართული სამოქალაქო საისტორიო დარგი ქართული საეკლესიო მწერლობისაგან განვითარდა და წარმოიშვა. ამას სხვათა შორის ის გარემოებაც ხმამაღლა პლატფორმა გადაღადებს, რომ ძველ ქართულ მწერლობაში სამოქალაქო საისტორიო დარგის თხზულებების აღმნიშვნელ სახელად და ტერმინად საეკლესიო საისტორიო დარგსავით იგივე „ცხოვრება“ იხმარებოდა“ (61, გვ. 26-27). მეცნიერის აზრით, ქართული საისტორიო მწერლობის შესწავლისათვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა შესწავლილი იქნას ქართველ მარტვილთა და წმინდანთა „ცხოვრებები“.

დღეისათვის თანამედროვე ფილოლოგია და ლიტერატურათმცოდნეობა არსებით მნიშვნელობას ანიჭებს სხვადასხვა ქვეყნის ლიტერატურათა შესწავლასა და კვლევას ისტორიულ-შედარებითი მეთოდით (65, გვ. 61). კვლევის ეს მეთოდი ხელს უწყობს ლიტერატურათა შორის სტრუქტურულ, სიუჟეტურ, კომპოზიციურ პარალელთა ძიებას და მათ შორის მსგავსება-განსხვავებების დადგენას.

რამდენადაც ჩვენი სადისერტაციო თემის ინტერესის საგანს წარმოადგენს აგიოგრაფიულ თხზულებათა სიუჟეტურ-კომპოზიციური თავისებურებები, სასურველი იქნება ორიოდე სიტყვით შევეხოთ ტერმინ „კომპოზიციის“ წარმოშობას და მის დანიშნულებას.

საზოგადოდ, უნდა ითქვას, თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში ამ ტერმინის შესახებ ჯერ კიდევ არ არსებობს ერთიანი, მკვეთრად ჩამოყალიბებული აზრი. კომპოზიციის თეორიის შემუშავების იდეა ეკუთვნით ანტიკურ ავტორებს, მის შესახებ საუბარია ჯერ კიდევ არისტოტელეს „პოეტიკაში“ ტრაგედიათა განხილვის დროს. არისტოტელე ტრაგედიის ექვს შემადგენელ ნაწილთა შორის უპირატესობას ანიჭებს „ფაბულას“ ანუ „ამბავს“ და მასთან ერთად „მოქმედებათა საერთო ქარგას“ ანუ „მოქმედებათა შედგენილობას“, რომელთა ერთობლიობით იწერება ტრაგედია. ავტორი მსჯელობს ფაბულის „მარტივ“ და „დახლართულ“ სახეებზე და ბოლოს იგი მოქმედებათა განლაგებისათვის ექვებს მოხდენილ ფორმებს (3, გვ. 83-88; 4, გვ. 13-

25; 27, გვ. 56-57). კომპოზიციის შესახებ მოგვიანებით მრავალი მოსაზრება გამოითქვა. მათ შორის საინტერესოა ი. მუკაროვსკის, ი. ტინიანოვის, გ. ბახტინისა და სხვათა მოსაზრებები. ამ განსაზღვრებათა სიმრავლეში ალბათ ყველაზე უფრო მისაღებია მითითება კომპოზიციის როლზე, როგორც თხზულების მაორგანიზებელ კომპონენტზე, ფორმისა და შინაარსის ერთიანობის თვალსაზრისით მხატვრული ნაწარმოების სისტემაში (63, გვ. 6-18).<sup>1</sup>

ჩვენი ინტერესის საგანს ქართულ ორიგინალურ და ნათარგმნ აგიოგრაფიულ თხზულებათა კომპოზიციის პრობლემა და მასთან დაკავშირებით წამოჭრილი საკითხები წარმოადგენს.

რ. ბარამიძე ერთ-ერთი პირველთაგანი შეეხო ქართული აგიოგრაფიული თხზულებების კომპოზიციის საკითხს. მის არაერთ ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ლიტერატურულ-თეორიულ პრობლემებზე და, კერძოდ, კომპოზიციაზე, როგორც თხზულების მაორგანიზებელ კომპონენტზე. მაგალითად, იაკობ ცურტაველის მწერლური ოსტატობის, ნაწარმოების დეტალების დამუშავების პროცესზე საუბრისას მკვლევარი აღნიშნავს: „ის, უპირველესად, ბელებრისტია და ქმნის სრულფასოვან კომპოზიციურად შეკრულ მხატვრულ ნაწარმოებს, რომელშიაც პერსონაჟის ყოველი მოქმედება, მდგომარეობა დამარტინებლადაა მოტივირებული, თხრობა ვითარდება თავისი შინაგანი კანონებით“ (6, გვ. 141).

საყურადღებო მოსაზრებას გამოთქვამს ე. ხინთიბიძე თავის ნაშრომში: „VIII საუკუნის ქართველმა მწერალმა იოანე საბანისძემ ქართულ ლიტერატურაში ახალი, მანამდე უცნობი მოტივი შემოიტანა. მწერალმა მთელი თავისი თხზულება „აბო თბილელის წამება“ ერთ იდეაზე, ერთ დედააზრზე ააგო. იგი გასცდა აგიოგრაფიული მწერლობის ჩარჩოს და აგიოგრაფიული მასალა ერთი დერძის გარშემო დაალაგა. ეს ერთი დერძი“ (59, გვ. 92) კი, მეცნიერის აზრით, წარმოადგენდა იოანე საბანისძის მიერ ქართულ ლიტერატურაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მოტივის შემოღებას და ქართული ნაციონალური კულტურის პრესტიჟის ფართო მასშტაბით დაყენებას (59, გვ. 92).

ძველი ქართული მხატვრული პროზის ლიტერატურულ-ესთეტიკურ პრობლემებზე საუბრისას კომპოზიციის საკითხს ეხება აგრეთვე რ. სირაძე.

<sup>1</sup> ზემორე საკითხზე მსჯელობისას ვეურდნობით: Л. Г. Кайда, Стилистика текста: от теории композиции – к декодированию, Москва, Издательство „Флинта“, Издательство „Наука“, 2004.

სანიმუშოდ მოგვყავს ერთი საგულისხმო ეპიზოდი „აბოს წამების“ არქიტექტონიკის შესახებ საუბრისას: „აბოს წამების“ კომპოზიცია აგებულია „ღერძული სიმეტრიის“ მიხედვით ... კომპოზიციური წყობის ამგარი მოდელი ი. საბანისძეს საშუალებას აძლევს საყურადღებო პოეტიკური ამოცანები განახორციელოს“ (35, გვ. 78).

მსგავს საკითხებს მიაქცევს ყურადღებას თავის ნაშრომში გრ. ფარულავა. იგი ნაწარმოებთა ორგანიზაციისა და მხატვრული სისტემის შესახებ მსჯელობისას აღნიშნავს, რომ „ჰაგიოგრაფიული სისტემა პერსონაჟთა კომპოზიციისა სახესხვაობს თანამედროვე ლიტერატურულ სტრუქტურასთან. მთავარი გმირისა და მისი გარემოს იერარქიულ განლაგებაში ადამიანის შინაგან სამყაროსა და გარე-სინამდვილის ურთიერთმიმართების გარკვეული გაგებაა გამოხატული“ (40, გვ. 229).

თემის აქტუალობიდან გამომდინარე, ჩვენი სადისერტაციო ნაშრომი ამოცანად ისახავს სწორედ ქართული ორიგინალური და ნათარგმნი აგიოგრაფიული თხზულებების სიუჟეტურ-კომპოზიციურ ჭრილში განხილვას, მათ შედარებას, მსგავსი თუ განმასხვავებელი ნიშნების გამოვლენას.

ნაშრომის პირველ თავში, დასაწყისში მიმოხილვითი საუბარია აგიოგრაფიისათვის დამახასიათებელ სიუჟეტურ-კომპოზიციურ შეგამპებზე. შემდეგ განვიხილავთ „ცხოვრებათა“ ჟანრის ქართულ აგიოგრაფიულ თხზულებებს: „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება,“ „იოვანე ზედაზნელის ცხოვრება,“ „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება,“ „იოვანე და ეფთვიმე ათონელების ცხოვრება,“ „ილარიონ ქართველის ცხოვრება,“ „შიოსა და ევაგრეს ცხოვრება“ და „დავით გარეჯელის ცხოვრება“. ამ თხზულებათა განხილვის და სიუჟეტურ-კომპოზიციური თვალსაზრისით ურთიერთშედარების საფუძველზე გამოვლინდა ძალიან ბევრი საერთო დამახასიათებელი ელემენტი, რომლებიც ნაშრომში დავაჯგუფეთ სათანადო სქემების მიხედვით. დიდი ადგილი დავუთმეთ სასწაულოების გამოვლენას და აგრეთვე მათ დალაგებას გარკვეული სქემების მიხედვით.

მეორე თავში ვსაუბრობთ „ცხოვრებათა“ ჟანრის ნათარგმნ აგიოგრაფიულ თხზულებებზე, განვიხილეთ „ანტონი დიდის ცხოვრება“, „თევდოსი დიდის ცხოვრება“, „ეფრემ ასურის ცხოვრება“, „საბა განწმენდილის ცხოვრება“ და „იოვანე ოქროპირის ცხოვრება“. თხზულებებს შორის არსებული სიუჟეტურ-

კომპოზიციური პარალელების დადგენის შედეგად დავალაგეთ ისინი გარკვეული სქემების მიხედვით, აგრეთვე მოვახდინეთ სასწაულთმოქმედებათა კლასიფიცირება.

მესამე თავში ერთმანეთს შევადარეთ ბიზანტიური მწერლობიდან თანამედროვე ქართულ ენაზე გადმოთარგმნილი „იოვანე დამასკელისა და კოზმან იერუსალიმელის ცხოვრება“ „წმინდა პახომიოსის ცხოვრებასთან“. მათში გამოვყავით აგიოგრაფიული თხზულებებისათვის დამახასიათებელი სტილი, კომპოზიციური ხერხები და ისინიც შეძლებისდაგავარად დავაჯგუფეთ სქემების მიხედვით, აგრეთვე მოვახდინეთ სასწაულთმოქმედებათა განზოგადება.

ჩვენი განხილვის საგანი მეოთხე თავში არის „წამებათა“ ჟანრის ქართული აგიოგრაფიული თხზულებები: „შუშანიკის წამება“, „აბო თბილელის წამება“, „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“, „გობრონის წამება“, „კოსტანტიკახის მარტვილობა“, „აბიბოს ნეკრესელის წამება“, „არჩილ მეფის წამება“ და „კოლაელ ყრმათა წამებანი“. შევისწავლეთ ისინი სიუჟეტურ-კომპოზიციური ხერხების გადმოცემის ასპექტით და დავინახეთ, რომ აგიოგრაფიული შაბლონის თვალსაზრისით ისინი ერთმანეთთან მკვეთრ მსგავსებას ავლენენ. ყურადღება გავამახვილეთ სასწაულთმოქმედებათა ტიპების წარმოჩენაზე და ბოლოს შევეცადეთ ეს ყველაფერი დაგველაგებინა სათანადო სქემების მიხედვით.

ნაშრომის მეხუთე თავში შესწავლილი და გაანალიზებულია „წამებათა“ ჟანრის ნათარგმნი კიმენური აგიოგრაფიული თხზულებები პ. კეკელიძის კიმენის I და II ტომიდან. ყურადღება შევაჩერეთ და განვიხილეთ „ლუკიანოზის მარტვილობა“, „მიქაელის წამება“, „პანსოფი ალექსანდრიელის წამება“, „ბოას მარტვილობა“, „ელიანოსის მარტვილობა“ და „ევგენიას წამება“. სიუჟეტურ-კომპოზიციური თვალთახედვით წარმოვაჩინეთ ბევრი საერთო თუ განმასხვავებელი აგიოგრაფიული ელემენტი, მოვახდინეთ მათი კლასიფიცირება და შემდეგ დაწყობა სქემების მიხედვით. შინაარსობრივი ასპექტით დავაჯგუფეთ ამ თხზულებებში აღწერილი სასწაულებიც.

## თავი I

### სიუჟეტურ-კომპოზიციური ურთიერთმიმართებანი „ცხოვრებათა“ უანრის ქართულ თრიგინალურ აგიოგრაფიაში

პ. კეკელიძე სათანადოდ აფასებდა ლიტერატურათა ისტორიულ-შედარებითი მეთოდით კვლევას და აღნიშნავდა, რომ აგიოგრაფიული უანრის ბიზანტიურმა მწერლობამ ჯერ კიდევ წინამეტაფრასულ ხანაში შეიმუშავა გარკვეული სქემები, რომელთაც მკვეთრად ჩამოყალიბებული შაბლონის, ტრაფარეტის სახე მიიღეს და რომლებიც შემდგომ სავალდებულო გახდა ბიზანტიურ კულტურულ სამყაროსთან დაკავშირებული ყველა ხალხის მწერლობაში, მათ შორის – ქართულშიც, სადაც „სქემებმა გამოვლინება პოვეს არა მარტო ლიტერატურულ ფორმაში, არამედ იმ სიუჟეტურ მოტივებშიაც, რომელთაც ამ უანრის ლიტერატურაში გხედავთ. ქართულ-ბიზანტიურ ლიტერატურულ ურთიერთობათა პრობლემის მორიგი ამოცანაა გათვალისწინება პარალელური მოტივებისა“ (21, გვ. 99).

პ. კეკელიძეს, ქართული საერო მწერლობის წარმოშობაზე მსჯელობისას, გამოყოფილი აქვს ოთხი ელემენტისაგან შემდგარი აგიოგრაფიული თხრობის კომპოზიციური შაბლონები, რომლებიც აგიოგრაფიის სულიერებით აღსავსე პერსონაჟთაგან შემდგომ იქცნენ საერო მწერლობის გმირთა სახეებად (25, გვ. 6-7). ეს ელემენტებია:

1. „წმინდანი“ ბავშვობაშივე იჩენს სულიერ სიმშენიერებს და ავლენს იმ თვისებებს, რომელნიც მას ყველასგან გამორჩეულს ხდის.
2. „ზრდასრული წმინდანი“ ნამდვილი „სულიერი გმირია“. ის ებრძვის და სძლევს ყოველგვარ ამქვეყნიურ ცდუნებებს, ამარცხებს ადამიანისა თუ ცხოველის სახით მოვლენიდ „ეშმაკს“ და ფლობს სახწაულთქმედების უნარს, რომელიც მას ბუნების კანონებზე მაღლა აყენებს.
3. „წმინდანის“ ამქვეყნიური ცხოვრება წარმოადგენს განუწყვეტელ მსახურებასა და ერთგულებას ღვთისადმი. უფლის სიყვარულისათვის იგი ითმენს და იტანს ყოველგვარ ასკეტურ ღვაწლსა და შრომას. „წმინდანი“ ნამდვილი „მიჯნურია“ ღვთისა.

**4. „სულიერი გმირი“, ანუ „წმინდანი“, ზოგჯერ მოწამებრივად იღესრულება და ეწირება თავის მიზანს, ზოგჯერაც ხანგრძლივი ასკეტური ცხოვრების შემდეგ ბუნებრივი სიკვდილით კვდება.**

შემდგომმა მეცნიერულმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ მხოლოდ ამ ოთხი კომპოზიციური შაბლონით ვერ ამოიწურება ქართულ აგიოგრაფიულ მწერლობაში მოტივთა და შაბლონთა რაოდენობა. ამიტომ სავსებით მისაღებია რ. სირაბის თვალსაზრისი, რომ ქართულ აგიოგრაფიულ მწერლობაში მოტივთა და შაბლონთა რაოდენობა გაცილებით მეტი უნდა ყოფილიყო. მისი აზრით, ეს კომპოზიციური შაბლონები „ადრევე არსებობდა ხალხურ შემოქმედებაში, მაგალითად, მითოლოგიურ ეპოსში, საიდანაც ისინი აგიოგრაფიულ მწერლობასაც შეეძლო აედო; ეს ელემენტები აგიოგრაფიული მწერლობის წარმოშობის შემდეგაც განაგრძობდა არსებობას ხალხურ შემოქმედებაში“ (36, გვ. 157).

აგიოგრაფიული ჟანრის სხვა ტიპის კომპოზიციურ მოდელზე მიუთითებს ე. ხინთიბიძე სტატიაში „შუშანიკის წამება“ და ბიზანტიური აგიოგრაფიის სათავეები“. მისი დაკვირვებით, ერთმანეთისგან განსხვავდება აგიოგრაფიულ თხზულებათა კომპოზიციური მოდელები ბიზანტიური მწერლობის ადრინდელ ეტაპზე (IV-VI ს.) და შემდგომ ეტაპზე. ადრინდელ ეტაპზე აგიოგრაფიულ ჟანრს უფრო მეტი მსგავსება აქვს ანტიკურ-ბერძნულ ლიტერატურასთან. ამ პერიოდის აგიოგრაფიულ თხზულებებში უფრო მეტად არის წარმოჩენილი ცხოვრებისეული ფაქტები და დუტალები: წმინდანთა ბავშვობა, მისი ეროვნული და სოციალური წარმომავლობა, მშობელთა რელიგიური მრწამსი, გარემოცვა და სხვა ცხოვრებისეული ფაქტები და დუტალები. შემდგომ ეტაპზე აგიოგრაფიული თხზულების მოდელი ერთგვარად იცვლება, მწერლის ყურადღება უპირატესად გადადის წმინდანის სულიერ ამაღლებაზე, მის ასკეტურ სრულყოფასა და სრულქმნილებაზე და ამის კვალდაკვალ ხდება ცხოვრებისეული ფაქტებისა და დეტალების მაქსიმალურად შემცირება (60, გვ. 160-162).

საყურადღებო მოსაზრებას გამოთქვამს რ. ბარამიძე აგიოგრაფიული ჟანრის შაბლონურობასთან დაკავშირებით. კერძოდ, იგი აღნიშნავს, რომ „აგიოგრაფიული ჟანრისათვის დამახასიათებელი შაბლონურობა განპირობებული იყო აგტორთა მსოფლმხედველობით, კერძოდ, აგტორები ხელმძღვანელობდნენ თეოლოგიური პრინციპებით. თუ გავითვალისწინებთ ადრეული საუკუნის მოქალაქის გემოვნებასა და აზროვნების სტილს, ნათელი იქნება, რომ

აგიოგრაფიის შაბლონურობა არ გაიაზრებოდა როგორც ნაკლი, ხარვეზი“ (8, გვ. 11).

ამ და სხვა დამატებით კომპოზიციურ შაბლონებზე ამახვილებს ყურადღებას 6. სოხაძე ნაშრომში „გრიგოლ დიდის „დიალოგონის“ მიმართება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებასთან. იგი პ. კეკელიძის მიერ გამოყოფილ ოთხ კომპოზიციურ შაბლონთა რიცხვს ოცამდე ზრდის და მიიჩნევს, რომ „ეს რიცხვი მყარი არ არის“ (38, გვ. 169).

ლიტერატურათა ისტორიულ-შედარებითი მეთოდით კვლევის ერთ-ერთ საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს აგრეთვე ნანა ინგოროვას ნაშრომი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მიმართებისათვის „წმინდა ანგონის ცხოვრებასთან“. ნაშრომში სისავსითაა შესწავლილი ამ ორ თხზულებათა შორის არსებული სიუჟეტურ-კომპოზიციური მსგავსება-განსხვავებანი (15, გვ. 43-71).

ჩვენი ნაშრომის მიზანია ორიგინალურ და ნათარგმნ აგიოგრაფიულ თხზულებათა ისტორიულ-შედარებითი მეთოდით კვლევა, კერძოდ, მათ სიუჟეტურ-კომპოზიციურ თავისებურებათა, მსგავსება-განსხვავებათა წარმოჩენა. შევეცდებით ეს მიმართებანი განვიხილოთ ჟანრობრივად „წამებათა“ და „ცხოვრებათა“ მიხედვით, რადგან „ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა სიმრავლე სხვადასხვა ქრისტიანული ერების საეკლესიო მწერლობაში, მათი ურთიერთმიმართება, თარგმანთა თავისებურებანი, ჟანრობრივი სპეციფიკა და რედაქციული ნაირსახეობები ამ დარგს ურთულეს საკვლევ ობიექტად წარმოაჩენს და განსაკუთრებულ ინტერესს აღმრავს“ (10, გვ. 13-14).

წინამდებარე თავში განვიხილავთ ორიგინალურ აგიოგრაფიულ ნაწარმოებებს, შეძლებისდაგვარად იქნება ცდა იმ მსგავსი თუ განმასხვავებელი ნიშნების გამოყოფისა, რომლითაც ერთმანეთს უახლოვდება ესა თუ ის ქართული აგიოგრაფიული თხზულება.

თავდაპირველად განვიხილავთ „ცხოვრებათა“ ჟანრის აგიოგრაფიულ ძეგლებს გარკვეული სქემების დაჯგუფების თვალთახედვით.

1. თითქმის ყოველი აგიოგრაფიული ნაწარმოების დასაწყისში ან ბოლოში ავტორის მიერ ხდება თხზულების შექმნის დროის აღნიშვნა ან კიდევ დათარიღება წმინდანის გარდაცვალების პერიოდის. ზოგიერთ შემთხვევაში ავტორი ასახელებს თავის ვინაობასაც. მაგალითად, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ მოცემულია როგორც გრიგოლის გარდაცვალების, ასევე თხზულების დაწერის დროც. დასახელებულია აგრეთვე ავტორის ვინაობა:

„ხოლო იყო გარდაცვალებად ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი რიცხუსა წელიწადთა მისთასა ას და მეორესა წელსა, ქრონიკონსა ოთხმეოც და ერთსა. არამედ გარდაცვალებითგან მისით დაიწერა ცხორებად ესე მისი შემდგომად ოთხმეოც და ათისა წლისა, დასაბამითგან გარდასრულთა წელთა ექუს ათას ხუთას ორმეოც და მეათოთხმეტსა წელსა ... ხოლო ხანცთისა წინამდღურისა და იოვანე ძმისა მისისა და წიგნისა ამის აღმწერელისა გიორგი მერჩულისა, სამთავე ამათ ერთად გულს-მოდგინებითა დაიწერა ხანცთას შინა ნეტარისა გრიგოლის ცხორებად ესე“ (11, გვ. 316-317).<sup>1</sup>

იგივე სურათს ვაწყდებით „ილარიონ ქართველის ცხოვრებაში“. მასში მოცემულია წმინდანის აღსასრულის დათარიღება და ავტორის ვინაობა: „ხოლო აღესრულა მამა ჩუენი წმიდა ილარიონ თუესა ნოემბერსა ი-თ-სა, დღესა შაბათსა, ჟამსა მეხუთესა დღისასა, მეფობასა ბასილი მაკედონელისასა...“ (43, გვ. 29)<sup>2</sup>

„ხოლო ბასილი პროტოასიკრიტმან და ფილოსოფოსმან და ლირსმან მონაზონმან აღწერა ცხორებად წმიდისად ამის“ (43, გვ. 37).

მსგავსი ვითარებაა „იოვანე და ეფთვიმე ათონელების ცხოვრებაში“. მაგალითისათვის მოგვყავს ერთი მცირე ნაწყვეტი: „აღესრულა სამგზის სანატრელი მამა ჩუენი ეფთვმი თუესა მაისსა ათცამეტსა, დღესა ორშაბათსა, ინდიკტიონსა ათერთმეტსა, წელთა დასაბამითგან სოფლისადთ ექუს ათას ხუთას ოცდამეათექუსმეტესა წელსა“ (12, გვ. 92).<sup>3</sup>

2. თხზულების დასაწყისში ავტორი აგიოგრაფისთვის ნიშანდობლივი თავმდაბლობით ცდილობს, განგვიმარტოს წმინდანის ცხოვრების აღწერის სურვილი. იგი ხაზს უსვამს თავის უღირსობას ამ საპასუხისმგებლო საქმის წარმართვაში და მკითხველისგან ითხოვს შენდობას. „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ აგიოგრაფი ავტორი აღნიშნავს: „და შრომის-მოყუარებით ვისმინოთ მცირე ესე სიტყვასმიერი გამოხატვად ვრცელისა მის ფრიად საწადელისა ცხორებისა მისისა და აწინდელისა აქა შემოკრებისად. ხოლო ცრემლით ვევედრები სიყუარულსა თქუენსა ყოლად უღირსი ესე, რაოთა თანა-ლმობილ

<sup>1</sup> ვიმოწმებთ: გიორგი მერჩულე, „შრომად და მოღუაწებად გრიგოლისი არქიმანდრიტისად ხანცთისა და შატბერდისა აღმაშენებელისად“, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, (V-Xსს.), თბ., 1963.

<sup>2</sup> ვიმოწმებთ: „ცხორებად და მოქალაქობად ილარიონ ქართველისად“, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II, (XI-XVსს.), თბ., 1967.

<sup>3</sup> ვიმოწმებთ: გიორგი მთაწმიდელი, „ცხორებად იოვანესი და ეფთვმეტეს“, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II, (XI-XVსს.), თბ., 1967.

იქმნეთ უძლურებისა ჩემისა მოცემად სიტყუად ლირსი აღებასა პირისა ჩემისასა სიტყვსა მიერ უსიტყუთა სიტყვერ-მყოფელისა და უძლურთა განმაძლიერებელისა, რამეთუ იწყებს სიტყუად დასაბამსა ცხორებისა მისისასა“ (45, გვ. 321).<sup>1</sup>

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ კი გიორგი მერჩულე ამბობს: „არამედ აწ მე, ვინავთგან ვერ ძალ-მიც მოუკლებელად ლოცვად და სულელთა ყოველთა უდარეს ვარ, ნაკლულევანებად ჩემი არა მიფლობს დუმილად და ზოგს-რაღმე უმჯობესად შემირაცხიეს, რავთა ვიტყოდი ლირსად ცხორებასა ლმერთ-შემოსილთა კაცთასა, ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისა და მოყუასთა და მოწაფეთა მისთასა მადლითა და შეწევნითა დმრთისავთა ... და ნეტართა მათ ოხითა ვპოვო ორკერძოვე ლხინებად უძლურებათა ჩემთავ ესრეთ სიტყუათა ამათ წესითა“ (11, გვ. 248-249).

იგივე გრძნობით არის გამსჭვალული გიორგი მთაწმინდელი „იოვანე და ეფთვიმე ათონელების ცხოვრების“ აღწერის დროს.

3. აგიოგრაფი ცდილობს, დაარწმუნოს მკითხველი თავისი ნაამბობის ჭეშმარიტებაში. და იგი ასახელებს იმ პირებს, ძირითადად წმინდა მამათა სულიერ შვილებს, რომელთაგანაც სმენია ეს ყოველივე. მაგალითად, გიორგი მერჩულე აღწერა ამბავი „ჭეშმარიტად თხრობილი მოწაფეთაგან და მოწაფის მოწაფეთაგან მის წმიდისათა“ (11, გვ. 248-249).

„ილარიონ ქართველის ცხოვრებაც“ აღწერა ბასილი პროტოასიკრიტმან „ვითარცა ისწავა მოწაფეთაგან წმიდისათა კაცთა უტყველთა და ჭეშმარიტთა“ (43, გვ. 37).

გიორგი მთაწმიდელი კი აღნიშნავს, რომ „დაღაცათუ ჩუენ შემდგომად მრავლისა ჟამისა დმრთისა მიმართ მისლვისა მათისა ჭელ-ვყავთ მცირედთა ამათ სიტყუათა აღწერად, გარნა ურწმუნომცა ნუვინ არს, რამეთუ ჩუენ თავით თუსით არარა აღგაწერია, არამედ რავ-იგი ვისწავეთ კაცთა სარწმუნოთაგან და სულიერთა მამათა, რომელთა-იგი ეხილვნეს და ემსახურა მათდა, რომელნი-იგი უცხო იყვნეს ყოვლითურთ ტყუვილისაგან და სავსე მადლითა ზეგარდამოთა. და თუთ მებრ მათ საქმეთაგან, რომელნი-იგი დუმილით წამებენ და წმამალლად ქადაგებენ ლუაწლთა და შრომათა მათთა“ (12, გვ. 40).

<sup>1</sup> ვიმოწმებთ: „ცხორებად და მოქალაქობად სერაპიონისი“, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, (V-Xსს.), თბ., 1963.

ზოგჯერ ავტორის მიერ ხდება დასახელება იმ მიზეზისა, თუ რატომ წერს თხზულებას. მაგალითად, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ გიორგი მერჩულე აღნიშნავს, რომ „ყოველი ვერ შეუძლე აღწერად უმეცრებისა გზითა, რამეთუ ვჰგონებდ ცხორებისა ამის დაწერად ბრძენთაგან და სრულთა მამათა, რომელნიცა იყვნეს უამთა ჩუენთა ... და ვითარცა მათ ნეტართა დაიძინეს, მაშინდა რეცა განმეღვდა უცებსა ამას და ფრიად ცოდვილსა ჭელყოფად და აღწერად ცხორებად და სასწაული ესე“ (11, გვ. 294).

4. წმინდანის გამორჩეულობა ბავშვობაში, როგორც აღინიშნა, ფრიად გავრცელებული მოტივია ქართულ აგიოგრაფიულ თხზულებებში ისევა, როგორც ზოგადად ქრისტიანულ ლიტერატურაში. წმინდანი ბავშვობაშივე გამოირჩევა თანატოლებისაგან, რაც მას განსაკუთრებულობის იერს სძენს. ეს გამორჩეულობა და განსაკუთრებულობა კი მედავნდება შემდეგ ასპექტებში:

ა) თხზულებებში ნაჩვენებია წმინდანის ეროვნული და სოციალური წარმოშობა. ზოგიერთი მათგანი დიდგვაროვანი ოჯახის წარმომადგენელია, და ზოგიც – დაბალ სოციალურ ფენას მიეკუთვნება.

მაგალითად, იოვანე ათონელი „იყო ნათესავით ქართველი, მშობელთა და პაპთავთგან დიდებული და წარჩინებული და საჩინო მთავართა შორის დავით კურაპალატისათა“ (12, გვ. 42). ასევე არისტოკრატული წრიდან არიან გრიგოლ ხანძთელი და ილარიონ ქართველი, ხოლო სერაპიონ ზარზმელი „აღმოსცენდა ქუეყანასა კლარჯეთისასა მშობელთაგან დირსთა და პატიოსნებით და ლიტონად ცხორებულთა, რომელი შრომით და ქუეყანის-მოქმედებით იზარდებოდეს“ (45, გვ. 321).

ბ) წმინდანები გამოირჩევიან აგრეთვე გარეგნობითაც. გრიგოლ ხანძთელი იყო „ხილვითა დიდ, კორცითა თხელ, ჰასაკითა სრულ, ყოლად კეთილ სრულიად, გუამითა მრთელ და სულითა უბიწო“ (11, გვ. 250).

გ) წმინდანებს ახასიათებთ სწავლის მიმართ განსაკუთრებული მიღრეკილება. გრიგოლ ხანძთელის „გულისჯმიერობად სწავლისად განსაკურვებელი იყო ფრიად, რამეთუ მსწრაფლ ხოლო დაისწავლა „დავითი“ და კვიმითა სასწავლებელი სწავლად საეკლესიო, სამოძღურო. ქართულსა ენასა შინა ყოველი დაისწავლა და მწიგნობრობადცა ისწავა მრავალთა ენათად და საღმრთონი წიგნი ზეპირით მოიწუართნა. ხოლო სიბრძნეცა იგი ამის სოფლისა ფილოსოფოსთავ ისწავა კეთილად და, რომელი პოვის სიტყუად კეთილი, შეიწყნარის, ხოლო ჯერკუალი განაგდის“ (11, გვ. 249-250).

იოვანემ ეფთვიმე ათონელს „პირველად ქართული სწავლად ასწავა და მერმე ბერძულად გაასწავლა ყოვლითავე სწავლულებითა სრულებით. და სიყრმითგანვე მადლი ღმრთისად იყო მის ზედა და ღმრთისაგან მიეცა გულისხმის-ყოფად წერილთად და სულისა წმიდისა მადლითა აღიგხო“ (12, გვ. 60).

ილარიონ ქართველიც „ირწყვებოდა“ ცოდნით „გითარცა ხშ დანერგული ღმრთისამიერ თანა-წარსადინელსა წყალთა მათ სულისა წმიდისათა, რომელ არიან წიგნი ღმრთივ-სულიერნი“ (43, გვ. 10).

დ) წმინდანის თანმხლები მომენტია ღრმა რელიგიურობა, უფლის რწმენა, სიყრმიდანვე ღვთის ჭეშმარიტი მსახურება: გრიგოლ ხანძთელი „მარხვასა შინა იზარდებოდა მსგავსად წინამორბედისა, რამეთუ სიჩჩოდთგანვე ღჯნოვ და კორცი არა შეკდა პირსა მისსა, ვინათგან ქრისტესა განეკუთნა სული თვისი სამკადრებელად. და ხატიცა მონაზონებისად ემოსა, რამეთუ თავისუფალ იყო იგი სიმდერისაგან ყრმათადსა და ყოვლისაგან აღრევისა კაცთადსა და მარტოდ იყოფვინ თვისსა მას სადგურსა ... რამეთუ ძირი სიწმიდისად მარადის გულსა მისსა დანერგულ იყო, აღმომცენარეც ჯეჯლსა ღმრთის-მსახურებისასა. და ნერგი ჭეშმარიტისა სარწმუნოებისად აღორძინდა სულსა მისსა, და ნაყოფი ღმრთისა სიყუარულისად გარდაემატა მის შორის“ (11, გვ. 249-250).

ილარიონ ქართველიც „იყო ჰასაკითა, ვითარ ათხუთმეტისა წლისად. და მიერითგან იწყო შესლვად სარბიელსა მოღუაწებისასა. მარხვითა და მღვდარებითა ჰასაკსა მას სიჭაბუკისასა დააჭნობდა, ლოცვითა და მარადის ღმრთისა ხედვითა უკორცოთა მიემსგავსებოდა, ვიდრედა წარემატებოდა და მოღუაწებითა ყოველთავე მყოფთა მის ადგილისათა“ (43, გვ. 11).

ე) წმინდანი უფლისაგან გამორჩეული და ხელდასმულია სიყრმეშივე. ამ პერიოდიდანვე ხდება მისი შემზადება სულიერი ცხოვრებისათვის. „იოვანე და ეფთვიმე ათონელების ცხოვრებაში“ „სიყრმითგანვე მადლი ღმრთისად იყო მის ზედა და ღმრთისაგან მიეცა გულისხმის-ყოფად წერილთად და სულისა წმიდისა მადლითა აღივხო“ (12, გვ. 60). გრიგოლ ხანძთელს შემდეგი სიტყვებით მიმართავენ ბრძენი: „შვილო, გამორჩეულო ქრისტესო“ (11, გვ. 251), უფრო მეტიც, ახლობლები ეუბნებიან კიდეც მას, რომ იგი ჰპოვა „ქრისტემან უბრალო კელითა და წმიდავ გულითა. და რათა შენ აღხუდე მთასა უფლისასა და დადგე ადგილსა წმიდასა მისსა“ (11, გვ. 250). „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ უფლისაგან გამორჩეული და კურთხეულია აგრეთვე ყრმა ზაქარია, რომელზეც

„ზეცით მოწევნულ იყო სუეტი ფრიად ბრწყინვალე ნათლისად“ (11, გვ. 304). ამ სურათის მოწმე გახდა ანჩელი ეპისკოპოსი, რომელმაც ნანახით განცვიფრებულმა, მაშინათვე მოინდომა ზაქარიას ხელით ზიარება.

ხოლო რაც შეეხება „იოანე ზედაზნელის“, „დავით გარეჯელის“ და „შიოსა და ევაგრეს“ „ცხოვრებებს“ და ნაწილობრივ „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებას“, მათში არ შეიმჩნევა ზემოთჩამოთვლილი სიუჟეტურ-კომპოზიციური მოდელები, რაც გვაფიქრებინებს, რომ ჩვენამდე ვერ მოაღწია დასახელებულ თხზულებათა სრულმა ვარიანტმა და, ამდენად, ამგვარად შემოგვრჩა ხელნაწერული „ხარვეზი“.

5. წმინდანებს აქვთ განმარტოების სურვილი. ხშირად ისინი უარყოფენ ხორციელ დიდებას, პატივს და ესწრაფვიან სრულ სიმარტოვეს.

გრიგოლ ხანძთელს „სწადოდა მარტოდ დაყუდებაო, რამეთუ ესმოდა ანგელოზებრივი ცხორებაო მარტოდ მყოფთაო მათ სივრცესა მას შინა უდაბნოდსასა, რომელნი-იგი იზარდებოდეს მძოვართა სახედ მწუანვილითა და ხილითა“ (11, გვ. 253). და როგორც კი იხილა საკუთარი თავი ხორციელ პატივში, „განიზრახა ფარულად სივლტოლად თვესით ქუეყანით საღმრთოთა წოდებითა“ (11, გვ. 252).

იოანე ზედაზნელმაც „აღიდო უდელი მძიმე სიჭაბუკითგან თვესით და დაჯდა თვესაგან და დაყუდნა, რამეთუ არს სასოებაო თმენისად. პირველად თვესავე ქუეყანასა ასურეთს იწყო მონაზონებად. და იქცეოდა ყოვლითა სიმდაბლითა...“ (44, გვ. 196-197).<sup>1</sup> ხოლო შემდეგ გადაწყვიტა, რომ წასულიყო შორს, „სადაცა არა იყო ყოლადვე ჭმავ სმენისა სათნოებათა მისთავ“ (44, გვ. 198).

შიო მღვიმელიც კი ევედრება თავის სულიერ მოძღვარს, იოანეს, რომ მისცეს მას მარტოდ დაყუდების უფლება. და ბოლოს შიომ „პოვა მუნ მცირე ქუაბი და დაჯდა მას შინა დაყუდებით სასოებითა ღმრთისა მინდობისათა, კელ-ყო საქმესა ამას და სიკუდილად მისცა თავი თვესი მისთვეს, რომელმან არაოდეს უგულებელს ყვნის მოსავნი მისნი“ (46, გვ. 218).<sup>2</sup>

ხოლო ილარიონ ქართველმა „ვითარცა იხილა განმრავლებად მომავალთად და რამეთუ აწყინებდესაცა ფრიად და ამით მიზეზითა ვერ პპოვბდა საწადელსა

<sup>1</sup> ვიმოწმებთ: „ცხორებაო და მოქალაქობაო იოვანე ზედაზნელისად“. - ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, (V-Xსს.), თბ., 1963.

<sup>2</sup> ვიმოწმებთ: „ცხორებაო და მოქალაქობაო შიოსი და ევაგრესი“. - ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, (V-Xსს.), თბ., 1963.

მას თვისა დაყუდებით ცხორებასა და ენებაცა სივლტოლად ცუდად-დიდებისაგან“ (43, გვ. 22).

6. მიუხედავად იმისა, რომ წმინდანები ესწარაფვიან უდაბნოში განმარტოებას, თავდაპირველად მათ ახლავთ ერთი ან რამდენიმე თანმხლები პირი, ძირითადად – სულიერი ძმები. სანიმუშოდ გავიხსენებთ ერთ საგულისხმო ეპიზოდს: მამა გრიგოლმა გადაწყვიტა ხორციელი პატივისაგან თავის დაღწევა და ფარულად გაპარვა, მან „კეთილსა განზრახვასა და გზავნასა მისსა პოვნა მოყუასნი კეთილნი შეწევნითა ქრისტეს მადლისადთა: საბა...; და თევდორე...; და ქრისტეფორე...“ (11, გვ. 252).

იოანე ზედაზნელმაც „დაუტევა ადგილი იგი, სადა იქცევინ და წარვიდა განშორებულსა უდაბნოსა. და პოვა ქუაბი და დაჯდა მას შინა მოწაფეთა თვისთა თანა“ (44, გვ. 197).

ასეთი სულიერი ძმა ახლდა ილარიონ ქართველსაც იერუსალიმში მოგზაურობისას. ხოლო სერაპიონ ზარზმელი მამა მიქაელის თხოვნით მიემართება საკუთარ ძმა იოვანესა და რამდენიმე სულიერ ძმასთან ერთად.

7. წმინდა მამებს თავიანთი ნება-სურვილით უფლის სიყვარულის გამო უხდებათ ყოველგვარი ასკეტური ყოფის ატანა და სულიერი ღწვა. მათი ამქვეყნიური მოღვაწეობა წარმოადგენს განუწყვეტელ მსახურებასა და ერთგულებას ღვთისადმი. ისინი არიან გამუდმებულ ლოცვასა და მარხვაში. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ აღწერილია კიდეც ზოგადად დაყუდებული ბერის ცხოვრების წესი, რომლის თანახმად ბერ-მონაზვნები „იზარდებოდეს მძოვართა სახედ მწუანვილითა და ხილითა, ხოლო რომელნიმე მცირედითა პურითა“ (11, გვ. 253). თავად გრიგოლ ხანძთელმა „დაიმარხა ჰეშმარიტი ქალწულებად არა ხოლო კორცითა ოდენ, არამედ სულითა და სიტყვთა, სასმენელითა და თუალითა... ხოლო გარდარეულისა შრომისაგან მოუძღურდა, რამეთუ მოუკლებელი ლოცვა, წყურილი და შიმშილი მარადის, და უძილობა, ზედგომა და მუჭლთა მოდრეკა ფრიადი აქუნდა ნეტარსა მას. დასცემდა ვნებასა ჭორცთასა და სულისა მტერნი მოაუძღურნა. ხოლო ჟამის-წირვა არაოდეს დააცადის თვისთა მიზეზისა და უძლურებისა, და სამოსელი მისი ყოლადვე შეურაცხი იყო და საზრდელი ეგრეთვა“ (11, გვ. 284).

თითქმის ანალოგიური სიტყვებითვე აქვს გადმოცემული გიორგი მთაწმიდელს ეფთვიმე ათონელის ამქვეყნიური მოღვაწეობა: „რამეთუ ყოველნივე ფარულად აღესრულებოდეს მის მიერ. ხოლო არნ სამოსლად მისა ქაბად და

ძაბისა მის ზედა ჯაჭვ მძიმე. და ოომელიცა ვინ სათნოებად გამოიძიოს, მის თანა პოოს მის მიერ აღსრულებულად კეთილად და შუენიერად. ხოლო სიწმიდე და ქალწულებად შეუხებელი და უბიწოდ დაქმარხა, ვითარცა ანგელოზა ღმრთისასა და ცათა შინა მყოფსა“ (12, გვ. 88).

ილარიონ ქართველმაც „რავდენნი ღუაწლი და შრომანი თავს-ისხნა, რამეთუ უცხოებითა და უპოვარებითა და სიგლახაკისა შეყუარებითა სრულთა მათ და მოღუაწებასა შინა განთქმულთა შეესწორა, ხოლო სიმწნითა და სიბრძნით-მოღუაწებითა და მტერთა მათ უხილავთა ახოვნად წყობითა და წორცთა თჯსთა უწყალოდ განკაფითა ყოველთავე ღმრთისათჯს დამდაბლებულთა და უცხო-ქმნულთა მიემსგავსა“ (43, გვ. 14).

ასეთივე სულიერ ღწვაში იყვნენ დავით გარეჯელი და შიო მღვიმელი.

8. წმინდანები, დაყუდებული ბერის ცხოვრების წესიდან გამომდინარე, წინააღმდეგნი არიან შედარებით მაღალ იერარქიულ დონეზე ასვლის. ისინი გაურბიან ხორციელ დიდებას. ზოგიერთ შემთხვევაში ისინი ამ დაწინაურებას დიდი თხოვნის შედეგად მაინც თანხმდებიან, მაგრამ ძირითადად წმინდა მამები ურყევად დგანან თავის პოზიციაზე.

ვფიქრობთ, საჭიროა ყურადღების აქცენტირება ასეთ მომენტზეც: საერო საზოგადოება და გრიგოლ ხანძთელის ახლობლები მოინდომებენ მის ხუცად კურთხევას, ისინი თხოვენ გრიგოლს, რომ „ნუდარა ურჩ იქმნები, არამედ მორჩილ იქმენ ბრძანებასა ქრისტისსა და ჰმონე მას მდდელობითა, ... ხოლო ნეტარი გრიგოლ დაემორჩილა მათ და ნებითა ღმრთისათა იკურთხა ხუცად“ (11, გვ. 251). მაგრამ როცა ხელისუფალნი გადაწყვეტენ მის ეპისკოპოსობას, გრიგოლი წინააღმდეგობას გაუწევთ და უპასუხებთ: „მსოფლიოთა მათ წმიდათა საყდართა არა უმრწემეს არიან წმიდანი უდაბნოთა ეკლესიანი“ (11, გვ. 282).

ილარიონ ქართველს რუისოველმა ეპისკოპოსმა სოხოვა მღვდლად კურთხევა, რადგანაც „იყო ყოვლითურთ მდაბალი და უცხო კაცობრივისა დიდებისაგან, არა ენება პატივსა მას მდდელობისასა აღსლვად და წინააღუდგებოდა ღირსსა მას ეპისკოპოსსა“ (43, გვ. 12), მაგრამ ეპისკოპოსი ევედრებოდა მას, რამაც ბოლოს შედეგი გამოიღო და ილარიონი დათანხმდა მღვდლად კურთხევას: „პატიოსანო მამაო, კელთა შენთა შინა ვარ მე გლახაკი ესე, რაღცა პნებავს ღირსებასა შენსა ყავნ ჩემ ზედა“ (43, გვ. 12). ხოლო მეორე ეპიზოდში საერო პირებმა მოინდომეს გრიგოლ ხანძთელის მსგავსად ილარიონის ეპისკოპოსად კურთხევა, რაზეც წმინდანმა დიდი წინააღმდეგობა

გასწია და „დაამტკიცა გონებასა შინა თვისსა სივლტოლად ცუდად-დიდებისაგან და წარსლვად უშორესსა ქუეყანასა“ (43, გვ. 17).

„შიოსა და ევაგრეს ცხოვრებაში“, როდესაც შიო მღვიმელმა არჩია ყველასაგან განმარტოება, სულიერ ძმათა არჩევანით და შიოს თანხმობით, მის ნაცვლად სულიერ წინამდლოლად აირჩიეს ევაგრე. ევაგრე კი თავმდაბლობის გამო თავდაპირველად „არა თავს-იდებდა მთავრობასა ძმათასა და გონებისა უძლურებასა წინა დაუდებდა“ (46, გვ. 226), რაზეც შიო მღვიმელმა მიუგო: „უკუეთუ მე დამემორჩილო, მრავალი სასყიდელი მიიღო დმრთისაგან და დიდებად საუცუნოდ დაიმკუდრო, და უკუეთუ ურჩ მექმნე, ურჩთა თანა დაისაჯო“ (46, გვ. 226). ევაგრეც იძულებული გახდა, ძმათათვის გაეწია სულიერი წინამდლობა.

9. აგიოგრაფიულ თხზულებებში ნათლად ჩანს, რომ წმინდანს უფლისაგან დაკისრებული აქვს სულიერი მისია, რომელიც მან უსათუოდ უნდა შეასრულოს. ამ დავალების შესასრულებლად წმინდანი უფლისაგან გამორჩეულია, როგორც შენიშნულია, ჯერ კიდევ ბავშვობაში. მისიის თანახმად, წმინდა მამებს, რამდენადაც თავიანთი მოდვაწეობით ერთგვარ მისაბაძ ეტალონად იქცეოდნენ საზოგადოებისათვის, მოეთხოვებოდათ ქრისტიანობის გავრცელება და სულიერების განმტკიცება საზოგადოებაში.

გრიგოლ ხანძთელი „ქუეყანისაგან გამოიყვანა ამის მიზეზისათვს, რათა უქმთა მათ უდაბნოთა შინა გამობრწყინდეს სანთელი ესე დაუგსებელი, ბრწყინვალც ზედა სასანთლესა მას მაღალსა ზეთითა მით განუპარველითა, რათა წმასა მას და ოხრასა საყვრისასა აღეტყინოს და განბრწყინდეს სულითა ძლიერითა, და მიუძღვეს საქორწინესა მას კრებულსა თანა მოწაფეთა მისთა წმიდათასა“ (11, გვ. 252).

ხოლო რაც შეეხება იოანე ზედაზნელს, „უფალმან ყო დამკუდრებად იგი მისი აქა ორისა საქმისათვს: პირველად, რათა სამკაულ იქმნას და გპრგპნ ჩუენისა ამის ქალაქისა იგი და მოწაფენი მისნი, ათორმეტნი იგი თუალნი პატივ-ცემულნი მიხედვითა, განდგმულ კუართსა მას არონისსა, სარგებელ და მკურნალ ყოველთათვს მყოფთა ქალაქისა ამის ჩუენისა... და მეორედ, რამეთუ ადგილი იგი, რომელსა მიივლინა, გოდოლი იყო პირველთა მათ წარჩინებულთა, სადა-იგი კურპომსახურებად აღმაღლებულ იყო. და ეშმაკნი მათ მიერ იმსახურებოდეს ნაზორევთა მათ კუამლითა, რათამცა მათვე ადგილთა ამაღლდა ღმრთის-მსახურებად“ (44, გვ. 201-202). წმინდანი არა მხოლოდ თვითონ

ასრულებს დაგალებას, არამედ სულიერ მოწაფეებსაც აგზავნის სხვადასხვა მიმართულებით ხალხში ქრისტიანობის განსამტკიცებლად.

„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ კი მამა მიქაელს, სერაპიონის აღმზრდელს, დვთაებრივი გამოცხადების დროს უფლისაგან ეუწყა სერაპიონის შესასრულებელი დაგალება, რომლის მიხედვითაც წმინდა მამას ძმასთან ერთად ევალებოდა სამცხეში წასვლა, უფლისაგან მინიშნებულ ადგილას მონასტრის აშენება და იქ უფლის სადიდებლად მორწმუნეთა შეკრება.

10. აგიოგრაფიულ თხზულებებში გავრცელებულია აგრეთვე წმინდანის სულიწმინდის, უფლის წინამძღოლობით მგზავრობა. გრიგოლ ხანძთელი და მისი მხლებლები „წარემართნეს გზასა მას, რომელი არა უწყოდეს, არამედ არა უმეცარ იყვნეს, რამეთუ უფალი მხოლოდ უძღვოდა მათ, ხედვიდა რად გულსა მათსა წმიდასა... და მოიყვანა იგინი ქართლით ოპიზას“ (11, გვ. 252).

იოანე ზედაზნელი კი თავისი ქვეყნიდან, შუამდინარეთიდან გამოემართა „ქუეყანად ქართლისა წინამძღვრობითა ძალისა მის უხილავისათა, რომელი-იგი ოდესმე სახითა ვარსკულავისათა მოგუთა უძღვოდა“ (44, გვ. 199).

ხოლო რაც შეეხება შიო მღვიმელსა და ილარიონ ქართველს, პირველი „მოვიდა წინამძღვრობითა სულისა წმიდისათა და დაემკპდრა დასავალით კერძო დედა-ქალაქსა მცხეთას“ (46, გვ. 217), ხოლო მეორე – აგრეთვე სულიწმინდის წინამძღოლობით დაემკვიდრა ულუმბოს მთაზე.

11. წმინდანები თავიანთი მოღვაწეობის დროს დაიმოწაფებენ ხოლმე მცირეწლოვან ყრმებს. დიდებულებიც სიხარულით ხვდებიან ამ ფაქტს და შვილებს აღსაზრდელად აძლევენ მათ. გრიგოლ ხანძთელის სულიერი ძმები, ქრისტეფორე და თევდორე, სამცხეში დაიმოწაფებენ დიდი აზნაურის, მირეანის შვილს, არსენს. „ყრმად იგი მცირებ იყო ჟამითა, ვითარ ექუსისა წლისათ, და სახლსა შინა მამისა თვისისასა იზარდებოდა. არამედ კაცთა მათ ღმრთისათა განზრახვითა მირეანისითა მოწესეთა სამოსლითა შემოსეს ყრმად იგი“ (11, გვ. 267). ქრისტეფორე და თევდორე თანაც შეცფიცავენ მირეანს: „მოძღუარი ჩუენი გრიგოლ არს მამად ხანცოლელი, და უფალსა თუ უნდეს, ესეცა მოწაფე იყოს მისი ჩუენ თანა“ (11, გვ. 267). გრიგოლ ხანძთელიც დაიმოწაფებს მცირეწლოვან ეფრემს.

დიდ წმინდა მამას, მიქაელ პარეხელს დაემოწაფა აგრეთვე დაობლებული სერაპიონ ზარზმელი და მისი მცირეწლოვანი ძმა იოვანე. „ხოლო ნეტარსა მას სხუანიცა მრავალნი აქუნდეს მოწაფენი, სრულნი და ბრწყინვალენი

სათნოებითა, ვითარცა დიდსა ანტონის ილარიონ და მაკარი, ეგრეთვე მიქაელს ბასილი და მარკელაოზ. და მათ თანა შეივედრა ნეტარი სერაპიონ თანა-ძმითურთ და თანააღრაცხილ ყვნა დასსა მოწაფეთასა“ (45, გვ. 322).

12. „ცხოვრებათა“ ჟანრის აგიოგრაფიულ ძეგლებში წმინდანები შემოიკრებენ სულიერ საძმოს, რომელთა შემადგენლობაც თანდათან იზრდება და ფართოვდება. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მიხედვით, „დღითი-დღე აღორძინდებოდეს მმანი, რამეთუ შეეძინებოდეს უფალსა მუშაკი მეათერთმეტისა ჟამისანი მოქმედად ჭეშმარიტსა მას ვენაჭსა და თანაზიარ იქმნებოდეს პირველთა მათ მართალთა და მონაწილე წმიდათა მოწამეთა, მწნდებოდეს რავ ღუაწლსა მას მონაზონებისასა მსგავსად წმიდათა მოწამეთა და უფროვს მათსა, რამეთუ მარტვლი ერთსა ხოლო შინა ჟამსა იწამნეს, ხოლო ესე ყოველსა ჟამსა იწამებოდეს სახელისათვს ქრისტესისა“ (11, გვ. 257).

„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ კი „შეემატებოდა რიცხუსა მმათასა, რამეთუ მოიზიდვიდა სახელგანთქმულებად კაცისა მის ღმრთისად, და სახედ მდინარისა ირწყვებოდეს ტკბილთა მათ სიტყუათა მისთაგან“ (45, გვ. 334).

ილარიონ ქართველმაც შემოიკრიბა სულიერი სამწყსო „აღეშენებოდეს ყოველნი იგი მმანი სწავლითა მისითა და შეუვრდებოდეს მას, რათა იყოფოდინ მის თანა. და შეიწყნარნა მან მის თანა ვითარ ათერთმეტი მმანი, მოღუაწენი მშვიდი და მდაბალი“ (43, გვ. 11).

წმინდა მამები თავიანთი მოღვაწეობის მანძილზე ამავდროულად სათანადოდ ამახვილებენ ყურადღებას ეკლესიათა მშენებლობაზე. ისინი როგორც აშენებენ ახალ ეკლესია-მონასტრებს, ისე აღადგენენ ძველებს. ამ სამუშაოს კი ანხორციელებენ თავის მოწაფეებთან ერთად. გრიგოლ ხანძთელმა „ძიება ყო გულს-მოდგინედ და პოვა ადგილი კეთილი გუნათლეს მახლობელად. ჯუარი დასწერა და მუნ აღაშენეს მონასტერი დედათად, რომელსა აწ პრქპან გუნათლის ვანი“ (11, გვ. 260). და კიდევ გრიგოლ ხანძთელი და საბა, როდესაც მიუახლოვდნენ იშხანს, „გამოეცხადა ღმრთისა მიერ ნეტარსა გრიგოლს და ღირსესა საბას იშხნისა პირველი დიდებულებად, დაბასა მისსა წმიდანი ეკლესიანი, და ეუწყა, ვითარმედ კუალად განახლებად არს პირველებრ ჭელითა საბანისითა. და ეცნობა გზავალად...“ (11, გვ. 265).

იოანე ზედაზნელის მოწაფეებ, თათამ, „ქუეშე ძირსა მის მთისასა აღაშენა მონასტერი, რომელსა შინა განმრავლდეს მონაზონნი“ (44, გვ. 217).

ხოლო შიო მღვიმელმა სულიერ შვილ, ევაგრესთან ერთად უდაბნოში გამრავლებულ ბერ-მონაზონთა გამო გადაწყვიტა ეკლესიის აგება უფლისაგან მინიშნებულ ადგილას. და მართლაც „ადგილსა მას, სადა უჩუენა უფალმან, დასცა სათხარი მამამან ჩუენმან წმიდამან შიო და აღაშენეს ეკლესიად სადიდებელად დმრთისა“ (46, გვ. 220).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მონასტრის წესდებას, რომელიც საკმაოდ მკაცრია და მნელად აღსასრულებელი, აღგენენ თავად წმინდანები. მაგალითად, მამა გრიგოლმა, როდესაც თავად კონსტანტინოპოლს გაემგზავრა, ხოლო იერუსალიმში, საბაწმინდას ლავრაში გაგზავნა თავისი სულიერი მეგობარი წესდების გადმოსაწერად, ამ წესდებათა საფუძველზე საკუთარი ტაძრისთვის შეიმუშავა ახალი წესდება, რომელზეც გიორგი მერჩულე გვითვალისწინებს, რომ ნაწარმოებში აისახება მხოლოდ მცირეოდენი იმ ცხოვრების წესისა, რაც სუფევდა მონასტერში: „ნეტარმან გრიგოლ მას უამსა განაწესა წესი თჯეოსა ეკლესიისად და მონასტრისად, სიბრძნით განსაზღვრებული და მეცნიერებით განბრწყინვებული და ყოველთვის წმიდათა ადგილთა გამორჩევით შეკრებული“ (11, გვ. 265). აგრეთვე „ფიცხელ იყო ფრიად კანონი მოწაფეთა მისთად, რამეთუ სენაკთა მათთა შინა იყო მცირე სარეცელი და შეურაცხი საგებელი და თითოვ სარწყული წყლისათვეს. ხოლო სხუად ნუგეშინის-საცემელი ჭორცთად არად აქუნდა საჭამადისად და სასუამადისად ყოლადვე, არამედ რომელი ტრაპეზა ზედა ერთბამად ჭამიან, მით იყო ცხორებად მათი. და მრავალნი მათგანნი არა სუმიდეს ღვინოსა ყოლადვე. და რომელიცა მიიღებდეს, მცირედ იკუმევდეს. და სენაკებსა მათსა საკუამი არა აქუნდა, რამეთუ ცეცხლი არა აღეგზებოდა, და არცა დამეც სანთელი აღანთიან, არამედ დამე იყო ფსალმუნებად და დღისი წიგნის კითხვად და ლოცვად მარადის“ (11, გვ. 266-267).

სერაპიონ ზარზმელმა და მისმა სულიერმა ძმებმა კი ეკლესიის აშენების შემდეგ „წესი დაუდვეს თავთა თჯეთა ნეტართა მათ, რამეთუ ლოცვასა დამისასა ჭელ-განპყრობით დგიან დასსა თანა მგალობელთასა. ხოლო მოეახლის რად ცისკარი, განეშორნიან ვითარ ქვის-სატყორცელ ოდენ, და მყუდროებით და ცრემლით შესწირვიდიან ვედრებათა, რათოა ამითცა ემსგავსნენ თჯესა მეუფესა“ (45, გვ. 340).

ილარიონ ქართველმაც აგრეთვე „განუწესა წესი და კანონი, ვითარცა ჯერ-არს მონასტერსა შინა ყოფისად ლოცვისა და მარხვისა და ყოვლისავე წესიერად ქცევისად“ (43, გვ. 16).

ხოლო იოგანე ათონელმა უფლება მისცა მამა ეფთვიმეს „რომელიცა განგებად და წესი ენებოს, იგიცა დაუდგას მონასტერსა და მას ზედაცა განკანონოს და შინა და გარე, ვითარცა ენებოს, ეგრეთ განაგოს“ (12, გვ. 57).

13. როგორც ცნობილია, მორჩილება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თვისებაა ქრისტიანულ სათნოებათაგან. მორჩილება მოიაზრება, როგორც ადამიანის პიროვნული ნება-სურვილის დათრგუნვად, საკუთარი არსების სრულ უარყოფად. როგორც იოანე სინელი აღნიშნავს: „მორჩილება არის უარის-ყოფა სულისა თვისისა, სრულიად ხორცო მიერ გამოჩინებული განცხადებულად, მორჩილება არის მოკვდინება ასოთა გონებითა ცხოველითა, მორჩილება არის გამოუწვლილველი აღძრვა და ნებით სიკუდილი ...“

მორჩილება საფლავი არს ნებისა და აღდგომა სიმდაბლისა“ (17, გვ. 57). მორჩილების გამოვლინების სანიმუშო მაგალითია ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრება, მისი მორჩილება მამა-ღმერთისადმი.

სულიერი ძმები და მოწაფეებიც გამოირჩევიან მორჩილებით, რომელსაც ისინი იჩენენ წმინდანის ანუ თავიანთი სულიერი მოძღვრის მიმართ. რამდენადაც მოძღვარი მოიაზრება ქრისტეს სიმბოლოდ ამქვეყნიურ ცხოვრებაში, სულიერი ძმები და შვილები ენდობიან, ხწამთ და მიჰყვებიან მას. მოწაფეები, მიუხედავად მათი ნება-სურვილისა, მაინც უსიტყვოდ ასრულებენ სულიერი მამის ბრძანებას. მაგალითად, როდესაც გრიგოლ ხანძთელი სტუმრად ეწვეოდა ხოლმე საბას, იშხნის ეპისკოპოსს, „ეპისკოპოსმან საყდარსა იგი დასკას, და თუ თანა დაჯდის, რამეთუ არა თავს-იდვის ურჩებად ნეტარისა გრიგოლისი, ვინავთგან მოძღუარ და უზეშთაეს იგი იყო“ (11, გვ. 274). მოწაფეთა მორჩილების ნათელ მაგალითს წარმოადგენს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ჯავახეთის საეკლესიო კრების ეპიზოდი, სადაც არსენის კათალიკოსობის წინააღმდეგ გალაშქრებული ეფრემი ბოლოს ემორჩილება მამა გრიგოლის ბრძანებას და არსენს ირჩევენ კათალიკოსად. სულიერ შვილთა მორჩილებაზე მეტყველებს აგრეთვე ეტვიფანეს საქციელი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“. როდესაც მამა გრიგოლმა ეტვიფანეს, ხანძთის მამასახლისს დაავალა უამისწირვის ჩატარება, „და ვითარცა აღვიდუს საკურთხეველად და ეტუფანე „წმიდაო ღმერთოვსა“ წინა ასამაღლებელსა იწყო თქუმად, აღვიდა ხოლო საკურთხეველად მამა გრიგოლ და კუკრთხითა სცა თავსა და პრქუა: „დადუმენ“. ხოლო იგი შეუშფოთებელად დადუმნა. და უბრძანა სადიაკონედ წარსლვად და განძარცულვად.

. . . ხოლო იგი წარვიდა და განიძარცუა და მივიდა და დადგა წინაშე მოძღვრისა თვისისა მყოვარ ჟამ. და კუალად უბრძანა შემოსავ და ჟამის-წირვა. და იგი სიხარულით შეიმოსა და შეუვრდა ნეტარსა გრიგოლს“ (11, გვ. 293).

„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ კი დიდი წმინდა მამა მიქაელ პარეხელი სიკვდილის წინ დაიბარებს სერაპიონსა და მის ძმებს. სერაპიონიც, „ვითარცა იყო ბრძანებასა მოძღვრისასა მორჩილ, მსწრაფლ მოვიდა თვისით ძმითურთ“ (45, გვ. 336).

ხოლო „იოვანე და ეფთვიმე ათონელთა ცხოვრებაში“, როდესაც იოვანემ დაავალა ეფთვიმეს მონასტრის წინამძღვრობა, მან „ვინავთგან შეუძლებელ იყო მამისა მოხუცებულისა და სენთაგან განკაფულისა ურჩება, უნდა თუ არა მორჩილ ექმნა მას, და ვიდრე ხორცობადა შინა იყო, მორჩილებითა და ბრძანებითა მისითა განაგებდა საქმეთა მონასტრისათა“ (12, გვ. 56).

14. წმინდა მამები საზრდოს მიღების დროს ხშირად მსჯელობენ საღვთისმეტყველო საკითხებზე, ერთად ადავლენენ ხოლმე ლოცვას და დამეებსაც კი ათენებენ ამ სულიერ საუბრებში. გრიგოლ ხანძთელმა და ბერმა ხუედიოსმა „ვითარცა მიიღეს საზრდელი, კუალად იწყეს სულისა ცხორებისა ზრახვასა. და იყო განგრძობილად სიტყუად მათ შორის, რამეთუ დღც იგი დამწუხრდა და ღამც განთენა უძილობით ლოცვასა შინა მათსა და გალობასა დმრთისასა“ (11, გვ. 255).

მიქაელ პარეხელიც „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ მოწაფეებთან ერთად სერობამდე აღავლენს ლოცვას.

„იოვანე და ეფთვიმე ათონელების ცხოვრებაში“ კი რომაელი წმინდა მამა ლეონი, როდესაც ესტუმრებოდა ხოლმე იოვანე ათონელსა და მის სულიერ ძმებს ლავრაში, იგი დაჰყოფდა ხოლმე მამა გაბრიელის მეზობელ სენაკში. და ისინი „ვითარცა შებნელდის, გამოვიდიან თვისთა სენაკთაგან, და ლოცვა-ყვიან, და დასხდიან და ვიდრე ცისკრისა რეკადმდე უბნობდიან სიტყუათა საღრმოთოთა. და ვიდრე წარსლვადმდე ამას ესრეთ ჰყოფდიან ყოველთა მწუხრთა“ (12, გვ. 66).

15. საერთოდ აგიოგრაფიული თხზულებებისათვის დამახასიათებელია აგიოგრაფთაგან წმინდანის თავმდაბლობის წარმოჩენა. წმინდა მამები განსაკუთრებით წარმოაჩენენ უფლის წინაშე თავიანთი პიროვნების არარაობას, უძლურებას, ისინი მუდამ განიკითხავენ და განაქიქებენ საკუთარ თავს.

იერუსალიმში წმინდა ადგილთა მოსანახულებლად ჩასული დავით გარეჯელი აღნიშნავს, რომ „მეცა უღირსი მონავ შენი ღირს მყავ ხილვად

ადგილთა ამათ წმიდათა; ხოლო მე არდარა ვიკადრო წალმართ სლვად და დატკებნად ფერჭითა ჩემითა ადგილთა ამათ, სადა დადგეს ფერჭნი შენი წმიდანი, რამეთუ კმა არს ჩემდა ხილვად ოდენ თუალითა...“ (42, გვ. 237).<sup>1</sup>

შიო მდვიმელი კი უფალს მიმართავს, რომ „დიდ არს წყალობად შენი კაცთა ზედა და ვინავ ვარ მე უღირსი ესე წყალობისად, გარნა ყოველსავე ზედა ვჰმადლობ სახიერებასა შენსა“ (46, გვ. 218). რაც შეეხება ეფთვიმე ათონელს, მისთვისაც ბუნებრივი იყო საკუთარი თავის განკითხვა და ამას ამართლებდა იმით, რომ „მინდობად თავისა თჯსისად და თჯსსა განზრახვასა შედგომად წარმწედელი არს სულისად, ხოლო განკითხვად წინამძღვარი არს ცხორებისად“ (12, გვ. 88).

16. წმინდანებს არ სურთ თავიანთი სამყოფელისა და საქმიანობის გახმიანება, მაგრამ მათი დვაწლი მაინც არ იმაღება საზოგადოებაში, ეს მაინც გაცხადდება უფლის მიერ.

„იოანე ზედაზნელის ცხოვრებაში“, იოანეს საქმიანობას ავტორი ადარებს ნელსაცხებელს, რომელიც მენელსაცხებლემ ფარულად მოათავსა სხვა ჭურჭელში, მაგრამ გამვლელს რა „ეცის სულნელებად ნელსაცხებლისად“, მაშინათვე თავს იჩენს ფაქტი ესე. და „დმერთმან მერმეცა გამოაცხადა თჯსი იგი მონავ, რამეთუ ჩუეულებად ესე არს დმრთისად ... იწყეს კუალად მოსლვად მუნცა მისა, რომელ დამალულ იყო ქუაბსა შინა“ (44, გვ. 197).

შიო მდვიმელმა, რომელმაც მარტოობაში და სულიერ ღწვაში გაატარა დიდი დრო, ბოლოს „ინება ზეგარდამომან განგებამან, რათა არა იყოს დაფარულ ბრწყინვალე იგი ვარსკულავი. ამისთვის გამოაცხადა იგი კაცთა შორის“ (46, გვ. 219).

ილარიონ ქართველი კი თავისი ცხოვრების მანძილზე სასწაულებს იქმოდა ფარულად. ერთ ეპიზოდში, სასწაულის მოხდენის შემდეგ, როდესაც მისგან განკურნებული ბავშვი დაუბრუნდება დედას, ილარიონი იხელთებს დროს და მალულად გაეცლება იქაურობას, რათა არ გაცხადებულიყო მისი ნამოქმედარი. მაგრამ „რაოდენ წმიდასა მას ენება დაფარვად საქმეთა თჯსთავ, ეგეოდენ ღმერთი განაცხადებდა მსახურსა თჯსსა“ (43, გვ. 25).

17. წმინდა მამათა მოღვაწეობა ცნობლი ხდება არა მარტო მათი მოღვაწეობის არეალში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. წმინდანთა სახელის

<sup>1</sup> ვიმოწმებთ: „ცხორებად და მოქალაქობად დავით გარესჯელისად“. - ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, (V-Xსს.), თბ., 1963.

განდიდების შემდეგ მათ სანახავად მიემართება მრავალი ადამიანი – სასულიერო და საერო პირები, დიდი თუ პატარა და ითხოვენ კურთხევას.

შატბერდიდან ხანძთაში გრიგოლ ხანძთელის ჩასვლით „განიხარეს ხანცთასა თანა მახლობელთა მათ უდაბნოთა და მოვიდოდეს ძმანი ყოვლით კერძო ხილვად წმიდისა მის, და მიაქუნდა კურთხევად და ლოცვად მისგან და სიხარულითა სავსენი წარვიდიან“ (11, გვ. 311).

„ილარიონ ქართველის ცხოვრებაში“, როგორც კი „ეუწყაცა ეპისკოპოსსა რუისთველსა სიმრავლეში იგი სათნოებათა მისთავ, აღივსო იგი სულიერითა სურვილითა, აღდგა და წარვიდა მოკითხვად მისდა“ (43, გვ. 11). და აგრეთვე „მოვიდოდეს გარემოსათა მონასტერთაგან ხილვად მისა და მოღებად წმიდისა ლოცვისა მისისა. და განითქუა ჰამბავი მისი ყოველსა მას მთასა ულონბოსასა და მოვიდოდეს და აღივსებოდეს სწავლითა მისითა და ადიდებდეს დმერთსა, რომელმან მოსცა ესევითარი მნათობი“ (43, გვ. 21).

ხოლო იოვანე ათონელისა და თორნიკე ერისთავის მოღვაწეობის შესახებ „განითქუა ჰამბავი მათი იცნობა, ვითარმედ მთაწმიდას არიან. და იწყეს მიერითგან ქართველთა მოსლვად და განმრავლებად“ (12, გვ. 45).

ზოგჯერ წმინდანები თავად მოინახულებენ ხოლმე სხვა ადგილას მყოფ მოწაფეებს. ასე, მაგალითად, „შიოსა და ევაგრეს ცხოვრებაში“ იოანე ზედაზნელი გადაწყვეტს სულიერ შვილთა მონახულებას და გარკვევას „თუ რომელსა საზომსა მიწევნულ არიან, და რათა გამოაცხადნეს საქმენი მათნი კეთილნი კაცთა შორის, რამეთუ ახალ ნერგ იყუნეს კაცნი და უჭმდა განმტკიცებად“ (46, გვ. 222).

დავით გარეჯელიც ხშირად დადიოდა მარტოდ დაყუდებულ მოწაფეთა მოსაკითხად. იგი მათ ნუგეშს სცემდა ხოლმე და განამტკიცებდათ.

18. „იოვანე და ეფთვიმესა“ და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებებში“ ვხვდებით ორ არატიპურ შემთხვევას, რომელშიც წმინდა მამათა სულიერი მეგობრობაა მინიშნებული; სულიერების პრიორიტეტულობა თითქოს არ უნდა იყოს აღსანიშნავი წმინდანთა ურთიერთობის დროს, მაგარმ ამ ორ ეპიზოდში ნაჩვენებია: წმინდა მოღვაწეები იმდენად არიან სულიერებით მოცულნი, რომ ეს ყოველივე სცილდება ჩარჩოებს, რაც გამოიხატება იმაში, რომ სხვადასხვა ეროვნების წმინდა მამები უსიტყვოდაც კი უგუბენ ერთურთს. „იოვანესა და ეფთვიმეს ცხოვრებაში“ გაბრიელ ქართველსა და რომაელ წმინდა მამას ლეონს „სიყუარული აქუნდა სულიერი, და ოდესცა მოვიდის ხილვად მამათა,

მახლობელად სენაკსა გაბრიელისსა აქუნდა სენაკი, და მუნ დაუვნის დღენი იგი. და თუსისა ენისაგან კიდე არცა მან იცოდა, არცა მან. და ვითარცა შებნელდის, გამოვიდიან თუსთა სენაკთაგან, და ლოცვა-ყვიან, და დასხდიან და ვიდრე ცისკრისა რეპადმდე უბნობდიან სიტყუათა საღმრთოთა...“ (12, გვ. 66). ყველას განაცვიფრებდა ეს მოვლენა, მაგრამ „მათისა სიწმიდისაგან ყოველივე შესაძლებელ იყო და სარწმუნო, რამეთუ დიდ იყვნეს იგინი წინაშე ღმრთისა“ (12, გვ. 66).

წმინდა მოდგაწეთა სულიერ სიმაღლეზე მეტყველებს აგრეთვე ეპიზოდი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ მამა გრიგოლსა და დედა ფეხრონიას შორის წარმართულ საუბრის დროს, როცა გრიგოლი ეკითხება „ნეტარსა მას“, „ვითარმედ: „რამ გრქუა შენ ანგელოზმან?“ რამეთუ ღმერთი იყო ყოლადვე მათ შორის“ (11, გვ. 297).

ამ ორი შემთხვევის მსგავს ეპიზოდს ვხვდებით აგრეთვე „აბიბოს ნეკრესელის წამებაში“. მასში, წმინდა მამათა, აბიბოსა და სვიმეონ მესვეტეს შორის არის არა ხილვითი, ხორციელი მეგობრობა, არამედ სულიერი. მათ „არა თუ ხილვითა ეხილვა სადმე ერთმანერთი, არამედ სულიერითა მით სიყუარულითა, რომლითა იხილვების შორეული, ვითარცა მახლობელი...“ (31, გვ. 242-243).<sup>1</sup>

19. ქართულ აგიოგრაფიულ თხზულებებში არცთუ მცირე მომენტი ეთმობა სასულიერო და საერო პირებს შორის ურთიერთობის წარმოჩენას. სასულიერო პირები დიდი პატივით მიიღებიან ხელისუფალთა კარზე. მთავართან მიმავალ ილარიონ ქართველს თავად მთავარი შეეგება წინ „შემთხუევად მისდა და ამბორს-უყოფდა წმიდათა ფერწითა მისთა“ (43, გვ. 26).

„იოვანესა და ეფთვიმეს ცხოვრებაში“ რა „აღვიდა ღმერთშემოსილი მამა ჩუენი ეფთვმე სამეუფოდ, და ვითარცა ცნა მეფემან მისლვად მისი, დიდითა პატივითა მოიკითხა იგი“ (12, გვ. 90). აგრეთვე ეკლესიების მშენებლობის დროს წმინდანებს მატერიალურ და ფიზიკურ დახმარებას უწევენ საერო პირები. სანაცვლოდ კი წმინდა მამებისაგან ითხოვენ კურთხევას, ლოცვის დროს მათ მოხსენიებას. მაგალითად, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ გაბრიელ დაფანჩულმა „ფრიადითა კეთილითა წარმოგზავნა მამა გრიგოლ და მოსცნა კირით-ხურონი და ნივთი ყოველი ქვითკირისა ეკლესიისა საშენებელად“ (11, გვ.

<sup>1</sup> ვიმოწმებთ: „მოქალაქობად და წამებად აბიბოს ნეკრესელი ეპისკოპოსისავ“, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, (V-Xსს.), თბ., 1963.

260). აგრეთვე მან ითხოვა შვილთა კურთხევა: „წმიდაო ღმრთისაო, აკურთხენ ესენი წმიდითა ჭელთა შენთა დასხმითა; ვითარცა ისრაცლ იოსების ძენი აკურთხნა, ეგრეთვე შენ ყოველნი შვილნი ჩუენი აკურთხენ ჩუენ მშობელთა მათთა თანა“ (11, გვ. 259).

სერაპიონ ზარზმელმა კი „მოიდო ანდერძი დიდისა მის მთავრისა გიორგისი... და აკურთხა კურთხეული იგი კაცი, რამეთუ მდიდრად მიეცა ყოველივე უხუებით: აგარაგნი თავისუფლებით და საქონელი მრავალფერი და სიმრავლე საჭედართა და მროწეულთავ“ (45, გვ. 339).

20. აგიოგრაფიულ თხზულებებში ერთგვარ რიტუალად ითვლება სულიერი მოწაფეებისა და წმინდანის ტირილით ურთიერთგამომშვიდობება იმ დროს, როცა წმინდანი იცვლის ადგილსამყოფელს ან როცა იგი მიახლოებულია სიკვდილს.

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ „ვითარცა წარმოვიდოდა ნეტარი გრიგოლ, მაშინ ძმათა მათ ყოველთა ტირილით პრქუეს: „შ წმიდაო ღმრთისაო, სიტყუად იგი უფლისად აწვე ადესრულების ჩუენ ზედა, ვითარმედ „ინატრიდეთ ხილვასა მოძღვრისასა თქუენისასა და ვერ იხილოთ ... და აკურთხნა ყოველნი იგი ნეტარმან მან ცრემლით და ნუგეშინის-სცა გულთა მათთა და შვპვედრნა ქრისტესა და სანატრელთა მათ მამათა“ (11, გვ. 280). ასეთივე სიტუაცია იხილვება, როდესაც ილარიონ ქართველი გამოემართა სულიერ ძმათაგან: „ხოლო ვინმე მიუთხრნეს ტირილნი იგი და გოდებანი და ჭმანი იგი საწყალობელნი, რომელნი ქვათაცა ლმობიერ ყოფად შემძლებელ იყვნეს, რომელსა პყოფდეს ძმანი იგი, რამეთუ რომელნიმე უკუანა შეუდგეს და რომელნიმე წინა-წარსწრობად მოსწრაფე იყვნეს“ (43, გვ. 18-19).

სერაპიონ ზარზმელი კი სიკვდილის წინ ასე ემშვიდობება მოწაფეებს: „მე ძმანო, აპა ესერა წარვალ შემდგომად მცირედთა დღეთა... ხოლო ყოველნი იგი აღვსებულნი ცრემლითა ტიროდეს ფრიად და არავინ მიუგო ტირილისა მისგან ფრიადისა“ (45, გვ. 341).

21. წმინდა მამათა სიკვდილის წინ მათთან მოსანახულებლად მიდიან სასულიერო და საერო პირები და სოხოვენ დალოცვას და კურთხევას. ისინიც ითვალისწინებენ ამ თხოვნას და აკურთხებენ.

გრიგლ ხანძთელის გარდაცვალების წინ მოწაფეებმა „გულისჯმა-ყვეს ჟამი იგი მიცვალებისა მისისავ ამიერ სოფლით, რამეთუ ვითარცა მიცვალებასა წმიდისა ღმრთის-მშობელისასა მოიწია გუნდი წმიდათა მოციქულთავ კიდეთაგან

ქუეყანისათა, ეგრეთვე წმიდანი მამანი შემოკრბეს ჟამსა მას დროვსა დღისა მისისასა პატივად ნეტარისა მის მოხუცებულისა და რაოთა იკურთხენ მის მიერ. ხოლო იგი სიხარულითა აღიგხო ხილვითა მათითა, და ქრისტესმიერითა კურთხევითა აკურთხენა ყოველნი“ (11, გვ. 313-314). „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ბერ ხუედიოსის გარდაცვალების წინ მის მოსანახულებლად მიდიან აგრეთვე გრიგოლი და მმანი მისნი და თხოვენ: „გუაკურთხენ, წმიდაო მამაო, რამეთუ აწ მიხუალ უფლისა“ (11, გვ. 257).

ილარიონ ქართველმა კი სიკვდილის წინ მოწაფეებს დაუბარა: „შვილნო ჩემნო, უწყოდეთ, რამეთუ მოიწია ჟამი ჩემი და აპა ესერა დატევებად მიც საყოფელი... მშვდობამან ლმრთისამან, რომელი ჰმატს ყოველთა გონებათა, დაგიცვენინ საფარველსა ქუშე დიდებისა თჯსისასა, და მაღლი და წყალობად მისი იყავნ სულისა თქუენისა თანა, ამენ.“ და ულოცა“ (43, გვ. 28).

22. „ცხოვრებათა“ ჟანრის აგიოგრაფიულ თხზულებებში თითქმის ერთნაირად იხატება წმინდანთა გარდაცვალების, დაკრძალვისა და გლოვის სურათი. მათში აღწერილია, თუ როგორ აკითხავს ანგელოზთა დასი წმინდანს სასუფეველში წასაბრძანებლად, აგრეთვე ნაჩვენებია საზოგადოების მწერება წმინდანის გარდაცვალების გამო და მისი დატირება. ამ ეპიზოდის თანმხვედრია პასაუი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“: „ამათ რად სიტყუათა იტყოდა ნეტარი გრიგოლ, მაშინ ნათლითა მიუწდომელითა შეიმჯო შუენიერად ხილვად მისი ბრწყინვალედ ქრისტეს მიერ. რამეთუ ბანაკი ანგელოზთა უფლისათავ გარე მოადგა მას და პატიოსანთა საკუმეველთა სულნელებამან აღავსო ყოველი იგი ერი კრებული მამათად. და რამეთუ აქენდა ჩუეულებად ზეცისა წმიდათა მთავრობათა ხილვისად სულსა მას მართალსა და აწ მათგანვე სიხარულისა ჭმად ესმა ესე: „ნუ გეშინინ მოსლვად ჩუენ თანა, მსახურო ქრისტესო, სანატრელო, რამეთუ ქუეყანისა ანგელოზსა და ზეცისა კაცსა გიწეს მეუფლე ცათად ქრისტე. აწ მოვედ სიხარულით და უფლისა შენისა თანა იხარებდ დაუსრულებელად. რამეთუ ნეტარ ხარ შენ შორის კაცთა ნეტარისა მას დიდებასა დამკუდრებად განმზადებული და მხიარული საუკუნოდ. ხოლო ესე სიტყუანი ესმოდეს რომელთამე მოწაფეთა მისთა... ესრეთ შეჰვედრა სული უფალსა და შეერთო ანგელოზთა კრებულსა“ (11, გვ. 315).

სერაპიონ ზარზმელი კი „არა მცირედ იგლოვეს მამათა ლავრისათა ჯერისაებრ და ცრემლით... და შემოკრბა სიმრავლე გარემოთა მონასტერთა და სოფელთავ. ხოლო მოვიდა დმერთ-შემოსილი გიორგი მაწყუერელიცა ჯუარითა ყოველთა თანა მწყობრთა უკლესიისათა. და ესეცა ვთქუათ, რამეთუ მწყობრი

ანგელოზთანი კრებულსა თანა ყოველთა წმიდათასა შეერთებულნი მოიწინეს, ვითარცა თანა-მოკარვისა ... მათისა. და ყოველთა აღიტყუელნეს ჭელნი სიხარულითა და ზეცას აღიყვანეს ყოლად სანატრელი იგი სული მისი“ (45, გვ. 342).

თხზულებებში გავრცელებულია შემთხვევები, როდესაც რწმენაში მყოფი ესა თუ ის პიროვნება ცდილობს მოიპოვოს გარდაცვლილი წმინდა მამის სამოსლის ნაფლეთი, როგორც წმინდა ნივთი. მაგალითად, ილარიონ ქართველის დაკრძალვაზეც მის პატივის მისაგებად „მოვიდეს მეყსეულად ყოველივე პასაკი ჭაბუკთა და მოხუცებულთავ ყრმათა თანა და დედებისა სიმრავლითა სანთელთა და საკუმეველთავთა და ფსალმუნითა და გალობითა. მოსწრაფე იყვნეს ყოველნი თითოეულად, რათამცა შევინმე-ახლა წმიდასა მას გუამსა მისსა, ანუმცა მორამე-იპოვინ ნაწილი ევლოგიად სამოსლისაგან მისისა“ (43, გვ. 28).

23. წმინდა მამები იკრძალებიან მათ მიერ აშენებულ ეკლესიებში ან განმარტოების ადგილას გამოქვაბულში.

იოანე ზედაზნელი, „შიოსა და ევაგრეს ცხოვრებაში“, თხოვს მოწაფეებს, „რათა ჭორცნი მისნი დასხენენ მასვე ადგილსა მწირობისა მისისასა“ (46, გვ. 227).

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ერთ-ერთი წმინდა მამა, ნეტარი მიქაელი, რომელიც იყო შავშეთიდან, „მიძნაძოროს მონაზონ იქმნა, ხოლო პარეხთა შინა მრავალთა წელიწადთა ცხოვნდა და აღ-რაო-ესრულა, მუნვე დაემარხა“ (11, გვ. 281).

ხოლო ეფთვიმე ათონელის „პატიოსანნი იგი ნაწილნი მისნი აღმოიყვანნეს თვესავე მონასტერსა და დაისხენეს სამარხოსა ლუსკუმასა, ტაძარსა შინა წმიდისა იოვანე ნათლის მცემლისასა“ (12, გვ. 91-92).

24. აგიოგრაფიული თხზულებებისათვის დამახასიათებელია აგრეთვე წმინდანზე ხოტბის შესხმა, ზოგჯერ მრავალფეროვანი ეპითეტების მოხმობითაც კი. ავტორი განადიდებს წმინდანის საქმეს, მის დვაწლს და რომ წმინდა მამათა ცხოვრება მისაბაძია ყველასათვის.

„ილარიონ ქართველის ცხოვრების“ ავტორი აღნიშნავს: „ესე არს სიტყუად ჩუენი და წინამდებარე არს აღწერად და მითხობად შემდგომთა ნათესავთა ცხორებად და მოქალაქობად მისი, ვითარცა ძეგლი ოქროსავ, შემკობილი თუალითა პატიოსნითა და მარგალიტითა მრავალსასყიდლისავთა, აღმართებული და მდგომარც შორის ეკლესიისა, რათა შემავალნი მოღუაწებისა სტადიონსა

ხედვიდენ და ბაძვად და მსგავსებად ბრწყინვალებისა მისისა უმჯურვალესად აღიძრვოდინ, რომელი-იგი დაღაცათუ ახალი იყო უამითა, არამედ ძუელთა მათ და უპირატეს გამოჩინებულთა მოღუაწეთა, რომელთამე შეესწორა სათნოებითა და სასწაულთა მოქმედებითა და რომელთამე აღემატა და ზოგს-რე თანა-ცა-წარპეტდა სიკუდილადმდე უცხოებისა შეყუარებითა და თავისა თჯსისა სრულიად უჩინოქმნითა“ (43, გვ. 9-10).

ხოლო „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ნათქვამია: „ესე ბრძანებად უტყუველი აღუსრულა ქრისტემან ნეტარსა გრიგოლს. წარუვალისა დიდებისა პატივად მოჰქმადლა შენებად დიდებულთა უდაბნოთად და ჭორცო შინა ყოფასა მისისა შიში და ზარი სიწმიდეთა მისთავ მიჰფინა მეფეთა და ყოვლისა ერსა ზედა ... ხოლო შემდგომად სოფლით ჯმნისა უმეტეს ცნობათა ჩუენთა ადიდა ცათა შინა ანგელოზთა თანა, და აწ ქუეყანასა ზედა პირითა მოწაფეთა და მაქებელთა მისთავთა იდიდების მარადის“ (11, გვ. 283).

25. აგიოგრაფიული უანრის ნაწარმოებებში ძალზე გავრცელებულია პირველწმინდანებთან შედარების, მიმსგავსების მოტივი. აგიოგრაფი ავტორისთვის სავალდებულო იყო ადამიანის ზოგადი იდეალი, რაც „ფიგურირდებოდა“, მოიაზრებოდა პირველწმინდანთა სახეში. (36, გვ. 168). აგიოგრაფთა მიერ ხდება წმინდანის შედარება-მიმსგავსება ბიბლიურ პერსონაჟებთან და აგრეთვე სხვა წმინდა მამებთან, უფრო კონკრეტულად კი – ქრისტესთან, მოციქულებთან, ბიბლიურ წინაპრებთან და ცნობილ წმინდა მამებთან, არა მხოლოდ გარეგნული და თვისებრივი ნიშნების მიხედვით, არამედ მათ ქმედებათა შორის აღმოჩენილი ნათესაური კავშირებითაც კი.

ამგვარ სიტუაციებში აგიოგრაფები, როგორც ჩანს, ახდენდნენ წინარე მემკვიდრეობიდან თავიანთ თხზულებაში იმის გადატანას, რასაც საერთო პქონდა შუასაუკუნეობრივ ქრისტიანულ პრინციპებთან. დ. ლიხაჩოვის თქმით, გადაპქონდათ ბევრი რამ, მაგალითად, «речи, которые должны были бы быть произнесены в данной ситуации, поступки, которые должны были бы совершены действующими лицами в данных обстоятельствах» (64, გვ. 106).

რ. ბარამიძე მიუთითებდა, რომ აგიოგრაფთა მექსიერებაში მყარად იყო დაუნჯებული გმირის ხატვის გარკვეული სქემები და მანერები, რომელთა მეშვეობით ისინი ქმნიდნენ შემდგომ გმირის სახეს. უფრო მეტიც, მათი ლიტერატურული პრინციპების მიხედვით „ცოდვადაც“ კი იყო მიჩნეული ამ

გაბატონებული შაბლონის დარღვევა, რადგან მორწმუნეთა აზრით, ეს გამოიწვევდა „წმინდანის“ სახის დამახინჯებულად გამოხატვას (7, გვ. 12).

მაგალითად, „იოვანე და ეფთვიმეს ცხოვრებაში“ ავტორი შენიშნავს, რომ „ესე ნეტარნი მამანი ჩუენნი არარავთ უნაკლულო იყვნეს პირველ გამოჩინებულთა წმიდათასა, არამედ ყოვლითავე სათხოებითა შემკული ...“ (12, გვ. 40). აგრეთვე „ჭეშმარიტად ლირსი იყო და საყუარელი ლმრთისად ნეტარი მამავ ჩუენი იოვანე, რომელმან-იგი, მსგავსად აბრაჟამისა, უცხოებად ალირჩია ...“ (12, გვ. 41).

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ მამა გრიგოლს სთხოვს გაბრიელ დაფანჩული შვილების კურთხევას: „ვითარცა ისრატლ იოსების ძენი აკურთხნა, ეგრეთვე შენ ყოველნი შვილნი ჩუენნი აკურთხენ ჩუენ, მშობელთა მათთა თანა“ (11, გვ. 259). სულიერი ძმები დაყუდებულ ბერს, ხუედიოსს მიმართავენ, როგორც „წმიდისა ანტონის მიმსგავსებულ მამას“. აგრეთვე, ავტორი როდესაც საუბრობს გრიგოლის მოწაფეებზე, მიუთითებს, რომ ისინი „ემსგავსებოდეს მოძღვარსა კეთილსა, ვითარცა მოძღვარი მათი ემსგავსებოდა ქრისტესა“ (11, გვ. 258).

სერაპიონ ზარზმელზე კი აგიოგრაფი შემდეგ სიტყვებს ამბობს: „რამეთუ აპა ესერა ჯერ-ჩინებითა ლმრთისავთა ქამთაცა ჩუენთა იხილვნეს ახალნი მნათობნი და მოძღვარნი და მასწავლელნი, ვითარცა ძუელსა შინა ელია და იოვანე, და შემდგომად პავლე თებელი და დიდი ანტონი, მაკარი, ეფთვმი, საბა და გერასიმე. და რად გპტმს თკთოეულად წარმოთქუმავ, ყოველნი მსგავსნი და მობაძავნი მათნი, რომელთა ვლეს მოსწრაფებით იწროვ და საჭირველი გზად, მიმყვანებელი ზეცისა ქალაქად, რომლისა ხუროთ-მოძღვარ და შემოქმედ ლმერთი არს.

ხოლო იტყვან ვიეთნიმე, ვითარმედ: „ქამთა ამათ ჩუენთა არღარავის კელ-ეწიფების მსგავსებად პირველთა მამათავ, რამეთუ განგებითა რაოთმე საღმრთოვთა მიფარულ არს“. არამედ შენ ისმინე გულს-მოდგინედ, საყუარელო, რომლისათვის აწ სიტყუად წარმართებულ არს. რამეთუ ყოვლითურთ მსგავს იქმნა ამათ წმიდათა მამათა ყოლად ბრწყინვალე და ზეცისა ჩინებისა ლირსი ყოლად წმიდავ მამად და მოძღვარი ნეტარი სერაპიონ“ (45, გვ. 320).

სასწაულთა ჩადენითაც წმინდა მამები შედარებულნი არიან პირველწმინდანებს. „იოანე ზედაზნელის ცხოვრებაში“ აგიოგრაფი აღფრთოვანებით ავლებს პარალელს იოანე ზედაზნელსა და დანიელს შორის, რომელმაც „დაამდოვორნა მხეცი მღვიმესა“.

ილარიონ ქართველს კი ავტორი შემდეგი სიტყვებით ახასიათებს: „იხილეთ-და, ჟ, საყუარელნო, თუ ვითარსა მადლსა დირს იქმნა წმიდავ ესე მამავ ჩუენი! რამეთუ მიემსგავსა დიდთა მათ მოციქულთა პეტრეს და იოანეს, რომელთა განკურნეს მკელობელი ...“

ხოლო ესე არა უმცირეს არს სასწაულთა მათ მათთა, რომელნი ნეტარმან ამან აღასრულნა“ (43, გვ. 25).

უნდა აღინიშნოს, რომ რამდენადაც აგიოგრაფია სასულიერო მწერლობის დარგი იყო, მასში ავტორთა მიერ ხდებოდა ბიბლიური წიგნებიდან ციტატების ხშირი მოხმობა. რ. ბარამიძის აზრით, ბიბლიური ციტატების, ბიბლიური სახე-სიმბოლოების და პატრისტიკული ნააზრევის გამოყენება აგიოგრაფიულ თხზულებებში საყოველთაო და აუცილებელ მოვლენას წარმოადგენდა, მაგრამ „მწერლის აზროვნების სტილის თავისებურება და ორიგინალურობა ვლინდებოდა არა ბიბლიური სახის აღქმაში, არამედ ამ სახის მომარჯვებაში, შესაბამისი კონტექსტით მის გამოყენებაში“ (8, გვ. 20).

აშკარაა, რომ „ქართველი აგიოგრაფები შესანიშნავად ერკვევიან ქველი და ახალი აღთქმისეული სიმბოლოების ნიუანსებში; მათ ნაწერებში სიმბოლოები გვხვდება ისეთივე მნიშვნელობით, როგორც ბიბლიაში, ოდონდ, როგორც მოსალოდნელი იყო, აქ იკვეთება ამ სიმბოლოთა რომელიმე კონკრეტული სემანტიკური ფუნქციაც“ (13, გვ. 45).

26. გეოგრაფიულ აღწერილობასაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აგიოგრაფიულ ნაწარმოებებში. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ქართულ აგიოგრაფიულ თხზულებებში ბუნების აღწერილობას არ აქვს ესთეტიკური დატვირთვა, ანუ რამდენადაც აგიოგრაფიულ ნაწარმოებებში იჩრდილება ყოველგვარი ხორციელი, მიწიერი სილამაზე და უპირატესობა ენიჭება სულიერს, ბუნების აღწერილობაც განპირობებულია მხოლოდ და მხოლოდ ერთი მიზეზით, რომ დადგინდეს მდებარეობა იმ ადგილისა, სადაც უნდა განმარტოვდეს წმინდანი ან აშენდეს ეკლესია. გრიგოლ ხანძთელზე მსჯელობის დროს რ. სირაძე აღნიშნავს, რომ „ნაწარმოებებში გრიგოლ ხანძთელის თვალით დანახული ბუნების სურათებია მოცემული. ასეთ მიმართებას – ბუნება და ადამიანი, სჭარბობს სხვაგვარი წარმოდგენა: ბუნება და ხანძთის ტაძარი, ანდა ბუნება და შატბერდი. ესენი (ხანძთა, შატბერდი და ამგვარი ტაძრები) ანიჭებენ გარემო ბუნებას საზრისს და ესაა ბუნების „ქალაქ-ყოფავ“ (37, გვ. 103). და მკვლევარი

ბუნების ამგვარ აღწერილობას მიიჩნევს იმდროინდელი ბუნების ესთეტიზაციის გამოვლინებად.

გრიგოლ ხანძთელმა და მისმა სულიერმა მმებმა „იწყეს საქმედ სენაკებისათვს ქუეყანისა დაგაკებად რამეთუ კლდჲ იგი ხანცთისად უფიცხლეს არს უფროდს ყოველთა მათ კლარჯეთისა უდაბნოთა“ (11, გვ. 257). მამა გრიგოლი მეფე დიმიტრისაც აღუწერს კლარჯეთის ბუნებას, რომელიც ეკლესიათა ასაგებად ფრიად სასურველი ადგილია: „ბუნებით ერთგუამ არს ქუეყანად უდაბნოთად მათ და კეთილად შეზავებულ მზისაგან და პაერისა, რამეთუ არცა ფრიადი სიცხლ შესწუავს მათ და არცა გარდარეული სიცივე შეაურვებს მყოფთა მისთა. არამედ განწესებით დგას თვისსა საზღვარსა უნოტიოდ, უხორშაკოდ, უმიწოდ, მზუარჲ, რამეთუ კაცთა ნახჭნი ფერგთანი არა ოდეს თიჭიან ექმნებიან სლვასა მათსა. ხოლო წყალი კეთილი და შეშავ ნებისაებრ უნაკლულოდ აქუს აღმოცენებული ქვშათა მათ შინა, ურიცხ მაღნარი და სიმრავლე წყალთა პამოთად, ბუნებით მხიარულებად მიცემულ არს დმრთისაგან...“ (11, გვ. 269).

„შიო და ევაგრეს ცხოვრებაში“ შიო მდვიმელმა „პოვა პევი ღრმად ფრიად ფიცხელი, უდაბნოდ და ურწყული და ნაკლულევანი ყოველთა საჭმართაგან, და პაერი ზაფხულისად ფიცხელ და ეგრეთვე ზამთრისად უფიცხლეს. და პოვა მუნ მცირე ქუაბი და დაჯდა მას შინა“ (47, გვ. 217-218).

„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაშიც“ უხვადაა წარმოდგენილი ბუნების სურათები, მაგრამ მხოლოდ ეკლესიათა აგების მიზანშეწონილობის თვალთახედვით.

\* \* \*

სასწაულთქმედებათა დახასიათება, ვითარცა ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული მოტივი აგიოგრაფიული ჟანრის ლიტერატურაში, მნიშვნელოვანი მომენტია ძველი ქართული სასულიერო მწერლობისა. რ.

სირაძის მართებული მიგნებით „ეს იყო ზებუნებრივ ძალთა ფლობა. მითოსურ გმირთა ზებუნებრიობა მათსავე ფიზიკურ ძლევამოსილებაში ჩანდა. აგიოგრაფიამ ფიზიკური ძლიერების კულტი მთლიანად უარყო და ის შეცვალა ახალი გმირის სულიერი ძლიერებით. თანაც მას სულიერი სასწაულთმოქმედების უნარიც მიანიჭა. ასეთია შუშანიკი, დავით გარეჯელი, გრიგოლ ხანძთელი და მრავალი სხვა აგიოგრაფიული გმირი“ (35, გვ. 12).

რამდენადაც აგიოგრაფიულ ლიტერატურას მოეთხოვებოდა სრული ჭეშმარიტების გადმოცემა, სასწაულებიც რელიგიური თვალსაზრისით, ისეთივე რეალობას წარმოადგენდა, როგორსაც კონკრეტულ-ისტორიული ფაქტები. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სასწაულთმოქმედებათა „ჭეშმარიტებად“ მიჩნევა ხელს უწყობდა მომავალში „მხატვრული პიპერბოლის“, „გამონაგონის“ ფართოდ შემოტანას მწერლობაში (36, გვ. 169-170). აგიოგრაფი ავტორები დაბეჯითებით აცხადებდნენ, რომ სასწაულთმოქმედებები სრულ ჭეშმარიტებაზე დაყრდნობით აღიწერებოდა, რომ მათ მონათხობში არ იყო მარცვალი გამონაგონისა, ფანტაზიისა. და თუ არსებობდა ნაწარმოებები, როგორც „კოსტანტი-კახავს მარტვილობის“ ავტორი მიიჩნევდა, რომლებშიც აღწერილი ისტორიები ავტორს „არასადა ეხილვა, არამედ უწყებითა სულისათა წმიდისათა აღწერა იგი, ვითარცა თუალით ხილული“, რ. სირაძის თვალთახედვით გამონაგონი ამბავი („სული წმიდის შთაგონებული“) შეიძლება ყოფილიყო „თუალითა ხილულის მსგავსი“ (36, გვ. 99), ანუ გამოგონილი ამბავი, სული წმინდისგან შთაგონებული შეიძლება ყოფილიყო თვალით ნანახის ტოლფასი. სასწაულს ვერ მოახდენს უბრალო ადამიანი, მათი ჩადენა მხოლოდ წმინდანთა ხვედრია, რადგანაც სულიერი მოღვაწეები „წმინდანად“ გახდომამდე გადიან დიდ მოწამებრივ გზას: შემდგომში „შემდგარი წმინდანები“, როგორც აღვნიშნეთ, ბავშვობაშივე გამოირჩევიან სხვათაგან თავისი განსაკუთრებულობით, შემდეგ ადგანან სულიერების გზას, და ბოლოს თავისი ღვაწლით, მათ შორის სასწაულთა ქმნადობითაც, აღწევენ უმაღლეს მწვერვალამდე „წმინდანობამდე“.

იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ სასწაული ხდება უფლის ძალით და ნებით და შესაბამისად, სასწაულის ჩადენის შემდეგ საზოგადოება ადიდებს უფალს. და რამდენადაც უფლის ხების ხორცშესხმა მიწიერ სამყაროში ხდება მხოლოდ და მხოლოდ წმინდანის საშუალებით, რაც ამტკიცებს მის ზებუნებრიობას, აქედან გამომდინარე წმინდანი მოიაზრება ქრისტეს სიმბოლოდ დედამიწაზე. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ წმინდანს მიმართავენ კიდეც მოწამეები, „რომ იყავნ

ქრისტე ღმერთი ჩუენ შორის სულიერად მმობასა და გზავნასა ჩუენსა“ (11, გვ. 252).

ჩვენი მიზანია „ცხოვრებათა“ უანრის ქართულ აგიოგრაფიულ თხულებებში სასწაულთა აღწერა-დახასიათება. ამ სასწაულთაგან ზოგი შემთხვევა ტიპურია ანუ სახარებისეული – მაცხოვრის, მოციქულებისა და პირველწმინდანების მიერ განხორციელებული (32, გვ. 1.21), ხოლო ზოგიც, ჩვენი აზრით – ორიგინალური. შევეცდებით, სასწაულები დავაჯგუფოთ სათანადო ტიპის მიხედვით. ესენია:

## I. სასწაულები, რომლებშიც მოცემულია ხილვები და ლგთაებრივი გამოცხადებანი.

### 1. ხილვები ცხადში:

ა) წმინდა მამებს ხშირად აქვთ ხოლმე ხილვა, ჩვენება იმ ადგილისა, სადაც უნდა აიგოს ან განახლდეს ეკლესია-მონასტერი. მაგალითად, ბერმა ხუედიოსმა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“, „ჩუენებად იხილა არა თუ ძილსა შინა, არამედ ცხადად. რამეთუ ხედვიდა ადგილსა მას წმიდასა, სადა აწ ხანცთას წმიდად ეკლესიად შენ არს, ვითარმცა სახედ ეკლესიისა ნათლისა ღრუბელი გამოხატული დგა მყოვარ უამ და სულნელებად დიდძალი გამოვიდოდა მიერ ღრუბლით. და ესმა კმად ნეტარსა მას ბერსა, ვითარმედ აღეშენოს წმიდად ეკლესიად ადგილსა ამას კელითა გრიგოლ მდდელისა, კაცისა დმრთისადთა“ (11, გვ. 253).

„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“: „იყო რად დიდი იგი მამად და მოძღვარი მიქაელ მდგომარე ლოცვასა დამისასა, განკარვებად რამე დაეცა და აღიტაცა ზეცად და იხილა ვინმე, ვითარცა მღდელ-შუენიერად შემოსილი, და ეტყოდა მას, რავთა მის მიერ განსწავლულნი იგი მოწაფენი მყის წარავლინებს ქუეყანად სამცხისა, რომელ არიან სერაპიონ და იოვანე. და უჩუენებდა ნიშთა რათმე და სახეთა, თუ რომელსა მივიდენ ადგილსა; პოონ, მივიდენ რად, სასწაული იგი და მუნ კელ-ყონ აღშენებად მონასტრისაა“ (45, გვ. 322).

ბ) ხილვათა ჯგუფში შეიძლება გავაერთიანონთ წმინდანთა სასწაულებრივი გამოჩენა საზოგადოებაში. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“: მამა გრიგოლი იხილეს „მომავალი კარაულითა შორის კრებულსა მას მამათასა საკურველად ხილვითა. რამეთუ სამოსელი იგი შეურაცხი, რომელ ემოსა მოხუცებულსა მას,

ესრეთ ჩნდა, ვითარცა სამოსელი ნათლისა ბრწყინვალისა განუცდელისად. ხოლო თავსა მისსა კუპული იხილვებოდა, ვითარცა გპრგპნი სამეუფო პატიოსანთა თუალთა და მარგალიტთაგან ფასდაუდებელთა აღმპული. და ვითარცა იხილეს დმრთისამიერი დიდებულებად მისი, ყოველნი სიხარულით მიეგებნებ“ (11, გვ. 287).

„იოვანესა და ეფთვიმეს ცხოვრებაშიც“ არის მსგავსი სასწაული. ეფთვიმე ათონელი, როდესაც ემზადებოდა ფერისცვალების დღესასწაულისათვის და მრევლიც თავშეეყრილი იყო ათონის მთაზე, „ვითარცა სიწმიდე შეიყვანეს და „წმიდა არსი“ აღიდეს, იხილეს მამად ჩუენი ეფთშმე ვითარცა ცეცხლი მგზებარტ. და ზარმან შეიპყრნა ყოველნი. და მასვე ქამსა ისმა ჭმად ვითარცა ყივილი ერისა მრავლისად, და შეიძრა მთად იგი ძრვითა დიდითა, და ყოველნივე პირსა ზედა დაეცნეს. და ვითარცა აღადგინნა იგინი მამამან ეფთშმე... პრქუა მათ: „ნუ გეშინინ, ძმანო, რამეთუ მოხედვად საღრმოო იქმნა, და ქრისტემან თჯი დღესასწაული ადიდა“ (12, გვ. 69).

წმინდანი ხშირად ეცხადება სასულიერო და საერო პირებს ნათლით მოსილი. სანიმუშოდ გავიხსენოთ ეპიზოდი, რომელშიც წმინდა გრიგოლის მოსაკლავად გამზადებულმა კაცმა „იხილა სასწაული დიდი წმიდასა მას ზედა ზეგარდამო, რამეთუ სუეტი ნათლისად ფრიად ბრწყინვალე ცად აღწევნული პფარავიდა მას. და იყო თავსა მისსა ჯუარი თუალთ-შეუდგამი გარემო მისსა ცის-სარტყელის სახედ, შუენიერად რად გამოჩნდის ქამსა წუმისასა“ (11, გვ. 305). ნათლის სვეტით არიან აგრეთვე მოფენილები მამა გრიგოლის სულიერი მოწაფეები დიმიტრიოსი და ზაქარია.

## 2. ხილვები ძილის დროს.

ძილში ხილვის დროს წმინდა მამებს აქვთ დვთაებრივი გამოცხადებანი. მათ უმეტესად ეცხადებათ უფალი, დვთისმშობელი, ანგელოზი ან კიდევ რომელიმე წმინდა მამა. და ამ გამოცხადების დროს წმინდანებს ავალებენ გარკვეულ საქმეთა აღსრულებას. მაგალითად, სერაპიონ ზარზმელმა „ხილვა ანგელოზისად იხილა დამესა ამას, რომელი განაძლიერებდა მას და გულს-მოდგინებით შრომად უბრძანებდა“ (45, გვ. 328).

„დავით გარეჯელის ცხოვრებაში“ კი აღწერილია სასწაული, თუ როგორ მოუვლინა „დამესა მას ანგელოზი დმერომან ელია პატრიარქსა“ და აუწყა, რომ მისმა სულიერმა შვილმა დავითმა შემთხვევით თან გაიყოლა მახალაკში

ჩადებული სამი ქვა, რომელიც იყო მადლი იერუსალიმისა. და ანგელოზი სთხოვდა პატრიარქს, რომ მალემსრბოლთა მეშვეობით დაწეოდნენ დავითს და გამოერთმიათ ორი ქვა, დარჩენილი ერთი კი – გაეტანებინათ თავის ქვეყანაში. „და ვითარცა წარმოუთხრა ესე ყოველი პატრიაქსა ანგელოზმან უფლისამან, მიეფარა იგი თუალთაგან მისთა“ (42, გვ. 238).

ერთხელ ილარიონ ქართველს „მცირედ მიერულა, და იხილა ჩუენებად ესევითარი, რეცა მიიტაცა იგი მთასა მას წმიდასა ზეთის-ხილთასა, ვინავთ-იგი უფალი ჩუენი იესუ ქრისტე ამაღლდა დიდებით ზეცად მამისა, ვინავცა გარდმოჭდა. და იხილა წმიდად დედოფალი დმრთის-მშობელი და მარადის ქალწული მარიამ და ათორმეტნი კაცნი, ბრწყინვალენი მდგომარენი მის წინაშე. და ვითარ განიცდიდა საკარველსა ამას ჩუენებასა, მაშინ პრქუა მას წმინდამან დედოფალმან: „შ, ილარიონ, წარვედ და მიისწრაფე სახედ შენდა, დაუმზადე სერი უფალსა და ძესა ჩემსა“ (43, გვ. 14-15).

ხილვა აქვთ არა მარტო სასულიერო პირებს, არამედ ჩვეულებრივ ადამიანებსაც. მაგალითად, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ აღწერილი ერთი სასწაულით, მდიდარ კაცს ჰყავდა ავადმყოფი შვილი, ერთ დღეს „დედასა მისსა ჩუენებით ძილსა შინა გამოეცხადა დირსი ეტპვანე“ (11, გვ. 318), რომელმაც აღუთქვა შვილის განკურნება.

ა) იშვიათად მოიძებნება სასწაულთა სახე, როდესაც რამდენიმე სასულიერო პირს ერთდროულად აქვს ერთი და იგივე ჩვენება ერთსა და იმავე საკითხზე. მაგალითად, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ანატოლე დაყუდებული და თემესტია დეკანოზი ერთდროულად ნახავენ ხილვას, რომელშიც ეუწყებათ მატოს გარდაცვალების ამბავი.

### 3. ხილვები გარდაცვალებისას:

ა) წმინდანებს მიცვალების ჟამს აქვთ ხოლმე ხილვები. მამა გრიგოლი სიკვდილის წინ „ნათლითა მიუწდომელითა შეიმკო შუენიერად ხილვად მისი ბრწყინვალედ ქრისტეს მიერ. რამეთუ ბანაკი ანგელოზთა უფლისათად გარე მოადგა მას და პატიოსანთა საკუმუველთა სულნელებამან აღავსო ყოველი იგი ერი კრებული მამათა... ხილვად იგი დიდებული ყოველთა იხილეს“ (11, გვ. 315).

სერაპიონ ზარზმელის გარდაცვალებისას კი „მწყობრნი ანგელოზთანი კრებულსა თანა ყოველთა წმიდათასა შეერთებულნი მოიწინეს, ვითარცა-თანა-მოკარვისა და თანა-მოსაგრისა მათისა. და ყოველთა აღიტყულნეს ჯელნი

სიხარულითა და ზეცას აღიყვანებს ყოლად სანატრელი იგი სული მისი“ (45, გვ. 342).

ბ) სხვა სასულიერო პირებსაც აქვთ ხოლმე ხილვები, რომელიმე წმინდა მამის გარდაცვალებისას. ასეთ შემთხვევებს უფრო იშვიათად ვხვდებით. მაგალითად, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ მერეს მონასტერში სულიერ დებს, ანატოლე დაყუდებულსა და თემესტია დეკანოზს, ავქთ ერთი და იგივე ხილვა მატოს გარდაცვალების შესახებ.

## II. სასწაულები, რომლებშიც აისახება ზემოქმედება ადამიანზე.

1. ურწმუნოთა და უკეთურთა სასწაულებრივი დასჯის ეპიზოდები მრავლად მოიპოვება როგორც ზოგადად აგიოგრაფიულ ლიტერატურაში, ასევე ქართულ აგიოგრაფიულ თხზულებებში. ამის ერთ-ერთი ნათელი ნიმუშია გრიგოლ ხანძთელისა და ცქირის ეპიზოდი, რომელშიც აღწერილია, თუ როგორ მოინდომა ცქირმა უცხო კაცის ხელით მამა გრიგოლის მოკვლა, მაგრამ, როგორც კი „კაცმან საწყალობელმან“ იხილა, რომ გზად მომავალ მამა გრიგოლს „სუეტი ნათლისად ფრიად ბრწყინვალე ცად აღწევნული პფარვიდა“ (11, გვ. 305), ხელი გაუშეშდა და ვედარ შეძლო მიზნის განხორციელება. ამ ამბით განრისხებულმა ცქირმა შემდეგ განიზრახა ხანძთის დანგრევა, მაგრამ წმინდა გრიგოლს ანგელოზისგან ეუწყა ცქირის მოულოდნელი სიკვდილის შესახებ.

აგრეთვე, როდესაც ბარბაროსმა ხმალი აღმართა და მოინდომა დავით გარეჯელის მოკვლა, „ვითარცა აღიღო ჭელი, მეყსეულად შეკმა იგი და იქმნა ვითარცა შეშაო. მაშინ გულისჯმა-ყო ბარბაროზმან მან უკეთურებად თვისი და გარდაპტდა პუნესა და დავარდა ფერწოა თანა ბერისათა და ცრემლით ევედრებოდა, რათა მიუტეოს ცოომილებად იგი მისი“ (42, გვ. 235).

და კიდევ: „იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრებაში“, როცა ეშმაკისგან შეგულიანებულმა მებოსტნემ განიზრახა წმინდა მამის მოკვლა, „მეყსეულად უქმი იქმნა ჭელი მისი“ (12, გვ. 88).

2. წმინდანის მიერ სხეულთა განკურნების ეპიზოდები ფართოდაა გავრცელებული აგიოგრაფიულ ნაწარმოებებში. სანიმუშოდ შევეხებით რამდენიმე მაგალითს: „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“: „იყო დედაკაცი

სისხლის დინებითა გუემული მრავალთა ჟამთა. მას ესმა სასწაული ესე და მივიდა გულს-მოდგინედ წმიდისა მის და კერ შემძლებელ იყო თჯსსა მას სენსა საანჯმნო ყოფად, არამედ მღუმრიად სულთქუმით დაალტობდა ფერწთა მისთა ცრემლითა და ითხოვდა კურნებასა. ხოლო მმანი იგი მცირედ განეშორნეს წამის ყოფითა ამის წმიდისათა, რამეთუ ცნა სულითა ვნებავ იგი დაფარული და მისცა მარჯუენე თჯსი, რათა შეიმთხვოს. და მან ყო ეგრეთ. და მასვე ჟამსა განიკურნა“ (11, გვ. 295).

იოანე ზედაზნელს კი მიპგვარეს ადამიანი, რომელიც იყო „ღრეპილი და განრღუეული და დაჭსნილ იყუნეს ყოველნი ასონი მისნი“. იოანემ წარმოთქვა: „განგურნებს შენ უფალი ჩუენი იესუ ქრისტე“, და მასვე ჟამსა აღემართა იგი ფერწითა ზედა თჯსთა და ასონი იგი დაჭსნილნი მსწრაფლ განიკურნეს“ (44, გვ. 216-217).

„ილარიონ ქართველის ცხოვრებაში“ კი ბავშვობიდან ფეხმტკივან სულიერ ძმას ეშმაკმა, რომელიც შურით იყო შეპყრობილი მისი რელიგიური გულმოდგინების გამო, „უბრკუმა ფერწი იგი მისი ვნებული და ატკივნა ფიცხლად. ხოლო ძმავ იგი ტკივილისა მისგან ცრემლოოდა მწარედ. იხილა რად წმიდამან ილარიონ მისი იგი ტირილი... მოიდო წმიდა ზეთი კანდლისაგან საუფლოვსა და სცხო ტკივნეულსა მას ფერწსა მისსა და განკურნა“ (43, გვ. 21).

3. არის სასწაულები, რომდებაც წმინდანები ადამიანთაგან აძევებენ ეშმაკს. ერთხელ მამა გრიგოლთან მივიდა ქალი, რომლის შვილის „პელნი და ფერწი მტერისაგან მიხუმულ იყვნეს და პირი გარე-მიქცეულ“ (11, გვ. 294). მაშინ მამა გრიგოლმა ასე მიმართა ბავშვის სხეულში მყოფ ეშმაკს: „ეშმაკო, განეშორე უკუნისამდე ჩჩკლისა ამისგან უმანკოდესა“. და ჯუარი დახტერა. და მუნთქესვე ივლტოდა სული იგი ბოროტი და განიკურნა ყრმავ იგი სრულიად“ (11, გვ. 295).

იოანე ზედაზნელთან მიიყვანეს ეშმაკეული, რომელიც ვერ ახერხებდა ლაპარაკს, იოანემ უთხრა მას: „სულო უკეთურო, რაოსა სტანჯავ მაგას, რამეთუ მიცემულ არს შენდა ადგილი უდაბნოვ და ურწყული. გეტყპ შენ სახელითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, განვედ კაცისა მაგისგან!“ ხოლო იგი ბრძანებასავე თანა მისსა განვიდა. და განიკურნა კაცი იგი“ (44, გვ. 217).

4. წმინდა მამები დაჯილდოებულნი არიან წინასწარმეტყველებისა და დაფარულთა ცნობის უნარით. მათ უფლისაგან ეუწყებათ რაიმე ამა თუ იმ პიროვნებაზე. მაგალითად, მამა გრიგოლი, არსენისა და უფრემის შესახებ

განუმარტავს თავის მოწაფეებს, რომ „ესრეთ არს ყრმათა ამათ მოწევნად აქა, რამეთუ ქრისტემან ღმერთმან წმიდისა ანგელოზისა პირითა მაუწყა ამათი საქმე ყოველი“ (11, გვ. 271). ამდენად, ისინი არიან დაფარულთა ცნობის ნიჭით დაჯილდოებულნი. და კიდევ სერაპიონ ზარზმელს, რომელიც მიუახლოვდა ბოროტთა თავშეყრის ადგილს, ამ ბოროტმა ადამიანებმა არ მისცეს გავლის უფლება. რის შემდგომაც სერაპიონმა უწინასწარმეტყველა იქაურობის წალეპვა.

ხოლო „იოვანესა და ეფთვიმეს ცხოვრებაში“ დიდი გვალვიანობის ჟამს იოვანე უწინასწარმეტყველებს ძმებს წვიმის წამოსვლას და ურჩევს საწვიმრების თან წაღებას.

წმინდა მამები წინასწარმეტყველებენ აგრეთვე თავიანთი აღსასრულის მოახლოებას და, ამდენად, წინასწარ იჭერენ თადარიგს ამ დღისათვის. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“: „ნეტარსა მამასა ჩუენსა გრიგოლს გულმან უთქუა განსლვად ჭორცთაგან და ღმრთისა მისლვად... მაშინ უბრძანა ძმათა თვისთა შესაქმე კერეონთა სანთელთად შესაწირავად გარემო ყოველთა მათ მახლობელთა უდაბნოთა... მათ ყოველთა უდაბნოთა თანაწარსცა კერეონები და შეუთუალა დღც იგი, რომელსა ადანონენ და ლოცვაყონ მისთვის“ (11, გვ. 313).

ხოლო „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ დიდმა წმინდა მამამ მიქაელმა მოიხმო თავისთან სერაპიონი და სხვა მოწაფეები, რდაგან „იცოდა ჟამი განსლვისად თვისთავ“ (45, გვ. 336).

იღარიონ ქართველი კი „ვითარცა მოიწია ჟამი აღსრულებისა მისისად, ამიერ წარსლვისა და ღმრთისა მხოლოდისა მისლვისად, რომლისაცა სურვიელ იყო და სახელისა მისისათვს იღუაწა სიყრმითგან პასაკისა მისისათ, უწყებულ იქმნა უკუა ღმრთისა მიერ“ (43, გვ. 27).

5. აგიოგრაფიულ თხზულებებში აღინიშნება სასწაულთა შემთხვევები, როდესაც წმინდანი თავის დაუსწრებლად, ფიზიკური არყოფნით სასწაულის შემთხვევის ადგილზე, ახდენს სასწაულს. ასე მაგალითად, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ არის შემთხვევა, როდესაც ნეტარი ეტვიფანე გამოეცხადება ყრუ-მუნჯი ასულის დედას და დაავალებს მისი ხელის ნაბანი წყლის წაღებას და ასულის თავზე ცხებას. მართლაც დედამ „წარავლინა კაცი. ხოლო ნეტარმან ეპიფანე უფლისა მიერ იცოდა, რაო-იგი ყოფად იყო, და მისცა კაცსა მას კელთა თვისთა ნაბანი. და მი-რავ იწია დედაკაცმან მან სარწმუნოებითა მტკიცითა, სცხო ევლოგიად იგი უსისხლოვსა მსხუერპლისად ღირსად შემწირველისა მღდელისა[ვ] ასულსა თვისსა. ხოლო მას დაეძინა სამ დღე და სამ ღამე და რაჟამს განედუძა,

თქუა: „დიდებად ღმერთსა, დიდებად წმიდასა სამებასა, რომელმან ლოცვითა ნეტარისა მამისა ეტანესითა განმკურნა და მიგნა მე ეშმაკისაგან“ (11, გვ. 318).

### III. სასწაულები, რომლებშიც ჩანს ზეგავლენა მიცვალებულთა სამყაროზე.

1. საფლავთა და წმინდა ნაწილთა სასწაულები:

ა) ქართულ აგიოგრაფიულ თხზულებებში ფართოდ გავრცელებულია სასწაულთა ის შემთხვევები, როდესაც წმინდანი გარდაცვალების შემდეგაც ახდენს სასწაულს. მიცვალებული წმინდანის საფლავზე ან წმინდა ნაწილზე ხელის შეხებით იკურნებიან სწეულები, ადამიანთაგან განიდევნება ეშმაკეული...

„დავით გარეჯელის ცხოვრებიდან“ მოგვყავს ერთი მაგალითი, როდესაც ერთ ძმათაგანს „თუალი არა ედგა, და შე-რავ-ეხო გუამსა მას წმიდასა, მევსეულად განიკურნა... ესევითართა სასწაულთა იქმოდა წმიდა მამად დავით შემდგომად სიკუდილისაცა“ (42, გვ. 240).

ილარიონ ქართველის გარდაცვალების შემდგა კი ერთ ქვრივს მისცეს წმინდანის მოწაფეებმა „ფლასი ერთი წმიდისად“. „ხოლო მან უმეტეს ყოველთა საფასეთა და თუალთა პატიოსანთავსა მიიღო იგი მათგან სახოებითა და სარწმუნოებით დიდითა და ვისცა სწეულსა დაპბურის, პოვის მან ლხინებად“ (43, გვ. 29-30).

როგორც აღვნიშნეთ, მიცვალებული წმინდანები განასხამენ კიდევ ადამიანთაგან ეშმაკებს. მაგალითად, ილარიონ ქართველის საფლავზე მისული ორი ეშმაკეული სჩიოდნენ: „ილარიონ ქართველო, რაისთუს განგუასხამ ჩუენ საყოფელთაგან ჩუენთა?“ და ვითარცა მიეახლნეს წმიდასა მას გუამსა მისსა, მუნთქუასვე განიკურნეს იგინი“ (43, გვ. 28). და კიდევ ერთი ეშმაკეული მივიდა იოვანე ათონელის საფლავთან „და სუა კანდლისა მისგან, რომელი ეკიდა საფლავსა ზედა მისსა, და მევსეულად განიკურნა“ (12, გვ. 60).

ბ) არცთუ იშვიათია ეპიზოდები, როდესაც მიცვალებული წმინდანი ირგვლივ სასიამოვნო სურნელოვან გარემოს ქმნის. „ილარიონ ქართველის ცხოვრებაში“ არის შემთხვევა, როცა მეფის სასახლეში დასვენებული ილარიონის ცხედარი სურნელოვნებას მოჰყენს იქაურობას, რაც ყველას

განცვიფრებაში მოიყვანს. აგრეთვე სურნელოვნებას პფენს ირგვლივ სერაპიონ ზარზმელის საფლავი და ამ სურნელებით ივსება ყველა მადლით.

2. ცოცხალი წმინდანების ზემოქმედება მიცვალებულებზე საინტერესო შემთხვევას წარმოადგენს. აქ შეიძლება მოვიხმოთ პასაჟი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“, როცა ცოცხალი წმინდანის მიტევების და ლოცვის შემდეგ მიწა მიიბარებს ცოდვილის გვამს. ადარნერსე ხელმწიფის სატრუქს, რომელმაც „სარწმუნო ცოლი მისი განაშორა“ (11, გვ. 299), გრიგოლი არ მიუტევებს ცოდვებს. ქალს, რომელსაც გარდაცვალების შემდეგ, დედა ფეხრონიას გადაწყვეტილებით, დაკრძალავენ „მახლობელად დათა მათ ქრისტის ნების-მყოფელთა“ (11, გვ. 299), მაგრამ ცხედარს სამგზის აღმოაჩენენ „შინაგან კარსა აკლდამისასა მდებარეს“. ამის შემდეგ მამა გრიგოლი სწერს წერილს გარდაცვლილ დებს, რათა მათ ქალი მიიბარონ მიწაში. მონაზონნი წერილის წაკითხვის შემდეგ შეცომილ ქალს სათანადოდ განუწესებენ იმქვეყნიურ სამკვიდრებელს.

3. არატიპურ შემთხვევად გვესახება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ორი სასწაული. შევეცდებით, წარმოვაჩინოთ მათი არატიპურობა: პირველ შემთხვევაში აღწერილია, თუ როგორ გაეყარა ადარნერსე ხელმწიფე თავის კანონიერ მეუღლეს და სასახლეში მოიყვანა სიძვის დიაცი. ამ საქციელზე აღშფოთებული გრიგოლი ეუბნება მეფეს: „არა სმენისათვის სიტყუათა ჩემ გლახავისათა მიეცე ბოროტა სენთა, და რომელ აწ ძენი გესხნენ, იგუემნენ ეშმაკთაგან, და ვერ განიკურნო შენ და ვერცა შვილნი იგი შენნი, ვიდრე არა შეინდოთ დედუფლისა მისგან, უსამართლოდ გაპატიჟებულისა მცევლისა მის ღმრთისა; დადაცათუ ჭორცოთაგან განვიდეს იგი, არამედ საფლავთაგან მისთა შევეინდონ შვილთა შენთა“ (11, გვ. 298). მართლაც, რამდენიმე ხნის შემდეგ ადარნერსე დაავადდება და განიკურნება მხოლოდ და მხოლოდ დედოფლის შენდობის შედეგად. როგორც აგიოგრაფიული ჟანრის ლიტერატურაშია მიღებული, წმინდანი სასწაულს ახდენს თვითონ უშუალოდ, გარეშე პირების ჩაურევლად. მაგარმ ამ კპიზოდში გრიგოლთან ერთად მოქმედებს სხვა სასულიერო პირიც. მართალია, წმინდანი თვითონ უწინასწარმეტყველებს ადარნერსეს ცოდვების გამო დასჯას და ისჯება კიდეც, მაგრამ კპიზოდში უკვე ჩნდება ადარნერსეს ყოფილი მეუღლე, დედოფალი, რომლის შენდობითაც ხელმწიფეს, გრიგოლის თქმით, უნდა მიუტევოს ცოდვები და გამოჯანმრთელდეს.

ანუ ეპიზოდში მამა გრიგოლი და სხვა სასულიერო პირი ერთდროულად ახდენს სასწაულს.

მსგავს შემთხვევასთან გვაქვს საქმე მეორე მაგალითშიც. ეს ეპიზოდი ეხება შემცოდე ქალის მიბარებას ცოდვების მიტევების შემდეგ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ეპიზოდში ქალს სიკვდილის შემდეგ არ იღებენ დები, რის შემდეგაც მამა გრიგოლს მოუხდება წერილის მიწერა მონაზონი დებისათვის. წერილში მათ სთხოვს მამა გრიგოლი, რომ უფლისაგან გამოითხოვონ ცოდვათა შენდობა და შემდეგ მისი მიწაში შეფარება: „და აწ გევედრებით საწყალობელისა მაგისთვეს დედაკაცისა, ითხოეთ ქრისტისგან ბრალთა მისთა შენდობად და დირს ყვენით ძუალნი მისნი ძუალთა თანა თქუენთა და სული მისი სულისა თქუენისა თანა“ (11, გვ. 301); ამ შემთხვევაში სასწაულს ახდენს თავად მამა გრიგოლი და ამავე დროს სასწაულში ჩნდება სხვა პირები ანუ გარდაცვლილი დები, როგორც დამხმარებები. ორივე მაგალითზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ თითოეულ სასწაულში არის ერთი ობიექტი და ორი სუბიექტი. პირველ შემთხვევაში ობიექტი არის ადრარნერსეს სატრფო, ხოლო სუბიექტები არიან გრიგოლი და ადარნერსეს მეუღლე, ხოლო მეორე შემთხვევაში ობიექტი არის იგივე დიაცი, ხოლო სუბიექტები არიან კვლავ მამა გრიგოლი და გარდაცვლილი დები.

4. არის სასწაულები, რომელშიც წმინდანის ლოცვის შედეგად აღესრულება ადამიანი ან ცხოველი. ასეთ შემთხვევას ვაწყდებით „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“: „კუალად ორნი საშინელნი ვეშაპნი გამოჩნდეს ანჩისა ვენაჭსა და მევენაჭენი ივლტოდეს. ხოლო ზაქარია ლოცვითა მოაკვდინნა იგინი“ (11, გვ. 304). და კიდევ ცქირის ეპიზოდში, მამა გრიგოლი სთხოვს ხანძთის დასანგრევად მისულ საზოგადოებას სალოცავად დროის მიცემას და ლოცვად დამდგარ გრიგოლს ანგელოზისაგან ეუწყება ცქირის სიკვდილი.

5. ტრადიციულ, გავრცელებულ სასწაულთა სახეს მიეკუთვნება სასულიერო მოღვაწისაგან ადამიანის ან ცხოველის მკვდრეთით აღდგენა. მაგალითად, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ზაქარია „სთულსა უამთა ჯდა ოდესმე ტბას თვისთა ბაბილოთა მწიფეთა ქუეშე, რომელთა მრავალგზის შაშვ ჭამდა. ხოლო ჯუარი დასწერა და მსწრაფლ მოკუდა და კუალად ჯუარი დასწერა და განცოცხლებული ფრინვიდა მოყუასთა თანავე თვისთა“ (11, გვ. 304).

#### IV. სასწაულები, რომლებშიც აღწერილია ზემოქმედება მატერიალურ სამყაროზე.

1. ხშირად სასწაულებში წმინდანთა ძალა არის პიკერბოლიზირებული. ადამიანის ძალის პიკერბოლიზირება კი დამახასიათებელი იყო, როგორც ცნობილია მითოსური სამყაროსათვის. აქედან გამომდინარე, საფიქრებელია, რომ ეს ელემენტი მითოსიდან უნდა გადმოსულიყო აგიოგრაფიაში. მაგალითად, „ილარიონ ქართველის ცხოვრებაში“ როდესაც ერთი თესალონიკელი დიაკონი შეიპყრეს წარმართებმა და ბორკილი დაადეს, იგი გზაში ლოცულობდა და დახმარებას შესთხოვდა ილარიონს. წმინდა მამამაც შეიწყნარა მისი თხოვნა, დამე გამოეცხადა მას და დილას ოა გაიღვიძა დიაკონმა, „იპოვა რამეთუ გაჭინილ იყო საკრველთაგან... და მოვიდა წმიდისა მის და ამბორს-უყოფდა წმიდათა ჭელთა მისთა, რომელთა მიერ განიჭინა საკრველთაგან“ (43, გვ. 26).

აგრეთვე გრიგოლ ხანძთელმა ქრისტეს სახელით შეაჩერა გადმოვარდნილი ლოდი და იხსნა ერთ-ერთი ძმა სიკვდილისაგან.

2. არის სასწაულები, რომლებშიც აღწერილია თუ როგორ იმორჩილებენ წმინდა მამები ბუნებრივ მოვლენებს და მბრძანებლობენ მათზე. ამის ნათელი ნიმუშია ისე წილკნელის მიერ ჩადენილი სასწაული „შიოსა და ევაგრეს ცხოვრებაში“. მას უნდა დაუმტკიცებინა იოანე ზედაზნელისთვის ზებუნებრივ ძალთა ფლობა. სასწაული კი ასეთი იყო: როდესაც წმ. მამები მიუახლოვდნენ მდინარეს, ისემ დაიწყო ლოცვა „და იტყოდა ცრემლით: „მოვედინ ჩემ ზედა, წმიდაო დედოფალო, შეწევნად შენგან შობილისაო, რათა წყალი ესე დაგუემორჩილოს, და ვითარ მყოვარ ჟამ ილოცა და მერმე განყო კუერთხი, რომელი აქენდა ჭელთა, და თქუა: ... წყალო, შემოუდეგ კუერთხსა ამას ჩემსა“. და მადლითა სულისა წმიდისათა მყის შეუდგა დმერთშემოსილთა მათ მამათა. ხოლო ქუეყანაო იგი უქმი იყო, დაღმრდებოდა, ვითარცა კუერთხი იგი მიეთრია და წყალი უკუანა მივიდოდა. და ესრეთ მიიყვანა საყდარსა წმიდისა დედოფლისასა წილკანს სადიდებელად მამისა... ესე დიდებული საკრველი, რამეთუ კაცოა მიწისაგანთა წყალნიცა დაუმორჩილებიან!“ (46, გვ. 224).

კიდევ შეიძლება მოვიყვანოთ სერაპიონ ზარზმელის მაგალითი, როდესაც იგი უწინასწარმეტყველებს ბოროტ პირებს, რომლებიც წინ აღუდგებიან სერაპიონს გზის გაგრძელებაში, იქაური მიდამოების წალეკვას. და, მართლაც,

ღვთის რისხევითა და სერაპიონის ზებუნებრივ ძალთა ფლობით აღიგავა იქაურობა მიწისაგან პირისა და ბუნებამ იცვალა სახე.

3. ქართულ აგიოგრაფიაში არის შემთხვევები, როდესაც წმინდანთა ლოცვის შედეგად თვისებებს იცვლიან ბუნებრივი და ფიზიკური მოვლენები, სტიქიონები. „შიო და ევაგრეს ცხოვრებაში“ მრავლად მოიპოვება ასეთი სასწაულები. მაგალითად, შიოს ხელზე დადგბული ნაკვერჩხლით არ ეწვება ხელი. იოანე ზედაზნელმა ცაში „ზე აღიპყრა ჭიქავ ... და დადგა ვითარცა მყარსა ქუეყანასა ზედა“ (46, გვ. 223). და თავად ავტორი ამ სასწაულის პარალელად ასახელებს პეტრე მოციქულის ბიბლიურ სასწაულს, როდესაც უფალმა პეტრე გაატარა ზღვაზე ფეხით, ვითარცა ხმელეთზე.

4. ხშირია სასწაულთა შემთხვევები, როდესაც წმინდა მამათა ზეგავლენით ნივთიერებები და საგნები იცვლიან ბუნებას. „დავით გარეჯელის ცხოვრებაში“ ვაწყდებით რამდენიმე ასეთ მაგალითს. ერთ-ერთ მაგალითში დავითმა დაწერა ჯვარი რძეს და რძე გადაიქცა ხაჭოდ (42, გვ. 231). ხოლო მეორე მაგალითში მან მწარე წყაროს წყალს „დასწერა ჯუარი და მისცა ბერსა. და ვითარცა იხილა გემოდ წყლისად მის, უტკბილეს იყო იგი ყოველთა წყალთა, და ვიდრე აქამომდეცა ტკბილ არს წყალი იგი“ (42, გვ. 239).

5. აგიოგრაფიულ ლიტერატურაში ზოგადად ძალიან გავრცელებულია საკვების გამრავლებისა და წყაროს აღმოცენების მოტივი. უდაბურ ადგილას უფალი აჯილდოებს თავის ჭეშმარიტ მსახურებს საკვებისა და წყაროს აღმოცენებით.

„შიოსა და ევაგრეს ცხოვრებაში“ უფალი აფასებს წმინდანის გულმოდგინებას და „დღითი-დღე უბოძებდა სახრდელსა. ხოლო მარჯუენით კერძო ქუაბისა მას უბოძა წყალი მცირე კლდისაგან ჭმელისა, რომელი კმასაყოველ მისდა იყო“ (46, გვ. 218).

იოანე ზედაზნელიც შეიწყალებს თავის მოწაფეს ელიას უწყლობის გამო, შესთხოვს უფალს და ჯვრის შეხებით აღმოაცენებს უწყლო ადგილას ტკბილ, გრილ და ყოვლად სარგებელ წყალს.

6. ფართოდ გავრცელებულია ქართულ აგიოგრაფიაში წმინდანისა და ცხოველთა ურთიერთობის მოტივი. პ. კეკელიძეს სპეციალური ნაშრომიც აქვს მიძღვნილი ამ საკითხისადმი. იგი აღნიშნავს, რომ ცოდვის ჩადენამდე არსებობდა „პირველყოფილი ჰარმონია“, როდესაც ყველა, ადამიანი თუ ცხოველი, ერთმანეთთან შეხმატკბილებული იყო. ცოდვის ჩადენის შემდგა კი ეს

„პარმონია“ დაირღვა და, მეცნიერის აზრით, მხოლოდ „წმინდანები“ ზრუნავდნენ ამ „პარმონიის“ აღდგენისათვის (21, გვ. 103-104). ისინი იმორჩილებდნენ და იშინაურებდნენ ცხოველებს და შემდეგ ადამიანთა სამსახურში აყენებდნენ მათ (26, გვ. 166).

ცხოველთა სამყაროსთან წმინდანის პარმონიულ დამოკიდებულებაზე მეტყველებს ერთი ეპიზოდი „დავით გარეჯელის ცხოვრებაში“, ნადირობისას ბარბაროზმა „მიუტევა ქორი კაკაბსა მახლობელად ადგილსა მას, სადა ილოცვიდა წმიდად დავით. და კაკაბიცა იგი მიივლტოდა ბერისა და დაჯდა იგი ფერწთა თანა მისთა, ხოლო ქორი მახლობელად მისა. და ესე იქმნა განგებითა ღმრთისავთა“ (42, გვ. 234).

ცხოველთა მოშინაურებისა და დამორჩილების მაგალითებს ვხვდებით „იოანე ზედაზნელის ცხოვრებაში“. წყაროსთან მდგარ საშინელ დათვს, რომელიც აშინებდა ხალხს და მათ შორის ელია დიაკონს, იოანე ზედაზნელი უბრძანებს: „ნუდარამცა გაქუს ფლობად ბოროტებად და ვნებად მათა, რომელთა შეემთხუეოდე კაცთა მთასა მას ზედა“. და ვითარ მოიდო ბრძანებად მჯეცმან მან ბერისაგან, განსწავლა არა ვისა ვნებად, წარემართა და ვითარცა მეგობარსა ტკბილად მეტყველსა უკუმოხედვიდა, თავი მოედრიკა და მყუდროებით მორჩილებისა სახესა აჩუენებდა. და ყოლადვე მჯეცებრივი ბუნებად, არცა სივლტოლად ეჩინა, რამეთუ ცვალა თვისი იგი სიბოროტე და გარდაიქცა კეთილად“ (44, გვ. 214).

ცხოველთა მოშინაურებასა და მორჩილებაზე მეტყველებს აგრეთვე „შიოსა და ევაგრეს ცხოვრებაში“ აღწერილი სასწაული მგელზე (46, გვ. 221).

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაშიც“ გვხვდება რამდენიმე სასწაული, რომელშიც ჩანს წმინდანის დამოკიდებულება ცხოველებთან მიმართებაში და, პირიქით, ცხოველთა კეთილი განწყობა წმინდანისადმი. ერთხელ მონადირეთაგან შეშინებულმა ირემმა „მიკმართა მონოზონთა მათ, და შორის განვლნა ყოველნი, და მივიდა ვითარცა გონიერი ნეტარისა გრიგოლისსა და თვისი თავი ზედა კელთა მის წმიდისათა დადვა და რეცა ტიროდა მოწევნულისა მისთვის ბოროტისა. ხოლო მან ნუგეშინის-სცა და ჰრქუა: „სახელთა ქრისტისითა ვერ გავნონ მტერთა ამათ შენთა, ნუ გეშინინ“ (11, გვ. 301).

ჩვენ ვაწყდებით აგრეთვე ცხოველთა მიერ წმინდა მამათა გამოკვების ეპიზოდებს, რაც თავის მხრივ ეფუძნება ამავე სასიათის ბიბლიურ სასწაულებს.

მაგალითად, „შიოსა და ევაგრეს ცხოვრებაში“ „არარად იპოვებოდა უდაბნოსა მას ნუგეშინის-საცემელი ჭორცთად, მანვე სახიერმან და დაფარულთა მხედველმან ღმერთმან, რომელმან გამოზარდა ელიძ და უდაბნოსა შინა ყორნისა მიერ, ეგრეთვე წმიდად ესე მამავ ჩუენი გამოზარდა, რამეთუ ტრედისა მიერ დღითი-დღე უბოძებდა საზრდელსა“ (46, გვ. 218).

მოშინაურებული ირმების მოწველით ირჩენს თავს აგრეთვე დავით გარეჯელი.

ამრიგად, წინამდებარე თავში შეძლებისდაგვარად განვიხილეთ „ცხოვრებათა“ ჟანრის ქართული, ორიგინალური აგიოგრაფიული ნაწარმოებები, გავავლეთ მათ შორის პარალელები, შევეცადეთ, დაგვეჯგუფებინა ისინი სათანადო სქემების მიხედვით და მივედით იმ დასკვნამდე, რომ პ. კაპელიძის მიერ მიკვლეული კომპოზიციური შაბლონები უნდა ჩაითვალოს ძირითად ელემენტებად, და რადგანაც აგიოგრაფი ავტორი ამ ოთხ ელემენტზე ვერ შეჩერდებოდა, გვერდით უნდა დავუყენოთ სხვა შტამპები, რომლებაც ვხვდებით თხზულებებში. წინამდებარე თავიც, ვფიქრობთ, ნათლად ისახავდა ამ მხრივ საკითხის უფრო ფართოდ გარკვევას და დამატებითი მინიშნებების წარმოჩენას.

## თავი II

### სიუჟეტურ-კომპოზიციური ურთიერთმიმართებანი „ცხოვრებათა“ ჟანრის ნათარგმნ აგიოგრაფიაში

ნაშრომის ამოცანა, რამდენადაც ცნობილია, არის ორიგინალურ და ნათარგმნ აგიოგრაფიულ თხზულებათა ისტორიულ-შედარებითი მეთოდით კვლევა, კერძოდ, მათ სიუჟეტურ-კომპოზიციურ თავისებურებათა, მსგავსება-განსხვავებათა წარმოჩენა. ამდენად, წინამდებარე თავში, უცხოენოვან ლიტერატურათა შესწავლის და ისტორიულ-შედარებითი მეთოდით კვლევის უკეთესად წარმოჩენის მიზნით, საუბარი გვექნება ნათარგმნ აგიოგრაფიულ თხზულებებზე, რომლებიც უხვად მოიპოვება ქართულ საეკლესიო მწერლობაში. მასალის ასეთი სიუხვე კი განკირობებული იყო ქართველთა აქტიური მონაწილეობით მსოფლიო საქრისტიანო მწერლობის პროცესებში. საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ გახსნილი იყო კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრები, რომლებშიც აქტიურად მიმდინარეობდა მთარგმნელობითი საქმიანობა. გავიხსნოთ თუნდაც ტაო-კლარჯეთის ლიტერატურული სკოლა. იგი იყო ქართული კულტურის, მწერლობის ეროვნულ-ნაციონალური გზით წარმართველი, რომლის ტრადიციის გამგრძელებელი იყო ექვთიმე ათონელი. იგი ბერძნულიდან თარგმნიდა არა ზედმიწევნით, არამედ შემატება-გამოკლების პრინციპით, რომლის საფუძველზე მიიღებოდა თხზულების სრულიად ახალი ქართული რედაქცია. ექვთიმე ათონელისათვის დამახასიათებელ თავისუფალი სტილით თარგმნას გაემიჯნა ათონის ლიტერატურული სკოლა და დღის წესრიგში დადგა გიორგი ათონელის ხელმძღვანელობით ბიზანტიური მწერლობის ბოლომდე ათვისება და ქართულ ენაზე ამომწურავად გადმოტანა. იგივე მთარგმნელობითი სტილი გააგრძელა და ზუსტი თარგმანი კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა შავ მთაზე XI საუკუნის მოღვაწე ეფრემ მცირემ. ამ უკანასკნელის საქმიანობა საქართველოში XII საუკუნეში განაგრძეს არსენ იყალთოელმა და იოანე პეტრიწმა (59, გვ. 103-107). ქართულ ენაზე ითარგმნებოდა „ცხოვრებათა“ და „წამებათა“ ჟანრის აგიოგრაფიული ნაწარმოებები, როგორც აღმოსავლეთის, ასევე დასავლეთის

საქრისტიანო მწერლობიდან. თხზულებათა გადმოთარგმნას ენიჭებოდა დიდი მნიშვნელობა, რადგან ამით დგინდებოდა ადგილობრივი აზროვნების სოციალურ-კულტურული მოთხოვნილებები, აგრეთვე ირკვეოდა კონკრეტულ დროში ამა თუ იმ ხალხის ინტელექტუალურ-მორალური, ესთეტიკურ-მხატვრული დონე. ნათარგმნი ლიტერატურული ძეგლებით წარმოჩინდებოდა ამა თუ იმ ხალხის კულტურული სამყარო (20, გვ. 5). საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ქართულ საეკლესიო მწერლობას, საქრისტიანო ქვეყნებში თავსდამტყდარი პოლიტიკური და რელიგიური ქარტეხილების გამო, შემოუნახავს ის აგიოგრაფიული თხზულებები, რომელთა დედნები დაკარგულად ითვლებოდა (23, გვ. 7-8).

დასახელებულ თავში იქნება ცდა „ცხოვრებათა“ ჟანრის ნათარგმნ აგიოგრაფიულ თხზულებათა განხილვისა. როგორც ცნობილია, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამ, ქრისტიანთა დევნის შესუსტებამ, რასაც ახლდა „მარტვილთა“ რაოდენობის შემცირება, გამოიწვია „წმინდანთა რიგების შევსება იმ სასულიერო პირებით, რომელთა ქრისტიანული ცხოვრების წესი, სარწმუნოებრივი ეთიკა და ქრისტიანული ეკლესიის საფუძვლების განმტკიცება და დაცვა მაგალითი იყო მორწმუნებათვის. ასეთები კი იყვნენ ახლადწარმოშობილი მონაზვნური ცხოვრების პიონერები, ე. წ. მეუდაბნოე-განდეგილები“ (10, გვ. 14-15). ბერ-მონაზვნობის საწყის ადგილად სახელდება ეგვიპტის უდაბნო, ხოლო მის დამაარსებლად მიჩნეულია ანტონი დიდი. საერთოდ ბერ-მონაზვნობის ინსტიტუტის წარმოშობა სათავეს იღებს II-III საუკუნეებიდან, ხოლო მისი საბოლოო ფორმირება, ჩამოყალიბება ერთიან სამონასტრო ორგანიზმად თარიღდება V საუკუნით. მსოფლიო სამონასტრო ცხოვრების ისტორიიდან ცნობილია, რომ არსებობდა წმინდანთა მოღვაწეობის ანახორებული და კინოვიალური ფორმები (66, გვ. 714). ანახორებული მოღვაწეობის ფორმა ითვალისწინებდა ქრისტიან მოღვაწეთა საზოგადოებისაგან საკუთარი ნება-სურვილით განმარტოებას. ხოლო კინოვიალური მოღვაწეობის ფორმა მოიცავდა საერთო სამონასტრო გაერთიანებას, ძმობის პრინციპზე დამყარებულ ბერ-მონაზვნობას. გარკვეული პერიოდის შემდეგ ანახორებული სტილი შეცვალა კინოვიალურმა სტილმა, ისე რომ არც კი მომხდარა ბერ-მონაზვნობის დაპირისპირება. როგორც გრ. ფარულავა აღნიშნავს, ამ პროცესს „ბერ-მონაზვნური კულტურის განვითარებას ანახორებული ასპექტის გაუქმება კი არ უცდია საერთოდ (მან თავისებური

ხიბლიც კი ამაღლებულობისა ჩვენს დრომდე შეინარჩუნა), არამედ მოღვაწეობის კინოვიალური ფორმის დამკვიდრებით, ასკეზის, ვითარცა საშუალების, შინაარსი და ფორმები გაამდიდრა, გაამრავალფეროვნა. მმობის პრინციპზე დამყარებული (კინოვიალური) და ანახორებულ-მჭვრებელობითი ბერმონაზვნობა მკვეთრად არ უპირისპირდებოდა ერთმანეთს ... ერთად ცხოვრებასა და მარტოდმყოფობაში დაინახებოდა ბერის სულიერი წარჩინებისა თუ ხასიათის შესატყვისი საფეხურები ... “ (39, გვ. 135). სწორედ ამ მეუდაბნოე-განდეგილთა მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული „ცხოვრება-მოქალაქობათა“ უანრის ნაწარმოებთა შექმნა.

„ცხოვრებათა“ უანრის ქართულ აგიოგრაფიულ ნაწარმოებებთან შესადარებლად შეგნებულად შევარჩიეთ ის „ცხოვრებათა“ უანრის ნათარგმნი აგიოგრაფიული თხზულებები, რომლებიც სიუჟეტურ-კომპოზიციური თვალსაზრისით შედარებით ახლოს იდგნენ ჩვენს ორიგინალურ ნაწარმოებებთან, რამდენადაც ქართულ ორიგინალურ აგიოგრაფიაში არ მოგვეპოვება „ცხოვრება-მოქალაქობის“ ძეგლები განდეგილობის იმ უჩვეულო ფორმაზე, როგორიცაა, მაგალითად, „მესვეტეობა“ და „სალოსობა“, რომლებიც ჩამოყალიბდა სირიასა და პალესტინაში. „მესვეტეობი“, როგორც ცნობილია, ქრისტეს სიყვარულისთვის, მოღვაწეობის მრავალ წელს ატარებდნენ სვეტზე აღმართული. უნდა ითქვას, რომ საქართველოში, კერძოდ, ჭყონდიდში XI ს-ში დაფიქსირებულია იოანე მესვეტის სახელი, გვიანდელი სვეტების არსებობა დაფიქსირებულია აგრეთვე უბისაში და მარტყოფში, მაგრამ როგორც გ-გაბიძაშვილი აღნიშნავს, „ასეთი მოღვაწის შესახებ „ცხოვრება“ არ დაწერილა“ (10, გვ. 57).

რაც შეეხება განდეგილობის ერთ-ერთ სახეობას – „სალოსობას“, რომლის მიმდევრებიც ქედმაღლობის დათრგუნვის მიზნით საზოგადოებას თავს აჩვენებდნენ სულელებად და რის გამოც ისინი „ქრისტესთვის სულელების“ სახელით ინათლებოდნენ, „ქართლის ცხოვრების“ გადმოცემით საქართველოშიც უპოვნია გამოძახილი, მაგრამ არა იმ დონის ინტერესით, რომ მათზე „ცხოვრება“ დაწერილიყო.

აქედან გამომდინარე, შესადარებელ მასალად გამოვიყენეთ ისეთ დიდ წმინდა მამათა „ცხოვრებანი“, როგორებიც არიან ანტონი დიდი, იოვანე თქროპირი, საბა განწმენდილი, ეფრემ ასური და თევდოსი დიდი.

1. სიუჟეტური თვალსაზრისით აგიოგრაფიულ ნაწარმოებებში თითქმის დაკანონებულია ნაწარმოების შექმნისა და წმინდანის გარდაცვალების დათარიღების, ასევე ეპოქის დახასიათებისა და ავტორის ვინაობის აღნიშვნა. „საბა განწმენდილის ცხოვრებაში“ მოცემულია წმინდანის მოღვაწეობის და აღსასრულის დრო: „აღესრულა ნეტარი ესე დეკემბერისა თუესა ხუთსა, ინდიკტიონსა ათსა დასაბამსა, ვინავთგან იწყო სოფლისა შესაქმედ მზისა სლვად, არიან წელი ეჭუს ათას ოცდაოთხ ... ხოლო უამნი ჭორციელად ცხოვრებისა მისისანი ესრცო არიან: ოდეს მოვიდა პალესტინედ, იყო იგი ათრვამეტის წლის. დაყო მონასტერსა შინა ათშვდმეტი წელი, ხოლო უდაბნოთა და დიდსა ლავრასა ერგასის და ცხრავ წელი. დაასრულა ოთხმეოცდათოთხმეტი წელი პასაკისა მისისა უამნი შემდგომად მეფობისა დამპადისა და ორესტის მეორისა“ (48, გვ. 115).<sup>1</sup>

ასევე დათარიღებულია ეფრემ ასურის გარდაცვალებაც. ეფრემმა „შეპვედრა სული თვისი პატიოსანი ჭელთა შინა ანგელოზთასა თუესა ფებერვალსა და დღესა დადეგსა პირველსა თვისასა“ (41, გვ. 232).<sup>2</sup>

რაც შეეხება ავტორის ვინაობის გარკვევას, „ანტონი დიდის ცხოვრებაში“ გამჟღავნებულია, რომ თხზულება „ადიწერა ათანასისგან ეპიკოპოსისა ალექსანდრელისა სადიდებელად სამებისა წმიდისა“ (2, გვ. 53).<sup>3</sup>

2. ნათარგმნ აგიოგრაფიულ თხზულებებშიც ავტორი, აგიოგრაფისთვის დამახასიათებელი მორიდებითა და დრმა განცდით განუმარტავს მკითხველს მის სურვილს წმინდანის ცხოვრების აღწერის წამოწყებაზე და ითხოვს მიზევებას და უფლის შეწევნას ამ ფრიად სასარგებლო საქმის წარმართვაში. „საბა განწმენდილის ცხოვრებაში“ აგიოგრაფი ასეთი სიტყვებით მიმართავს მკითხველს: „კურთხეულ არს დმერთი და მამავ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, რომელმან თქუენი გულსმოდგინებად აღადგინა სრულიად და მე დირს მყო, არადირსი, აღწერად ღმრთისმოყუარეთა წმიდათა მათ მამათა წინა-აღსრულებულთა, ევთვმისთვის და საბავსთვის, ზოგად ყოფისა. რამეთუ მე

<sup>1</sup> ვიმოწმებთ: „ცხოვრებად ნეტარისა მამისა ჩუენისა საბავსი“. - „მამათა ცხოვრებანი“ (ბრიტანეთის მუზეუმის ქართული ხელნაწერი XI საუკუნისა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ვახტანგ იმნაიშვილმა, თბ., 1975.

<sup>2</sup> ვიმოწმებთ: „ცხოვრებად და განგებად წმიდისა მამისა ჩუენისა უდაბნოსა მთიებისა და მონაზონთა მოძღვრისა ეფრემისი“. - „მამათა ცხოვრებანი“ (ბრიტანეთის მუზეუმის ქართული ხელნაწერი XI საუკუნისა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ვახტანგ იმნაიშვილმა, თბ., 1975.

<sup>3</sup> ვიმოწმებთ: „ცხოვრებად წმიდისა მამისა ჩუენისა ანტონისი“. - „მამათა ცხოვრებანი“ (ბრიტანეთის მუზეუმის ქართული ხელნაწერი XI საუკუნისა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ვახტანგ იმნაიშვილმა, თბ., 1975.

საწყალობელსა სიმრავლითა მოწყალებისა მისისავთა ნაწუეთი სიტყუათა მათთავ დამწუთა აღებითა პირისა ჩემისავთა, რავთა ვიღუწიდე ბრძანებისაებრ“ (48, გვ. 56).

ხოლო „ეფრემ ასურის ცხოვრებაში“ ავტორი განაცხადებს: „ვიწყო შეწევნითა დმრთისავთა და ძალითა უფლისა და მაცხოვრისა ჩუენისა იქსუ ქრისტესითა და მეოხებითა წმიდისა დმრთისმშობლისავთა და შოვამდგომელობითა სულისა წმიდისავთა, რამეთუ იგი არს დასაბამ და სრულება სიტყვსა ამის ჩუენისა უძლურისა“ (41, გვ. 211).

„ანტონი დიდის ცხოვრების“ აგიოგრაფი კი კრძალვით შენიშნავს: „ითხოეთ ჩემგანცა ცხოვრებისათვს ნეტარისა ანტონისა და სწავლის გინებს, ვითარ-იგი იწყო მონაზონებად და რავ-იგი იყო უწინარცს მისა და რაბამი აქუნდა აღსასრული ცხოვრებისავ...“

რავთა თქუნცა მისა მობაძავად თავნი თჯსნი მოიყვანნეთ, მრავალთა უქუნ გულსმოდგინებითა შევიწყნარე თქუნმიერი ესე ბრძანებად, რამეთუ ჩემდაცა დიდ შესაძინელ სარგებლის არს ანტონისი ესე მოწსენებად... შემდგომად დაკპრვებისა მის კაცისა ინებოთ ბაძვად მისსა მას გულსმოდგინებასა, რამეთუ არს მონაზონთა დიდ ხატ მონაზონებისა ანტონისი იგი ცხოვრებად“ (2, გვ. 9).

3. აგიოგრაფს, რამდენადაც ის ჭეშმარიტების მქადაგებელია, აქვს სურვილი, მიუთითოს იმ სარწმუნო წყაროზე, რომელზე დაყრდნობითაც ის აღწერს ამა თუ იმ წმინდანის „ცხოვრებას“. ხოლო ამ წყაროს წარმოადგენენ ის სულიერი შვილები, რომლებიც ახლო ურთიერთობაში იყვნენ წმინდა მამებთან.

„საბა განწმენდილის ცხოვრებაში“ აგიოგრაფი აღნიშნავს, რომ „ესეცა, რაოდენი აღვწერე მცირედ და შრომით, ვითარცა უფსკრულისაგან სიმრავლითა უამთავთა, ეგრე შევკრიბენ საქმენი და სიტყუანი მისნი, რავთა შემდგომად უამთა ამათ მისნი იგი სწავლანი სარგებელ ეყვნენ სულთა ჩუენთა. ან ესერა სრულიად მოვიწიე უამსა ამას ამისთვს, და რავთა მცირედ ნურავ ვთქუათ, ნეტარისა მამისა ჩუენისა საბავსი აღვწერე, ვიზრუნე, დავშუერ გულსმოდგინედ ჭეშმარიტაგან და ლირსთა მამათა თანა-მყოფთა და თანა-მოღუაწეთა მისთა“ (48, გვ. 56).

ხოლო „იოვანე ოქროპირის ცხოვრების“ ავტორი შენიშნავს, რომ „მე არარავ ვიხილე ამათგანი, არამედ შევკრიბე და შევაერთე მათ მიერ, რომელთა აღეწერა. და უმრავლესი ამათ თქუმულთაგანი პალადიოს ებისკოპოზისაგან ვისწავე წიგნისა მისგან, რომელი მიეწერა მას თუოდორე დიაკონისადა, რომელი

იყო პრომისა ეკლესიისათ... ზოგი ვისწავე სოკრატოდს მიერ და სხუათა მრავალთაგან. ხოლო მე, რაუამს წარვიკითხე ესე ყოველი, ჯერ-მიჩნდა, რათამცა შევკრიბენ ესევითარნი სათნოებანი და შევაერთენ ურთიერთას, ვითარცა ჯაჭუნი ოქროვსანი. და არა ვინებე დატევებად მათი განბნეულად და განყოფილად, არამედ გაუწყე თქუენ ესე ყოველი ერთსა წიგნსა შინა და არა თუ მე შე-რადმე-ურთე თავით ჩემით წიგნსა ამას“ (19, გვ. 2).<sup>1</sup>

„ანტონი დიდის ცხოვრების“ აგიოგრაფი კი მკითხველს ამცნობს, რომ „იგი მე უწყი, რამეთუ მრავალგზის მეხილვა და სწავლად შეუძლე მათგან, რომელნი-იგი შეუდგეს მცირედ ჟამ და წყალსა ჭელთა სცემდეს, ესე მიწურად ღმრთისმოშიშებისა თქუენისა, ვისწრაფე ყოვლით კერძოვე ჭეშმარიტებისათვს, ვიზრუნე, რათა არა უმეტესი ვისმე ესმეს და ურწმუნო იქმნეს, ანუ თუ უნაკლულცს ჯეროვნისა მის ისწაოს და შეურაცხ-ყოს კაცი იგი“ (2, გვ. 9-10).

4. „ცხოვრებათა“ უანრის ნათარგმნ აგიოგრაფიულ თხზულებებშიც ფრიად გავრცელებული მოტივია თანატოლთაგან წმინდანის გამორჩეულობა ამა თუ იმ ნიშნით სიყრმეში, რაც მათ ქარიზმატულობაზე მეტყველებს. ხოლო ეს გამორჩეული, დამახასიათებელი ნიშან-თვისებები კი შემდეგნაირად აისახება თხზულებებში:

ა) წმინდანთა ეროვნული და სოციალური წარმომავლობის აღწერა აუცილებელი კომპონენტია აგიოგრაფიული ნაწარმოებისა. ზოგიერთი მათგანი არისტოკრატულ წრეს მიეკუთვნება, ხოლო ზოგიც – შედარებით დაბალ ფეხას.

მაგალითად, იოვანე ოქროპირი „იყო ანტიოქიათ ქალაქით, რომელ არს ასურეთისათ, მც ერთისა წარჩინებულთაგანისათ მის ქალაქისათ, სახელით საკუნძოს, ბრწყინვალც სიმდიდრითა ფრიადითა. და იყო იგი რიცხვსაგან სპასალართაისა. და სახელი დედისა მისისათ ანთოსის, და იყო იგი ასული ერთისა მთავართაგანისათ მის ქალაქისათ“ (19, გვ. 3). ანტონი დიდი კი იყო „ნათესავით მეგპტელი, აზნაურთაგან მამა-დედათაისა და მონაგები დიდი აქუნდა, და რამეთუ ქრისტიანე იყვნეს იგინი და ქრისტეანებრ აღზრდილ იყო ესეცა“ (2, გვ. 10).

დიდგვაროვანი ოჯახის წარმომადგენლები არიან აგრეთვე საბა განწმენდილი და ეფრემ ასური, ხოლო თევდოსი „კაბადუკიათ კერძო დაბად არს, რომელსა პრქან მოდარიასოს. ამას დაბასა შინა იშვა წმიდა ესე

<sup>1</sup> ვიმოწმებთ: „იოვანე ოქროპირის ცხოვრების“ ძველი ქართული თარგმანი და მისი თავისებურებანი 968 ხელაწერის მიხედვით, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ო. გვარამიამ, თბ., 1986.

თევდოსი ძირისაგან პატიოსანი, ნაყოფი ტკბილი. ხოლო მამასა მისსა ერქუა ბარურიასიოს და დედასა ევლოგია. და იყვნეს იგინი კეთილად მორწმუნე და შუენიერ საქმითა“ (49, გვ. 184).<sup>1</sup>

ბ) მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა თხზულებებში წმინდანის გარეგნულ მონაცემებსაც. შემდეგი სიტყვებით აღწერს ავტორი იოვანე ოქროპირს: „და იყო იოვანე სიყრმითგანვე სახითა მყუდრო და გონიერ“ (19, გვ. 3).

გ) წმინდანები გამოირჩევიან სწავლისადმი განსაკუთრებული მიღგომით. იოვანე ოქროპირი, როდესაც მოიზარდა და „მოიწია სწავლისა ჟამთა წმიდათა წიგნთაგან, მისცეს იგი ერთსა მოძღუარსა, რათა ისწაოს სწავლად. და იყო ყრმად ესე ფრიად შემწყნარებელ, და დაისწავლნა მცირედთა ჟამთა სწავლის მოყუარებითა მით მისითა საღმრთონი წიგნი ... და აიძულებდა თავსა თჯსა დღე და დამე სწავლად, ვიდრემდის დაასრულა ყოველი სწავლად“ (19, გვ. 3).

ეფრემ ასური კი „დღითი-დღედ ჰმატებდა წადიერებითა და მოსწრაფებით სწავლასა სარგებელისათვს სულისა თვისისა“ (41, გვ. 212).

ხოლო საბა განწმენდილი „წიგნის მკითხველ იყო დაწესებით სიყრმითგან სიმდაბლესა შინა. და ყოველთა შოვრის გამობრწყინდა ღმრთისმსახურად ჭაბუკი ესე“ (48, გვ. 57).

დ) ბავშვობაში ღრმა რელიგიურობა, ღვთის მოშიშობა და ცოტნებათა დაძლევა დამახასიათებელი ელემენტია წმინდანისათვის: საბა განწმენდილმა „განიშოვრნა მისგან გულისთქუმანი ბოროტნი და ძილისა სიმძიმე და მარხვასა თანა ჭორცითაცა ფრიად შურებოდა...

ყოვლითა წრაფითა და გულსმოდგინებითა სული თჯი დაიმდაბლა მარხვითა, ხოლო ჭორცნი შრომითა დააჭინვნა... და ამათ ყოველთა უმჯობესად გამოჩნდა ესე სიმდაბლითა, მორჩილებითა და ღმრთისმსახურებითა“ (48, გვ. 58).

ეფრემ ასური კი „მოსწრაფე იყო მარხვასა და ლოცვასა; და წადიერად და გულსმოდგინედ მიისწრაფინ ეკლესიად, რათამცა ისმინა წიგნთაგან წმიდათა. და შევიდა წმიდისა ამის ამბა იაკობ ეპისკოპოსისა თანა საეპისკოპოსოს და ისწრაფდა მუნამდის, ვიდრემდის იქმნა ამბაძველ წმიდისა მის“ (41, გვ. 212).

ე) დაბადებამდე ან დაბადების შემდეგ უფლისაგან წმინდანთა გამორჩეულობა და ხელდასმა კიდევ ერთხელ მიანიშნებს მათ განსაკუთრებულობაზე. ეფრემ ასური „გამოირჩია იგი ღმერთმან დედის მუცლით

<sup>1</sup> ვიმოწმებთ: „ცხორებად წმიდისა მამისა ჩუენისა თევდოსისი“. - „მამათა ცხორებანი“ (ბრიტანეთის მუზეუმის ქართული ხელნაწერი XI საუკუნისა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ვახტანგ იმნაიშვილმა, თბ., 1975.

თუ სიოთგან, ვითარცა იერემია წინაწარმეტყუელი, რათა ამხილოს ყოველსა საცოურსა მწვალებელთასა... რამეთუ ვერ შემძლებელ იყვნეს მიღრეკად ნებისა მათისაებრ მადლისა მისგან, რომელი წინააღსწარ ვაჭსენეთ მისთვის, რომელიცა-იგი პფარვიდა მას“ (41, გვ. 211).

ხოლო საბა განწმენდილი „გამორჩეულ იყო ღმრთისა მიერ ვიდრე შესაქმემდე მისად და შობად, ვითარცა დიდი წინაწარმეტყუელი იერემია“ (48, გვ. 57).

იოვანე ოქროპირი კი როდესაც მონათლა ანტიოქიის პატრიარქმა მელეტიმ, „შემდგომად მისა ნათელ-სცა მშობელთა მისთა, რამეთუ ღმერთმან არა ინება, ვითარმცა მშობელი ესევითარისა ამის ვარსკულავისა და მოძღურისა ეკლესიისანი დააკლდეს ნათლის-დებასა და სარწმუნოებასა მისა მიმართ“ (19, გვ. 3).

5. წმინდა მამებს უჩნდებათ განმარტოების სურვილი. ისინი ხშირად უარს ამბობენ ხორციელ პატივზე, დიდებაზე, გლახაკებს ურიგებენ თავიანთ ქონებას და ელტვიან მარტოდმყოფობას. მშობლების გარდაცვალების შემდეგ ანტონი დიდმა, მსგავსად მოციქულებისა, რომლებმაც „ყოველივე დაუტევეს და შეუდგეს მაცხოვარსა“, „რავდენი აქუნდა მას მამა-დედათა მისთა მოგებული ყანები სამასი ნაყოფიერნი და ფრიად კეთილნი, ესე ყოველი მიჰმადლა მდაბურთა... ხოლო სხუად იგი, რად იყო მათი ჭურჭელი, ყოველი განყიდა და შეკრიბა საფასტ დიდძალი და განუყო გლახაკთა“ (2, გვ. 10). შემდეგ ანტონი დიდმა იხილა მონაზონი ბერი „და პბაძვიდა სლვასა და პირველად იწყო მანცა დადგრომად გარეშე დაბისა ადლგილთა და მიერ თუ ვისიმე მონაზონისავ ესმის, გამოვიდის და ეძიებნ მას, ვითარცა ბრძენი ფუტკარი, და არა მიიქცის თვესა ადგილსა, ვიდრემდის-იგი არა იხილის და რეცათუ საგზლად სათნოებისა გზისა მისგან მოიღოს.

და მიერითგან მას ადგილსა იქცეოდა და თვესა გონებასა ასწონდა, რათოამცა მამულსა თვესა არა მიაქცია, არცადა ნათესავთა მოიგსენებდა ყოვლადვე, სურვილი და სწრაფად აქუნდა მას მონაზონებისა სიმტკიცისათვეს“ (2, გვ. 11).

ხოლო „თევდოსი დიდის ცხოვრებაში“ წმინდანმა „ინება განშორებად საქმეთაგან ამის სოფლისათა, რათა განიწმიდოს გონებად თვესი და ყოს იგი სამკუდრებელ ღმრთისა...

და მერმე ინება, რავთა განვიდეს მარტო ბრძოლად პირსა მტერისასა. და გამოვიდა მონასტრისა მისგან ... სიყუარულითა დაყუდებისამთა და მარტოებისამთა და ძიებითა თავსა მონაზონებისასა“ (49, გვ. 184-185).

საბა განწმენდილმაც „შეურაცხ-ყო და განიშოვრა ცხორებად ამის სოფლისად და შევიდა იგი მონასტერსა ...

ხოლო იგი რამეთუ დაცვულ იყო დმრთისა მიერ, გამომრჩია მივრდომად სახლსა დმრთისასა, ვიდრენა ერისკაცობით ცხოვრებასა, და იწურთიდა, რავთა არა განეშოვოს შუენიერებით ცხორებასა მას მონაზონთსა და ზეცისა მოქალაქეობასა“ (48, გვ. 57), რის შემდგომაც „დმრთით სურვილი მოიწია მის ზედა, რავთა მივიდეს იგი ქალაქად წმიდად და დაეყუდოს უდაბნოსა ადგილსა“ (48, გვ. 59).

6. წმინდანებს, მიუხედავად განმარტოების სურვილისა, მეგზურობას უწევენ სულიერი ძმები, ზოგიერთ შემთხვევაში კი ისინი წმინდანის სამყოფელშიც იდებენ ბინას. ასე, მაგალითად, საბა განწმენდილი, როდესაც იმყოფებოდა „უდაბნოთა რუბას, მოვიდა ვინმე მისა მონაზონი დირსად მოქსენებული, რომელსა ერქუა ანოს, და მის თანა იყოფოდა“ (48, გვ. 63).

ხოლო, როდესაც ეფრემ ასური წავიდა „უდაბნოდ ძიებად მამათა წმიდათა განშორებულთა, რომელი იყვნეს მუნ, და პოვა მუნ სენაკი და ქუაბი ერთი უკაცრიელი. შევიდეს მას შინა იგი და თარგმანი მისი და დაადგრეს მას შინა მრავალ დღე“ (41, გვ. 221).

7. წმინდა მამათა ცხოვრება წარმოადგენს მუდმივ სულიერ ღწვას, რაც გამოიხატება მიწიერ ცოუნებათა დათრგუნვაში, გამუდმებულ ლოცვასა და მარხულებაში. მთელი მათი მოღვაწეობა არის დასტური უფლისადმი სიყვარულისა.

საბა განწმენდილმა „მისცა თავი თჯი ყოვლადვე დმერთსა... და განმზადა იგი ღუაწლსა, შრომასა ჭორცითა დღითი-დღე, უძილობით დიდებასა დმრთისასა დამე ყოველ სიმდაბლითა და მორჩილებითა. ესე იყო ძირი და საფუძველი მისისა მონაზონებისად და იყო იგი საჯმარ კანონსა ზედა და დმრთისმსახურებასა და გულსმოდგინე იყო უფროს ყოველთასა წინა შესლვად ეკლესიად და ყოველთა უკუანა ეკლესიით გამოვიდის“ (48, გვ. 60).

ეფრემ ასური კი მონაზვნად გახდომის შემდეგ „აღსასრულადმდე დღეთა ცხორებისა მისისათა არას ჭამდა თჯიერ პურსა ქრთილისასა და ცერცუსა და მხალესა მცირედსა და სუმიდა წყალსა. ხოლო ტყავი მისი შემჯმარ იყო ძუალთა

მისთა ძლიერისა მარხვისაგან და დიდისა შრომისა. და სამოსელი მისი იყო ძუელი, დაბებძული და შეურაცხი“ (41, გვ. 221-222).

თითქმის ამგვარადვე არის აღწერილი იოვანე ოქროპირის სულიერი მოღვაწეობაც. რამდენადაც იოვანე იყო თავისი ქმედებით მისაბამი სხვათათვის, იგი, როგორც პავლე მოციქული ქადაგებდა უსასყიდლოდ, „არას მიიღებდა ეკლესიისაგან, გარნა დღითი დღედ პურსა... და არა უყუარდა მას პურის ჭამად ვისთანამე და თუ ვინმე ხადის, არა მივიდის ამის ესევითარისა მიზეზისათვს ყოვლისა პირველად, რამეთუ არა სუმიდა ლკნოსა ყოლადვე, ხოლო ზაფხულის მიიღის მცირედ სასუმელი ვარდისად სიცხისათვს... და მეორედ, ვნებისა მისთვს, რომელი იყო სტომაქსა მისსა, რომელი შეემთხვა სნებასა მისგან... და მესამედ, რამეთუ უმრავლესნი დღენი მისნი მარხვით გარდავლნის ვიდრე მწუხამდე და ოდესმე ყოლადვე დაავიწყდის ჭამადცა ურვისა მისგან, რომელი აქუნდა ეკლესიისათვს, და მეოთხედ, მარადის კითხვითა წიგნთა საღმრთოთავთა და გულისჯმის-ყოფად ძალი მათი“ (19, გვ. 48-49).

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ წმინდანთა „ცხოვრებებში“ სულიერი მამები მსგავსად მოწამეებისა, აცხადებენ მზადყოფნას მოწამებრივ ცხოვრებაზე. ამის ნათელი დასტურია ანტონი დიდის განაცხადი მაქსიმიანეს მეფობის პერიოდში ქრისტიანთა დევნის დროს: „წარვიდეთ, რათა ვიღუაწოთ ჩუენცა, ვიწოდნეთ თუ, ანუ ვიხილნეთ მოღუაწენი, რამეთუ სურვილი აქუნდა მარტინობად და თავით თვისით მიცემად“ (2, გვ. 32).

8. წმინდა მამები, რამდენადაც უარყოფენ ხორციელ პატივს და დიდებას, უარს ამბობენ ყოველგვარ დაწინაურებაზე და ამჯობინებენ განრიდებას. მაგალითად, თევდოსიმ მონასტერი დატოვა მას შემდეგ, რაც გაიგო, რომ „მონასტრისა მყოფთა უნდა, რათამცა უხუცესად გაიჩინეს იგი რამეთუ უწყოდეს ... სათხოებად მისი“ (49, გვ. 185).

ხოლო „იოვანე ოქროპირის ცხოვრებაში“ ეპისკოპოსს სურდა იოვანეს მღვდლად კურთხევა, „რათა შემდგომად მისა მან დაიპყრას საყდარი მისი ათენას შინა... და ვითარცა გულისჯმა-ყო ესე იოვანე, ივლტოდა იდუმალ და მოვიდა თვისა ქალაქად ანტიოქიად“ (19, გვ. 14).

საბა განწმენდილმაც „ღმრთით-ქმნულსა მას ეკლესიასა“ საკურთხეველი არ დადგა, რადგანაც „არა უნდა მას, რათამცა იქმნა იგი ხუცეს, და არცადა ინება“ (48, გვ. 66), თანაც განაცხადა: „დასაბამი და ძირი არს ბოროტა გულისთქუმათად, რომელსა უნდეს მთავრობის“ (48, გვ. 66).

იშვიათად, მაგრამ ზოგჯერ წმინდა მამები დიდი თხოვნის შედეგად ბოლოს თანხმდებიან შედარებით მაღალ იერარქიულ საფეხურზე ასვლას. ასეთ მაგალითს ვაწყდებით „ეფრემ ასურის ცხოვრებაში“: წმ. ბასილიმ, ოოდესაც პკითხა ეფრემს, თუ რატომ არ იკურთხა იგი ხუცად, ეფრემმა მიუგო: „რამეთუ ცოდვილ ვარ, მამაო. პრქუა მას წმიდამან ბასილი: ნეტარ, თუმცა მე მაქუნდეს ცოდვანი ეგე შენი, არამედ მოვედ და ერთბამად თაყუანის-ვსცეთ. და დასდვა წმიდამან ბასილი ჭელი თჯი თავსა ეფრემისსა და მისცა მას კურთხევად დიაკონობისად ... და უნდა წმიდასა ბასილის, რაითამცა აკურთხა იგი ხუცად, და არა ინება წმიდამან ეფრემ, რამეთუ თქუა, ვითარმედ: არა დირს ვარ, რომელი-იგი არს ჭეშმარიტად დირსი ღმრთისა თანა“ (41, გვ. 224).

9. სულიერ მამებს, რამდენადაც რჩეულნი არიან დგთისაგან ჯერ კიდევ ადრეულ სიყრმეში, უფლისაგან ეკისრებათ გარკვეული სულიერი მისია. მისის თანახმად კი წმინდანებს, რამდენადაც თავიანთი სულიერი ცხოვრებით მაგალითის მიმცემნი არიან საზოგადოებისთვის, ევალებათ ღწვა ქრისტიანობის გავრცელებისა და განმტკიცებისათვის.

ანტონი დიდი „უფალმან დაჭმარხა იგი ჩუქნთჯს და სხუათათჯს სარგებელად, რაითა მონაზონებითა მით, რომ ისწავა მან წიგნთაგან, იყოს იგი მრავალთა მოძღვარ, რამეთუ რომელნი ხედვიდეს მისსა მას ცხოვრებასა, მრავალნი მიპბაძვიდეს“ (2, გვ. 32). ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ანტონის ხილვის შემდეგ თუ როგორ „დაადგრეს ქრისტესთჯს ქალწულებასა“ დანიშნული ქალწულები.

ეფრემ ასურიც „გამოირჩია იგი ღმერთმან დედის მუცლით თჯითგან ... რაითა ამხილის ყოველსა საცოურსა მწვალებელთასა და უნათობდეს ყოველთა მკადრთა ქუეყანისათა ბრწყინვალებითა მოძღურებისა მისისათა“ (41, გვ. 211).

ნიმუშად გავიხსენებოთ კიდევ ერთ საგულისხმო ეპიზოდს „იოვანე თქროპირის ცხოვრებიდან“. წმინდანს ეცხადებიან მოციქულები პეტრე და იოვანე, რომლებიც შემდეგი სიტყვებით მიმართავენ წმინდა მამას: „ნუ დაჭვარავ მადლსა მას ღმრთისასა, მოცემულსა შენდა, რაითა თქუმულითა შენითა განაბრწყინვნე და განამტკიცნე დაბადებულნი მისნი ... შენ ნუ გეშინიან, რამეთუ სათხო-იყო ქრისტემან ღმერთმან შენ მიერ განათლებაო მრავალთა სულთაო და მოყვანებად იგინი მეცნიერებასა მას ჭეშმარიტებისასა. და მრავალნი განსაცდელნი და ჭირნი მოწევნად არიან შენ ზედა უმანკოებისათჯს სულისა შენისა, არამედ შეიწყნარენ იგინი ვითარცა მოღუაწემან ჭეშმარიტმან“ (19, გვ.

18-19). და მართლაც წმინდანის სიყვარულით „მრავალნი ანგიოქელნი მიემსგავსებოდეს ნეტარსა მას და დაუტეობდეს მონაგებთა მათთა და მონაზონ იქმნებოდეს“ (19, გვ. 23).

10. „ცხოვრებათა“ უანრის თხზულებებისათვის დამახასიათებელია, როგორც ზემოთ აღინიშნა, წმინდანთა უფლის, სულიწმინდის წინამძღოლობით სვლა. საბა განწმენდილი „გარდამოვიდა იგი ბორცპსა მისგან წინამძღურებითა დმრთისათა და პოვა ქუაბი იგი“ (48, გვ. 64).

თევდოსისაც, მონასტრიდან წამოსვლის შემდეგ „მოუძღუა მას ლმერთი თავსა ამის მთისასა“ (49, გვ. 185).

ხოლო ეფრემ ასურმა, როდესაც ქრისტიანობის მიმდევრებში იქნა შენიშნული და ამის გამო მამამ გააძევა სახლიდან, „არა უწყოდა, თუ ვინავ წარვიდეს იგი ანუ ვისა მივიდეს. არამედ მადლი იგი ლმრთისად, რომელი დამკავდრებულ იყო მის თანა, სცვიდა მას და წარუძღუა მას ეკლესიად“ (41, გვ. 212).

11. აგიოგრაფიულ თხზულებებში გავრცელებული მოტივია წმინდანთაგან მცირებულოვან ყრმათა დამოწაფება, აღსაზრდელად აყვანა. მაგალითად, თევდოსიმ, რომელიც დაეხმარა ქალს შვილის შეძენაში, ითხოვა ყრმისთვის სახელად თევდოსი ეწოდებინათ, რის შემდეგაც ქალმა ადასრულა მისი თხოვნა და ყრმა „შეწირა იგი ლმრთისა და მონაზონ ქმნა და არს იგი დღესამომდე ჩუენ თანა მონასტერსა ამას შინა შემკული სახელითა მამისა ჩუენისა წმიდისა თევდოსისითა“ (49, გვ. 193).

აგრეთვე ყრმა ეფრემ ასური სახლიდან გამოძევების შემდეგ „მივიდა წმიდისა ამბა იაკობის ეპისკოპოსისა ნასიბინ ქალაქისა... განიხარა მისთვს ფრიად და შეიწყნარა იგი ყოვლითა სიყუარულითა და დაადგინა იგი სადგურსა მას წიგნის მსმენელთა თანა“ (41, გვ. 212). ასევე დაეწაფნენ საბა განწმენდილის „საკურველ“ მოძღვრებას „ივლიანა პატრიკია, ვალენტიანს მეფისა ძისწული, და ანასტასია, პატრიკიოსის ასული“ (48, გვ. 92).

12. წმინდა მამები, მიუხედავად უდაბნოსა და გამოქვაბულებში მარტოდ დაყუდებისა, მაინც იკრებენ ირგვლივ სულიერ თანამოაზრებს, საძმოს, რომელთა რიგები დროთა განმავლობაში იზრდება. „თევდოსის ცხოვრებაში“, „მრავალნი მოვიდოდეს მისა, რაოთა მის თანა იყოფოდიან და იწუართებოდიან მისგან. და დიდითა იძულებითა ნება სცა მათ ამას ზედა. და შეკრბეს მის თანა ექუსნი განა შედნი ძმანი“ (49, გვ. 186).

„საბა განწმენდილის ცხოვრების“ მიხედვით კი საბამ „იწყო შეწყნარებად, რომელნი მოვიდოდეს მისა, მრავალნი განთესულნი მეუდაბნოენი და მძუვარნი მოვიდეს მისა და იყოფოდეს მის თანა... და თითუეულსა მომავალსა მისა მისცის მას მსგავსად თითუეულისა მცირტ სენაკი და ქუაბი. და მადლითა ქრისტისითა შეკრიბნა ძმანი ვითარ სამეოცდაათ ოდენ, ყოველნივე ქრისტისმოყუარენი და ღმერთშემოსილნი“ (48, გვ. 64-65).

ეფრემ ასურმაც შემოიკრიბა სულიერი სამწყსო, რომელთაც „მოეცა მადლი მოძღურებისაგან წმიდისა ეფრემისა... და სხუანიცა მოწაფენი მრავალნი ესხნეს მას“ (41, გვ. 220).

ხოლო ანტონი დიდი „არწმუნებდა მრავალთა გამორჩევად და ყოფად უდაბნოსა.

და ესრცო მიერითგან იყო მთასა ზედა მონასტრები, და უდაბნოდ იქმნა ქალაქ მონაზონთაგან“ (2, გვ. 18).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წმინდა მამები ყურადღებას ამახვილებენ ეპლესიათა მშენებლობაზე, მაგრამ ეპლესიებს აგებენ არა იმ რაოდენობით, როგორსაც ვაწყდებით ქართულ აგიოგრაფიულ თხზულებებში. ისინი უფრო სენაკთა აშენებით არიან დაკავებულნი. ეს ალბათ გამოწვეული იყო ეპოქის მოთხოვნილებების გამო, რადგან იმ პერიოდში გავრცელებული იყო ე. წ. მეუდაბნეულებანდეგილთა მოღვაწეობა. საბა განწმენდილმა წაიყვანა „მამანი ვინმე და აღვიდა კასტელდ და იწყო განწმედად ადგილისა მის და შენებად სენაკებისა, რომელი იპოვებოდა მუნ ქვაო. და ვითარცა თხრიდეს ადგილსა მას, პოვეს ქუეშე სახლი დიდი კამარედად დრეკილი ... და უბრძანა დარღუევად მისი და მათ ქვათაგან აღაშცნა ეკლესია. და განიზრახა, რაითამცა მონასტერ ყო ადგილი იგი, რომელცა იქმნა“ (48, გვ. 71-72).

თვედოსიმაც აგრეთვე „აღაშცნა მონასტერსა შინა ოთხი ეპლესია, და აღეგებოდა მათ შინა ჟამი მრავლითა ენითა“ (49, გვ. 189).

წმინდა მამები თავიანთი ეპლესია-მონასტრებისთვის შეიმუშავებენ გარკვეულ წესდებას. მაგალითად, საბა განწმენდილმა მონასტრის აშენების შემდეგ „დაუდვა მათ კანონი ნეტარმან მან, ვითარცა სხუათა მონასტერთა, რომელნი მას ეშცნებს“ (48, გვ. 85).

13. სულიერ ქმებს ახასიათებთ მორჩილება წმინდანისადმი, თავიანთი სულიერი წინამძღოლისადმი. ისინი უდრტვინველებად ასრულებენ მოძღვრის ბრძანებას. მაგალითისათვის მოგვყავს „საბა განწმენდილის ცხოვრებიდან“ ერთი

ეპიზოდი: მისგან განდგომილ, მწვალებელ სულიერ ძმებზე განაწყენებული საბა, როდესაც ეახლა იერუსალიმის მთავარეპისკოპოს ელიას, „იხილა რავ იგი მთვარეპისკოპოსმან, ფრიად განეხარა და განიყვანა იგი თვისისაგან და ევედრებოდა მას, რაოთამცა უკუნიქცა იგი თვისისა ლავრასა. ხოლო იგი არა-თავს იდებდა, არცა ისმენდა. ამისთვის განრისხნა მთავარეპისკოპოსი და პრქუა მას: გრწმენინ, უკუეთუ არა ისმინო ზრახვისა და ვედრებისა ჩემისად, არღარა იხილო პირი ჩემი, და ვერცა დავითმინო ჟამ ერთ, რაოთა ნაშრომსა შენსა ზედა სხუანი განისუენებდენ. ესე რავ პრქუა მას მთავარეპისკოპოსმან, მამამან ჩუენმან საბა ნებავ მისცა და ადასრულა ბრძანებავ მისი“ (48, გვ. 78).

იოვანე ოქროპირიც, თავის ექსორიობამდე, მოუწოდებს სულიერ შვილებს ახალი ეპისკოპოსის მორჩილებისაკენ: „ამას ვითხოვ თქუენგან, რაოთა არა დააკლოთ მოსწრაფებავ თქუენი ეპლესისაგან მსგავსად წესისა თქუენისა და რომელი მოიყვანონ ჭელთა დასხმად შეერთებითა ყოველთავთა, დაუმდაბლენით ქედნი თქუენნი მას ვითარცა იოვანეს, რამეთუ ვერ ეგების ქურივად დგომავ ეპლესისავ ებისკოპოსისაგან“ (19, გვ. 115).

14. წმინდა მამები ერთმანეთის ხილვისას, საზრდოს მიღებამდე, ხშირად საუბრობენ სულის მარგებელ თემებზე, კითხულობენ საღვთო წიგნებს, ლოცულობენ და შემდეგ შეექცევიან საზრდოს. მაგალითად, თევდოსი დიდი „წარვიდა მონაზონისა ვისამე, რომელსა ზედა იყო მადლი დმრთისავ ... და შეიწყნარა იგი ბერმან მან სიხარულით. და დასხდეს და იტყოდეს სიტყუათა სულიერებისათა და იკითხვიდეს წიგნთა საღმრთოთა.

და ვითარ მოიწია ჟამი პირის ჭინისად, უბრძანა ამბა მაკარი მოწაფესა თვისისა, რაოთა შეუგბოს მათ ოსპნი“ (49, გვ. 191).

15. წმინდანთა ერთ-ერთი გამორჩეული თვისება არის თავმდაბლობა. ისინი მუდმივად ამტკიცებენ თავიანთ უსუსურობას, უძლურებას და არარაობას უფლის წინაშე. წმინდა მამები არასდროს არ სარგებლობენ ღვთის რჩეულობით, პირიქით, ნიადაგ ეწევიან თვითგანკითხვასა და თვითგანქიქებას.

იოვანე ოქროპირს „ფრიად უყუარდა მას სიმდაბლე და რაოთა ცხონდებოდის მყუდროდ და ლიტონად. და იყო იგიცა საყუარელ ყოველთა მოქალაქეთა და მეცნიერთა მისთაგან სიმდაბლისა მისისათვის, რომელი მოეგო“ (19, გვ. 7). ხოლო როდესაც მოციქულები ხილვის დროს იოვანეს ამცნობენ უფლის ნებას წმინდანისაგან საღვთო დავალების შესრულების შესახებ, წმინდანი შემდეგი სიტყვებით მიმართავთ მათ: „ვინ ვარ მე, უფალნო ჩემნო,

ცოდვილი ესე და „უმცირესი ყოველთა კაცთამ, რათა შემძლებელ ვიქმნე მიმთხუევად სიტყვსა თქუენისაებრ? და არცა დირს ვარ მე ესევითარსა მსახურებასა მოდებად“ (19, გვ. 18).

ასეთივე თავმდაბლობის გრძნობით პყავს აგიოგრაფს წარმოჩენილი ანტონი დიდი, რომელიც „გონიებითაცა უწყინო იყო და სულითა მდაბალ. ესევითარი იყო და კანონსა ეკლესიისასა უფროდსად პატივს-სცემდა, და ყოველთა მღდელთად უნდა უწინარცს თავისა პატივის-პყრობად. ხოლო ეპისკოპოსთა და ხუცესთათვს არა ეკლიმებოდა თავისა თვისისა მოდრეცა ... და თუ ვინმე დიაკონი მისა მოვიდის სარგებელისათვს სულიერისა, სიტყუასა აღსაშენებელსა იგი უთხრობნ მას, ხოლო ლოცვად მას ყოფად სცის. და არავე ეკლიმებინ სწავლად მისგან, და რამეთუ მრავალგზის ჰკითხავნ და ევედრებინ სმენად მისგან, რომელნი-იგი მისრულ არიედ, და აღიარის, ვითარმედ სარგებელ მეყვის, თუ ვინმე საჭმარი სიტყუად თქვე“ (2, გვ. 41).

თავმდაბლობით გამოირჩევიან აგრეთვე საბა განწმენდილი, ეფრემ ასური და თევდოსი დიდი.

16. აგიოგრაფიულ თხზულებებში ძალიან გავრცელებულია წმინდანთა მიერ თავიანთი ადგილ-სამყოფელისა და საქმიანობის დამალვა. მაგრამ მიუხედავად მათგან არ გახმიანებისა, უფალს უყვარს თავისი სულიერი შვილები და სურს ნათელი მოჰყინოს მათ დვაწლს.

„ანტონი დიდის ცხოვრებაში“ „მაცხუვარმან ჩუენმან იესუ ქრისტემან მადიდებელნი თვისნი ადიდნის. და რომელნი ჰმონებედ მას ვიდრე აღსასრულადმდე, არა ხოლო თუ სასუფეველსა ცათასა შეიყვანნის, არამედ აქაცა დაფარულნი და რომელნი იხწრაფიედ განშორებად სოფლისაგან, განცხადებულ და განთქმულ ყვნის მათითა სათხოებითა და სხუათა სარგებლისათვს ყოველსა ადგილსა ადიდნის“ (2, გვ. 53).

„ეფრემ ასურის ცხოვრებაში“ კი მას შემდეგ, რაც ურპაელი ხალხი კეთილად და სიყვარულით განეწყო ეფრემის მიმართ, მან „ვითარ აგრძნა მოსლვად მათი, წარივლტოდა ადგილისაგან თვისისა“. და ამ დროს ხევში ჩამავალს გამოეცხადა ანგელოზი და ჰკითხა, თუ სად მიიღოვოდა, რაზეც ეფრემისგან მიიღო შემდეგი პასუხი: „ვივლტი სოფლისა შფოთისაგან. ჰრქუა მას ანგელოზმან მან: ეკრძალე, რათა არა აღესრულოს შენ ზედა სიტყუად იგი წერილისად, რომელი თქუმულ არს, ვითარმედ: ეფრემ ივლტოდა ჩემგან, ვითარცა ჯბორ ... მან მიუგო ტირილით და ჰრქუა: უფალო, რამეთუ მე უძლური ვარი და

არა ლირს ვარი ამას. მაშინ მიუგო ანგელოზმან და ჰრქია: შ, კაცო, არა ჯერ-არს კაცისა აღნთებად სანთელი და დაფარვად ჭკმირსა ქუეშე, არამედ დადებად იგი სასანთლესა ზედა, რათა ხედვიდეს ყოველი კაცი ნათელსა მისსა“ (41, გვ. 219).

რაც შეეხება თევდოსის მოდვაწეობას, „განითქუა საქმი მისი, და განცხადნეს სათნოებანი მისი, ვითარცა წერილი იტყვს, ვითარმედ: კერ შესაძლებელ არს დაფარვად ქალაქი, რომელი მთასა ზედა დაშვენებულ იყო“ (49, გვ. 186).

ანალოგიური ბიბლიური სიტყვებით, თითქმის პერიფრაზით არის გადმოცემული „იოვანე ოქროპირის ცხოვრებაში“ უფლისაგან წმინდანის დვაწლის გაცხადების შესახებ. მოგვყავს ციტატი: იოვანე „განბრწყინდა სათნოებითა, რამეთუ კერ შესაძლებელ არს დაფარვად ქალაქი, რომელი მთასა ზედა დაშვენებულ არს, და არცა სანთელი ბრწყინვალც დაფარის ჭკმირმან“ (19, გვ. 128).

17. აგიოგრაფიულ თხზულებებში აღწერილია თავიანთი მოდვაწეობის ფარგლებს გარეთაც თუ როგორ განითქვამენ სახელს წმინდა მამები, რომლის შემდეგაც მათკენ მიისწრაფიან საერო, მათ შორის მეფე, და მადალჩინოსანი ადამიანები, და სასულიერო პირები და ითხოვენ ლოცვა-კუროთხევას.

იოვანე ოქროპირთან მოდიოდნენ, „რადთამცა იხილეს ცხორებად მისი, რამეთუ არა დაკლებულ იყო წმიდათაგან არცა სარწმუნოებითა და არცა მოღუაწებითა და არცა კადნიერებითა წინაშე ღმრთისა, ხოლო საკითხავთა გამოთქუმითა უზეშთაეს იყო ყოველთასა. და განითქუა ჰამბავი მისი ყოველსა მას ქუეყანასა, და ყოველთა შორიელთა გუწყა მისთვს და მოვიდოდეს სმენად სიტყუათა მისთა“ (19, გვ. 20). აგრეთვე „მოვიდა მეფე და მის თანა მოვარნი და მეინაჭენი და სპასალარნი ეკლესიად, რათა იკუროთხენ ნეტარისა იოვანცსეგან“ (19, გვ. 42).

თევდოსი დიდი კი „იქმნა მას შინა მონაზონთა ნუგეშინის-საცემელი და უცხოთა და გლახაკთა. და იქმნა შესავედრებელ ყოველთა, რომელნი მისა მიივლტიან. და წმიდად იგი შეიწყნარებდა სიხარულით ყოველნი რომელნი მოვიდოდეს მისა, და გაუსუენებდა“ (49, გვ. 188).

ასევე გავრცელდა საბა განწმენდილის „სიდიდც მისი და მოვიდოდეს მისა მრავალნი სკუთოპოლელნი და გადარელნი“ (48, გვ. 76).

ხოლო ანტონი დიდის სანახავად მოდიოდნენ არა მხოლოდ ქრისტიანები, არამედ წარმართებიც: „მოქალაქენი ყოველნი მოვიდოდეს ხილვად ანტონისა და წარმართნიცა იგი, რომელთა პრქპან მათ მიერ მდდელნი მათნი, უკლესიად მოკრბებოდეს და ეტყოდეს: ვევედრებით ხილვად კაცსა მას ღმრთისასა, რამეთუ ყოველნი ესრულ ხედვიდეს მას“ (2, გვ. 42).

არის შემთხვევები, როდესაც წმინდა მამები თვითონვე მიდიან სულიერი შვილების და ძმების სანახავად. ასე, მაგალითად, ანტონი დიდს „ევედრებოდეს ოდესმე მონაზონნი, რაღამცა მივიდა მათთა და იხილნა. იგინი მრავლით უამით არა ეხილვნეს და ადგილი მათი და წარმოემართა მათ თანა, რომელნი-იგი მისრულ იყვნეს მისა ... ვითარ მოვიდა გარე მონასტრებსა, ყოველნივე ვითარცა მამასა თჯსსა მიეგებვოდეს, ამბორს-უყოფდეს. და მას ვითარცა საგზალი დიდი რაღმე მოაქუნდა მთით და ისტუმრებდა მათ ყოველთა სიტყვა და მისცემდა სარგებელსა“ (2, გვ. 35).

საბა განწმენდილიც „ბრძანებითა ღმრთისავთა წარვიდა იგი ხილვად მთავარებისკოპოსისა ელიავსა“ (48, გვ. 102), რომელიც იმყოფებოდა ექსორიობაში.

18. ნათარგმნ აგიოგრაფიულ თხზულებებში, ქართული ორიგინალური აგიოგრაფიული თზულებების მსგავსად სათანადო ყურადღება მახვილდება სასულიერო და საერო პირთა ურთიერთდამოკიდებულების ასახვაზე. თხზულებებში აღწერილ ეპიზოდებში ჩანს, რომ სასულიერო პირებს მოწიწებითა და დიდი პატივით ეგებებიან ხელისუფალნი. მეფემ, როდესაც გაიგო საბა განწმენდილის მისვლა, „განიხარა ფრიად და ბრძანა სამეფოთა ნავთა მიგებებად მისა ... და მირბიოდა მეფე და თავყანის-სცა და სიხარულითა ცრემლით ამბორს-უყო თავსა მისსა“ (48, გვ. 109).

„ანტონი დიდის ცხოვრებაში“ კი საერო და სასულიერო პირებს შორის ურთიერთობის წარმოჩენისას ვხვდებით შემთხვევას, რომელიც მოგვაგონებს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ აღწერილ ერთ ეპიზოდს. კერძოდ, ბაგრატ მეფისა და საბა იშხნელის შეხვედრის ეპიზოდს. მოგვყავს მაგალითი „ანტონი დიდის ცხოვრებიდან“: ანტონის ლვაწლის შესახებ როდესაც გაიგეს მეფემ და მისმა ძეებმა, ანტონს „მოსწერდეს მისა, ვითარცა მამისა. და ილოცვედ მიღებად წიგნისა მისგან. არამედ არცადა წიგნი იგი დიდ რაღმე შეერაცხა და არცადა ებისტოლისა მისთვის თავი სთნდა, არამედ იგივე იყო, ვითარცა-იგი ვიდრე მოწერადმდე მისა მეფეთა. ოდეს მუართუეს მას წიგნი, მოუწოდა მონაზონთა და

ეტყოდა: რაისა გიკრს, უკუეთუ მოსწერს მეფე ჩუენდა? რამეთუ კაცივე არს, არამედ უფროდსლა გიკრდინ, რამეთუ ღმერთმან შჯული კაცთა მოუწერა და ძისაგან თვისისა გუეტყოდა ჩუენ; უნდა, რაითამცა არცა მოილო წიგნი“ (2, გვ. 47), მაგრამ მას შემდეგ, რაც ანტონმა შეიტყო მეფის ქრისტიანობა, საპასუხო წერილი მისწერათ, რომელშიც შეიწყნარებდათ და თან აფრთხილებდათ, რომ „ნუ დიდად მოგითუალავს წარმავალი ესე, არამედ უფროდსლა მოიგსენებდით მერმესა მას საშჯელსა და უწყოდეთ, რამეთუ ქრისტე მხოლოდ ჭეშმარიტი, საუკუნე მეუფე არს“ (2, გვ. 47).

საერო ხელისუფალნი უზრუნველყოფენ სასულიერო პირებს მატერიალურად და ნივთიერად ეპლესიების, საავადმყოფოების და გლახაკთა თავშესაფარი ადგილების მშენებლობის დროს, სანაცვლოდ კი ითხოვენ წმინდა მამებისგან კურთხევას.

სანიმუშოდ „საბა განწმენდილის ცხოვრებიდან“ მოგვავს ერთი ეპიზოდი, რომელშიც წარიმართება დიალოგი საბასა და მეფეს შორის: „მოუწოდა მეფემან ნეტარსა საბას და პრქუა მას: მასმიეს მე, მამაო, ვითარმედ მრავალნი მონასტერნი აღგიშენებიან უდაბნოს. უკუეთუ ჯერ-იჩინო, ითხოვე სოფლები სამსახურებელად მონასტერთათვს და, სადაცა ინებო, მიგცეთ ჩუენ, რაითა გპლოცვიდენ ჩუენ იგინი...“

და რაოდენი რა ითხოვა მამამან ჩუენმან საბა, ღმრთისმსახურმან მეფემან ჩუენმან გარდაუქცეველად ყოველივე ყო“ (48, გვ. 110-111).

„ეფრემ ასურის ცხოვრებაში“ კი აღწერილია შუამდინარეთში, შიმშილობის უამს, თუ როგორ მოუწოდა ეფრემმა მდიდრებს ქონების გაცემისკენ. მათ კი საპასუხოდ მიუგეს ეფრემს შემდეგი: „ვერ ვპოვებთ კაცსა მართალსა რწმუნებად ხუასტაგისა ჩუენისა და ღუწად გლახაკთა, რომელნი-იგი კუდებიან შიმშილითა, რამეთუ ყოველივე მზაკუავს ჩუენ და ყოველსავე, რომელსაცა ზედა ვარწმუნებოთ, ზაკუვენ იგინი... ჩუენ გურწამ, ვითარმედ კაცი ღმრთისად ხარი შენ ჭეშმარიტად, ნების-მყოფელი მისი... ხოლო მან პრქუა მათ: უკუეთუ ესრცო მხედავთ, საყუარელნო, სარწმუნო მყავთ ამას საჯმარსა ზედა, და მე აპა ესერა სარგებლისათვს სულთა თქუენთაისა ვიქმენი ქსენადოქარად, რომელ არს უცხოთა მსახურებად...“

და იწყო აგებად სარეცელებისა ქალაქსა შინა და შემზადნა ადგილნი და სიმარჯუენი სამსახურებელად სნეულთა და უძლურთა და გლახაკთა, და შექმნა

სამასი სარეცელები რომელნიმე სნეულთათვს და რომელნიმე სამკუდროდ“ (41, გვ. 231-232).

წმინდა მამებს ეპლესიათა მშენებლობის დროს მატერიალურად ეხმარებიან აგრეთვე სხვა სულიერი მამები. მაგალითად, ეპლესის მშენებლობის დროს, როდესაც საკმარისი საზრდელი არ ჰქონდათ საბას და მის სულიერ ძმებს, მამასახლის მარკიანეს გამოეცხადა ანგელოზი და სთხოვა ცოტაოდენი დახმარება და შეწევნა საბასთვის და სულიერი ძმებისთვის. ამის შემდეგ „დიდი მარკიანე მეყსეულად აღდგა და უბრძანა დასხმად კაპრაულთა მონასტრისათად და აღპკიდა მათ საზრდელი პირად-პირადი და წარპმართნა ძმანი, რათა მიართუან იგი ... და უგულსმოდგინე იქმნა შცნებასა მონასტრისასა ნეტარი საბა“ (48, გვ. 72).

19. წმინდანები სშირად იცვლიან ადგილმდებარეობას, რის გამოც მათ უწევთ ტირილით გამომშვიდობება თავის სულიერ მოწაფეებსა და ძმებთან. ტირილით ურთიერთგამომშვიდობება ასევე დამახასიათებელია წმინდანის სიკვდილის მოახლოების წინ.

უფლის ნებით, როდესაც იოვანე ოქროპირი ეპისკოპოს ფლაბიანეს მიერ ხუცად უნდა კურთხეულიყო და გადასულიყო ანტიოქიას, გულდაწყვეტილი სულიერი სამწყსო „ტიროდეს და დაალტობდეს ქუეყანასა ცრემლითა და იტყოდეს: „ვად ჩუენდა, რომელსა-ესე დღეს დავაკლდებით. ვინ განკურნოს წყლულებად სულთა ჩუენთად და ვინ გუასწაოს ჭინად ჩუენი და ვინ მიუძღუეს სულთა ჩუენთა ცხორებად ჭეშმარიტად, რამეთუ დავაკლდით დიდსა კეთილსა, ვინათებან ობოლ ვიქმნენით მამისა ჩუენისაგან“ (19, გვ. 30). წმინდა მამას ასეთივე გულისტკივილით ემშვიდობებიან სულიერი ძმები და მოწაფეები მისი ანტიოქიიდან განდევნის წინ, გარდაცვალებამდე ცოტა სხით ადრე. წმინდანი შემდეგი სიტყვებით მიმართავს ძმებს: „მოვედით, ასულნო ჩემნო და ისმინეთ ჩემი, რამეთუ ვითარ ვხედავ, დასრულებულ არს საქმე ჩემი და „აღმისრულებიეს სრბად ჩემი და დამიმარხავს სარწმუნოებად“. ამიერითგან არღარა იხილოთ პირი ჩემი ჭორციელად, და ამას ვითხოვ თქუენგან, რათა არა დააკლოთ მოსწრაფებად თქუენი ეპლესიისაგან მსგავსად წესისა თქუენისა... და ესრეთ გეფავნ თქუენ წყალობად, ოდეს მომიჯსენოთ მე თქუენ ლოცათა შინა“ (19, გვ. 115).

ანტონი დიდმაც, როდესაც სულიერ შვილებს ამცნო თავისი ადსასრულის მოახლოება, „მათ ვითარცა ესმა, ტიროდეს და გარემოებულეოდეს და ამბორს-უყოფდეს ბერსა მას“ (2, გვ. 50).

20. წმინდა მამათა გარდაცვალების წინ მათთან თავს იყრიან სულიერი ძმები, შვილები, რომელთაც წმინდანი ლოცავთ, აკურთხებთ და მოუწოდებთ უფლის რწმენისაკენ.

თევდოსი დიდის გარდაცვალების წინ „შეკრბეს მისა ყოველნი მამანი მწუხარენი განშორებისა მისისათვის მათგან. და მან პრქუა მათ: მოთმინე იქმნენით, ძმანო და მამანო ჩემნო, ადგილსა ამას და შეიწყნარეთ, რომელი მოვიდეს მას შინა თქუენ ზედა განსაცდელი, მადლობით მიაღსასრულამდე ცხორებისა თქუენისა და ერჩდით მსგავსად ძალისა თქუენისა, რომელი წინაგიძოდიან შემდგომად ჩემსა, და მე მივსცე დმერთსა სიტყუად თქუენთვის დღესა მას სარჩელისასა...“ (49, გვ. 196).

ხოლო ანტონი დიდმა დასნეულების შემდეგ, სიკვდილამდე „მოუწოდა, რომელნი-იგი იყვნეს მის თანა, რამეთუ ორნი იყვნეს... და პრქუა მათ: პა ესერა, ვითარცა წერილ არს, გზასა მამათასა წარვალ, რამეთუ ვხედავ მე თავსა ჩემსა წოდებულსა უფლისა მიერ, ხოლო თქუენ ფრთხილ იყვნით და მრავალთა უამთა შრომასა თქუენსა ნუ წარსწყმედთ... უფროისი მარადის ქრისტესა გსუროდენ და მისი გრწმენინ“ (2, გვ. 51-52).

21. თითქმის იგივე სურათს ვაწყდებით ნათარგმნ აგიოგრაფიულ თხზულებებში წმინდა მამათა გარდაცვალების, დაკრძალვის და გლოვის რიტუალის აღწერის დროს. რიტუალს, რომელშიც აღწერილია ანგელოზთა დასის მოსვლა წმინდა მამათა სასუფეველში წასაყვანად, თან ერთვის წმინდანთა ზიარება, რის გამოც ისინი სულიერად დამშვიდებულები, სრულიად განწმენდილები ავედრებენ უფალს თავს. აგრეთვე წმინდანთა დიდი პატივით დაკრძალვის შემდეგ მორწმუნე საზოგადოებას მიაქვს მათი სამოსლის ნაფლეთები, როგორც ევლოგია, წმინდა ნივთი.

ეფრემ ასურს ვითარცა „ეუწყა მას დღც განსლვისა მისისად, და ბრძანა და ეზიარა წმიდასა საიდუმლოსა ქრისტესა. ხოლო ოდეს ეზიარა, განიპყრნა კელნი თვისნი ზეცად მიმართ და თქუა: უფალო დმერთო ჩემი იესუ ქრისტე, კელთა შინა შენთა შეჭვედრებ სულსა ჩემსა. და ამას სიტყუასა თანა შეჭვედრა სული თვისი პატიოსანი კელთა შინა ანგელოზთასა...

მაშინ შემოკრბეს ყოველნი მოქალაქენი და მდაბიონი და დაპმარხეს იგი დიდითა დიდებითა და პატივითა, და მწუხარე იქმნეს ყოველნივე სიკუდილისა მისისათვის. ყოველსა, რომელსა მოემარჯვს, მიიტაცებდიან სამოსლისა მისისაგან, ვითარცა ევლოგიასა“ (41, გვ. 232).

ეფრემ ასურის მსგავსად მიიცვალა თევდოსი დიდიც. ლოცვის შემდეგ მან შეავედრა უფალს სული და დიდი პატივით დაიკრძალა. ამავდროულად პატივის მისაგებად მისული ხალხი „მოხევდეს სამოსელსა მისსა და ევლოგიად განიყოფდეს“ (49, გვ. 197).

საბა განწმენდილი კი „თჯსსა სენაკსა შევიდა და დაწვა გოდოლსა მას თჯსსა... და დაყო ნეტარმან მან ოთხი დღეს და არარადსად გემოდ იხილა, არცა ვის თანა ზრახვიდა. მწუხარი შაბათსა... მოითხოვა სიწმიდე და ეზიარა და თქუა დასასრულსა: უფალო, კელთა შენთა შევჭედრებ სულსა ჩემსა. და შეპვედრა სული თჯსი...“

და განითქუა ყოველსა ქუეყანასა გარემოს სიკუდილი ამისი, და შეკრბა სიმრავლე მონაზონთად და ერისკაცთად, და მოვიდა მთავარეპისკოპოსი პეტრე და სხუანიცა ეპისკოპოსნი მის თანა და წმიდისა ქალაქისა წარჩინებული კაცნი, და ესრულ პატიოსანნი ნაწილნი მისნი ლავრასა დიდსა დაპკრძალნეს“ (48, გვ. 115).

ანტონი დიდმა სიკვდილის წინ, მას შემდეგ, რაც დაიბარა მისი სამოსელის გაყოფა და მიცემა ეპისკოპოსებზე, როგორც ევლოგიად, მოწაფეებს „ამბორსუყო მათ და განირთხნა ფერწნი თჯსნი და, ვითარცა მეგობართა თჯსთა, ხედვიდა მომავალთა ანგელოზთა და მათთვის მხიარულითა პირითა მოაკლდა და შეეძინა იგი წმიდათა მამათა. ხოლო მათ, ვითარცა მოსცა მცნებად, წარგრაგნეს გუამი იგი მისი სამოსელსა და ქუეყანასა დაპფლეს“ (2, გვ. 52).

ხოლო რაც შეეხება იოვანე თქროპირს, იგი აღესრულა ექსორიობაში. სიკვდილის მოახლოების წინ იოვანე შევიდა ეკლესიაში, „მოითხოა სამოსელი თჯსი სპეტაკი, რომელი შეიმოსის საკურთხეველსა ზედა. და განიძუარცა ყოველი, რაღაც ემოსა და შეიმოსა სპეტაკი იგი სამოსელი მრთელმან და მღვდარემან, და შეიცვალა საგამრობელი, ხოლო ნეშტი იგი განუყო ყოველნი, რომელი იყვნეს მის თანა და ეზიარა საიდუმლოთა ღმრთისათა და ყო ლოცვად იგი უკანასკნელი მუნ მყოფთა ზედა და თქუა სიტყუად იგი, რომელსა ჩუეულ იყო თქუმად: „დიდებად შენდა, უფალო ყოველსა ზედა, ყოვლისათვის!“ და დაპბეჭდა სიტყუასა მისსა „ამენითა“ და განპმარტნა ფერწნი თჯსნი...“

შეპვედრა სული თვისი და თქმა: „კელთა შენთა, უფალო, შეპვედრებ სულსა ჩემსა“. და ესრეთ მიიცვალა იგი ცხორებასა მას საუკუნესა“ (19, გვ. 130-131). მიუხედავად იოვანეს ექსორიობაში აღსრულებისა, მის დაკრძალვაზე შეიკრიბა ლვოისმსახურთა სიმრავლე და აგრეთვე მოდიოდნენ „შამით და კილიკიათ, და პონტოთ და სომხითით“ (19, გვ. 131).

22. ნათარგმნ აგიოგრაფიულ თხზულებებში წმინდა მამათაგან ზოგიერთი მათგანი იკრძალება თავიანთი მოღვაწეობის ადგილზე, ზოგი – ექსორიობაში აღსრულების გამო სრულიად უცხო ეკლესიაში და ზოგიც საკუთარი ანდერძის თანახმად სრულიად უცნობ ადგილას.

საბა განწმენდილის „პატიოსანნი ნაწილნი მისნი ლავრასა დიდსა დაპკრძალნეს შოვა სამთა ეკლესიათა, სადა-იგი წინავთ სუეტი ცეცხლისად იხილა“ (48, გვ. 115).

„იოვანე ოქროპირის ცხოვრების“ მიხედვით ექსორიობაში გარდაცვლილი წმინდანის ცხედარი დაფლეს და „დადგეს შეწებვით საფლავსა მის მოწამისასა, რომელი ზემო ვაჭსენეთ ბასილისკოს, ეკლესიასა შინა მისსა“ (19, გვ. 131).

ეფრემ ასური კი თავისი სურვილისამებრ „დაპმარხეს იგი უცხოთა სამარხოსა, რამეთუ ესრტო დაემცნო მას“ (41, გვ. 232). მაგრამ გარკვეული ხნის შემდეგ იგი გადაასვენეს ეპისკოპოსთა განსასვენებელ ადგილას.

რაც შეეხება ანტონი დიდს, მან ორ მოწაფეს „ვითარცა მოსცა მცნებად, წარგრაგნეს გუამი იგი მისი სამოსელსა და ქუეყანასა დაპფლეს და დაფარეს. და არავინ იცის, სადა დამალულ არს, თვინიერ ორთა მათ ხოლო“ (2, გვ. 52).

23. აგიოგრაფიული თხზულებებისათვის დამახასიათებელია წმინდა მამათა ლვაწლის განდიდება და ხოტბის შესხმა.

„საბა განწმენდილის ცხოვრების“ ავტორი აღნიშნავს: „და გითხრა ბრწყინვალისა მამისა ჩუენისა საბავსი დმრთისამიერი იგი მისა ნიჭი. რამეთუ მოქალაქეობად იგი მისი იყო დიდებულ და ცხოვრებად მისი სანატრელ და სარწმუნოებად მისი მართალ დმრთისა მიმართ. ესე ყოველი მცირედ-მცირედ გამოცხადნების წარმართებითა დმრთისა სიტყვითა. წმიდავ ესე საბა, ახალი ნერგი, კასტელისა მონასტერსა გამოჩნდა მძლევდ სულთა ზედა მედგართა, დმრთისმსახურებითა და შეწევნითა სულისა წმიდისათა უდაბნონი ქალაქ ყვნა“ (48, გვ. 80-81).

„იოვანე ოქროპირის ცხოვრების“ აგიოგრაფი კი შემდეგნაირად განადიდებს წმინდანის ლვაწლს: „სხუად არავინ იყო მსგავს მისსა და სრულ ყოვლითა და

არავის დაუდებდა ადგილსა, ვითარცა განგმეს სწავლად მისი და წიგნი მისნი, გინა სიტყპს-გებანი მისნი. და ამას თანა იყო ძლიერ სულითა და ჰუფლი მათ, რომელი იყვნეს მცირედ გულისკმიერ და უცნობელ და მოძილ და უდებ, მოსწრაფე და გულისკმისმყოფელ და მოღუაწე სიბრძნითა მისითა და კეთილად ცხორებითა“ (19, გვ. 51).

ხოლო „თევდოსის ცხოვრების“ მიხედვით, წმინდა მამა „იქმოდა ნაყოფსა და გამოილებდა. და განამრავლა მადლი, რომელი მიეცა ღმრთისაგან“ (49, გვ. 184).

24. როგორც ზემოთ აღინიშნა, ზოგადად აგიოგრაფიული თხულებებისათვის, მათ შორის ნათარგმნ აგიოგრაფიულ ძეგლებში, ფართოდ გავრცელებული მოტივია აგიოგრაფთა მიერ წმინდა მამათა შედარება ბიბლიურ წინაპრებთან: ქრისტესთან, მოციქულებთან, სხვა ბიბლიურ პერსონაჟებთან და ცნობილ წმინდა მამებთან. ავტორები წმინდანთა გარეგნულ მონაცემებს, თვისებებს და ქმედებებს უძებნიან ბიბლიურ პარალელებს.

აგიოგრაფიულ ლიტერატურაში შეიმჩნევა აგრეთვე აგიოგრაფთაგან ბიბლიური ციტატების ხშირი გამოყენება, ეს კი ცხადია განპირობებული იყო იმით, რომ აგიოგრაფიული ლიტერატურა ფრიად იყო ნასაზრდოები ბიბლიური სამყაროთი.

„იოვანე ოქროპირის ცხოვრებაში“ წერია: „იგი ზრუნვიდა ცხორებისათვს კაცთავსა მსგავსად წმიდისა პავლე მოციქულისა ყოველსა შინა, რამეთუ თარგმნიდა წიგნთა და განკმარტებდა“ (19, გვ. 2). და კიდევ აგიოგრაფისგან შენიშნულია, რომ „იყო იგი მქადაგებელი სინანულისა, ვითარცა იოვანე ნათლისმცემელი, და აქუნდა მას მოწყალებად და სიმშედვე, ვითარცა დავითს წინაწარმეტყულესა. ხოლო შური საღმრთო მოეპოა მას, ვითარცა ელიას, რომლისათვსცა დირს იქმნა ამათ ყოველთა თანა სიხარულსა მას წარუვალსა მიმთხუევად“ (19, გვ. 2).

მსგავსი სიტყვებით ხასიათდება თევდოსი დიდიც. სანიმუშოდ მოგვყავს ერთი ციტატი: „იყო იგი, ვითარცა იაკობ, მშვდ და წრფელ, ხოლო იოვანეს ემსგავსა მარხვითა და უდაბნოს ყოფითა და, ვითარცა პეტრე, მცურვალე იყო სარწმუნოებითა და მოწყალე, ვითარცა პავლე, და გორცთა თუსთა მომაკუდინებელ“ (49, გვ. 195).

ანტონი დიდის შესახებ კი შემდეგს განაცხადებს ავტორი: „ესრტო სამოელმან იცნა დავითი, რამეთუ მხიარულ იყვნეს თუალნი მისნი, და კბილნი მისნი, ვითარცა სძმ, სპეცა. ესრტოცა ანტონი იცნობებოდა. არცაღა შე-სადა-

ძრწუნდის, დაწყნარებულ იყო სული მისი, არცალა მწუხარე სადა იყო, რამეთუ მხიარულ იყო გული მისი“ (2, გვ. 41-42). და კიდევ: „მან გზავ იგი დაყო და პური ექუსისა თვისავ შინაგან დაიღვა, რამეთუ ესრე ყვიან თებაიდელთა და მრავალგზის დააღგრიან წელიწად ერთ უვნებელად“ (2, გვ. 16).

ხოლო რაც შეეხება საბა განწმენდილსა და ეფრემ ასურს, საბას, აგიოგრაფი ავტორი თავისი სიმდაბლით ადარებს თვით იქსო ქრისტეს: საბამ როდესაც ააშენა ეგზტერი და საკურთხეველი დადგა, „უპატიუ ვინმე მოვიდის მისა უცხო ხუცესი, უამი შეწირვად ჰსცის ეგზტერსა მას შინა, რამეთუ მან თავადმან არა ინება ჭელთა-დასხმით კურთხევა და აქუნდა მას სიმჟადლ და სიმდაბლ და სამართალი. მიემსგავსებოდა იგი ქრისტესა, ჰეშარიტსა ღმერთსა, რომელმაც მოსცის, რომელნი სოხოვედ მას, რომელმან თქუა: ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მჟად ვარ მე და მდაბალ გულითა“ (48, გვ. 65). ხოლო ეფრემი – „გამოირჩია იგი ღმერთმან დედის მუცლით თვისითგან, ვითარცა იერემია წინაწარმეტყუელი“ (41, გვ. 211).

25. გეოგრაფიულ აღწერილობას არცოთუ ისე დიდი ადგილი ეთმობა ჩვენს მიერ წინამდებარე თავში განხილულ ნათარგმნ აგიოგრაფიულ ძეგლებში. რამდენადაც ცნობილია, ბუნების აღწერილობა აგიოგრაფიულ თხზულებებში ხდება არა ესთეტიკური, არამედ სულიერი დატვირთვით, რომლის თანახმად გეოგრაფიული აღწერილობა გამოყენებულია მხოლოდ და მხოლოდ იმ მოტივით, რომ დადგინდეს წმინდა მამათა განმარტოებისა და ეკლესიათა აგების ადგილი. რადგანაც ჩვენს მიერ წინამდებარე თავში განხილულ თითქმის ყვალა „ცხოვრებათა“ უანრის თხზულებაში აღწერილია მეუდაბნოე ბერების ანუ „უდაბნოთა ქალაქმყოფელების“ ცხოვრებანი, თავისთავად ცხადია, რომ მათ უხდებოდათ მოღვაწეობის წარმართვა უდაბნოში. მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ მაგალითისათვის მოგვყავს გეოგრაფიული აღწერილობის პასაჟი „ანტონი დიდის ცხოვრებიდან“: ანტონი „მოვიდა მთასა ფრიად მაღალსა და პოვა წყაროდ მთასა მას ქუეშე კეთილი, ტკბილი და ცივი ფრიად, და ველი იყო მახლობელად და დანაკისკუდოანნი უღუაწად მდგომარენი მცირედ. ხოლო ანტონი, რეცათუ ღმრთით, აღიძრა და შეიყუარა ადგილი იგი, რამეთუ ესრტო ეუწყა მისგან, რომელი-იგი ეტყოდა კიდესა მას მდინარისასა ... და დაადგრა მთასა მას მარტო, და არავინ იყო სხუავ მის თანა, რამეთუ, ვითარცა თვისი სახლი, იცნა“ (2, გვ. 33-34).

წმინდანთა მიერ სასწაულთა ქმედება, როგორც აღვნიშნეთ, ერთ-ერთი უმთავრესი მომენტია ზოგადად ქრისტიანულ ლიტერატურაში. აგიოგრაფთა განცხადებით, ის სასწაულები, რომლებიც აღწერილია აგიოგრაფიულ თხზულებებში რაგინდ ზღაპრულ ამბებადაც უნდა გვეჩვენებოდეს, შეესაბამებოდა სრულ სიმართლეს, რადგანაც ისინი მოთხოვილი იყვნენ თვითმხილველთა მიერ. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ წმინდა მამები იმეორებენ იესო ქრისტეს მიერ სახარებაში ჩადენილ ისეთ სასწაულებს, როგორიცაა ადამიანთა განკურნება, ეშმაკთა განსხმა, სტიქიური მოვლენების დამორჩილება, მიცვალებულთა აღდგენა და სხვა. სასწაულთმოქმედებანი ამტკიცებდა ადამიანის ზებუნებრიობას (36. გვ. 169). მაგრამ მიუხედავად ამ ყველაფრისა, სასწაული ხდება მაინც უფლის ძალით და ნებით. აკი აღნიშნავს კიდევ ანტონი დიდი, რომ „ყოფად სასწაულისად არა ჩუენი არს, არამედ მაცხოვერისად არს საქმე“ (2, გვ. 28). და კიდევ, „არა თუ ბრძანებით ჰქურნებდა წმიდავ ანტონი, არამედ ლოცვითა და ქრისტს სახელის-დებითა, ვითარმედ ყოველთა მიმართ ცხად არნ, რამეთუ არა იგი ჰყოფნ, არამედ უფალი“ (2, გვ. 48). და სასწაულთა ჩადენის შემდეგ ერი ადიდებს უფალს. მაგრამ მიუხედავად ამ ყველაფრისა, წმინდანები უფლისაგან მინიჭებული სასწაულთმოქმედების უნარით მოიაზრებიან ქრისტეს სიმბოლოდ ამქვეყნიურ ცხოვრებაში. ამაზე მეტყველებს ერთი ეპიზოდი „იოვანე ოქროპირის ცხოვრებიდან“: სასწაულის ჩადენის შემდეგ იოვანეზე შემდეგს ამბობენ მმები: „ესე მონად არს ქრისტესი და სული წმიდავ დამკადრებულ არს მის თანა, და მისცემს მადლთა კურნებისათა, ვითარ-იგი მისცა მოციქულთა“ (19, გვ. 21).

წინამდებარე თავში მოვიხილავთ თარგმნილ აგიოგრაფიულ თხზულებებში აღწერილ სასწაულთა სახეებს და ვაჯგუფებთ სათანადო ტიპის მიხედვით.

**I. სასწაულები, რომლებშიც აღწერილია ხილვები და დგთაებრივი გამოცხადებები.**

**1. ხილვები ცხადში:**

ა) წმინდა მამებს აქვთ ჩვენება ან უფლისაგან ეუწყებათ ის ადგილი, სადაც უნდა აშენდეს ეკლესია. მაგალითად, თევდოსი დიდი, როდესაც ევედრებოდა უფალს „რაოთა გამოუცხადოს, თუ ნებავ მისი არს მონასტრისა შვენებასა და უჩუენოს ადგილი, რომელსა შეჰგვანდეს შვენებავ.“

და აღიხუნა საცეცხურნი და ადავსო იგი ნაკშირსა ზედა – საკუმეველი. და გამოვიდა ქუაბით და ილოცა და თქუა: უფალო ღმერთო ჩემო... სადაცა ნებავ შენი იყოს შვენებად მონასტრისა, მუნ აღენთენ ნაკშირი ესვ, რომელ არს საცეცხურთა ამათ, რაოთა მით ვცნა ნებავ შენი... და განვიდა და მოვლო ყოველი ადგილი უდაბნოვსავ, რომელი საგონებელ იყო საშვენებელად... და ვითარ არარავ იხილა, შეიქცა ქუაბადვე. და ვითარ მიეახლა მას, აღუტევა სული საკუმეველმან მან საცეცხურთა მათგან და ვითარ დახედნა, ნაკშირი იგი ნაკუერცხალ ქმნულ იყო. და ცნა წმიდამან, რამეთუ ნებავ ღმრთისავ არს, რაოთა მას ადგილსა ადაშვენოს“ (49, გვ. 188).

ბ) ხილვათა ჯგუფში მოიაზრება წმინდანთა სასწაულებრივი გამოჩენა საზოგადოებაში. სანიმუშოდ გავიხსენოთ საბა განწმენდილის მეფესთან მისვლის ეპიზოდი, როდესაც „ღმერთმან მადლი მონისა თუსისავ გამოუცხადა მეფესა... ესე ვითარცა შევიდოდა მღდელთმთავართა თანა მეფისა... განუხუნა ღმერთმან თუალნი მეფესა და იხილა მსგავსად გპრგპნისა თავსა ზედა მის ნეტარისასა ნათელი მბრწყინვალც, ვითარცა მზისთუალი“ (48, გვ. 109).

„იოვანე ოქროპირის ცხოვრებაშიც“ იოვანეს ხუცად კურთხევის დროს, „რაჟამს მოიდრიკა თავი იოვანე და დასდვა ჭელი პატრეაქტან და იწყო ლოცვად, მექსეულად ტრედი სპეტაკი გარდამოწდა ზცო და დაადგრა თავსა ზედა იოვანესსა. და ვითარცა იხილეს ესე პატრეაქტან და ყოველმან ერმან... იტყოდეს: ...რამეთუ მადლი ღმრთისავ გამოცხადებულ არს აწვე მის ზედა“ (19, გვ. 31). ეს ეპიზოდი მოგვაგონებს იესო ქრისტეს ნათლობის პასაუს სახარებიდან (9, გვ. 1045-1046).

გ) ხილვათა ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ გამოცხადება არა ხილული, არამედ სიტყვიერი ფორმით. ასე, მაგალითად, ანტონი დიდმა, როდესაც განიზრახა ხორციელი ფუფუნების უკუგდება და ქონების გლახაკებზე

დარიგება, „შევიდა ეკლესიად და მოქმთხვა მას წმიდისა სახარებისა საკითხავი, და ესმა უფლისაგან, ვითარ-იგი ეტყვს მდიდარსა მას: უკუეთუ გნებავს, რაოთა სრულ იყო, წარვედ და განციდე ყოველი მონაგები შენი და განუყავ გლახაკთა და მოვედ და შემომიდებ მე და მოიპოო საფასტ ცათა შინა“ (2, გვ. 10).

დ) ჩვენი აზრით, ხილვათა ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ სასწაულთა ისეთი არატიპური შემთხვევა, როგორიცაა ღვთაებრივი სასწაულებრივი ჩვენებები. ასეთ მაგალითს ვაწყდებით „საბა განწმენდილის ცხოვრებაში“: საბამ, ფსალმუნის გალობის დროს ხევში, „შოვრის სამთა ეკლესიათა იხილა სუეტი ცეცხლისათ, მდგომარე ქუეყანასა ზედა, რომლისათ თავი იყო ვიდრე ცადმდე. პხედვიდა რაო ესე საშინელსა მას ხილვასა, შიშმან შეიპყრა და სიხარულად გარდაიქცა, რამეთუ მოიგსენა წერილისათ ვითარ-იგი ეჩუენა მამათმთავარსა იაკობს... და დაადგრა ადგილსა მას ნეტარი იგი ვიდრე განთიადმდე ლოცვასა შინა და აღმოვიდა მიერ ჭევით შიშითა და სიხარულითა დიდითა, სადა-იგი ეჩუენა მას სუეტი იგი ცეცხლისათ. და პოვა მუნ ქუაბი დიდი და საკპრველი, რომელსა აქუნდა სახს ეკლესიისა“ (48, გვ. 66).

ე) ორიგინალურ შემთხვევად გვესახება „იოვანე ოქროპირის ცხოვრებაში“ მოცემული სასწაულიც. ამ სასწაულის მიხედვით ორ სხვადასხვა ადამიანს, ამ შემთხვევაში იოვანესა და ეპისკოპოს ფლაბიანეს, ერთდროულად აქვთ ერთი და იგივე ხილვა-ჩვენება ერთსა და იმავე საქმეზე: ფლაბიანეს, ლოცვის დროს ეჩვენა „ანგელოზი ღმრთისათ და პრქუა მას: „ისწრაფე განთიად და მივედ მონასტრად, რომელსა შინა იყოფვის რჩეული ღმრთისათ იოვანე, შემოიყვანე ქალაქად და აკურთხე იგი ხუცად, რამეთუ ღმერთმან გამოაბრწყინვა იგი... და მის მიერ განაბრწყინვნეს ღმერთმან მრავალნი მოსლვად მეცნიერებასა. და აპა ესერა მოვლინებულ ვარ მე მისა ღმრთისა მიერ, რაოთა არა ურჩ გექმნეს, არამედ ყოს ყოველი ბრძანებად შენი“.

და მესყეულად მასვე ჟამსა დაადგრა ანგელოზი უფლისათ იოვანეს სამოსლითა ელვარითა, იყო რაო იგი სენაკსა და ილოცვიდა“, და ანგელოზმა მიუგო იოვანეს: „მე ვარ ანგელოზი ღმრთისათ...“

შენ წარპყევ ებისკოპოზსა ფლაბიანეს ქალაქად შეუორგულებელად და ყავ ყოველი ბრძანებად მისი, რამეთუ გამომიცხადებია მისდა საქმე შენი. და აპა ესერა მოვალს მღდელთა თანა წარყვანებად შენდა ქალაქად“ (19, გვ. 28-29).

გ) არატიპურ შემთხვევად გვეჩვენება აგრეთვე „ანტონი დიდის ცხოვრებაში“ აღწერილი ერთი სასწაული, რომელიც მისტიკურ ხასიათს ატარებს. ამ

სასწაულში ასახულია წმინდანის ცნობიერი ბუნების მიერ საკუთარი თავის ხილვა ირეალურ-სულიერ სამყაროში. შევეცდებით მაგალითის მოხმობით წარმოვაჩინოთ მისი არატიპურობა: ანტონი, „ვითარ-იგი პურსა ჭამნ, და აღდგა ოდესმე და ილოცვიდა ცხრა უამს და აგრძნა თავისა თჯსისად, რამეთუ აღიტაცა გონებითა, და საკურველ ესე იყო: მდგომარც ხედვიდა თავსა თჯსსა, ვითარცა გუამსა გარეშე იპოვა, და ვითარცა ზე პაერთა წინა-ვინმე-უძლოდეს მას. და მერმე იხილნა მწარენი და ფიცხელნი პაერთა ზედა მდგომარენი, და უნდა დაბრკოლებად მისი, რაღომცა გარე-არა-წარპკდა მათ, ხოლო რომელნი-იგი წინა-უძლოდეს მას, შეპრისხნეს მათ. ესენი სიტყუასა მოპკდიდეს მათ, ნუმცა უკუე თანამდებ რაღმე იყოს მათა, უნდა მათ სიტყუსა ყოფად შობითგან მისით, აყენებდეს ანტონის წინამდლუარნი იგი და ეტყოდეს მათ, რამეთუ შობითგანნი იგი უფალმან აქოცნა, ხოლო ვინავთგან მონაზონ იქმნა და აღუთქუა დმერთსა, ჯერ-არს სიტყუს-ყოფად. მაშინ შეასმენდეს და ვერად ამხილეს. მიერითგან თავისუფალ იქმნა და დაუბრკოლებელ გზად თჯსი. და მეყს იხილა თავი თჯსი მდგომარც და იყო იგივე ანტონი... იგი მას დდესა და დამე ყოველ სულთოქუმიდა ლოცვით, რამეთუ უკპრდა, იხილა რად ესე“ (2, გვ. 40).

ჩვენს მიერ განხილულ ნათარგმნ აგიოგრაფიულ თხზულებებში მრავლად არის მაგალითები ჩვეულებრივი, ტიპური ანუ ბიბლიის სასწაულებთან მიმსგავსებული სასწაულებისა ხილვა-ჩვენებათა შესახებ. სანიმუშოდ მოვიყვანთ რამდენიმე მათგანს:

„ეფრემ ასურის ცხოვრება“: „ეწუენა მას ხილვად, რამეთუ ვაზი აღმოჭდა ენასა ზედა მისსა დიდი და აღორმნდა ფრიად, და აღივსო მისგან ყოველი ქუეყანა, და გამოიხუნნა ტევანნი ურიცხუნი. და მოვიდოდეს ყოველნი მფრინველნი ცისანი და ჭამდეს ნაყოფისა მისისაგან. და რავდენცა ჭამდეს, უფროვსლა აღმოეცენებოდა და გამოჰქონდეს ტევანნი“ (41, გვ. 233).

„ანტონი დიდის ცხოვრება“: სახეშეცვლილი ეშმაკების დამარცხების შემდეგ „უფალმან არცადა ესრტო დაივიწყა სიმწნც იგი ანტონისი, არამედ შემწე ექმნა მას, აღიხილნა და იხილა სართული რეცა განდებული და ბრწყინვალებად ნათლისად გარდამომავალი მისა...“ (2, გვ. 15).

„იოვანე ოქროპირის ცხოვრება“: მონაზონ ევსუქიოს ლოცვის დროს პქონდა ხილვა. მან იხილა იოვანესთან შემავალი დიდებით შემული ორი პიროვნება, რომელთაც „ერთსა მას აქუნდა ტომარი ქარტად დაწერილი და მეორესა მას

აქუნდეს კლიტენი. და ვითარცა იხილნა იგი იოვანე, შეეშინა ფრიად და დაუცა პირსა ზედა თვისსა...

და წარმყო გელი პირველმან მან და მოსცნა მას კლიტენი, რომელ აქუნდეს და პრქუა: „მიიხუენ ესენი! მე ვარ პეტრე, მცურვალე იგი სარწმუნოებითა, რომელმან აღვიარე ქრისტე ძედ ღმრთისა ცხოველისა, და ამისთვის მომცნა მე კლიტენი სასუფეველისა ცათადსანი. და კუალად შენცა მოგცნა ღმერთმან კლიტენი ეკლესიათა მისთანი, რათა „რომელი შეჰკრა ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა; და რომელი განკჯინე ქუეყანასა ზედა, კსნილ იყოს იგი ცათა შინა“.

და მოყო მეორემან მან ჭელი მისი და მისცა მას ტომარი იგი, რომელი აქუნდა და პრქუა მას: „მიიღე ესე ჭელისაგან ჩემისა! მე ვარ იოვანე... და შენ მიგანიჭა ჭეშმარიტმან ღმერთმან მადლი, რათა პზრდიდე პირითა შენითა ყოველთა დაბადებულთა საზრდელითა უწრწნელითა“ (19, გვ. 17-18).

## 2. ხილვები ძილის დროს:

წმინდა მამებს ძილის დროს, დამე აქვთ ხოლმე ხილვები. მათ ამ ჩვენებათა დროს ეცხადება უფალი, ანგელოზები ან კიდევ რომელიმე წმინდა მამა, რომლებიც მათ აძლევენ გარკვეულ დავალებას აღსასრულებლად. მაგალითად, მამასახლისს, რომელმაც არ შეისმინა საბა განწმენდილის თხოვნა იერუსალიმში წასვლასა და მარტოდ დაყუდების შესახებ, დამე გამოეცხადა უფალი და უთხრა: „განუტევე საბა, რათა მმსახუროს მე უდაბნოს. ხოლო მამასახლისმან მოუწოდა თვისაგან ფარულად და პრქუა: „განგიტევებ შენ, შვილო, ბრძანებითა ღმრთისათა, რამეთუ ჩუენებით მეუწყა“ (48, გვ. 59).

„თევდოსის ცხოვრებაში“ კი აღწერილია, თუ როგორ გამოეცხადა წმინდა თევდოსი ზღვის დელვის დროს ძილში ნავით მიმავალ ერთ ძმათაგანს: „ეჩუენა მათ ძილსა შინა და პრქუა მათ: ნუ გეშინინ, რამეთუ ღმერთსა უბრძანებიეს ჯინა თქუენი“ (49, გვ. 194).

ა) ჩვენი აზრით, ძილში ხილვათა ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ არატიპიური სასწაული „საბა განწმენდილის ცხოვრებიდან“, რომელშიც აღწერილია, თუ როგორ ეცხადებათ ძილში რამდენიმე პიროვნებას წმინდანი ერთდროულად ერთსა და იმავე დავალებაზე: ერთმა დედაკაცმა, სახელად გენარუს „ორისა ეზოვსად აღუთქუა ქსოვავ: ერთი კასტელისა მონასტერსა და ერთი სპილეონისა მონასტერსა. და მოემზადა ყოველი საჭმარი, და რომელთა დედათა ეთქუა მის

თანა ქსოვად, გარდაეჭიეს. ვითარცა არა მოვიდეს დედანი იგი, ფრიად გულსა აკლდა გენაროსს და იურვოდა. ეზუენა მას ძილსა შინა ნეტარი საბა და პრქუა: ცისკარს მოუვლინე დედათა მათ, და მოვიდენ და აღასრულონ საქმე შენი... და ეზუენა დედათაცა მათ მქსოველთა რისხვით დაპოლებისა მისთვის საქმისა. და ვითარცა განთენა, მეყსეულად მოვიდეს სიხარულით გულსმოდგინედ და უთხრობდეს ურთიერთას ჩუენებასა მას“ (48, გვ. 116).

### 3. ხილვები გარდაცვალების წინ:

ა) წმინდა მამებს თავიანთი აღსასრულის დროს აქვთ ხოლმე ხილვები. მაგალითად, ანტონი დიდმა აღსასრულის მოახლოებისას „განირთხნა ფერწნი თვისნი და, ვითარცა მეგობართა თვისთა, ხედვიდა მომავალთა ანგელოზთა და მათთვის მხიარულითა პირითა მოაკლდა და შეეძინა იგი წმიდათა მამათა“ (2, გვ. 52).

ბ) წმინდა მამებს აქვთ ჩვენება-ხილვანი აგრეთვე სხვა მამათა გარდაცვალების დროს. ამის ნათელი მაგალითია ანტონი დიდის ხილვა წმინდა ამონის გარდაცვალებისას: მთაზე მჯდომარე ანტონი დიდმა „იხილა ჰაერთა ზედა აღმავალი ვინმე და მრავალნი ვინმე, რომელნი მოეგებვოდეს მას. და იყო სიხარული. და ვითარ უკარდა მას და ჰნატრიდა და ესევითარსა კრებულსა ილოცვიდა უწყებად, ვინძი არს ესე, და მეყსეულად იყო მისა ჭმავ: ესე არს წმიდისა ამონის სული, რომელი-იგი ჯდა ნიტრიას მონაზონი... ხოლო რომელნი იყვნეს ანტონის თანა, ხედვიდეს რაღ ბერსა მას დაკარვებულსა, ვვედრებოდეს მას, რაღთა უთხრას მათ. და უთხრა, ვითარმედ: აწ აღესრულა ამონ. რამეთუ იყო მისა მეცნიერ, და ზედას-ზედა მოვიდის მისა...“

და მონაზონთა მათ, რომელთა უთხრა ანტონი სიკუდილი ამონისი, დაისწავეს დღე იგი, და აღმოვიდეს ძმანი ნიტრიით ოცდაათისა დღისა შემდგომად, გამოჰკითხვიდეს, და ესმა მათგან, ვითარმედ მას დღესა და მას ჟამსა დაიძინა ამონ, რომელსა ჟამსა სული იგი ამონისი აღყვანებული იხილვა ბერმან“ (2, გვ. 38-39).

## II. სასწაულები, რომლებშიც აღწერილია ზემოქმედება ადამიანებზე.

1. ზოგადად აგიოგრაფიულ ლიტერატურაში ძალზე გავრცელებულია წმინდა მამათაგან ურწმუნოთა და უკეთურთა სასწაულებრივი დასჯის ეპიზოდები. ჩვენს მიერ განხილულ ნათარგმნ აგიოგრაფიულ ლიტერატურაშიც საკმაო რაოდენობით მოიპოვება ასეთი ეპიზოდები. სანიმუშოდ მოვიყვანო რამდენიმე მაგალითს: ქალაქებარეთ, ეპლესიაში სალოცავად წასულ თევდოსი დიდს და ეპისკოპოსებს, გზად შემოხვდათ მონასტერი, „რომელსა შინა იყვნეს მონაზონი წყეულნი, იაკობი. რაუამს იხილეს წმიდავ იგი, იწყეს რეკად სარეკელსა თვისერ ჟამისა ურცხვნოდ და კიცხევით. და იკითხა წმიდამან მან საქმე მათი. და რაუამს უთხრეს საქმე მათი და სარწმუნოებავ მათი, აღეგზნა იგი შურითა და თქუა: ქურთხეულ არს უფალი, რამეთუ არა დაშთეს ვანსა ამას შინა ქვავ ქვასა ზედა. და შემდგომად მცირედთა დღეთა მოეტევნეს ვინმე კაცნი დასავალით კერძო ვანსა მას ზედა და აღიჭრეს ყოველი, რავ იყო მას შინა, და უმრავლესნი მონაზონი ტყუედ წარიყვანნეს და ადგილი იგი ცეცხლითა მოწუეს, და იქმნა ვანი იგი სათესავ იფქლისა“ (49, გვ. 194).

აგრეთვე, როდესაც იოვანე ოქროპირის ბრძანებით უკათურ დედოფალ ევდოქსიას აუკრძალეს ეკლესიაში შესვლა, დედოფლის ერთ-ერთ მსახურს „აქუნდა ჭელთა მისთა ლახუარი და აღიპყრა იგი, რათამცა შემუსრა კარი ეკლესისად და მუნთქუესვე შეპწმა ჭელი და იქმნა იგი ვითარცა მკუდარი... ხოლო რომელსა-იგი ხელი შეპწმა, შევიდა ეკლესიად... და თქუა: „შემიწყალე მე, უფალო ჩემო, მ მამამო წმიდაო, და განკურნე ჭელი ჩემი, რომელი განკმა უგუნურებისა და უმეცრებისა ჩემისაგან და კადნიერად მოსლვითა ჩემითა სახლსა ზედა ღმრთისასა...

ხოლო იოვანე გულისკმა-ყო სულითა მიზეზი იგი, რომლითა შეემთხვა ესე და კაცსა მას პრქუა: „მივედ და დაიბანე ჭელი შენი წყალსა მას, რომელი არს არნაკსა შინა ეკლესიისასა და ვესავ ქრისტესა... რამეთუ გეყოს შენ მსგავსად სარწმუნოებისა შენისა“.

და წარვიდა კაცი იგი და დაიბანა და განიკურნა“ (19, გვ. 93).

ხოლო „ანტონი დიდის ცხოვრებაში“, როდესაც ქრისტიანთა მდევნელი სარდალი, ბალაკიოსი, გააფრთხილა ანტონი დიდმა წერილში, რათა ხელი აედო ქრისტიანთა შევიწროებისაგან, სარდალმა ყურად არ იღო მისი დარიგება და პირიქით მუქარა შეუთვალა მას. ამის შემდგომ, რამოდენიმე დღეში „მოიწია მის

ზედა რისხვამ, რამეთუ პირველსა სავანესა ალექსანდრიავსასა, რომელსა პრქშან ქერეუ, განვიდოდა იგი ბალაკიოს და ნისტორიოს ... და ორნივე სხდეს ცხენთა, რამეთუ იყვნეს ორნივე ბალაკისნი, უმშვდცს ყოველთა, რომელნი იზარდებოდეს მისგან. და ვითარ არღა მიწევნულ იყვნეს ადგილსა მას, იწყეს ცხენთა მათ სიმდერად, ვითარცა ჩუეულ იყვნეს, ურთიერთას და მყის უმშვდცსმან მან, რომელსა ზედა ჯდა ნისტორი, კბილითა გარდამოიქუა ბალაკიოს და დათრგუნა იგი და ესრცო კბილითა მოჰშვამა ბარკალსხლი მისი. და მუნოქუესვე წარიქუეს ქალაქად. და მესამესა დღესა მოკუდა. და ყოველთავე უპკრდა ესე და იტყოდეს, რამეთუ: რომელ-იგი თქუა ანტონი, ადრე აღესრულა“ (2, გვ. 49).

2. აგიოგრაფიულ ნაწარმოებებში გავრცელებული სახე ეძლევა ისეთ სასწაულებს, რომლებშიც აღწერილია წმინდანთაგან ადამიანთა განკურნება. მაგალითად, „ეფრემ ასურის ცხოვრებაში“ აღწერილ სასწაულში იყო „ერთი უფერტოდ და მარადის დაჯდის წინაშე კართა ეკლესიისათა ... და დღესა რომელსამე მოვიდა წმინდა შესლვად ეკლესიასა და იხილა მან უფერტოდ იგი და შეეწყალა და გარემო მიხედნა ყოვლით კერძოვე, და ვითარ არღარავინ იხილა, ეახლა მას წმინდა ესე და პრქუა მას: მმაო, გინებასა, რათა განიკურნო? ხოლო მან პრქუა მას: ჰე, უფალო, რამეთუ მნებავს, დასდევს ჭელი შენი ჩემ ზედა. პრქუა მას ნეტარმან: სახელითა იესუ ქრისტესითა ადდებ და ვიდოდე! და მეუსეულად აღდგა და ვიდოდა“ (41, გვ. 227).

საბა განწმენდილმა კი განკურნა სისხლის დინებიანი ქალი, რომელსაც ვერავინ ვერ ეკარებოდა. ქალი, „ვითარცა ესმა წმიდისა მამისა ჩუენისა საბახსი, წარ-მო-რაღ-ვიდოდა უბანსა მას ერისა მრავლისა თანა, იხილა იგი, დაღატ-ყო და თქუა: შემიწყალე მე, მონაო ქრისტესო საბა, და განმარინე მე მოწევნულისა ამისგან განსაცდელისა. ხოლო ნეტარსა მას ... შეეწყალა იგი და მივიდა მისა სტოვასა მას და პრქუა მას: „რამდცა მიგეც შენ, არარად მაქუს, გარნა რაღ-იგი მაქუს, მიგცე – ჭელი ესე ჩემი, მიიღე და დაღდევ სალმობასა შენსა. და ვესავ ღმერთსა, რომელსაცა ვჰმსახურებ, ვითარმედ განიკურნო. და მან ვითარცა მიიღო წმიდისა მის ჭელი, დაღდვა იგი მის ზედა, და მუნქუესვე დადგა დინებად იგი სისხლისად მის, და განიკურნა დედაკაცი“ (48, გვ. 104).

ხოლო თევდოსი დიდთან მივიდა მტირალი ქალი, რომელმაც შესჩივლა წმინდა მამას, რომ „შვილი არა დამადგრების. და მრავალი შვილი მიშობია, და შობისა სიხარულსა სიკუდილისა გემოვ ეწიის ხოლო. და ევედრებოდა მას, რათა ულოცოს, და ღმერთმან უცხოვნოს მას შვილი. და ულოცა მას წმიდამან

მან და უბრძანა, რათა შვილი რომელ შვეს, უწოდოს მას სახელად თევდოსიოს. და მან ყო ეგრცო. და უცხოვნა მას შვილი“ (49, გვ. 192-193).

3. აგიოგრაფიულ თხზულებებში მრავლად მოიპოვება სასწაულები, რომლებშიც აღწერილია წმინდა მამათა ჩარევით ადამიანთაგან ეშმაკთა გაძევება.

ერთხელ ანტონი დიდი, როდესაც სულიერ მმებზე ლოცვების წასაკითხად ავიდა ნავზე „მას ხოლო მარტოსა მყრალობად რამე ფიცხელი და ფრიად მწარც ეცემოდა, ხოლო რომელნი-იგი ნავსა შინა იყვნეს, იტყოდეს, ვითარმედ: თევზიცა ლიწებული არს ნავსა ამას შინა და მისგან არს ესე მყრალობად. ხოლო იგი იტყოდა: სხუად არს ესე ყროლად აქა. და ვითარ იგი ამას იტყოდა, ჭაბუკი ვინმე ეშმაკეული იყო და მისა წინა შესრულ იყო და დამალულ ნავსა შინა. და ვითარ მყის ჭმა-ყო, შეპრისხნა ეშმაკსა მას ანტონი სახელითა იესუ ქრისტესითა, და განვიდა მისგან, და კაცი იგი განეგო მისგან მყის. მაშინ ყოველთა გულისხმა-ყვეს, ვითარმედ ეშმაკისად იყო ყროლად იგი“ (2, გვ. 39).

„იოვანე ოქროპირის ცხოვრებაში“ კი აღწერილია სასწაული, რომლის მიხედვით ბრძენი ანთემიოსი, ქრისტეს სახელის გმობისთვის შეიპყრა ეშმაკმა „და დაეცა ქუეყანასა და იშთვებოდა მისგან უწყალოდ მრავალ ჟამ, და უქცევდა თუალთა და პეროლდა, ვიდრემდის ყოველნი შეძრწუნდეს, და მრავალნი ივლტოდეს და ევედრებოდეს ნეტარსა იოვანეს, რათა განკურნოს იგი.

და მიუგო მათ და პრქუა: „უკუეთუ არა პრწმენეს, რომელ-იგი გმო ქრისტე ღმერთი, ვერ მიემთხვოს კურნებასა“ (19, გვ. 12), და მას შემდეგ, რაც აღიარა ანთემიოსმა ქრისტე, „მუნთქუესვე განიკურნა და იქმნა დაწყნარებულ, და აღდგა ფერწო თვისთა ზედა“ (19, გვ. 12).

ხოლო ეფრემ ასურმა ამხილა მწვალებელი მონაზონი ეშმაკისეული ძალით სასწაულთა მოხდენაში, რამაც გამოიწვია მონაზვნის განრისხება. მან შეურაცხეოფა მიაყენა ეფრემს, რაზეც ეფრემმა საპასუხოდ მიუგო: „არა გაქუს შენ ჯელმწიფებად ზრახვად დაბადებულთა ღმრთისათა.

და მეყსეულად გამოცხადდა ეშმაკი, რომელი იყო მას შინა, და დაეცა ქუეყანასა ზედა, ყრიდა ჯელთა და ფერწო და სცემდა თავსა ქუეყანასა... ვითარცა იხილა წმიდამან ეფრემ ესევითარსა ღუაწლსა შინა, შეიწყალა იგი და მიეახლა და აღუპყრა ჯელი, და გუამი მისი ძწოდა და აღშფოთებულ იყო ყოველით კერძო. მაშინ წმიდა შეპრისხნა ეშმაკსა მას, რომელი იყო მას შინა,

და პრქუა მას: სახელითა იესუს ქრისტისითა... გიბრძანებ, რათა განკვდე ხატისა დმრთისაგან... და მეყსეულად განვიდა ეშმაკი მისგან“ (41, გვ. 222).

წმინდა მამები აგრეთვე აძევებენ სახეშეცვლილ ეშმაკებს თავისი სამყოფელიდან, როდესაც ისინი ცდილობენ მათ შეშინებას. წმინდანები გაძლიერებულნი არიან უფლის მფარველობით. სანიმუშოდ მოგვყავს ორი მაგალითი:

„საბა განწმენდილის ცხოვრება“: „გარდაიცვალა ეშმაკი მსგავსად გუელთა და ღრიაკალთა რათამცა შეაშინა მას.

ხოლო ნეტარი იგი მცირედ რამე შეზრუნდა და ცნა მტერისა იგი სიბოროტც, მეყსეულად აღდგა და სახს ჯუარისავ დაიწერა და განიშოვრა მისგან შიში, დგა და იტყოდა: ოდეს შემიძლო შეშინებად ჩემდა, მაშინ გძლო, რამეთუ ჩემ თანა არს უფალი ღმერთი ჩემი, რომელმან მომცა შენ ზედა ძლევად ... და ამას რად იტყოდა, მყის უჩინო იქმნა ყოვლითურთ ძალით მისით“ (48, გვ. 62).

ანტონი დიდს კი ფსალმუნთა გალობის დროს, „ეშმაკი იგი უმზირინ და იღრჭენნ მის ზედა კბილთა, ხოლო ანტონი ნუგეშინისცემულ იყო მაცხოვრისაგან და უვნებელად დგა მისთა მათ ზაკუვათაგან და ფერად-ფერადთა უცნებათა. და ვითარ მდგრად იყო იგი დამე, ყოველნი მწეცნი ველისანი მოუტევნა, და გამოვიდეს ყოველნი აფთარნი მათ ადგილთანი კურელით თვისით და გარე-მოადგეს მას. და დგა იგი მარტოდ შოვრის მათსა. ვითარ ადამტცმეს პირები მათი და დატკებნად აშინებდეს, გულისხმა-ყო მან მტერისა იგი მანქანებად და პრქუა ყოველთა მათ: უკუეთუ კელმწიფებად მოგიღებიეს ჩემ ზედა, განმზადებულ ვარ შესაჭმელად თქუენდა; უკუეთუ ეშმაკთაგან აღძრულ ხართ, ნუ სდგათ, არამედ წარვედით, რამეთუ მონად ვარ ქრისტისი. ვითარცა ესე ანტონი პრქუა მათ, ივლტოდეს ყოველნი, ვითარცა ტანჯვითა სიტყვსა მისგან“ (2, გვ. 34-35).

4. წმინდა მამებს უფლისაგან აქვთ მინიჭებული წინასწარმეტყველებისა და საიდუმლოთა შეცნობის უნარი. მაგალითად, თევდოსი დიდმა ჯერ ზარის დარეკვა უბრძანათ ეკლესიის მსახურებს და შემდეგ დამწუხებულმა თავისთან იხმო სულიერი ძმები და მოუწოდათ: „მამანო, ილოცევდით, რამეთუ ვიხილე ღმრთისაგან გამოსრული რისხვად ქუეყანასა ზედა აღმოსავალით კერძო. და შემდგომად ექუსისა ანუ შკდისა დღისა მოვიდა, რომელმან უთხრა, ვითარმედ

ანტიოქიად დაირღუა ძრვითა მას დამესა შინა, რომელსა წმიდამან მან თქვა“ (49, გვ. 195).

წმინდანის წინასწარმეტყველების უნარის დასტურად მოვიხმობთ ერთ-ერთ ეპიზოდს „ანტონი დიდის ცხოვრებიდან“: „შე-ვინმე-ვიდოდეს ორნი მმანი და მუაკლდა გზასა ზედა წყალი, ერთი იგი მოკუდა, ხოლო ერთი იგი იურვოდა სიკუდიდ და ვერ ეძლო სლვად და იდვა იგიცა ქუეყანასა ზედა და მოელოდა სიკუდილსა. ხოლო ანტონი ჯდა რავ მთასა ზედა, მოუწოდა ორთა მონაზონთა, რამეთუ იყვნეს ესენი მუნ, ასწრაფებდა და ეტყოდა: წარიდეთ სარწყულითა წყალი და მირბიოდეთ ეგპტით კერძო გზასა, რამეთუ ორნი მოვიდოდეს. ერთი იგი აწდა მოკუდა, ხოლო ერთი იგი იურვის. უკუეთუ არა ისწრაფოთ, მოკუდეს იგიცა, რამეთუ ესე აწ ლოცვასა შინა მეუწყა. ვითარცა წარვიდეს მონაზონნი იგი, პოვეს ერთი იგი მდებარც და მომკუდარი იგი დაჰფლეს, ხოლო ერთსა მას ასუეს წყალი ...

ხოლო ანტონისი ესე იყო საკურველ, რამეთუ მთასა ზედა ჯდა და აქუნდა გული ფრთხილი, და უფალი უჩუენებდა მას შორად“ (2, გვ. 37-38).

წმინდანებს უფლისაგან გადაეცემათ უწყება-ნიშანი ამა თუ იმ პიროვნებაზე, ან საქმის წარმართვაზე. მაგალითად, ერთ განმარტოებულ, დაყუდებულ ბერს გაუკვირდება, თუ საიდან აღმოჩნდება საბა განწმენდილი მის გამოქვაბულში. რაზეც ნეტარმა საბამ უპასუხა: „დმერთმან, რომელმან გაუწყა შენ სახელი ჩემი, მანვე მიჩუენა მე ადგილი ესე“ (48, გვ. 69).

და აგრეთვე, როდესაც ბასილი დიდმა გაგზავნა ორი დიაკვანი ეფრემ ასურის მოსაყვანად, „ცნა წმიდამან ეფრემ სულითა წმიდითა. და ვითარ იხილნა იგინი, რამეთუ იკითხვიდეს მისთვის“ (41, გვ. 227), ეფრემმა არჩია იქედან განრიდება და წასვლა.

წმინდა მამები წინასწარ გრძნობენ აგრეთვე თავიანთი სიკვდილის მოახლოებას, რისთვისაც წინასწარ ემზადებიან. საბა განწმენდილმა იხილა „აღსრულებად თვისი შემდგომად მცირედთა დღეთა – და უთხრა ესე მთავარეპისკოპოსსა და ევედრებოდა მას, რაოთამცა განუტევა იგი და შთავიდა ლავრად და სენაკსა თვისსა აღესრულა“ (48, გვ. 114).

ანტონი დიდსაც „წინავსწარ ეუწყა ღმრთისაგან თავისა თვისსა აღსრულება. და ეტყოდა ყოველთა ძმათა, ვითარმედ: ამას გუტყჲ თქუენ: უკუანასკნელსა ხილვასა გჲყოფ და მიკარს, უკუეთუ კუალად თავნი ჩუენნი ამას სოფელსა ვიხილნეთ, რამეთუ ჟამი არს ამიერთვან ჩემისა განსლვისა ...

ვითარცა წერილ არს, გზასა მამათასა წარვალ, რამეთუ კხედავ მე თავსა ჩემსა წოდებულსა უფლისა მიერ“ (2, გვ. 50-51).

ასევე იწინასწარმეტყველა აღსასრულის მოახლოება ეფრემ ასურმა და იოვანე ოქროპირმა. იოვანეს დამე ეჩვენა გარდაცვლილი წმინდანი, სახელად ბასილისკოსი, რომელმაც აუწყა წმინდანს სიკვდილის მოახლოება.

5. არის არატიპური სასწაულები, რომლებშიც სასწაული ხდება წმინდანის დაუსწრებლად, ანუ წმინდა მამები ახდენენ სასწაულს თავისი ფიზიკური არყოფნით სასწაულთა განხორციელების ადგილზე. ეს კი მიანიშნებს იმას, რომ წმინდანი თავისი ქმედებით შეუზღუდავია დროსა და სივრცეში.

სანიმუშოდ შევეხებით რამდენიმე მაგალითს: „თევდოსი დიდის ცხოვრება“: „მოვიდა მკალი სოფელსა ერთსა. და სოფლისა მის მყოფთა ჩუეულებად აქუნდა ევლოგიისა მოღებად მონასტერსა მისსა უცხოთათვს და გლახაკთა, რომელი მისა მიიღლტოდიან. და მოვიდეს სოფლიონი იგი და შეიწვევდეს წმიდასა მას. და მან მოიღო ზეთი და ლოცვად წართქუა მას ზედა და წარსცა იგი ერთსა ძმათაგანსა, რათა აპკურონ იგი გარემო სოფელსა მას. და დაიცვა იგი ლმერთმან ვნებისა მისგან მკლისა“ (49, გვ. 193).

ამ ეპიზოდის მსგავსს ვაწყდებით „იოვანე ოქროპირის ცხოვრებაში“, რომელშიც აღწერილია, თუ როგორ გაატანა იოვანემ ხალხს ჯვარი, რათა დაესოთ იმ ადგილზე, სადაც იწვა ლომი, რომელიც აშინებდა მოსახლეობას. მართლაც ხალხმა აღასრულა იოვანეს დანაბარები და მეორე დღეს ნახეს იმ ადგილზე გარდაცვლილი ლომი.

ხოლო „ანტონი დიდის ცხოვრებაში“ აღწერილია, თუ როგორ ევედრებოდა მთაზე მყოფ ანტონს არქელაოზი კუმსი ლავდიკიელი ქალწულის განკურნებას. ანტონმა „ლოცვა-ყო მისთვს. და კუმსმან მან დაისწავა დღე იგი, რომელსა დღესა ლოცვა-ყო მისთვს. და ვითარ წარვიდა ლაუდიკიად, პოვა ქალწული იგი ცოცხალი. და ვითარ გამოიკითხვიდა იგი, რომელსა დღესა დასცხა იგი უძლურებისაგან, წარმოიღო წიგნი, რომელსა ჟამსა ლოცვად იგი მისთვს დაიწერა. და ვითარ ესმა მათგან, უჩუენა მანცა მყის წიგნსა აღწერილი, და ყოველთავე უგარდა და გულისხმა-ყვეს, რამეთუ მას ჟამსა განკურნა იგი უფალმან სალმობისა მისგან, რომელსა დღესა ლოცვა-ყო ანტონი“ (2, გვ. 39).

### **III. სასწაულები, რომლებშიც ასახულია წმინდანის ჩაურევლად უშუალოდ უფლისაგან მოვლენილი სასწაულები.**

1. ნათარგმნ აგიოგრაფიულ თხზულებებში ვხვდებით სასწაულებს, რომლებშიც აღწერილია უფლისაგან მოვლენილი რისხვა სტიქიური უბედურებების სახით. მაგალითად, „საბა განწმენდილის ცხოვრებაში“ „ვინაოთგან განაძეს მთავარეპისკოპოსი ელია, დაეჭმა ცავ და არა წჯმა ხუთ წელ და უწყმრობასა თანა მოწდა მკალი ქუემგოგვარი ფრიად, რომლისავ არა იყო რიცხვ, და მოჭამა ყოველი პირი ქუეყანისავ. და მეორესა წელსა შემდგომად მოსლვისა მის მკლისა მოვიდა სხუავ მკალი და დაპფარა ცავ და შეჭამნა ყოველნი ხენი ქუეყანისანი. და იყო სიყმილი ძლიერი და სიკუდილი. ესევითარი იხილეს რისხვად მოწევნული, იტყოდეს იერუსალემელნი, ვითარმედ რომელ-იგი იქმნა საქმე – მთავარეპისკოპოსისა ელიას მიმართ ცოდვად განძებისა მისისავ – ამისთვის მოვწია ესე ყოველი ჩუენ ზედა“ (48, გვ. 101).

ხოლო იოვანე ოქროპირის ქალაქიდან გაძევების შემდეგ „ცეცხლი გამოწდა საყდრით, რომელსა ზედა აქუნდა ჩუეულებად ჯდომად, და აღეტყინა, ვიდრემდის შეედვა ჯაჭუთა და განვიდა სარკუმლით, რავთა ამხილოს ხილვითა მისითა მრისხანითა კრებულსა მას უჯეროსა. და ვითარ ცეცხლი იგი ეტყინებოდა, და მოპბერა ქარმან და შეედვა ერთსა სიკრიტონსა სამეუფოსა და დაწუა. და იყო ესე პირისპირ ეკლესიასა შორის, რავთა ამხილის ყოველთა, რომელნი აღდგეს იოვანცს ზედა მის ადგილისა კერძონი. ხოლო ეკლესიასა მახლობელად არა შეედვა ცეცხლი, არამედ მახლობელად სამეუფოსა, რავთა ცნან, ვითარმედ რისხვად არს დმრთისავ“ (19, გვ. 115).

2. არის სასწაულები, რომლებშიც აღწერილია უკეთურ ადამიანებზე თავსდამტყდარი დვთაებრივი რისხვა. ერთხელ თევდოსი დიდზე „ვითარ მიესმა მეფესა სიმწნით დგომად მისი მართლმადიდებლობისათვის, მოწერა, რავთა ექუსორია ყონ ადგილისა თჯისაგან. და ვიდრე წიგნისა მოწევნამდე მოავლინა ღმერთმან რისხვად მისი მეფესა ზედა, და მოკლა იგი“ (49, გვ. 190).

ხოლო „ეფრემ ასურის ცხოვრებაში“ აღწერილია, თუ როგორ შემოესიენ სპარსელები ქალაქ ნისიბინს. და ეფრემმა რა „იხილნა ბევრის-ბევრეულნი კაცნი, აღიხილნა თუალნი თჯისი ღმრთისა მიმართ და ითხოვა მისგან, რავთა მიავლინოს მათ ზედა რისხვაო, მკალი და ბუზი, რავთა ამათ მჯეცთა უნდოთა

მიერ კმა-უყოს მათისა ბრძოლისათვის, და გულისხმა-ყოს საბურ სპარსთა მეფემან... ძალი ღმრთისად.

მაშინ... მოიწია მათ ზედა ღრუბელი და მკალი და ბუზი და დაესხა პილოთა ზედა, რამეთუ თმად არა ასხს მათ. და ფაქლი შევიდის ყურთა და ცხვრთა შეუგდის. და დაესხა ბუზი იგი ცხენთა და პილოთა და სხუათაცა პირუტყუთა: ორთა და აქლემთა... და ვერ დაუდგეს წინაშე რისხვასა მას, რომელი-იგი მოავლინა ღმერთმან მათ ზედა“ (41, გვ. 216).

3. გავრცელებულია აგრეთვე სასწაულები, რომლებშიც აღწერილია წმინდა მამებზე უფლისაგან მოვლენილი მხარდაჭერა, შეწევნა სხვადასხვა სახით. ასე, მაგალითად, საბა განწმენდილს სურდა უცხო მონაზონთა სამყოფელად სენაკის შეძენა, რომელიც ძვირი ღირდა, საბას კი არ ჰქონდა ნახევარი დრაჟკანის მეტი. და „ხვალისა დღისასა აღმოსლვამდე მზისა განიზრახვიდა ნეტარი იგი ამისთვის და ილოცვიდა. მო-ვინმე-ვიდა მისა უცხო, რომელმან ყოვლადვე არა იცოდა იგი, და მოსცა მას ასსამეოცდაათი დრაჟკანი. და მასვე ჟამსა წარვიდა კაცი იგი და არცადა თუ სახელი მისი უთხრა. ხოლო ნეტარსა მას დაუკურდა ღმრთისა მიერ შეწევნად იგი მისი...“ (48, გვ. 74).

უფლის მხარდაჭერაზე მეტყველებს ერთი ეპიზოდი „იოვანე ოქროპირის ცხოვრებიდან“. წმინდა მამამ განიზრახა პავლე მოციქულის წიგნთა განმარტების დაწერა. მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ მას გაუჩნდა კითხვა, რომ სურდა თუ არა უფალს ასეთი საპასუხისმგებლო დავალება შეესრულებინა თავად იოვანეს. ამდენად, წმინდანმა შესთხოვა უფალს ეუწყებინა მისთვის რაიმე ნიშნით მხარდაჭერა. იოვანეს სათხოვარი შეისმინა უფალმა და რამდენიმე დღეში მოუვლინა მხარდაჭერა შემდეგი სახით: სულიერმა მმამ, პროკლემ ნაპრალიდან იხილა, თუ როგორ მუშაობდა იოვანე წიგნზე და ამავე დროს იხილა, რომ „იყო პავლე მოციქული მიყრდნობილ მისა ზურგით კერძო თავადმდე იოვანტსა და პირი მისი ყურსა თანა მარჯუენესა იოვანესსა და პზრახვიდა მას, ხოლო ხატი მისი პგვანდა ხატსა ელისე წინაწარმეტყულისასა და წუერი მისი იყო სრულ და ვრცელ“ (19, გვ. 53) და როდესაც იოვანემ იკითხა იმის ვინაობა ვისთანაც პროკლეს თქმით თურმე დამე პქონია საუბარი, „მაშინ უთხრა პროკლე სახს კაცისად მის, რომელი ეჩუენა მას და შემკულებად მისი, და ვითარ იყო პირი მისი ყურსა თანა და ზრახვიდა საიდუმლოდ, ხოლო იგი წერდა. და ვითარცა ესმა ესე წმიდასა მას, ფრიად დაუკურდა. ხოლო ვითარ დაასრულა პროკლე თხრობად მისი, მიხედნა და იხილა ხატი იგი მოციქულისად

და პგგანდა კაცსა მას, რომელი ეწუენა მას. და მუკლნი მოიდრიკნა იოვანტსა და პრქუა მას და თუალითა უწუენებდა ხატსა მას: „შემინდევ მე, მამაო, რამეთუ კაცი იგი, რომელი გზრახვიდა, პგავს ხატსა ამას, და მე გვეგონებ, ვითარმედ არსვე ეგე“.

მაშინ ცნა იოვანე ბრძენმან, რამეთუ ღმერთმან გამოუცხადა, ვითარმედ სთნავს თარგმანებად წიგნთად მათ და მოავლინა მოციქული მისი პავლე და უბრძანა მას, რათა გამოუთარგმნიდეს წიგნთა თჯსთა იოვანეს“ (19, გვ. 55).

#### IV. სასწაულები, რომლებშიც აღწერილია ზეგავლენა მიცვალებულთა სამყაროზე.

##### 1. საფლავთა და წმინდა ნაწილთა სასწაულები:

ა) ნათარგმნ აგიოგრაფიულ თხზულებებში მრავლად მოიპოვება სასწაულები, რომლებშიც აღწერილია გარდაცვლილი წმინდანის მიერ სასწაულთა მოხდენა. კერძოდ, წმინდა ნაწილთა ხელის შეხებით ავადმყოფთა განკურნება და ადამიანებისაგან ეშმაკთა განსხმა. მაგალითად, „იოვანე ოქროპირის ცხოვრებაში“ იყო „კაცი ვინმე, რომლისა ფერწსა მისსა გუელსა ეპინა. და იყო იგი მკელობელ და მარადის ზინ ეკლესიას და ითხოვნ ქველის-საქმარსა. და იგიცა დავარდა კრებულსა მას თანა და თაყუანის-სცა წმიდისა მის გუამსა. და მოიდო ნახევი სამოსლისა მისისად და მოიხვა ფერწსა მას მისსა უძლურსა, და განკმარტა ფერწი იგი და იქმნა ცოცხალ, ვითარცა ერთი იგი... და ვითარ იხილეს ესე საკურველი მის ადგილისა მყოფთა, აღიტაცეს თითოეულმან სამოსლისა მისისაგანი მცირედ-მცირედ და წარიდეს იგი ევლოგიად და საკურნებლად სწეულთა“ (19, გვ. 141). და კიდევ: „საბა განწმენდილის ცხოვრებაში“, ორი მორწმუნე მმა „დასწეულდეს ჟამსა თდენ სოულისასა შემთხუევითა ეშმაკისავთა ფიცხლად. და განწირნეს იგინი სიკუდიდ, და იურვოდეს იგინი სოულისათვს. მაშინ მოიგენენეს წმიდად საბა და ილოცვიდეს მისა მიმართ, და ეჩუენა მათ თითოეულსა თჯსისაგან და პრქუა: „აჲა ესერა ვევედრე მე ღმერთსა განმრთელებისა თქუენისათვს... აღდეგით და განვედით საქმესა თქუენსა. ხოლო ესენი მუნქუესვე განძლიერდეს, აღდგეს და წარვიდეს საქმესა თჯსსა“ (48, გვ. 116).

ხოლო რაც შეეხება ეშმაკთა განსხმას, აქ შეიძლება მოვიხმოთ პასაჟი „თევდოსი დიდის ცხოვრებიდან“: ერთი ალექსანდრიელი კაცი „დაეცემოდა იგი ეშმაკისაგან. და მოვიდა იგი ადგილსა მას და ესვიდა იგი, რავთა ღმერთმან განკურნოს ლოცვითა მის წმიდისავთა. და ღმერთმან უკუნადროა განკურნებავ მისი, ვიდრე ღღედმდე წმიდისა მის შესუენებისა, რავთა მით პატივ-სცეს წმიდასა თჯსსა. და რაჟამს გამოვიდა სული ნებარისავ მის ჭორცთა მისთაგან, მოვიდა ვნებული იგი და მოეკიდა იგი წმიდასა გუამსა მისსა... და თქ'ა, ვითარმედ: არა უტეო დაფლვად, ვიდრემდის ღმერთმან ლოცვითა მისითა მომცეს განკურნებავ... და დაალტობდა ფერტთა მისთა ცრემლითა და იტყოდა: შემიწყალე მე, წმიდაო ღმრთისაო, და აჩუენე, რამეთუ შემდგომადცა განსლვისა შენისა ამიერ სოფლით არავე დასცხებები ვედრებად ღმრთისა მიმართ მათთჯს... და შეიწირა ღმერთმან მოწყალემან სარწმუნოებავ მისი და აჩუენა საკარგელებავ თჯსი ჩუეულებისაებრ და მეყსეულად დასცა იგი სულმან მან არაწმიდამან, და იწყო სიტყუად წმიდისა მიმართ სიტყვთა უუდრებისავთა. და მყის განვიდა მისგან, და განთავისუფლდა კაცი იგი“ (49, გვ. 196-197).

ბ) საინტერესო შემთხვევას წარმოადგენს წმინდა ნაწილებთან დაკავშირებული ისეთი სასწაულები, რომლებშიც აღწერილია მიცვალებული წმინდანის ცხედრის გაუხერწნელად შენახვა, ან კიდევ მიცვალებული წმინდანის ახლოს ანგელოზთა გალობა. სანიმუშოდ გავიხსენებთ ორ საგულისხმო მომენტს: „საბა განწმენდილის ცხოვრებაში“ წერია, რომ „არა მოკუდა წმიდავ ესე, არამედ სძინავს... და ღმერთსა სათხო-ეყო, ვითარცა წერილ არს: სულნი მართალთა – ჭელთა შინა ღმრთისათა, და არა შეეხოს მათ სიკუდილი, ხოლო გუამი მისი საფლავსა შინა ძეს განურღუველად ვიდრე ღღენდელად დღედმდე, დაცვულ არს“ (48, გვ. 115).

ხოლო „იოვანე ოქროპირის ცხოვრებაში“ აღწერილია, თუ როგორ განდევნეს და აწამეს იოვანეს მიმდევარი მგალობელი ავტოპიოსი. „და გამოაცხადა ღმერთმან საკარგელი, რაჟამს მოკუდებოდა იგი, მიმსგავსებული მჯსნელსა ჩუენსა, რამეთუ შუვადამეს გალობავ ისმოდა ანგელოზთავ ზედა გუამსა მისსა“ (19, გვ. 120).

გ) არის სასწაულები, რომლებშიც გარდაცვლილი წმინდანები სიკვდილისაგან გადაარჩენენ ადამიანებს და ცხოველებს. მოვიხმობთ რამოდენიმე პასაჟს „საბა განწმენდილის ცხოვრებიდან“: როდესაც დატვირთული აქლემი გადავარდა კლდიდან, აქლემის სარკინოზი პატრონი „დაღადებდა და

იტყოდა: ლოცვაო წმიდისა საბახსო, შეეწიე აქლემსა ამას ჩემსა... და იხილა ვინმე ბერი შუენიერი, ზედა-მჯდომარც აქლემსა მას მგორვალსა. და სრბით სხვთ გზით შთავიდა ჭევად აქლემისა უფალი და ბერი იგი აქლემსა მას ზედა მჯდომარც არა პოვა. ხოლო აქლემი იგი „უვნებელად დაცვული პოვა“ (48, გვ. 117). საბა განწმენდილის სული ასევე გადაარჩენს ყრმა ბავშვს წყალში დანთქმისაგან.

2. ზოგადად აგიოგრაფიულ თხზულებებში გავრცელებულია წმინდანისაგან ადამიანის ან ცხოველის მკვდრეთით აღდგენა. ასეთ შემთხვევას ვაწყდებით „ეფრემ ასურის ცხოვრებაში“: ერთი მწვალებელი, რომელიც უფლის ნებით და რისხვით გველის კბენისაგან გარდაიცვალა, ეფრემმა იხილა რა „მკუდარი იგი... მიაქცია პირი თუსი აღმოსავალით და თაყუანისცემით ილოცა და აღუპურა ჭელითა თუსითა მკუდარსა მას და აღადგინა იგი“ (41, გვ. 225).

3. არის არატიპური სასწაულები, რომლებშიც აღწერილია გარდაცვლილ წმინდანთაგან ცოცხალ ადამიანებზე გარკვეულ მოვლენათა წინასწარმეტყველება. მაგალითად, იოვანე ოქროპირს ეჩვენებიან მოციქულები იოვანე და პეტრე, რომლებიც უწინასწარმეტყველებენ იოვანეს დევნის გამო ევდოქსია დედოფალს, რომ „აღეტყინოს და აღივსოს მატლითა ცოცხალივე და გემიებდეს შენ, რათამცა შეიწყალე, და არა გპოოს და მოკუდეს სენსა მას“ (19, გვ. 129).

ხოლო „საბა განწმენდილის ცხოვრებაში“ ერთ ვერცხლის მჭედელს, რომელსაც მოპარეს ვერცხლი, უწინასწარმეტყველებს ქრისტესთვის წამებული თეოდორე ვერცხლის პოვნას საბას განსასვენებელ ადგილზე: „არამედ აღდეგ და მივედ ადგილსა მას, და ჰპოვნეთ მუნ მპარავნი და ვეცხლი შენი. და მე აღვდეგ მასვე ჟამსა შინა და წარვიყვანენ ჩემ თანა სხუანიცა. და ვითარცა მივედით ადგილსა მას, რომელი მიჩურნა მე წმიდამან თეოდორე, ვპოვეთ ეგრე“ (48, გვ. 116).

**V. სასწაულები, რომლებშიც აღწერილია ზემოქმედება მატერიალურ  
სამყაროზე.**

1. აგიოგრაფიულ თხზულებებში მოიპოვება სასწაულები, რომლებშიც წმინდანთა ძალა არის პიპერბოლიზირებული. „საბა განწმენდილის ცხოვრებაში“, როდესაც მართლმადიდებლობის მოწინააღმდეგებებმა ალექ შემოარტყეს დიდ ლავრას და მასში მყოფ სულიერ მამებს, „ერთმან ვინმე, თეუდოლოს სახელით, ბესი მონაზონი, შეწყუდობილთა მათგანი, ამან პოვა ნიჩაბი და აღიდო იგი და ქსენადოქით გამოვიდა. ხოლო მბრძოლნი იგი იყვნეს ვითარ სამას ოდენ, და ამან მარტომან ყოველნი განაპიოვნა. ხოლო უხეთქნა არავის... და მუნქუესვე ღმრთისმსახურთა მათ ზედა ბრძოლავ იგი განქარდა“ (48, გვ. 121-122).

„თევდოსის ცხოვრებაში“ კი მოთხოვობილია ერთი სასწაული, რომლის მიხედვით წმინდანისაგან გატანებული წმინდა ნაწილით, ადამიანს შეემატება ძალა და ენერგია: თევდოსისთან მისული სპასალარი წმინდა მამისაგან ითხოვს სამოსელს, შეიმოსება ძაბის სამოსელით ვითარცა საჭურველით და წავა საბრძოლველად. ბრძოლაში გამარჯვებული სპასალარი დაბრუნდება, თევდოსის შესწირავს მადლობას და თან უამბობს, რომ „უამსა ბრძოლისა შემთხუევისასა შევიმოსე სამოსელი იგი ძაბისად, რომელი შენ მომეც ნაცვალად რკინისა ჯაჭვსა ... და განვედ ბრძოლად მტერისა ... აკდა მტუერი დიდძალი სრბითა... მას უამსა შინა გიხილე შენ, წმიდაო მამაო, წინაშე ჩემსა, მიჩუენებდ რაო ჭელითა შენითა და მასწავებდ, ვითარ ვყო. და შენითა ზახებითა განმაძლიერა მე ღმერთმან, და ვაოტენ მტერნი იგი“ (49, გვ. 194).

2. ძალზე გავრცელებულია წმინდა მამათაგან ბუნებრივი მოვლენების დამორჩილება და მბრძანებლობა მათზე. მაგალითად, ზღვა აუდელდა ნავით მიმავალ ეფრემ ასურს, „და თუმცა არა შეწევნავ ღმრთისავ და ლოცვავ წმიდისა ეფრემისი, ნავი და-მცა-ნთქუმულ იყო, რამეთუ ყოველი სამძიმარი და ჭურჭელი შთაყარეს ზღუასა, და ფიცხლად ღელვიდა ზღუა იგი...“

იგი აღდგა და თაყუანისცა ღმერთსა და ტიროდა და ჭელნი თჯსნი განიპყრნა და ჯუარი დასწერა ზღუასა და თქუა: სახელითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტისითა... გიბრძანებ, რაოთა დასცხე და დაყუდდენ ღელვანი შენნი. და ვითარცა თქუა წმიდამან ესრე, დაყუდდა ზღუა და ღელვანი მისნი“ (41, გვ. 221).

ხოლო უწყლობის დროს თევდოსი დიდს ეპედრებოდენ გლახაკნი წყალს, და მან „ილოცა, და გარდამოქდა წჭმარ, და ნაყოფიერ იქმნა ქუეყანავ“ (49, გვ. 194).

3. არის სასწაულები, რომლებშიც აღწერილია, თუ როგორ იცვლიან თვისებებს წმინდანთა ზემოქმედებით ბუნებრივი და ფიზიკური მოვლენები, სტიქიონები. ამის ნათელი ნიმუშია „იოვანე ოქროპირის ცხოვრებაში“ აღწერილი სასწაული, რომლის თანახმად იოვანეს გაძევების გამო უფლისაგან მოვლენილი რისხევის დროს „კაცნი ორთა მთათა შორის ცეცხლისათა იქცეოდეს უვნებელად. ხოლო ცეცხლი იგი, ვითარცა გულისჯმიერი, ფრინვილა და ზღუად ეგრეთ დელვოოდა სართულთა ზედა მრგულიად და არა შეეხო სახლთა მათ, რომელთა შინა იდვა კიმილიად ეპლესისად... და ამან ესევითარმან ცეცხლმან არავინ დაწუა“ (19, გვ. 115-116).

„საბა განწმენდილის ცხოვრებაში“ კი უდაბნოში შეშით მიმავალმა სულიერმა ძმამ, რომელსაც გზაში სიცხე წამოეწია, ილოცა და დახმარება შესთხოვა საბას: „და მექსეულად რომელი-იგი სუეტითა დრუბლისათა აგრილობდა ისრაცლსა დმერთი, ამასცა ეგრევე სახედ დრუბელი ცუარისად მოსცა და დაშრიტა წყურილი მისი და განაძლიერა იგი. და თანა-უვიდოდა მას დრუბელი იგი ვიდრე მოსლვადმდე მისა ლავრად“ (48, გვ. 70).

4. აგიოგრაფიულ თხზულებებში აღინიშნება ისეთი შემთხვევები, რომლებშიც წმინდანთა ჩარევით ბუნებას იცვლიან ნივთიერებები და საგნები. ასე, მაგალითად, ლავრის მაგიროსმა, როდესაც აღმოაჩინა ხუროთათვის გამზადებული გოგრის სიმწარე, მივიდა საბა განწმენდილთან და შესჩივლა. ხოლო საბა „მოვიდა და ქუაბსა მას დასწერა ნიში ჯუარისად და პრქუა მაგიროსსა მას: ვიდოდე, კურთხეულ არს უფალი. დაუგე ტაბლებსა. და მყის დატკბნა აყიროდ იგი. და ჭამეს ყოველთა და განძლეს და ადიდებდეს ლმერთსა“ (48, გვ. 88). და კვლავ საბამ, გოგრაში ჩასხმული ძმარი აქცია დვინოდ და თან გაიხსენა სახარებისეული სასწაული ქრისტესგან წყლის დვინოდ გადაქცევის შესახებ. ასევე, როდესაც დასხდნენ თევდოსი დიდი და მაკარი საჭმელად, მაკარს არ ჰქონდა სუფრაზე პური უფქვილობის გამო. „და მიყო წმიდამან თევდოსი ჭელი თუსი მუნქუესვე წუერთა ამბა მაკარისთა და გამოიღო მარცუალი იფქლისად და უჩუენა იგი მას მხიარულითა პირითა და პრქუა: აპა მარცუალი იფქლისად“ (49, გვ. 191).

5. არცთუ იშვიათია ნათარგმნ აგიოგრაფიულ თხზულებებში სასწაულები, რომლებშიც წყაროს აღმოცენება და საკვების გამრავლებაა აღწერილი. უფალი იჩენს გულუხვობას თავისი სულიერი შვილების მიმართ ძნელბედობის უამს და აჯილდოებს მათ წყაროსა და საკვების აღმოცენებით. უდაბნოში მიმავალ ანტონი დიდს და მონაზვნებს შეაწუხებს უწყლობა, და ამის გამო „დაცვეს ქუეყანასა და აქლემიცა იგი განუტევეს წარსლვად... და ბერმან მან ვითარცა იხილნა ყოველნივე ჭირსა შინა, შეწუხენა ფრიად და სულთ-ითქუმიდა და წარვიდა მათგან მცირედ, მოიდრიკნა მუკლნი; ჭელნი განიპყრნა და ილოცვიდა. და მექს ისმინა მისი უფალმან, და წყარო აღმოგდა მიერ ადგილით, სადა-იგი დგა, და ილოცვიდა“ (2, გვ. 35).

აგრეთვე დომენტიანოსთან და ეფთვიმი დიდთან ერთად უდაბნოში მიმავალი საბა, სიცხის და უწყლობის გამო დავარდა მიწაზე, რის გამოც „ბერსა შეეწყალა იგი და განეშოვრა მათგან ვითარ ქვის-სატყორცებელ ოდენ და დავარდა პირსა ზედა თვესსა, ევედრებოდა ღმერთსა და თქუა: უფალო ღმერთო, მოეც წყალი ადგილსა ამას ურწყულსა და განუქარვე ჭაბუქსა ამას წყურილი.

და შემდგომად ლოცვისა მოუწოდა და სამჯერ დასცა სკალიდი და აღმოეცა ადგილსა მას წყალი ცხოველი“ (48, გვ. 62).

რაც შეეხება საკვების აღმოცენების შემთხვევას, სანიმუშოდ გავიხსენებთ ერთ ეპიზოდს „თევდოსის ცხოვრებიდან“, რომელშიც შიმშილობის უამს თევდოსის მიერ მაკარის წვერისაგან გაჩენილი მარცვალი „ვითარცა დიდი რამე ევლოგიად“, მაკარმა „შთააგდო იგი საიფქლესა ადგილსა და დაკკრძალა კარი მისი...“

და მესამესა დღესა მივიდა ამბა მაკარი საიფქლესა მას ადგილსა და პოვა იგი სავსც იფქლითა.. და პრქუა: აკურთხე, მამაო, რაითა განვაღოთ კარი ადგილისად ამის და ვჭამოთ ნაყოფისაგან, რომელი არა დაოქსულ არს და არცა ქუეყანასა გამოუღებია, რომელი ლოცვითა შენითა იკურთხა და განმრავლდა ერთისა მისგან მარცულისა, რომელი შენ მომეც“ (49, გვ. 191-192).

6. ზოგადად აგიოგრაფიულ თხზულებებში ფართოდ გავრცელებულია წმინდანისა და ცხოველთა ურთიერთობის მოტივი, რომელშიც წარმოჩენილია წმინდანთაგან ცხოველთა მოშინაურებისა და მორჩილების ფაქტები.

ცხოველთა და მწერთა დამორჩილების შემთხვევას ვაწყდებით „თევდოსი დიდის ცხოვრებაში“: „მოვიდა ოდესმე ქუეყანასა ამას ურიცხვ მკალი და ქუემგოგვარი. და ქუეყანისა კაცნი მოივლტოდეს წმიდისა ამის... და მოვიდა,

სადა-იგი იყო სიმრავლე მკლისად მის. და მუნ დადგა იგი და ილოცა და ბრძანა, რათა მოჰკუარონ მას მკლისა მისგან... და პრქუა მათ: თქუენცა მონანი ხართ ჩუენებრვე ერთისა უფლისანი, ნუ შეეხებით გლახაკთა საზრდელსა – ესრცო გიბრძანებს თქუენ უფალი. მაშინ ყოველი, რომელი იყო მკალთა მათგანი გარეშე ლობესა, დადგა, რომელი შინა იყო, იწყო ჭამად თივასა და დაუტევებდა ნაყოფსა. და ყოველმა, რომელთა იხილეს ესე, დაუკარდა“ (49, გვ. 193).

ასევე „ანგონი დიდის ცხოვრებაში“ „უდაბნოესა მჯეცნი მიზეზითა მის წყლისავთა მოვიდოდეს და მრავალგზის აგნებდეს თქსულსა მას მისსა და შრომილსა. ხოლო მან განცხომით შეიპყრა ერთი მჯეცი და ეტყოდა ყოველთა: რად მავნებო მე, რამეთუ მე არა გავნებ თქუენ; წარვედით და სახელითა იესუსითა ნუდარა მოეახლებით აქა. მიერითგან შეშინდეს მცნებისა მისთვის და არღარა მოეახლნეს ადგილსა მას“ (2, გვ. 34).

ცხოველთა მოშინაურებასა და დამორჩილებაზე მეტყველებს აგრეთვე „საბა განწმენდილის ცხოვრებაში“ აღწერილი ერთი სასწაული, რომლის მიხედვით გზად მიმავალ საბას შეხვდა „ლომი ფრიად დიდი და მკელობელი. და შეუვრდა მას და უჩუენა ფერჭი იგი, რომლითა კელობდა. და თუალთა წამისყოფითა ევერებოდა მას, რათამცა უხილა. ხოლო მამამან ჩუენმან საბა გულისხმა-ყო მჯეცისა მის ტკივილი და აღუპყრა ფერჭი მისი და ჩნდეს აღსობილი გამოჰკადა მას. და მუნქუესვე დაუცხრა სალმობად. იგი ლომსა მას და ვიდოდა იგი მშვდობით. მიერ ჟამითგან ორმეოცთა მათ დღეთა მარხვისათა უკუანა შეუდგა, ვითარცა მონად, თანაჲყვანდა“ (48, გვ. 88-89).

ამგვარად, წარმოდგენილ თავში შეძლებისდაგვარად მოვიხილეთ „ცხოვრებათა“ ჟანრის ნათარგმნი აგიოგრაფიული თხზულებები, ვაჩვენეთ თხზულებებს შორის არსებული სიუჟეტურ-კომპოზიციური პარალელები, აგრეთვე სიუჟეტურ-კომპოზიციური შაბლონები და ბოლოს, ისინი დაჯგუფდა სათანადო სქემების მიხედვით.

### თავი III

## სიუკეტურ-კომპოზიციური შაბლონები „იღვანე დამასკელის და კოზმან იერუსალიმელისა“ და „წმინდა პახომიოსის ცხოვრებებში“

თანამედროვე ქართულ ლიტერატურაობრივი ფეხი მოიკიდა ორიგინალური და ნათარგმნი აგიოგრაფიული თხზულებების ძველი ქართული ტექსტებიდან თანამედროვე სამეტყველო ენაზე გადმოცემამ. ამ მუშაობამ გამოვლინება პპოვა, როგორც საეკლესიო, ისე სამეცნიერო ლიტერატურაში. საეკლესიო ლიტერატურის სფეროდან ჩვენ მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ 2006 წელს პატრიარქის ლოცვა-კურთხევით დეკანოზ ზაქარია მაჩიტაძის მიერ ორ წიგნად გამოცემული „წმიდათა ცხოვრებანი“. კრებულის შემდგენლის თვალთახედვით, რამდენადაც წმინდანთა ცხოვრებანი ეკლესიებში იკითხებოდა მათი ხსენების დღეებში, რაც თავის თავად მოითხოვდა კალენდარულ თანმიმდევრობას, დასახელებული კრებულიც ამ პრინციპით იყო შედგენილი. ავტორის აზრით, „ყველა სათნომყოფელი“ რომ გაეცნო საზოგადოებას, ამისთვის საჭირო იყო წმინდანთა ცხოვრების შედგენა-გამოკრება, როგორც ძველი ქართული ტექსტებიდან მათ თანამედროვე სამეტყველო ენაზე გადმოცემის, ასევე რუსული სვინაქსარული ცხოვრებიდან შემოკლებული თარგმანის სახით (30, გვ. 5).

რაც შეეხება სამეცნიერო ლიტერატურას, ამ მხრივ შეიძლება დასახელდეს ლ. კვირიკაშვილის მიერ გამოცემული ოთხტომეული „ბიზანტიური მწერლობის ქრესტომათია“. ეს გამოცემაც მიზნად ისახავს ბიზანტიური მწერლობის თანამედროვე ქართულ ენაზე გადმოთარგმნასა და ქართველი მკითხველისადმი გაცნობას. მიუხედავად იმისა, რომ კრებულში არ შესულა ისეთ დიდ მოღვაწეთა ცნობილი თხზულებების აწ უკვე ძველ ქართულად გამოცემული თარგმანები, როგორებიც არიან ბასილი დიდი, იოვანე ოქროპირი, ათანასი ალექსანდრიელი. წიგნის ავტორის თვალსაზრისით, კრებულის შედგენის დროს მთავარი იყო უანრობრივი მრავალფეროვნების დაცვა და არცოუ ისე ცნობილ ძეგლთა საშუალებით ეპქის მხატვრულ და ზოგად სოციალურ-ისტორიულ საიდუმლოთა წვდომის პრინციპების ასახვა.

წინამდებარე თავში მიზნად ვისახავთ ერთმანეთს შევადაროთ სიუჟეტურ-კომპოზიციური თვალსაზრისით „იოვანე დამასკელის და კოზმან იერუსალიმელისა“ და „წმინდა პახომიოსის ცხოვრებანი“, რომელთა ტექსტებზე მუშაობისას ვიხელმძღვანელეთ ლ. კვირიკაშვილის მიერ გამოცემული დასახელებული ქრესტომათიით (27).

რაც შეეხება იოვანე დამასკელს, იგი იყო VII-VIII ს.-ის დიდი რელიგიური მოღვაწე. მის კალამს ეკუთვნის მრავალი საღვთისმეტყველო შრომა, საგალობელი, მწვალებლობის წინააღმდეგ მიმართული ეპისტოლები და აპოლოგია. იოვანე დამასკელის ნაშრომებს შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს „ცოდნის წყაროს“, რომელიც სამი ნაწილისგან შედგება. ცნობილია, რომ „იოვანე დამასკელის ცხოვრება“ ქართულად ითარგმნა ეფრემ მცირის მიერ და მიუხედავად იმისა, რომ ამ თარგმანში გაერთიანებულია „იოვანე დამასკელისა და კოზმან მაიუმელის ცხოვრება“, თარგმანის ზედწერილში კოზმან მაიუმელი არ იხსენიება. ხოლო თავად ლ. კვირიკაშვილი ქართული ტექსტის გამოქვეყნებისას ემყარებოდა ა. პაპადოპულის-კერამევსის მიერ ბერძნულად გამოქვეყნებულ „იოვანესა და კოზმანის ცხოვრების“ რედაქციას (27, გვ. 18).

ხოლო რაც შეეხება წმინდა პახომიოსს, იგი არის III საუკუნის სასულიერო მოღვაწე, დაბადებული ქ. თებაიდაში. წმინდა პახუმი ანტონი დიდთან, მაკარი და ექვთიმე დიდთან ერთად ითვლება მეუდაბნოებისა და სამონასტრო ცხოვრების ერთ-ერთ დამაარსებლად ეგვიპტეში. „წმინდა პახომიოსის ცხოვრებას“, რომლის ნაწილი წარმოდგენილია „ქრესტომათიაში“, ეწოდება პახომიოსის „პირველი ცხოვრება“, რომელიც დაშორებულია უადრესი პაგიოგრაფიული თხზულებების სქემას. თავად კრებულის შემდგენელი ამ ტექსტზე მუშაობისას ეფუძნებოდა 1932 წელს ფ. ალკენის მიერ გამოცემულ „Sancti Pachomii Vitae Graecae“-ს (27, გვ. 6).

უნდა აღინიშნოს, რომ ძეგლებში სრულად არ არის წარმოდგენილი ის აუცილებელი კომპონენტები, რომლისგანაც შედგება ესა თუ ის აგიოგრაფიული ნაწარმოები, მათში ამბის თხრობა უფრო წყვეტილად არის მოცემული, მაგრამ ეს ხარვეზები, ჩვენი აზრით, განპირობებული უნდა იყოს რედაქციული თავისებურებებიდან გამომდინარე, საიდანაც შემდეგ ითარგმნა ქართულად. შეძლებისდაგვარად იქნება ცდა, წარმოვაჩინოთ დასახელებულ ნაწარმოებებს

შორის არსებული სიუჟეტურ-კომპოზიციური თავისებურებანი, მსგავსება-განსხვავებანი.

1. აგიოგრაფიული თხზულებებისათვის, როგორც ცნობილია, დამახასიათებელია ნაწარმოების დასაწყისში ან ბოლოში თხზულების შექმნის დროის აღნიშვნა, აგრეთვე წმინდანის აღსასრულის დათარიღება. ხშირად არის შემთხვევები, როდესაც ავტორი აფიქსირებს თავის ვინაობასაც, მაგრამ დასახელებულ ელემენტებს ვერ ვაწყდებით ჩვენ მიერ წარმოდგენილ ლიტერატურულ ძეგლებში, რაც, როგორც ითქვა, რედაქციული ხარვეზებით უნდა იყოს გამოწვეული.

2. ავტორთა თავმდაბლობა მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს აგიოგრაფიულ თხზულებებში. იგი ერთგვარი მორიდებით გამოხატავს წმინდანის მოღვაწეობის აღწერის სურვილს, აფიქსირებს თავის უმწეობას ამ საპასუხისმგებლო საქმის წამოწყებაში. „იოვანე დამასკელის და კოზმან იერუსალიმელის ცხოვრებაში“ აგიოგრაფი ითხოვს შენდობას წმინდანისასგან და შემდეგი სიტყვებით მიმართავს მას: „ეს გადმოგეცა ჩვენგან, ყოვლად უნეტარესო მამაო, არა დირსებისამებრ, არამედ შეძლებისდაგვარად. ხოლო შენ ზეგარდმო მოგვხედავდე ჩვენ, თუ მრავალთა და დიდთა სასწაულთაგან შენთა მცირედი შევკრიბეთ გულმოდგინეთათვის და როგორც სიმდიდრე შემოვინახეთ. მაგრამ, ო, სამგზის ნეტარო მამაო, რომელიც პეტედავ არა სიტყვის უძლურებას, არამედ შენდამი ტრფობას, შეიწყნარე ჩვენგან გასრულებული შრომა ... შეიწყნარე ეს მცირედი და გაზომე იგი ვედრებით შენდამი“ (18, გვ. 44).

3. აგიოგრაფთაგან მითითება და დასახელება იმ წყაროებისა, რომელზე დაყრდნობითაც ხდება წმინდანის „ცხოვრების“ აღწერა, გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს აგიოგრაფიულ ნაწარმოებებში. „წმინდა პახომიოსის ცხოვრების“ აგიოგრაფი აღნიშნავს, რომ „ძველთა მამათაგან, კარგა ხანს რომ ახლო ურთიერთობა პქონდათ მასთან, შევიტყვეთ ეს ამბავი, რომელსაც ისინი საღვთო წერილის სიტყვების შემდეგ პყვებოდნენ ხშირად. ვერ შევძლებდით, აღგვეწერა მეტი წილი იმისა, რაც მოვისმინეთ, - ამიტომ ნაწილ-ნაწილ მოგითხობთ“ (58, გვ. 10).

4. აგიოგრაფიულ თხზულებებში სიყრმეში წმინდანთა გამორჩეულობას ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა. ეს განსაკუთრებულობა კი აისახება მათ სოციალურ და ეროვნულ წარმომავლობაში, სიყრმისეულ მიდრეკილებებში სწავლისა და რელიგიისადმი, აგრეთვე სხვა ცხოვრებისეული დეტალების

მიმართ. ამ მხრივ შედარებით მწირ ინფორმაციას ვაწყდებით „იოვანე დამასკელის და კოზმან იერუსალიმელისა“ და „წმინდა პახომიოსის ცხოვრებებში“. მაგრამ, მიუხედავად ამისა, შევეცდებით წარმოვაჩინოთ ეს დამახასიათებელი ნიშან-თვისებები:

ა) „იოვანე დამასკელის და კოზმან იერუსალიმელის ცხოვრებაში“ თითქმის სრულად არის წარმოდგენილი წმინდანთა ეროვნული და სოციალური წარმომავლობა. კოზმან იერუსალიმელს „სამშობლოდ ექმნა პუნძული კრეტა, რომელზედაც იშვა“ (18, გვ. 19). იოვანე დამასკელზე კი ავტორი შენიშნავს, რომ დამასკოს მთავარს, მანსურს „უფლადაც სახელდებულს სამარცხევინოდ, ჰყავდა ლირსეული ძე, დაახლოებით თორმეტი წლისა“ (18, გვ. 20), ანუ აქედან გამომდინარე ნათელი ხდება იოვანეს არისტოკრატული, დიდგვაროვნული წარმომავლობა.

ხოლო წმინდა პახომიოსი „წარმოშობით ელინი იყო, თებელი“ (58, გვ. 7), წარმართულ ოჯახში დაბადებული. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პახომიოსს დევნიან წარმართული სალოცავიდან, რაც იწვევს მშობელთა შეშფოთებას შვილის „ურწმუნოების“ გამო. და მხოლოდ გარკვეული პერიოდის შემდეგ, როდესაც იგი გათვიცნობიერდება ქრისტიანულ მოძღვრებაში, იგი ინათლება. თითქმის ანალოგიურ მოვლენათა მიმდინარეობას ვაწყდებით „ეფრემ ასურის ცხოვრებაშიც“. ეფრემიც იბადება წარმართულ ოჯახში, სადაც უხდება შერკინება მშობლების წარმართულ მსოფლმხედველობასთან, რის გამოც გამოძევებული იქნა ოჯახიდან. ეფრემ ასურიც ინათლება ცოტა მოგვიანებით, კერძოდ, მას შემდეგ, რაც დაეწაფება და შეისწავლის ქრისტიანულ მოძღვრებას (41, გვ. 211-212).

ბ) წმინდანები გამოირჩევიან სწავლის მიმართ განსაკუთრებული მიღებით. ამ თვისებით დაჯილდოებულია აგრეთვე იოვანე დამასკელი. მას „ქრისტეს შესახებ წმინდა მახარებელთა მოძღვრების კითხვა და მოსმენა დიდად საამოდ და საწადინოდ ჰქონდა. მოძღვარიც შინ ჰპოვა, მას შემდეგ რაც შეევედრა თავის მამას, სამართლიანი კაცისათვის დაემოწაფებინა ... მასწავლებლის სწავლება შეიწყნარა და მასწავლებელმა – უფრო დიდი ქება, რადგან ყრმას ახარებდა მეცადინეობა უდიდესი მოწადინებით, ცხებულს სწავლის ტრფიალების ზეთით. ... ასე რომ მოკლე ხანში ყოველმხრივ მასწავლებლის სწორი შეიქმნა. დაუცხომლად სწავლობდა საღვთო რჯულს დღისით და დამით, ფხიზლად და ბეჯითად“ (18, გვ. 20-21).

გ) წმინდანები გამოირჩევიან, აგრეთვე, სიყრმეში ღრმა რელიგიურობით, ღვთის მოშიშობით. იოვანე დამასკელი, მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად არ იყო ქრისტიანი და ამ მოძღვრებას ეუფლებოდა კოზმან იერუსალიმელთან, „ღვთაებრივი კოზმანი მოწამე იყო საკვირველი იოვანეს მოშიშობის და მხურვალე რწმენის, შეაგონებდა, ასწავლიდა და უნერგავდა სარწმუნოებისათვის იმას, რაც უნდა მოემოქმედა, ურჩევდა – მარხვა შეენახა და ურწმუნოებთან ურთიერთობისაგან თავი შეეკავებინა“ (18, გვ. 22).

დ) უფლისაგან სიყრმეში წმინდანთა წინასწარ გამორჩევა და ხელდასმა მეტყველებს კიდევ ერთხელ წმინდანთა განსაკუთრებულობაზე და ასეთი შემთხვევები ფრიად გავრცელებულია აგიოგრაფიულ თხზულებებში. მიუხედავად იმისა, რომ არც იოვანე დამასკელი და არც წმინდა პახომიოსი არ იყვნენ დაბადებიდან ქრისტიანები, მათ ბუნებაში უფალმა გამოარჩია ის თვისება, რომელზეც შემდგომ დაეფუძნა ქრისტიანული რწმენა. მაგალითად, „ჩააგონა ღმერთმა უტკბეს იოვანეს მართალი რწმენა. წინასწარ იცნობდა მის წმინდა, საღვთო და სარწმუნო ბუნებას და იმ საგალობლებით დვთისმეტყველად გამოაჩინა, ასწავლა სიტყვიერად საღვთისმეტყველო საიდუმლოთა წვდომა“ (18, გვ. 23). ხოლო პახომიოსი „შფოთავდა მასთან მყოფთა საწუხარით საკაცობრიო სიამტკბილობისათვის და გულს სტკენდა სხვაგვარი უწესრიგობაც ... და ეს ღვთის მადლი იყო, რადგან სიყმაწვილითვე ფრიად ეტრფოდა უმანკოებას“ (58, გვ. 8).

5. უცხო აღმსარებლობის მქონე ადამიანთა ქრისტიანულ რწმენაზე გადმოსვლის, ქრისტიანული მოძღვრებით მოხიბვლის ფაქტს ვხვდებით „წმინდა პახომიოსის ცხოვრებაში“. წმინდა პახომიოსის ცხოვრების გზის ამ მონაკვეთს გადიან თითქოს ევსტათი მცხეთელი და აბო თბილელიც. თხზულებაში პახომიოსი ქრისტიანობით ინტერესდება მას შემდეგ, რაც იხილავს ქრისტიან წინამდღვართა შეპყრობას და მათზე სხვა ქრისტიანი მოღვაწეებისაგან დახმარების ხელის გაწოდებას. წმინდანმა „გამოიკითხა ამის თაობაზე და შეიტყო, რომ ქრისტიანები შემწყნარებელნი არიან უცხოსა და ყველას მიმართ. და მეორედ უწყება, რას ნიშნავს ქრისტიანი და უუბნებიან მას: „კაცნი არიან და ქრისტეს სახელს ატარებენ, ღვთის მხოლოდშობილის ძისას, და ყოველსავე კეთილს იქმან ყველასთვის მისი იმედით ...“

და ესმა რა ესოდენი მადლის შესახებ, გული აღენთო ღვთის შიშით და სიხარულით. მცველთა შორის გადაინაცვლა, ცისკენ განიკყრნა ხელი

სალოცავად და წართქვა: „დმერთო, შემოქმედო ცისა და მიწის, თუ მოხილვით მოიხილავ ჩემს მოდრეკილობას, რის მიზეზითაც არ გიცნობ შენ, მხოლოს და ჰეშმარიტ ღმერთს, და ამ წამებისა და დაწრეტისაგან დამიხსნი, გმსახურებ სურვილით სამარადლეოდ“ (58, გვ. 8).

6. წმინდა მამებს ახასიათებთ ხორციელი დიდების, პატივის უარყოფა. ისინი წინააღმდეგნი არიან ყოველგვარი ფუფუნების, ღარიბების ურიგებენ მთელ ქონებას და თვითონ ესწრაფვიან განმარტოებას სულიერების ამაღლებისა და გაწრთვნის მიზნით. იოვანე დამასკელმა „მთელი საცხოვრებელი, რაც კი რამ გააჩნდა გარდაცვლილ მანსურს, ღარიბებს გაუნაწილა დამასკოსა და მთელს მის შემოგარენში ...“

სიმდიდრე და სახელი უარყო და გახდა მთლად ღმერთის მეტრუნ, დატოვა მონაპოვები და, აღტაცებაში მოიყვანა რა იერუსალიმი, როგორც ვთქვით, – მთელი მამისეული სიმდიდრე ქარს გაატანა“ (18, გვ. 25). აგრეთვე იოვანე, როდესაც მიხვდა, რომ „იგი ცნობილია და ელის იქ მყოფთაგან გარდუვალად სახელის განთქმა, ყველაფრის ცხადყოფა და ჰეშმარიტების ვერას გზით დაფარვა; ამიტომ დაივიწყა ყოველი, უფლის თანადგომით გამოვიდა მონასტრიდან, გაექცა ფუჭ განდიდებას და სურდა, მხოლოდ დვთისთვის ყოფილიყო ცნობილი“ (18, გვ. 31).

ხოლო რაც შეეხება წმინდა პახომიოსს, „შფოთავდა მასთან მყოფთა საწუხარით საკაცობრიო სიამტკბილობისათვის და გულს სტკენდა სხვაგვარი უწესრიგობაც“ (58, გვ. 8).

7. აგიოგრაფიულ თხზულებებში აღწერილია, თუ როგორ ცხოვრებისეულ გზას გადის წმინდანი უფლის სიყვარულისათვის. იგი თრგუნავს საკუთარ თავში ყოველგვარ ცოუნებას და არის მუდმივ სულიერ ღწვაში. მოგვყავს ერთი ეპიზოდი „წმინდა პახომიოსის ცხოვრებიდან“: მოხუც განდევილ პალამონისთან ერთად დაყუდებული წმინდა პახომიოსი „მოცალეობით იწვრთნებოდნენ ლოცვად. საქმე მათოვის სასიტყველის რთვა და ქსოვა იყო. შრომით რომ დაიღლებოდნენ, არა თავდასახსნელად, არამედ გლახაკთა გულისთვის იხსენებდნენ სამოციქულოს. მღვიმარე მოხუცი თუ ნახავდა, რომ ძილი ამძიმებდათ, ორნივ გამოვიდოდნენ რიყეზე, მთის ძირას, და კალათებით გადაჰქონდათ ქვიშა ერთი ადგილიდან მეორეზე, რომ მოექანცათ სხეული ფხიზლად ლოცვისათვის“ (58, გვ. 9).

აღსანიშნავია ისიც, რომ წმინდა მოღვაწეები შემოსილნი არიან დარიბული ძაბით. მაგალითად, პახომიოსს და მის ძმას იოვანეს „საბრალობელთა და გლახაკთა სამოსი ემოსათ, თითქოს მანამდე არ შეეძლოთ სხვა რამის ჩაცმა-დახურვა, ვიდრე ამ ძველს არ გაირეცხავდნენ. და მამავ ჩვენი პახომიოსი ხშირად ბალნის ძაბას იცვამდა დაგლახაკებისათვის ხორცისა“ (58, გვ. 12).

მსგავსად არის აღწერილი კოზმან იერუსალიმელის შემოსილობაც. „იოვანე დამასკელისა და კოზმან იერუსალიმელის ცხოვრების“ მიხედვით, კოზმანს „ემოსა მხოლოდ ქიტონი და ბეწვიანი წამოსასხამის ნაგლუჯები, რასაც ატარებდა, როცა დამასკოდან წამოვიდა. ოცდასამ წელს იმყოფინა ეს ქიტონი გაუხდელად და გამოუცვლელად“ (18, გვ. 41).

წმინდა მამები „ცხოვრებებში“ მოწამეთა მსგავსად აცხადებენ მზადყოფნას მოწამებრივ ცხოვრებაზე უფლისა და რწმენის ერთგულების ნიშნად. ამ მზადყოფნაზე მეტყველებს „წმინდა პახომიოსის ცხოვრებაში“ მოხუცი განდეგილის, პალამონის, ქმედება: პალამონისი ავადმყოფობის უამს მცირედით იკვებებოდა. სულიერმა ძმებმა კი ურჩიეს უკეთ გახდომის მიზნით მიედო მეტი საკვები. მაგრამ, მიუხედავად ამისა, უკავთესობა არ შეიმჩნეოდა, რაზეც წმინდა მამამ განაცხადა: „თუ ქრისტეს მოწამენი ასო-ასო იკაფებოდნენ, თუ მათ თავებს ჰკვეთდნენ, სწვავდნენ, ხოლო ისინი სიკვდილამდე ძალას იკრებდნენ, რად უნდა შევუკრთე უკნინესი ამაგის დებას, რის მოვალედაც თავი მიცვნია? ხომ დაგიჯერეთ და ვჭამე ჭამადი, რომელიც სულის მოსათქმელი გეგონათ: ვერაფერი მარგო. აკა „ღუაწლსა დიდსა შესლვად ვარ“, რომელსა შინა არს სრული შვება, და განვიკურნები; ვინათგან ღვაწლსა ამას ვიქმ არა კაცებრივად, არამედ ღმერთის შესაფერისად“ (58, გვ. 11).

ხოლო იოვანე დამასკელი, როდესაც სპარსეთის მეფემ, ხოსრომ, შეიპყრო და დასაჯა, „ღვთისკაცი ასეთ ბოროტებას უმკლავდებოდა, არ დაცემულა, არამედ მადლობას სწირავდა სასურველ ღმერთს. მოთმინებით გადაიტანა მშვენიერი ასპარეზობა“ (18, გვ. 27).

8. უფლისაგან წმინდა მამებს ეძლევათ გარკვეული დავალება, რომელიც უსათუოდ უნდა აღსრულდეს. ამ სულიერი მისიის შესასრულებლად კი ისინი უკვე ბავშვობაშივე არიან უფლისაგან გამორჩეულნი. წმინდა პახომიოსს სიტყვიერად ეუწყება უფლისაგან: „დარჩი აქ და ააგე მონასტერი; ჭეშმარიტად, მრავალნი მოვლენ შენთან, რათა ბერად აღიკვეცნენ“ (58, გვ. 11), და წმინდა

მოღვაწეც მოსავდა „საბერმონაზვნო სქიმით“ მისკენ მიმავალთ და ლირსეულად ტვირთულობდა ჯვარს.

9. აგიოგრაფიულ თხზულებებში ხშირად ვხვდებით წმინდანთა უფლის, სულიწმინდის წინამძღვლობით მგზავრობის შემთხვევებს. მაგალითად, იოვანე დამასკელმა „იერუსალიმი ქმნილებებით დაიპყრო, თაყვანი სცა წმინდა საფლავს, იქიდან სულიწმინდამ უწინამდვრა“ (18, გვ. 31), და სპარსეთს მიაღწია.

10. არცთუ ისე იშვიათობას წარმოადგენს წმინდა მოღვაწეთაგან ყმაწვილთა დამოწაფების შემთხვევები. ისინი საკუთარ თავზე იღებენ აღსაზრდელთა სულიერ განათლებას და აღზრდას. ასე, მაგალითად, „იოვანე დამასკელისა და კოზმან იერუსალიმელის ცხოვრებაში“ დამასკოს მთავარმა, საკუთარი შვილის, იოვანეს აღზრდა-განათლება და მასზე ზრუნვა გადააბარა კოზმან იერუსალიმელს. კოზმანმა აიღო აგრეთვე საკუთარ თავზე მკვდრეთით აღმდგარი ერმის აღზრდა, რომელიც „შეპდაღადებდა წმინდანს, რომ მას თავისთან ჰყოლოდა, დაემოწაფებინა, მფარველობა გაეწია, არ მოეშორებინა გვერდიდან, სადაც იქნებოდა და გზაც წარემართა“ (18, გვ. 33).

„წმინდა პახომიოსის ცხოვრებაშიც“ მოხუც განდეგილს, პალამონს „დვიძლ შვილად ჰყავდა მიღებული პახომიოსი“ (58, გვ. 12), ზრუნავდა მასზე და სულიერად აწრთობდა.

11. დროთა განმავლობაში, წმინდა მამები, მიუხედავად განდეგილური ცხოვრებისა, ირგვლივ იკრებენ სულიერ თანამოაზრეთა გუნდს. სულიერი საძმოს არსებობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ წმინდა პახომიოსმა წამოიწყო უფრო დიდი მონასტრის შენება იმ მიზნით, რომ „მიეღოთ ამა სოფლად მათკენ მომავლებულნი“ (58, გვ. 12).

ეკლესიათა მშენებლობას ჩვენს მიერ განხილულ ნაწარმოებებშიც ეთმობა გარკვეული ადგილი. მაგალითად, კოზმან იერუსალიმელმა „ააშენა ტაძარი ამ წმინდა მოწამის იოვანეს სახელზე“ (18, გვ. 42).

ხოლო პახომიოსმა, მას შემდეგ, რაც მიიღო უფლისაგან დავალება ტაძენესად წოდებულ ადგილას მონასტრის აშენების, პალამონისთან ერთად ჯერ „ააშენეს სახლაკი, ანუ საყდარი მცირე“ (58, გვ. 11), ხოლო პალამონისის გარდაცვალების შემდეგ პახომიოსმა წამოიწყო უფრო დიდი მონასტრის შენება.

12. წმინდანთა მიმართ კრძალვა და უსიტყვო მორჩილება ახასიათებთ მათ სულიერ შვილებს, მოწაფეებს. ასეთი მორჩილებით გამოირჩევა „იოვანე დამასკელისა და კოზმან იერუსალიმელის ცხოვრებაში“ კოზმანისაგან

მკვდრეთით ადდგენილი გიორგი, რომელიც „შემოსა სამონაზვნო სქიმით და დაარქვა გრიგოლი, და გახდა იგი ყოველი იქაური მამის მორჩილი, გულმოლგინედ ემსახურებოდა და მონურად აღასრულებდა ყველაფერს, რასაც უბრძანებდნენ“ (18, გვ. 34).

კრძალვასა და მორჩილებას იჩენს ასევე წმინდა პახომიოსი წინამდღვრის, პალამონის მიმართ.

13. წმინდა მამათა ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება არის აგრეთვე თავმდაბლობა. მათ მოღვაწეობას ლეიტმოტივად გასდევს საკუთარი თავის განქიქება, მდაბიოდ წარმოჩენა. ამის ნათელი დასტურია იოვანე დამასკელის საქციელი, როდესაც იგი, უკვე სახელმოხვეჭილი მოღვაწე, თავის დამდაბლების მიზნით, დაემოწაფება ერთ მოხუცს დაწყებითი განათლების მიღების მიზნით. სურათის ნათლად წარმოჩენისათვის მოვიხმობთ ეპიზოდს: „მოხუცი წიგნს ასწავლიდა მას, როგორც სთხოვა, დაეთანხმა და ანბანი ასწავლა. ფილოსოფოსი, რომელმაც სრულად მიიღო ელინური განათლება და აღზრდის მწვერვალს მიაღწია, სწავლობდა დამარცვლას და იდებდა დარტყმებს, ნებით თავს აჩვენებდა რა უწიგნურად და უნიჭოდ. გვემა სიამოვნებდა ...“

ჰბაძავდა თავის მბრძანებელს, რომელიც დმერთი იყო და განკაცდა და სიკვდილამდე დაიმდაბლა თავი. ამრიგად ამ ნეტარსაც ზღვა პქონდა სიბრძნისა და გულისხმობისა, ნებით გაიხადა თავი უწიგნურადაც, რათა აქ სირცხვილით დატანჯულს, კიდევ უფრო განედიდებინა და აღესრულებინა მბრძანებლის მცნება ღმერთთან მიახლების ლოდინში, პირველი იყო და ნებით ისურვა, გამხდარიყო უგანასკნელი, ემსახურა და ესწავლა, ნაცვლად იმისა, რომ თავად ესწავლებინა და მისთვის ემსახურათ“ (18, გვ. 29-30).

კოზმან იერუსალიმელმაც, როდესაც შეამჩნია მისივე დაწერილი სადღესასწაულო კანონის შეცდომით გალობა, მოინდომა სულიერ პირებზე შენიშვნის მიცემა, ოღონდ, საკუთარი ვინაობის, როგორც კანონის შემთხველის, გაუხმიანებლად.

14. წმინდა მამებს ახასიათებთ თავიანთი საქმიანობისა და ადგილ-სამყოფელის დამალვა იმ მოტივით, რომ გაურბიან ადამიანთა ამაო დიდებას, მაგრამ მათი ნამოღვაწარი მაინც არ იმალება და ყველაფერი გაცხადდება უფლის მიერ.

იოვანე დამასკელი „სიკეთით ცნა ღმერთმა, მისი განგებისამებრ, და ურწმუნო გვარტომთა მოზღვავებამ საცნაური გახადა, რადგან, უწინაც ითქვა,

არ ძალუბს ქალაქს დაფარულ იყოს, როცა თავზე გადმოწოდილი მთის ქაშ  
მდებარეობს“ (18, გვ. 19). ანალოგიური სახარებისეული სიტყვებითვე არის  
გადმოცემული „იოვანე თქროპირისა“ (19, გვ. 128) და „თევდოსი დიდის  
ცხოვრებებში“ (49, გვ. 186) უფლისაგან წმინდანის ღვაწლის გაცხადების  
შესახებ.

ხოლო კოზმან იერუსალიმელი „განამტკიცებს ეკლესიებს, სარწმუნოების  
სიტყვას თესავს და სულიწმინდის მადლით სასწაულებს მოიმოქმედებს,  
რომლებითაც ცნობილი ხდება მთელ რომში, ახლომდებარე ქვეყნებსა და  
ქალაქებში, და გადაწყვეტს, რომ იქიდანაც უნდა წავიდეს, რაკი გაურბის  
ადამიანთა ამაო დიდებას“ (18, გვ. 42).

15. აგიოგრაფიულ თხზულებებში წარმოჩენილია, თუ როგორ განითქვამენ  
სახელს წმინდანები არა მარტო მათი მოღვაწეობის არეალში, არამედ მის  
ფარგლებს გარეთაც და თუ როგორ მიისწრაფიან მათ სანახავად მრავალნი და  
თხოულობენ კურთხევას.

მაგალითად, იოვანე დამასკელს „დირსეულად მიაგეს პატივი სირიიდან და  
ეგვიპტიდან სპარსთა ქვეყნამდე ჩასულს, რომელიც ქადაგებდა, ნათელს სცემდა“  
(18, გვ. 26). აგრეთვე, „მან მოქალაქობით სახელი გაითქვა ქალაქის მკვიდრთა,  
მთავართა, მდვდელომთავართა და მონაზონთა შორის. ყველას თვალწინ  
სასწაულად გადაიშალა კაცის სიკეთე შესაცნობი და თვალსაჩინო; მისკენ  
ეშურებოდნენ ცოდნის შესაძენად და თითოეული მისგან, როგორც დაუშრებელი  
წყაროდან, საზრდოობდა არა წყლით, არამედ გულში ეღვრებოდათ სიხარულით  
ცხოველმყოფელი სიტყვა და სარწმუნოებისაკენ მოიქცეოდნენ. დანარჩენი ხალხი  
... შედიოდნენ მისი სიტყვის მოსასმენად და სარგებლობდნენ; გულმოდგინენი,  
კურთხევის ღირსნიც გახდნენ, ზოგი კურთხევას და სარგებლობას ღებულობდა  
რა, დიდად ნაამები ბრუნდებოდა თავის სახლში“ (18, გვ. 34).

ასევე დიდი პატივით მიიღეს კოზმან იერუსალიმელი საბას ლავრაში  
სულიერმა ძმებმა და მისგან კურთხევა ითხოვეს.

16. მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს „ცხოვრებათა“ ჟანრის  
აგიოგრაფიულ თხზულებებში სასულიერო და საერო წოდების პირებს შორის  
არსებული ურთიერთობის წარმოჩნება. სასულიერო პირები დიდი ავტორიტეტით  
სარგებლობენ და პატივით მიიღებიან საერო პირთა კარზე. „იოვანე  
დამასკელისა და კოზმან იერუსალიმელის ცხოვრებაშიც“ წმინდა მამათა  
შეგონებებს გულისყურით ისმენენ ხელისუფალნი.

სასულიერო და საერო პირთა ურთიერთობის საინტერესო შემთხვევას წარმოადგენს კოზმან იერუსალიმელსა და მეფე კონსტანტინეს შორის მომხდარი ერთი ინცინდენტი. მეფე კონსტანტინემდე როდესაც მიაღწია კოზმან იერუსალიმელის დვაწლის ამბავმა, მოინდომა წმინდა მამასთან მისვლა. ეშმაკისეულმა ძალებმა სცადეს მეფის შეფერხება, მაგრამ წმინდანის მიმართ დიდმა რწმენამ და ნდობამ სასწაულებრივად გადაარჩინა მეფე სიკვდილისაგან, რის შემდეგაც მეფემ კიდევ უფრო დიდი გულისყრით მოისმინა კოზმან იერუსალიმელისაგან მის მიმართ გამოთქმული შეგონება: „ღმერთს და ზესთამეუფეს ბაძავდე ყველაფერში და შენ, რომელიც მიწაზედ ჰმეფობ, ყოველ სიკეთეს იქმოდე. თავად ხომ მართალთაც აპკურებს და უსამართლოთაც. მზე ხომ ბოროტათვისაც ამოჰყავს და კეთილთათვისაც და შეაგონებს მტერთა სიყვარულს და მაზნევართა სიკეთის მოქმედებად მიღებას“ (18, გვ. 36).

ასეთივე დიდი პატივი ხვდა იოვანე დამასკელს სპარსეთის მეფის, ხოსროს, კარზე. მიუხედავად რელიგიური სხვაობისა, სპარსეთის მეფემ იგი „შეიწყნარა, შეიტკბო და ხარობდა მოსმენით“ (18, გვ. 26).

საერო ხელისუფალნი მატერიალურადაც ეხმარებიან სასულიერო პირებს. მაგალითად, მეფე კონსტანტინემ კოზმან იერუსალიმელს „გაატანა საკმაოდ დიდი საცხოვრებელი, რაც თვალით მნახველისთვისაც დაუჯერებელი იყო“ (18, გვ. 41).

17. ყურადღება გამახვილებულია წმინდა მამათა გარდაცვალების, დაკრძალვისა და გლოვის რიტუალზე, რადგანაც მას არსებითი ადგილი ეთმობა აგიოგრაფიულ ძეგლებში. ჩვენ მიერ წარმოდგენილ თხზულებებში გარდაცვალების სცენა არ არის წარმოდგენილი ისეთი სისავსით და დეტალების სიმრავლით, როგორსაც ვხვდებით თუნდაც ქართულ აგიოგრაფიულ თხზულებებში. მაგალითად, მათში ვრცლად არ არის წარმოდგენილი წმინდა მამათა ზიარება სიკვდილამდე, აგრეთვე ანგელოზთა დასის მიკითხვა წმინდანზე სასუფეველში წასაბრძანებლად და სხვა.

კოზმან იერუსალიმელი „წმინდა სამების ნათლით გაბრწყინვებული; მიძინებული უტკბესი ძილით და წმინდანთა საფერი, შეუერთდა მამათა, მოძღვართა და მღვდელთმთავართა, - მამა და მოძღვარი და მღვდელთმთავარი, მიწიერი ანგელოზი ... და მიიცვალა ცათა კარავში, სხეული მიწას მიანდო და სული ღმერთს. ყოვლად პატიოსანმა სტეფანოსმა, საბას ლავრის წინამდღვარმა, და მისმა მოწაფეებმა იგალობეს დასაკრძალავი საგალობლები, თაყვანი სცეს

და დირსეულად მიიღეს აიაზმა იმ დირსეულის სხეულზე ხელის მიკარებით, მიასვენეს იგი საფლავთან, როგორც აუწყა მათ ჯერ კიდევ ცოცხალმა უნეტარესმა. საფლავი მას საკუთარი ხელით ამოეთხარა. კრძალვით დამარხეს“ (18, გვ. 43).

18. ავტორის მიერ წმინდანის მიმართ ხოტბის შესხმა და მისი მოღვაწეობის განდიდება აგიოგრაფიული თხზულებების თანმხლები მომენტია. ასეა განდიდებული კოზმან იერუსალიმელის ლვაწლი: „ეს განთქმული და დიდებული წმინდანი, ჭეშმარიტების ჭეშმარიტი სამკაული, ოქროს, მარგალიტების და სხვა პატიოსან თვალთა ნაცვლად თავისი დვთივ შთაგონებული სიტყვებით ამკობს ეკლესიას, ყოველმხრივ მიმბაძველი ქრისტეს სწავლებისა და დამდაბლების; იყო იგი მამათაგანი – მორწმუნე, პატიოსანი, უწვეულოდ მდიდარი, კეთილშობილი და წყალობის მადლით შემქული – ნაყოფის მიხედვით ხის შესაცნობად“ (18, გვ. 19).

წმინდა მამათა ცხოვრება ხომ მისაბაძია ყველასათვის, აკი კოზმან იერუსალიმელი თავადვე აღნიშნავს, რომ გარდასულ წმინდან მოღვაწეებზე მიბაძვა აღავსებდა მას ახალი ენერგიით: „მე იქ ის გზა გავასრულე პატიოსანი და წმინდა ხატებისათვის მარტვილთა და მამათა, ნეტარი სტეფანოსის და სხვათა, გვერდით ვდგებოდით, მათს მოწამებრივ გზას მივყვებოდი, რაც განამტკიცებდა და ჩემს ჩამოყრილ ხელებს ხელახლი ძალით ავსებდა“ (18, გვ. 38-39).

19. სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულია ის შეხედულება, რომ აგიოგრაფიულ მწერლობაში ძალზე მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა წმინდა მამათა შედარებას ბიბლიურ წინაპართან და სხვა წმინდა მამებთან.

მაგალითად, „წმინდა პახომიოსის ცხოვრების“ ავტორი შენიშნავს, რომ პახომიოსი „მრავალუამ მორკინალი დემონებთან, ჭეშმარიტებისათვის მოღვაწე და მოასპარებს, მსგავსად უწმინდესი ანტონიოსის, უფალს სოხოვს ძილის განფრთხობას, რათა დღედაღამ მღვიმარე ვდევნიდეო მტერთა“ (58, გვ. 15).

ხოლო „იოვანე დამასკელისა და კოზმან იერუსალიმელის ცხოვრების“ ავტორი იოვანეს ადარებს მოსეს: „მეორე მოსე, წერდა დვთივ მოცემულ სჯულის კანონს“ (18, გვ. 26). აგიოგრაფი აგრეთვე აღნიშნავს, რომ იოვანე „ჰბაძავდა თავის მბრძანებელს, რომელიც ღმერთი იყო და განკაცდა და სიკვდილამდე დაიმდაბლა თავი. ამრიგად ამ ნეტარსაც ზღვა ჰქონდა სიბრძნისა და გულისხმობისა, ნებით გაიხადა თავი უწიგნურადაც“ (18, გვ. 30).

\* \* \*

სასწაულთქმედებათა აღწერა, როგორც ცნობილია, ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული მოტივია ზოგადად აგიოგრაფიული ჟანრის ლიტერატურაში. სასწაულთმოქმედებათა სიმართლეში არ შეიძლებოდა არანაირი ეჭვის შეტანა, რადგანაც აგიოგრაფიულ ლიტერატურას მოეთხოვებოდა სრული ჭეშმარიტების ასახვა, მიუხედავად იმისა, რომ სასწაული ხდება უფლის ძალით და ნებით, მიწიერ სამყაროში სასწაულთა ქმნადობას ხორცი ესხმება და რეალიზდება წმინდანთა მეოხებით.

ჩვენს მიერ წარმოდგენილ „იოგანე დამასკელის და კოზმან იერუსალიმელისა“ და „წმინდა პახომიოსის ცხოვრებებშიც“ სასწაულთმოქმედებებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ და შეგვედებით მათ აღწერა-დახასიათებას და სათანადო ჯგუფების მიხედვით დალაგებას.

## I სასწაულები, რომლებშიც აღწერილია ხილები და დეთაერბრივი გამოცხადებები.

### 1. ხილვები ცხადში:

გავრცელებულია ხილვათა ის სახეობა, როდესაც წმინდა მამებს ეცხადებათ ანგელოზი და სათანადო დავალებას აძლევს აღსასრულებლად. მაგალითად, წმინდა პახომიოსმა ლოცვის დროს, „რათა დვთის უზენაეს ზრახვას მისწვდომოდა, იხილა ანგელოზი, მოვლენილი უფლისაგან, როგორც მანოეს და მის ცოლს გამოეცხადა და სამფსონის დაბადების ამბავი ამცნო: „სურვილი დვთისა არს პმსახურებდეს კაცთა მოდგმას და კვლავ შეირიგოს“. სამგზის თქვა ეს და განვიდა“ (58, გვ. 15).

ა) არის შემთხვევები, როდესაც გამოცხადება-ხილვები ხდება არა ხილული, არამედ სიტყვიერი ფორმით. ასეთი სიტყვიერი ხილვა აქვს წმინდა პახომიოსს. მას, ტაბენესედ წოდებულ უდაბნოში ლოცვაში გართულს „მისწვდა ხმა (ხილვით ჯერ არცრა სჩვენებოდა): „დარჩი აქ და ააგე მონასტერი; ჭეშმარიტად, მრავალნი მოვლენ შენთან, რათა ბერად აღიკვეცნენ“. ესე რა ესმა

და გონების სიწმინდით და სინათლით რა შეუწონა საღვთო წერილს, მიხვდა, რომ წმინდა ხმა იყო“ (58, გვ. 11).

ბ) ხილვათა ჯგუფში მოიაზრება დვთაებრივი სასწაულებრივი ჩვენებებიც. სანიმუშოდ გავიხსენოთ ეპიზოდი „იოვანე დამასკელისა და კოზმან იერუსალიმელის ცხოვრებიდან“, რომელშიც იოვანემ და კოზმანმა, როდესაც უფალს შესთხოვეს მანსურის შეწყნარება, „მოულოდნელად სახლში ნათელმა შემოანათა შუალამისას, მზის ნათელზე უფრო ბრწყინვალემ, და გაცხადებული ნათლისაგან ხმა ესმათ: „ოქვენი ვედრება აღხდა ღმერთამდე“; გამოჩნდა უხილავი და ხმა მოისმა ჭეშმარიტად: „ნება მოშიშთა და მეტრფეთა მისთა ჰყოს და ვედრებისა მათისა შეისმინოს“. ... იმ ხილულმა ნათელმა მთელი სახლი გამოუთქმელი კეთილსურნელებით აავსო, ისე რომ ყველამ მიაშურა სახლს, სადაც იყვნენ წმინდანები და იქიდან, როგორც სამოთხიდან, მოედინებოდნენ მძაფრი სურნელების ნაკადნი“ (18, გვ. 23-24).

ხოლო მეორე ეპიზოდში იოვანე დამასკელმა და მისმა ნათლისმცემელმა კოზმან იერუსალიმელმა ნათლობის შემდეგ „იხილეს წყლის ავაზანში ყრმა, რომელიც ასხივებდა მზის ნათელს; მან სახელით უხმო ორივეს და მიმართა დიდ კოზმანს საგალობლით: „ზღვარდაუდებლის შემძლებელი და ეთერში ზესთამდინარე წყალი“ ... ხოლო დვთაებრივ იოვანეს მიუგალობა: „სხეულებრივად საფლავში, სულით კი გეენიაში, ვითარცა ღმერთი“ ... ასე განუცხადა, თითქოს ცეცხლის ელვარების სახედ გაშორდა მათ და განუსაზღვრელი კეთილხმიერებით ადავსო არა მხოლოდ სახლი და ეზო-ყურე, არამედ მთელი დამასკო“ (18, გვ. 22-23).

## 2. ხილვები ძილის დროს:

წმინდა მოღვაწეებს ძილის დროსაც აქვთ ხოლმე ხილვები. მაგალითად, წმინდა პახომიოსმა ნათლობის შემდეგ ძილში ნახა შემდეგი: „უმზერდა თავის თავს, ციო ცვარნასხურებს. და ცვარი მოაგროვა მარჯვენა ხელში და იქცა ნამი თაფლის გოლეულად და, დავარდა თუ არა გოლეული მიწაზე, გაისმა უცხო ხმა: „გარდაქმნილი შეიცან, რადგან შენია ამიერიდან“ (58, გვ. 8).

## II. სასწაულები, რომლებშიც აღწერილია ზემოქმედება ადამიანებზე.

1. აგიოგრაფიულ ლიტერატურაში გავრცელებულ წმინდანთაგან უკეთურთა და ურწმუნოთა დასჯის კონკრეტულ მაგალითს ვაწყდებით „იოვანე დამასკელისა და კოზმან იერუსალიმელის ცხოვრებაში“. კოზმან იერუსალიმელი, როდესაც გაიგებს ორი მწვალებლის მაქსიმესა და ფლორენტიოსის მიერ უფლისა და მის აუგად მოხსენიებას, განაცხადებს: „თუ მე ქრისტეს მონა ვარ ჭეშმარიტი და ლმერთი ჭეშმარიტი არის ქრისტე, იმ ცეცხლმა, რომლის განცდაც მიესაჯა ურწმუნო თანამოწაფეს კონსტანტინეს ... ნაწილობრივ მოიცვას მაქსიმე და ფლორენტიოსი“. ამის თქმის უმალ, ... წყვდიადის მსგავსმა ცეცხლმა მოიცვა უბადრუკნი, საცოდავად იდგნენ სიბნელეში მონასტრის ეზოს შუაში და იწვოდნენ ცეცხლში; და იწყეს ვაება, კბილთა ლრწენა და ყვირილი: „შეგვიწყალე, უზენაესი ლმერთის მონავ“. ... ამის შემდეგ დირსეული კაცი შემობრუნდა და ხელით ჯვარი გამოსახა იმ წყვდიადის მსგავსსა და უნათლო ცეცხლზე და მიიწვდა ეს ცეცხლი ნელა, სანამ მოლიანად არ განეშორა იმ უბადრუკებს“ (18, გვ. 38-39), რის შემდეგაც ისინი დაეცნენ წმინდა კოზმანის ფერხთით და ადიარეს დანაშაული.

2. არის სასწაულები, როდესაც წმინდა მამები, უფლის თანადგომით გაძლიერებულნი, თავის სამყოფელიდან აძევებენ სახეშეცვლილ ეშმაკებს, რომლებიც ცდილობენ წმინდანთა შეშინებას და ცოუნებას. მაგალითად, შურით შეპყრობილ ეშმაკისეულ ძალებს სურდათ წმინდა პახომიოსის დაცემა და „პირისპირ წარუდგნენ. ზოგჯერ, როცა იგი ლოცულობდა და მუხლი უნდა მოეყარა, აფიქრებინებდნენ, თითქოს მის წინ ლრმული იყო, რათა შიშით მუხლის მორთხმა ვერ გაეხედა. და თავად, მანქანებისა და მზაკვრობის მცდელო რომ მიუხვდებოდა, - რწმენით აღვსებული, დაეცემოდა მუხლებზე, დემონებს არცხვენდა და ლმერთს აკურთხებდა“ (58, გვ. 14). ან კიდევ, პურობის დროს წმინდა პახომიოსთან ეშმაკები „მოვიდნენ შიშველ დიაცოა სახით, რათა თანამეინახეებად დაპსხდომოდნენ. და ესრეთ დაიწუხენა მან გონების თვალი, რომ განქარდნენ მტერნი და მის საწინააღმდეგოდაც ვედარას იქმოდნენ, რადგან იფარავდა უფალი“ (58, გვ. 14)

3. წმინდა მამები გამორჩეულნი და დაჯილდოებულნი არიან წინასწარმეტყველების უნარით. „იოვანე დამასკელისა და კოზმან იერუსალიმელის ცხოვრებაში“ ვხვდებით რამდენიმე სასწაულს, რომელშიც

წარმოჩენილია კოზმან იერუსალიმელისგან დაფარულთა შეცნობის, ინტუიციური შეგრძენების უნარი: კოზმანი დათანხმდა ამირასთან მისვლაზე, „რადგან წინასწარვე ცნა, რარიგი ნადავლის ხელობდება ელოდა მთავრის სასახლეში“ (18, გვ. 20) იოვანე დამასკელის სახით.

კოზმანმა იწინასწარმეტყველა აგრეთვე ეპლესიაზე მოსალოდნელი განსაცდელი და შემდეგ განუცხადა პატრიარქს: „მძვინვარე ნადირებს, რომლებსაც ეპლესის შეძვრა აქვთ განზრახული, სულიერო და წმინდაო მამაო, ვერ დაინახავ, რადგან ჯერ ორი წელი გაივლის, სანამ აღესრულებოდე და უფალთან სასუფეველს ჰპოვებდე“. მოხდა ისე, როგორც დირსეულმა კაცმა თქვა“ (18, გვ. 41).

წმინდანები წინასწარმეტყველებენ აგრეთვე თავიანთი გარდაცვალების მოახლოებას, რის გამოც წინასწარ იჭერენ კიდეც თადარიგს. ასე, მაგალითად, კოზმან იერუსალიმელი, როდესაც მივიდა საბას ლავრაში და „ის ადგილი ნახა, მძიმედ დაიკვნესა; ეს არისო თქვა, მრავალი გვემის და განუზომელი ოფლისდვრისაგან განსასვენებელი ჩემი და აქ დავმკვიდრდებიო, და იცოცხლაო მას შემდეგ სამი თვე. ეძება წერაქვი და მერე თავისი ხელით იწყო მიწის თხრა და საკუთარი საფლავის მომზადება“ (18, გვ. 42-43).

### III. სასწაულები, რომლებშიც ასახულია წმინდა მამათა ჩაურევლად უფლისაგან მოვლენილი საკვირველებები.

1. სასწაულთა გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს უკეთურ ადამიანებზე თავსდამტყდარი დვთაებრივი რისხვა. ამის ნათელი ნიმუშია „იოვანე დამასკელის და კოზმან იერუსალიმელის ცხოვრებაში“ ხატომებრძოლ ეპისკოპოს ევსებიოსზე თავსდამტყდარი რისხვა. სურათის ნათლად წარმოჩენისათვის მოვიხმობთ მაგალითს: კოზმან იერუსალიმელმა ნახა რა ეპისკოპოსის ურწმუნოება, მკაცრად განუცხადა მას: „ევსებიოს, ბოროტი ხარ და ბოროტივე აღსასრულით დაასრულებ სიცოცხლეს“. სამი დღის შემდეგ გამოვიდა მღვდელომთავარი უდირსად სანადიროდ, მონადირეებმა გააღვიძეს ძე დათვი, რომელიც გაიქცა იქით, სადაც ევსებიოსი იდგა; ცხენი შეება მას, ფეხები გაუკრეს და დათვს მიუგდეს; დათვმა დაფლითა მხედარი და ასე საბრალობლად შეწყდა ეპისკოპოსის სიცოცხლე“ (18, გვ. 32-33).

2. არცთუ იშვიათად მოიპოვება სასწაულები, რომლებშიც წარმოჩენილია წმინდა მოღვაწეებზე უფლის მხარდაჭერა, შეწევნა თუნდაც განსაცდელის ჟამს. სანიმუშოდ მოგვყავს პასაუი „წმინდა პახომიოსის ცხოვრებიდან“: წმინდა პახომიოსს და მის აღმზრდელ მოხუც განდეგილ პალამონს, როდესაც იხილავენ დამწვარ ზეთისხილის ხეს, მათთან მისული ერთ-ერთი ბერთაგანი ამპარტავნული ზრახვებით განუცხადებოთ: „ვისაც სწამს თქვენი, დადგესო ამ ნახშირზე და წარსოქვასო სახარების ლოცვა. ... მან დაადგა ფეხი ნახშირს და წართქვა ლოცვა სახარებიდან. და შეწყვიტა თუ არა, ეშმაკეული ქმედების ძალად მიიჩნია ძალა დვოისაგან დათმობის, ფერხთ რომ არ ავნო“ (58, გვ. 9-10). ეს სასწაული მოგვაგონებს „მიქაელის წამებაში“ აღწერილ სასწაულს, რომლის მიხედვით ამირ-მუმლის ბრძანების თანახმად, წმინდა მოღვაწე მიქაელი შიშველი ფეხით უნდა დამდგარიყო გაღვივებულ ნაკვერჩხალზე. წმინდანი დადგა კიდეც და ლოცვის შედეგად მას ფეხზე არა ევნო რა“ (54, გვ. 172).

უფლის შეწევნაზე მეტყველებს აგრეთვე ეპიზოდი „იოვანე დამასკელის და კოზმან იერუსალიმელის ცხოვრებიდან“. იოვანეს, მას შემდეგ, რაც საპყრობილები მოკვეთენ ხელს, „გულმოწყალე ღმერთმა თავისი მშობელის, ყოვლად უმანკო დედის მეოხებით, როგორც მრავლის მეტყველმა, ლოცვის უმალ განუმთელა ხელი ღვაწლით და შარავანდით მოსილს“ (18, გვ. 27-28). ხოლო ეს შემთხვევა კი გაგვახსენებს „ლუკიანოზის მარტვილობაში“ ასახულ ერთ სასწაულს, რომლის თანახმად, საპყრობილები მიმავალ წამებულ ლუკიანოზს ლოცვის შემდეგ, ნაწამებ სხეულს შეხებით გაუმრთელებს ანგელოზი და გამოუცხადებს თანადგომას და მფარველობას“ (34, გვ. 11).

#### **IV. სასწაულები, რომლებშიც აღწერილია ზეგავლენა მიცვალებულთა სამყაროზე.**

1 აგიოგრაფიულ თხზულებებში ძალზე გავრცელებულია წმინდანთაგან მიცვალებულთა მკვდრეთით აღდგომის ფაქტები. ასეთ შემთხვევას ვაწყდებით „იოვანე დამასკელის და კოზმან იერუსალიმელის ცხოვრებაში“: კოზმანმა, როდესაც შეესწრო გარდაცვლილი შვილის დატირებას ქვრივი დედისაგან, ილოცა, „პვნესით და გლოვით დააყარა ცრემლი, შემდეგ ჩაავლო ხელი მიცვალებულის ხელს. და თქვა: „უფალმა ჩემმა, იუსო ქრისტემ, რომლის ხელთ

არიან მიცვალებულნი და ცოცხალნი, აღგადგინოს შენ“ – და შესძახა ხმამაღლა: „უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს სახელით აღდეგ, შვილო“. და სიტყვის უმაღ აღდგა მიცვალებული“ (18, გვ. 33).

## V. სასწაულები, რომლებშიც ასახულია ზეგავლენა მატერიალურ სამყაროზე.

1. არის სასწაულები, რომლებშიც სულიერი მოღვაწეები ზემოქმედებენ ბუნებრივ მოვლენებზე, ისინი იმორჩილებენ და მბრძანებლობენ მათზე. ასე დაიმორჩილა ზღვაში გასულმა კოზმან იერუსალიმელმა ქარიშხალი: კოზმანი „წაიყვანეს იმ კუნძულიდან, როცა უბერავდა სამხრეთის ძლიერი ქარი, ჩაძირეს ბევრი ხომალდი. ... ბორანს, რომელზედაც იყო დირსი იგი, ჩაძირვა ელოდა; მაგრამ ნეტარი დადგა ყველას წინაშე სალოცავად და ხმამაღლა ევედრებოდა ღმერთს, ესრეთ მეტყველი: „... შეგვეწიე და ზღვის საშიშროებისაგან გვიხსენ ჩვენ, ერი შენი, და ჩვენთან ერთად ჩვენი დამატყვევებლებიც; ... ამას რომ ლოცულობდა წმინდანი, მყისვე დაცხრა ქარიშხალი და ... ის ერთადერთი ხომალდი გადარჩა უსაფრთხოდ“ (18, გვ. 19).

ამრიგად, წინამდებარე თავში წარმოდგენილი იყო ცდა „იოვანე დამასკელის და კოზმან იერუსალიმელისა“ და „წმინდა პახომიოსის ცხოვრებათა“ სიუჟეტურ-კომპოზიციური თვალთახედვით განხილვისა, თხზულებებს შორის არსებული სიუჟეტურ-კომპოზიციური პარალელების დადგენისა, და ბოლოს განხილული მასალის სათანადო სქემების მიხედვით დაჯგუფებისა.

## თავი IV

### სიუჟეტურ-კომპოზიციური ურთიერთმიმართებანი „წამებათა“ ჟანრის ქართულ თრიგინალურ აგიოგრაფიაში

წინამდებარე თავში განვიხილავთ „წამებათა“ ჟანრის ქართულ აგიოგრაფიულ ძეგლებს. ჩვენი მიზანია, შეძლებისდაგვარად მათშიც გამოვყოთ ის სიუჟეტურ-კომპოზიციური მოდელები, რომლებიც საერთოა ზოგადად ქართული აგიოგრაფიული თხზულებებისათვის. აგრეთვე შევეცდებით, დავალაგოთ ისინი სათანადო ჯგუფების მიხედვით და მოვაქციოთ სათანადო ჩარჩოებში.

აგიოგრაფიულ თხზულებათა ქვეყანრებში შეინიშნება განსხვავება იმისდა მიხედვით, ვის შესახებაა თხრობა – „ცხორებისა“ თუ „წამების“ გმირთა ირგვლივ, რაც შეპირობებულია შუასაუკუნეობრივი ლიტერატურული პრინციპებით. აკად. დ. ლიხაჩოვის მართებული დაკვირვებით აქ მნიშვნელობა თვით თხზულებათა დასახელებასაც ენიჭება; მაგ., „ცხორება“, „მარტვილობა“, „ცხოვრება და დაომენავ“, „ცხორება და მოწყვედავ“... ძველი რუსი მწიგნობარი ცნება „ცხორებაში“ რამდენადმე განსხვავებულ აზრს დებდა“ (64, გვ. 47).

განსხვავება შეიმჩნევა აგრეთვე „ცხოვრებათა“ და „წამებათა“ ჟანრის აგიოგრაფიულ თხზულებებში კომპოზიციური წყობის თვალსაზრისითაც. ჩვენ კიდევ ერთხელ დაუბრუნდებით კომპოზიციის საკითხს და სანიმუშოდ მოვიყვანოთ რ. ბარამიძის შეხედულებას „წამებათა“ და „ცხოვრებათა“ ჟანრის ძეგლების კომპოზიციურ წყობასთან დაკავშირებით. მკვლევარი აღნიშნავს, რომ „მარტვილოლოგიურ ძეგლებში მოცემულია ერთი სიუჟეტური რკალი, თხრობა არაა გართულებული სხვადასხვა ეპიზოდით, შემოფარგლულია ერთი გარკვეული ამბის გადმოცემებით“ (5, გვ. 634), რაც იწვევს კომპოზიციის სიმარტივეს. ხოლო „ცხოვრებების“ სიუჟეტი მეცნიერის აზრით უფრო რთულია. მას ახასიათებს ძირითადი ამბიდან გადახვევა, განყენებული მსჯელობები, სიუჟეტური ხაზის გაწყვეტა და კომპოზიციური მთლიანობის აღსაღენად სტერეოტიპული ფრაზების გამოყენება. მაგალითად ისეთის, როგორიცაა: „ხოლო ჩუენ კუალად აღვიდეთ პირველსავე სიტყუასა და ძალისაებრ ვიპყრათ წესი

თხრობისად“, „პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ“ და ა. შ. რ. ბარამიძე აღნიშნულ კომპოზიციური წყობის სიახლეს უკავშირებს მეტაფრასულ მიმართულებას (5, გვ. 637).

აგიოგრაფიული თხზულებების კომპოზიციურ წყობაზე საუბრის დროს თითქმის იგივეს აღნიშნავს რ. სირაძე. მისი თქმით, ადრინდელი ქართული აგიოგრაფიული მწერლობა იცავს ერთპლანიან კომპოზიციურ წყობას, რომ თხზულებებში ნაამბობი ამბები ქრონოლოგიური თანამიმდევრობის დაცვით მიმდინარეობს. ხოლო უფრო გვიანდელ აგიოგრაფიულ მწერლობაში თავს იჩენს „მეორე პლანის“ კომპოზიციური ელემენტები, რომლებიც დამოუკიდებელ კომპოზიციურ ერთეულად არიან წარმოდგენილნი. ადრეულ პერიოდში თხრობის ძირითადი ხაზიდან ასეთი გადახვევა დარღვევად ითვლებოდა, ამიტომაც ქართველი აგიოგრაფები ცდილობდნენ აღედგინათ ქრონოლოგიური თანამიმდევრობა (36, გვ. 101-102).

იმავდროულად, ვფიქრობთ, აღსანიშნავია ისიც, რომ აგიოგრაფები თავიანთ გმირთა მიმართ და, საზოგადოდ, მკითხველ-„მსმენელის“ შესაგონებლად არცთუ იშვიათად იყენებენ მიმართვებს, რაც, როგორც ჩანს, ნიშანდობლივია საერთოდ აგიოგრაფიული მწერლობისათვის. ყოველ შემთხვევაში, რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაშიც შენიშნულია, რომ ავტორი ყურადღებას მიაქცევინებს მკითხველთ მოვლენისა მიმართ, მაგ.: „მოისმინეთ და შეიგნეთ“, „წაიკითხეთ გულმოდგინებით და გაგებით, რათა გაიგო ბევრი. ხომ საჭიროა შევისმინოთ, რადგან წიგნს გავიგებთ მხოლოდ მაშინ, თუკი შევეცდებით. დიდი ბოროტებაა, თუკი წიგნს ვერ გავიგებთ“ (62, გვ. 118).

1. „წამებათა“ ჟანრის ძეგლებში, ისევე, როგორც „ცხოვრებათა“ ჟანრის ნაწარმოებებში, დასაწყისში ან ბოლოში ავტორი აფიქსირებს თხზულების შექმნის დროს, ან კიდევ გვაძლევს ეპოქის დახასიათებას, თუ რა დროში და ვისი მეფობის ჟამს მოღვაწეობდა და აღესრულა წმინდანი.

„შუშანიკის წამებაში“ იაკობ ხუცესი გვამცნობს: „იყო მერვესა წელსა სპარსთა მეფისასა კარად სამეფოდ წარემართა ვარსკენ პიტიახში, ძც არშუშავისი...“ (14, გვ. 11).<sup>1</sup>

ეპოქას ახასიათებს აგრეთვე იოანე საბანის ძე „აბო თბილელის წამებაში“. იგი გადმოსცემს ქართლის მთავრის, ნერსეს მოღვაწეობას, რომელთანაც

<sup>1</sup> ვიმოწმებთ: იაკობ ცურტაველი, „წამებად წმიდისა შუშანიკისი დედოფლისად“. - ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, (V-Xსს.), თბ., 1963.

დაკაგშირებულია აბოს მარტვილობა: „რამეთუ იყო უამი ოდეს ერისმთავარი იგი ქართლისათ, სახელით ნერსე, მც ადარნესე კურაპალატისა და ერისმთავრისათ, მოწოდებულ იქმნა ქუეყანად ბაბილოვნისა მფლობელისა მისგან მის უამისა სარკინოზთავსა ამირა მუმნისა აბდილავსგან, რომელი იყო ქალაქსა მას დიდსა ბალდადს, რომელიცა-იგი მან აღაშენა. ხოლო შესმენითა ბოროტთა კაცთამთა საპურობილესა შეაგდო მან ნერსც, ერისთავი ქუეყანისა ამის ქართლისათ, და პრეობილ იყო იგი მუნ უამადმდე სამისა წლისა, ვიდრემდის ბრძანებითა დმრთისამთა მოკუდა აბდილა ამირა მუმნი და დაჯდა მის წილ მც მისი მაპდი...“ (16, გვ. 55-56).<sup>1</sup>

2. „წამებათა“ უანრის ძეგლებშიც ავტორი გამოთქვამს მოკრძალებულ სურვილს წმინდანის მოღვაწეობის, მისი მარტვილობის აღწერის შესახებ. „აბო თბილელის წამებაში“, როდესაც ქართლის კათალიკოსი, სამოელი, ავალებს იოვანე საბანის ძეს აბოს მარტვილობის აღწერას, ავტორი შემდეგნაირად გადმოგვცემს საკუთარ განცდას: „მძიმე არს ჩემდა ორკერძოვე. უკუეთუ ურჩ ვექმნე ბრძანებასა თქუენსა, წერილ არს: „შვილი ურჩი წარსაწყმედელსა მიეცესო“, და თუ ვისწრაფო მორჩილებად, მისთვისცა იტყვას: „უდარცსესა შენსა ნუ გამოეძიებო და უძლიერცსესა შენსა ნუ განიკითხავო“. ამისთვის შიშმან და ზრუნვამან შემიპყრა მე, და შეშფოთნა გონებად ჩემი და დავეცი და მოვაკლდი მეცნიერებისგან. არამედ უმჯობესად შევპრაცხე მორჩილ-ყოფად თავი ჩემი ბრძანებასა უფლისა ჩემისასა, რომლითა კუალად განვძლიერდი... გულს-მოდგინე ვიქმენ უძლიერცსესა ჩემსა აღებად და წადიერებად გულისა ჩემისად აღავსო უფალმან, და აღვწერე უღირსისაგან გონებისა ჩემისა შემოკრებული მარტვლობად ... წმიდისა მოწამისად“ (16, გვ. 47-48). და აგიოგრაფი უფლისაგან და მართლმორწმუნე ერისგან ითხოვს შენდობას და ლოცვებში მოხსენიების ღირსად ყოფნას: „მოგიძლუანე უფალსა ჩემსა, რომლისათვის კუალად ვითხოვ ვედრებით: სათხო ყავნ უფალმან გულსა თქუენსა და გულსა ყოვლისა ქრისტის მოყუარისა ერისა მორწმუნისასა, რომელნი აღმოიკითხვიდენ, რათა ზიარ ლოცვათა თქუენთა იქმნეს კუალად და მერმეცა უდირსებად ჩემი“ (16, გვ. 47-48).

მკითხველ-მსმენელთა შესაგონებლად, მსგავსად იოვანე საბანისძისა, „კოსტანტი-კახის მარტვილობის“ ავტორიც გამოხატავს თავმდაბლობასა და მოკრძალებულ სურვილს წმინდანის წამების აღწერის დროს: „ამისვე

<sup>1</sup> ვიმოწმებთ: იოვანე საბანის ძე „წამებად პაბოდესი, რომელი იწამა ქართლს შინა, ქალაქსა ტფილისს, გამოთქმული იოვანე ძისა საბანისი“. - ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, (V-Xს.), თბ., 1963.

მიზეზისათვს მეცა არადირსმან ვინებე მიბაძვად პირველთა მათ და აღვწერე ცხორებად და წამებად წმიდისა და ნეტარისა მოწამისა კოსტანტისი“ (47, გვ. 165).<sup>1</sup>

3. „წამებათა“ უანრის ძეგლებშიც „ცხოვრებათა“ უანრის ძეგლების მსგავსად ავტორი მოწადინებულია, დაარწმუნოს მკითხველი თავისი ნაამბობის უტყუარობაში. მაგალითად, იაკობ ხუცესი აღნიშნავს, რომ „და აწ დამტკიცებულად გითხრა თქუენ აღსასრული წმიდისა და სანატრელისა შუშანიკისი“ (14, გვ. 11).

ხოლო როდესაც სამოელ ქართლის კათალიკოსი სწერს იოვანე საბანისძეს და სთხოვს, რომ „კელ-ყავ გამოთქუმად სრულიად ჭეშმარიტად, ვითარ იგი იყო და ვითარცა შენ თვთ უწყი, და აღწერე მარტყლობად წმიდისა მოწამისა ჰაბოდესი“ (16, გვ. 47), იოვანე საბანისძე საპასუხოდ შენიშნავს, რომ „აღვწერე უდირსისგან გონებისა ჩემისა შემოკრებული მარტყლობად, ჭეშმარიტი და უტყუელი, წმიდისა მოწამისად“ (16, გვ. 48).

4. „ცხოვრებათა“ უანრის აგიოგრაფიული ძეგლებისაგან განსხვავებით „წამებათა“ უანრის ნაწარმოებებში შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევა წმინდანთა სიყრმეს, მათ წარმომავლობას, გარემოსა და სხვა ცხოვრებისეულ ფაქტებს. აქ უფრო მეტად აქცენტირებულია მარტვილთა ცხოვრება-მოღვაწეობის ის დრო თუ ეპიზოდი, როდესაც იგი შეუდგება ქრისტემიერ გზას, გ. ი. განსაკუთრებით წარმოჩენილია კულმინაციური მომენტები, თუმცა მათი ცხოვრების გზაც არაა ყურადღების მიღმა დარჩენილი. მწერალი-აგიოგრაფი მოტივირებულად გვისაბუთებს წამებულთა სიმედგრეს, სულიერ ახოვანებას. მაგალითად, თუ მეტი ცნობაა მოცემული გრიგოლ ხანძთელის, ეფთვიმე ათონელისა და ილარიონ ქართველის ბაგშვილაზე, ჩვენ ნაკლებ ცნობებს ვაწყდებით შუშანიკის, აბო თბილელის, კოსტანტი-კახისა და გობრონის ბაგშვილის შესახებ. ეს კი გამოწვეული უნდა იყოს „წამებათა“ უანრის სპეციფიკიდან გამომდინარე, რადგან „წამებათა“ უანრის ძეგლებში თხრობის განვითარება ხდება ერთი სიუჟეტური რკალის ირგვლივ, რომლის ამოსავალი წერტილი არის წმინდანის მარტვილ,,,ობა თავისი რელიგიური აღმსარებლობის დასაცავად და ამ მარტვილობის გამომწვევი მიზეზების აღწერა. შემდეგი სიტყვებით საუბრობს იაკობ ხუცესი შუშანიკის წარმომავლობასა და მის

<sup>1</sup> ვიმოწმებთ: „ცხორებად და წამებად კოსტანტისი ქართველისად“. - ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, (V-Xსს.), ობ., 1963.

ღვთისმოშიშობაზე: იგი იყო „ასული გარდანისი, სომეხთა სპავპეტისავ, რომლისათკს ესე მივწერე თქუენდა, მამისაგან სახელით გარდან, და სიყუარულით სახელი მისი შუშანიკ, მოშიში ღმრთისავ, ვითარცა-იგი ვთქუთ, სიყრმითგან თჯსით“ (14, გვ. 11).

ხოლო აბო თბილელს ასე ახასიათებს იოვანე საბანისძე: „ესე ნაშობი იყო აბრამეანი ძეთაგან ისმაელისათა, ტომისაგან სარკინოზთავსა, და არა თუ უცხომსაგან თესლისა, არცა ხარჭისაგან შობილი, არამედ ყოლადვე არაბიელთა თესლი, მამულად და დედულად, რომლისავ მამავ მისი და დედავ მისი და მმანი და დანი მისნი იყვნეს მუნვე ქალაქესა მას შინა ბაღდადს“ (16, გვ. 56). იოვანე საბანისძე მისი განსწავლის მიმართ განსაკუთრებულ მიდრეკილებაზეც აღნიშნავს: „და რაჟამს მოვიდა იგი ქართლდ ცხონდებოდა იგი ნერსე ერისთვისა თანა. და თჯსითა სათხოებითა იქმნა იგი საყუარელ ყოვლისა ერისა და შესძინა სწავლად ქართულისა მწიგნობრებისა და ზრახვისა ჭინილად. მაშინ იწყო ზედამიწევნად და სწავლად წმიდათა საღმრთოთა წიგნთა ძუელისა და ახლისა შჯულისათა, რამეთუ უფალი მეცნიერ პყოფდა მას, და მოვიდის იგი წმიდად გალესიად და მარადის ისმენნ წმიდათა სახარებათაგან და საკითხავთა მათ საწინაწარმეტყველოთა და მოციქულთა. და მრავალთაგან შჯულის მეცნიერთა იკითხავნ და ისწავებნ, ხოლო რომელთამე რეცა-თუ ცილობით წინააღმდეგინ, არამედ მიზეზ სწავლისა ექმნებინ მას. და ესრულ იქმნა იგი ყოვლითა მოძღურებითა“ (16, გვ. 57).

„კოსტანტი-კახის წამებაში“ კი საუბარია მხოლოდ მის წარმომავლობასა და რელიგიურობაზე, აგიოგრაფის მიერ არ ხდება წმინდანის ბავშვობის პერიოდის კონკრეტიზაცია: „იყო ვინმე ქუეყანასა ქართლისასა, სანახებსა ზენა სოფლისასა, კაცი, რომელსა სახელი ერქვა კოსტანტი, რომელსა ეწოდა კახავ სახელად მამულისა მის ქუეყანისა. კაცი ესე იყო წარჩინებულ ფრიად დიდად ყოველსა ქუეყანასა ქართლისასა, ფრიადი სიმდიდრო აქუნდა და მრავალი საშუალელი ამის სოფლისავ. და განთქუმულ იყო სახელი მისი ქუეყანათა შორიელთა“ (47, გვ. 165). და კიდევ: „ესე ნეტარი შემკობილ იყო ორკერძოვთავე მით საქმითა, ვითარცა ხს ფურცლითა და ნაყოფითა. და აქუნდა მას სარწმუნოებავ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტის მიმართ შეუორგულებელი და უმტკიცესი მთათა. და კუალად აქუნდა ნეტარსა მას სარწმუნოებავ მდდელთ-მოძღუართა მიმართ და ყოველთა მოწესეთა ეკლესიისათა, ვითარცა-იგი დირს არს და მართალ. და უყუარდეს მას მონაზონნი და აქუნდა მათა მიმართ სარწმუნოებავ და მოსწრავე იყო მსახურებასა მათსა“ (47, გვ. 165).

5. წმინდა მოღვაწეებს ახასიათებთ ამქვეყნიური დიდების უარყოფა და ბოლომდე უფლისადმი თავის მიძღვნა. ასეთ მოწამებრივ გზას გადის წმინდა შუშანიკი. მან უარყო დედოფლის გვირგვინი და სარწმუნოების დასაცავად ექვსი წლის ტანჯვა-წამების შედეგად წამებულის გვირგვინი დაიდგა თავზე.

6. ქართულ აგიოგრაფიულ თხზულებებში გვხვდება სხვა აღმსარებლობის მქონე ადამიანის ქრისტიანულ რელიგიასთან მიახლების ფაქტი, რაც შემდგომში იქცევა კიდევ მისი მარტვილობის მიზეზად. აბო თბილელი „ნაშობი აბრაჟამისი არა თუ თუსით გონებით, არამედ წამის ყოფითა დმრთისა-მიერითა იწყა ესეცა და დაუტევა მამავ და დედავ და ძმანი და დანი და ნათესავნი და მონაგებნი და აგარაკები, და, ვითარცა-იგი უფალი იტყვს წმიდასა სახარებასა შინა, წარმოვიდა აქა ნერსშის თანა მგზავრ ქრისტის სიყუარულისათვს... მაშინ უდებ-ყო შჯული იგი მაჭმედისი და წესი იგი მამულისა მის ლოცვისად დაუტევა და შეიყუარა ქრისტი ყოვლითა გულითა“ (16, გვ. 57).

ხოლო ევსტათი მცხეთელი „ხედვიდა იგი რჩულსა ქრისტეანეთასა და მსახურებასა ქრისტესსა და წმიდისა ჯუარისა ძალისა ჩინებასა. შეიყუარა მან რჩული ქრისტეანობისად და პრწმენა ქრისტე“ (29, გვ. 30).<sup>1</sup> განსხვავებულ რელიგიაზე მყოფ ადამიანთა ქრისტიანულ რწმენაზე გადმოსვლის ფაქტს ვხვდებით აგრეთვე „კოლაელ ყრმათა წამებაში“.

7. „აბიბოს ნეკრესელის წამებაში“ ვხვდებით არატიპურ შემთხვევას, რომელზეც „ცხოვრებათა“ უანრის ძეგლების განხილვისას გვქონდა საუბარი. ეს შემთხვევა ეხება წმინდანებს შორის არსებულ არა ხილვით, არამედ სულიერ თანალმობას, მეგობრობას: აბიბოს და სვიმეონ მესვეტეს „არა თუ ხილვითა ეხილვა სადამე ერთმანერთი, არამედ სულიერითა მით სიყუარულითა, რომლითა იხილვების შორეული ვითარცა მახლობელი...“ (31, გვ. 242).<sup>2</sup>

8. წმინდანებს საუბრებით და შეგონებებით წინასწარ ამზადებენ სულიერი მოძღვრები თუ დაახლოებული პირები მოსალოდნელი განსაცდელისათვის, იმ მოწამებრივი აღსასრულისათვის, რომელიც თავადვე აირჩია წმინდანმა. ისინი მოუწოდებენ წმინდანებს სულიერი სიმხევისაკენ, საუკუნო სასუფევლის მოსაპოვებლად ამქვეყნიური, ხორციელი ტკივილების დაძლევისაკენ.

<sup>1</sup> ვიმოწმებთ: „მარტილობად და მოთმინებავ ევსტათი მცხეთელისად“. - ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, (V-Xსს.), თბ., 1963.

<sup>2</sup> ვიმოწმებთ: „მოქალაქობად და წამებავ აბიბოს ნეკრესელი ეპისტოლისად“, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, (V-Xსს.), თბ., 1963.

იაკობ ხუცესი შემდეგი სიტყვებით მიმართავს წამებულ ქალს: „ღუაწლსა დიდსა შესლვად ხარ, დედოფალო, ეკრძალე სარწმუნოებასა ქრისტესსა, ნუუკუე მტერმან ვითარცა სრსჯლმან საძოვარი პოოს შენ თანა... მჯნე იყავ, მოთმინე და სულგრძელ“ (14, გვ. 13).

აფხაზეთის მთავარიც ასევე აფრთხილებს აბო თბილელს მოსალოდნელი განსაცდელის გამო: „ნუ განხუალ შენ ამიერ ქუეყანით, რამეთუ ქუეყანად იგი ქართლისად სარკინოზთა უპყრიეს და შენ ხარ ბუნებით სარკინოზ. და არა გიტეონ შენ ქრისტეანობით მათ შორის; და მეშინის მე შენთვის, ნუუკუე კუალად განგდრიკონ შენ სარწმუნოებისაგან ქრისტესისა ნეფსით, გინა უნებლებით, და ესოდენი შრომად შენი წარსწყმიდო“ (16, გვ. 61).

ხოლო შიო მღვიმელი ასე მოძღვრავს აბიბოს ნეპრესელს თხზულებაში: „არა უმეცარ არს სიწმიდე შენი, რამეთუ მრავლითა ჭირითა გპდირს შესლვად სასუფეველსა დმრთისასა, ხოლო ნუ შესძრწუნდები მათისა მისგან მძლავრებისა, ვინათებან იტყვს მოციქული, ვითარმედ: „მაჭირვებელთა თქუენთა ჭირი და თქუენ ჭირვეულთა ლხინი“. უწყოდე, რამეთუ ჭირი მათი შენ დიდება გექმნეს წარუვალ და ჭირი ეგე შენი მათ დაცემა და განბნევა“ (31, გვ. 244).

9. სულიერი მოღვაწეები, მიუხედავად გაფრთხილებისა მოსალოდნელი განსაცდელის შესახებ, აცხადებენ თავიანთ მზადყოფნას მოწამებრივ ცხოვრებაზე ქრისტეს სიყვარულისთვის. სწორედ ეს მოწამებრივი აღსასრული პფენთ მათ „წმინდანობის“ შარავანდედს.

შუშანიკი, მაგალითად, ამგვარად განაცხადებს: „მე აწ ამას კპმადლობ დმერთსა, რამეთუ ტანჯვითა მისითა მე ლხინებად ვპოო, და გუემათა და თრევათა მისთათვს მე განსუენებასა მივემთხვო, და უგულისკმოებისა და უწყალოებისა მისისათვს მე წყალობასა მოველი იესუ ქრისტეს მიერ უფლისა ჩემისა“ (14, გვ. 27).

ასევე მზაობას აცხადებს ევხეთელი ქრისტეს სიყვარულისათვის: „არა ხოლო თუ ტანჯვად განმზადებულ ვარ ქრისტეს სიყვარულისათვს, არამედ სიკუდიდცა თავი ჩემი არა მეწყალის“ (29, გვ. 32).

„გობრონის წამებაშიც“ წმინდანი მზადაა მოწამებრივი აღსასრულისათვის: „ნეტარსა გობრონს შეემსჭუალნეს გორცნი თვისნი შიშსა დმრთისასა და

განუმზადა თავი თჯის ქრისტესთვს სატანჯველად და სიკუდილსა დათმენად“ (51, გვ. 177-178).<sup>1</sup>

წმინდანები მოწამებრივ ცხოვრებაზე მზადყოფნის გარდა, გამოხატავენ მადლიერებას უფლისადმი, რომელმაც ღირსყო ისინი და მოუვლინათ სატანჯველი მისსავე სახელის სადიდებლად.

მაგალითად, აბო თბილელი „ჰმადლობდა უფალსა და იტყოდა: „გმადლობ შენ, უფალო და მაცხოვარო ღმერთო ჩუენო, იესუ ქრისტე, რამეთუ ღირს მყავ მე განკითხვასა და პყრობილებასა სახელისა შენისათვს წმიდისა“ (16, გვ. 65-66).

კონსტანტინები კი „ყოლადვე არა შემინდა, არცა შეძრწუნდა, არამედ სიხარულით შეიწყნარა მოწევნული იგი მის ზედა და ჰმადლობდა იგი უფალსა“ (47, გვ. 167).

ხოლო „არჩილის წამებაში“ წმინდანი „აკურთხევდა ღმერთსა და ითხოვდა მისმიერსა შეწევნასა, რათა მოწყალებითა მისითა ღირსყოს თავი თჯის მიმთხუევად და მკადრ ყოფად ნათელსა დაუსრულებელსა ყოველთა თანა წმიდათა, რომელთა ღმრთისათვს სიკუდილითა უკვდავებად მოიგეს“ (50, გვ. 210).<sup>2</sup>

10. „წამებათა“ ქანრის ძეგლებში წმინდანები საპყრობილები ყოფნის დროსაც არიან დიდ სულიერ ღწვაში. ისინი გამუდმებით ლოცულობენ, მარხულობენ, მორჩილად ითმენენ ათასგვარ ტკივილს, ტანჯვას უფლის სიყვარულისთვის და ბოლოს ეწამებიან კიდევ.

მაგალითად, შუმანიკმა „ექუსი წელი ციხესა მას შინა აღასრულა და წესიერებითა საღმრთოთა ყუაოდა: მარხვითა, მარადის მღვდარებითა, ზედგომითა, თაყუანის-ცემითა უწყინოდ და კითხვითა წიგნთათა მოუწყინებელად. განაბრწყინა და განაშუენა ყოველი იგი ციხე სულიერითა მით ქნარითა“ (14, გვ. 22). და კიდევ: „და მიერ დღიოგან, ვინათვან პყრობილ ყვეს იგი ციხესა მას შინა, სასოაულსა ზედა თავი არა მიდვის, გარნა ალიზი ერთი დაიდვის სასოუნალ. და ქუესაგებელად იყო გირჯაკი ერთი ძუელი და კაცთა თუალსა სასოაული ერთი ხალენისა უცნ სასოუნლით კერძო, და თაყუანის-საცემელად კილიკი ერთი მცირტ ქუე წარუგდებიედ, და გრწყილი და ტილი მოუგონებელი ადგილსა მას დასხმულ იყო... და ესეთსა მას ციხესა შინა ექუს

<sup>1</sup> ვიმოწმებთ: „წამებად გობრონისი, რომელი განიყვანეს ყველის ციხით“, - ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, (V-Xსს.), თბ., 1963.

<sup>2</sup> ვიმოწმებთ: „წამებად არჩილ მეფისავ“. - ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II, (XI-XVIIსს.), თბ., 1967.

წელ პურობილ იყო და მძიმეთა მათ საკრველთა შინა ადიდებდა ღმერთსა“ (14, გვ. 25).

ხოლო აბო თბილელი იმყოფებოდა „საპურობილესა შინა მარხვითა და ლოცვითა და ფსალმუნებითა დამც და დღც განუსუენებელად და პური ქველის საქმესა, რამეთუ განეიდა მან ყოველი, რამცა აქუნდა მას, და პზრდიდა იგი მშიერთა და ნაკლულევანთა მის თანა პურობილთა მათ“ (16, გვ. 66).

11. გარდაცვალების მოახლოების დროს, რამდენადაც წმინდანთა ლვაწლი არ იმალება და გაცხადდება საზოგადოებაში, მათთან მიღიან სასულიერო და საერო პირები და ითხოვენ კურთხევას. ასე, მაგალითად, შუშანიკის გარდაცვალების მოახლოებას როდესაც შეიტყობს მისი მაზლი ჯოჯიკი, თავისი სახლეულით ეწვევა დედოფალს საპურობილეში და სთხოვს: „მაკურთხე მე და ცოლი ჩემი, მგევალი შენი, და შვილი ჩემი და მონა-მგევალნი ჩემნი, და თუ რამე შეგცოდეთ, ვითარცა კაცთა საწუთროვსათა და სოფლის მოყუარეთა, მოგბტევენ და ნუ მოიგსენებ მედგრობათა ჩემთა“ (14, გვ. 26).

12. „წამებათა“ უანრის ძეგლებში ხშირად ვხვდებით სცენებს, რომელშიც აღწერილია საზოგადოებისაგან ტირილით გამომშვიდობება და გაცილება წმინდანისა. მოწამებრივ გზაზე მიმავალი წმინდანებიც ერთმანეთის მსგავსი სიტყვებით მიმართავენ და აწყნარებენ თავიანთ გულშემატკივრებს.

საპურობილეში მიმავალ შუშანიკს აცილებდა „ამბოხი მრავალი დედებისა და მამებისად, სიმრავლც ურიცხვ, რამეთუ უკუანა შეუდგეს, წმავ აღემაღლა და ტიროდეს და იჭაჭდეს დაწუთა მათთა და საწყალობელად დასთხევდეს ცრემლთა მათთა წმიდისა შუშანიკისთვის. ხოლო წმიდამან შუშანიკ უკმოპხედნა ერსა მას და პრქუა მათ: „ნუ სტირთ, ძმანო ჩემნო და დანო ჩემნო ... არამედ ლოცვასა მომიგსენეთ. და ჯმნულმცატვარ მე თქუენგან ამიერითგან, რამეთუ არდარა მიხილოთ ცოცხალი გამოსრული ციხით“ (14, გვ. 20-21).

აბო თბილელი კი გამოიყვანეს „ეგრტოვე ბორკილითა ფერწო და ჭელთავთა; და მიჰყვანდა იგი შორის ქალაქსა, და რომელნი პხედვიდეს მას ქრისტეანენი და მეცნიერნი მისნი, ცრემლოოდეს მისთვის, ხოლო წმიდა მან პაბო პრქუა მათ: „ნუ სტირთ ჩემ ზედა, არამედ გიხაროდენ, რამეთუ მე უფლისა ჩემისა მივალ; ლოცვით წარმგზავნეთ და მშკდობამან უფლისამან დაგიცვენით თქუენ“ (16, გვ. 69-70).

ხოლო ევსტათი მცხეთელი ასე ემშვიდობებოდა მომტირალ ახლობლებს: „ჯმნულმცა ვარ მე თქუენგან, რამეთუ მე აქა არდარა მოქცევად ვარ, და ქრისტი

მე არა უვარ-ვყო, და მათ მე არდარა განმიტეონ ცოცხლებით, ხოლო სიკუდილი ჩემი ტფილისს ყოფად არს საპყრობილესა და თავი მოკუეთად არს ჩემდა, ხოლო გუამი ჩემი მოიწიოს აქავე ნებითა დმრთისავთა“ (29, გვ. 34-35).

13. წმინდანები სიკვდილის წინ ლოცულობენ და მადლობას სწირავენ უფალს, ისინი ამავე დროს უფლისაგან ითხოვენ მფარველობას, შეწევნასა და მათი თავგანწირვის დაფასებას სხვა მარტვილთა გვერდით სასურველი, სათანადო ადგილის მოპოვებით.

აბო თბილელმა სიკვდილის წინ პირჯვარი გადაისახა და შესთხოვა უფალს: „გმადლობ და გაკურთხევ შენ, სამებაო წმიდაო, რამეთუ ღირს მყამვ მე მიმთხუევად ღუაწლსა მას წმიდათა მოწამეთა შენთასა!“ და ესე რავ თქუა, უკუნ ისხნა ჭელნი თჯსნი ჯუარის სახედ ზედა ზურგსა თჯსსა და მხიარულითა პირითა და კადნიერითა სულითა დაღად-ყო ქრისტეს მიმართ და მოუდრიკა ქედი თჯსი მახჯლსა“ (16, გვ. 71).

ევსტათი მცხეთელმა კი მუხლის მოდრეკით თქვა: „შენ იცი, უფალო ჩემო იესუ ქრისტე, რამეთუ არავინ ვირჩიე შენსა, არცა მამავ, არცა დედავ, არცა ძმანი, არცა ნათესავნი, გარნა შენ მხოლოდ უფალი შეგიყუარე და სახელისა შენისათვს ესერა თავი წარმეუეთხბის დღეს. და ამას ვილოცავ და გევედრები და ვითხოვ შენ სახიერისაგან, რათა არა დაეტეოს გუამი ჩემი აქა ტფილისს შინა, არამედ ერავთა დაემარხოს იგი მცხეთას წმიდასა, სადა-იგი შენ გამომიჩნდი“ (29, გვ. 44).

ხოლო კოსტანტი-კახიმ შემდეგნაირად მიმართა უფალს: „გიგალობ შენ, უფალო, ღმერთო ძალთაო, ღმერთო საუკუნეთაო, რომელმან მომეც მე ძალი წინააღმდეგომად უკეთურისა ამის მსაჯულისა, ვითარცა იგი წინაისწარ სთქუ, ვითარმედ: „თქუენ მომცენით გულნი თქუენნი და მე მიგეც ძალი ჩემი“. ღირს მყავ მე ნათელსა პირისა შენისასა, რამეთუ შენდა მოვივლტი, ქრისტე, ძეო ღმრთისაო, და აპა ესერა მოუქლურებულ ვარ მე ყოველთაგან წარმართთა სახელისა შენისათვს წმიდისა და უფროის-და უსჯულოისა ამისგან მეფისა. და აწ, უფალო, ღმერთო ჩემო, შეიწირე მსხუერპლი ესე ჩემი დ შეივედრე სული ჩემი ჭელთაგან წარმართთასა და მომმადლე აღთქუმავ, რომელ აღუთქუ, ვითარმედ: რომელთა აღმიარონ მე წინაშე კაცთა, პატივ სცეს მამამან ჩემმან; და ვითარცა-იგი ამასვე ადგილსა ადიდენ წმიდანი იგი ყრმანი, რომელთა აღგიარეს შენ, და მეცა ღირს მყავ მათ თანა“ (47, გვ. 169).

14. „წამებათა“ უანრის ძეგლებში, რამდენადაც ცნობილია, ვაწყდებით მკვეთრ დაპირისპირებას ქრისტიანობასა და სხვა აღმსარებლობებს შორის. შესაბამისად, მარტვილნიც, „ცხოვრებათა“ უანრის წმინდანთაგან განსხვავებით, აღესრულებიან არა თავის სიკვდილით, არამედ წამებით. ამდენად, მათი სიკვდილის, დაკრძალვის და გლოვის ოიტუალი ნაჩვენებია უფრო ტრაგიკულ ფონზე, არაქრისტიანთაგან ქრისტიანების დევნის, შევიწროვების ფონზე. აღწერილია, თუ როგორ ანადგურებდნენ, წვავდნენ და მიმოფანტავდნენ წმინდანთა გვამის ნაშთებსაც კი მწამებლები, რათა შიშის ზარი დაეცათ სხვა ქრისტიანებს შორის.

მაგალითად, „აბო თბილელის წამებაში“ აღწერილია, თუ როგორ სთხოვენ სარკინოზები თავიანთ მსაჯულს გარდაცვლილი აბოს გვამის მიცემას, „რაითა განვიდოთ და დავწუათ იგი ცეცხლითა და განვაქარვოთ იგი და აღვტოცოთ საცოური ქრისტეანეთად, რაითა იხილონ ყოველთა და შეეშინოს და რომელნიმე მათგანნი მოიქცენ ჩუენდა და ჩუენგანთა ეშინოდის და არდარა შეუდგენ სწავლასა ქრისტეანეთასა“ (16, გვ. 72). ასეც მოხდა, რის შემდეგაც ხალხმა „განაგდეს შიში მძლავრთად მათ და განვიდოდეს ყოველნივე ადგილსა მას, სადაცა დაწუნეს ჭორცნი იგი წმიდისა მოწამისანი; მოხუცებულნი მორბიოდეს კუერთხებითა თვისითა, მკელობელნი ვლდომით, ვითარცა ირემნი, ჭაბუკნი სრბით, ყრმანი ჭდომით ურთიერთს, დედანი მსგავს იყვნეს წმიდათა მათ მენელსაცხებელთა, რომელთა სრბით მიაქუნდა სულნელები იგი წმიდასა მას ქრისტეს ღმრთისა ჩუენისა საფლავსა...“ (16, გვ. 74).

ხოლო „ევსტათი მცხეოლის წამებაში“ მარზპანი მიხვდა რა ევსტათის სიმტკიცეს რელიგიის შეცვლასთან დაკავშირებით, გასცა ბრძანება, რომ „წარიყვანეთ ეგე საპყრობილედ და იდუმალ დამით თავი წარპკუეთეთ, რაითა არავინ ქრისტეანეთა ცნან და პატივსცენ გუამსა მისსა, და წარიხუენით ჭორცნი მისნი ქალაქსა გარე, განაბნიენით შესაჭმელად მჯეცთა და მფრინველთა“ (29, გვ. 44). მართლაც, მისი მიტოვებული, დასახიჩრებული გვამი მოიძიეს ქრისტიანებმა და სამოელ კათალიკოსის ძალისხმევით დიდი პატივით დაიკრძალა მცხეთაში.

„შუშანიკის წამებაში“ კი ორმა ეპისკოპოსმა იოვანემ და აფოცმა, „ვითარცა ჭართა მწნეთა დაუდლვილთა ზესკნელისა მის ფასისათა, ყოვლით კრებულითურთ ფსალმუნითა სულიერითა და კეროვნითა აღნთებულითა და საკუმეველითა სულნელითა აღვიხუენით პატიოსანნი ძუალნი და გამოვიხუენით წმიდასა მას

ეკლესიასა. და დაგვკრძალენით წმიდანი იგი და დიდებული და პატივცემული ნაწილი წმიდისა შუშანიკისნი განმზადებულსა მას ადგილსა. და მას დამესა ანგელოზთა სახედ დამც იგი განვათიერ და დავითის ქნარითა მით ყოვლად ძლიერსა დმერთსა და ძესა მისსა უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა ვადიდებდით“ (14, გვ. 28).

ასევე დიდი პატივით და დიდებით დაკრძალეს აბიბოს ნეკრესელი.

15. აგიოგრაფთაგან წმინდანზე, მარტვილზე ხოტბის შესხმა დამახასიათებელია აგრეთვე „წამებათა“ ჟანრის ძეგლებისათვის. ავტორები ამას ახორციელებენ როგორც თხრობის ფორმით, ასევე ისეთი ეპითეტების გამოყენებით, როგორიცაა: „ნაყოფი შუენიერი“, „სპეციალის ვარდი“, „პაერისა სულნელმყოფელი“, „ტარიგი იგი ქრისტესი“, „სამგზის სანატრელი“ და სხვა.

შემდეგი სიტყვებით განადიდებს აგიოგრაფი აბიბოს ნეკრესელს: „ჩემი არს მოწამე ესე და არა სხვსა, ჩემისა ამისგან საყდრისა, ნაყოფი შუენიერი, მხიარულებისა ჩემდა მომდებელი, სპეციალი ვარდი, პაერისა სულნელ-მყოფელი, ჩემდა მომფენელი, რომელმან სანთელი თვისი აღანთო ზედა მაღალსა მთასა, რაოთა ყოველი სოფელი პხედვიდეს მას ნათელსა დაუშრეტელსა, ორპირად მანათობელსა, დმრთისა მიმართ შემწირველსა თვით მის სიტყვსა დაუსაბამოსა ჭორცსა, უკანავსკნელ მასვე სანატრელსა საკურთხეველსა თავი თვისი შეწირა“ (31, გვ. 241).

ასევე განადიდებს აბო თბილელის ღვაწლს იოვანე საბანისძე: „გაქებდე შენ, ღუაწლისა მძლეო წმიდაო მოწამეო? რამეთუ შენ, ახალი ეგე ქრისტეს მორწმუნებ, მოძღუარ ჩუენდა იქმენ სწავლულნი უფროის გულისხმიერ პყვენ, შერყეულნი უფროის განამტკიცენ, განმტკიცებულნი განამხიარულენ, წარმართნი წადიერ პყვენ ქრისტეს მონებად, საჭსენებელი მარტვლობისა შენისავ ჩუენ დაგპტევე, სახელისა შენისა მითხრობად ყოველთა ქადაგ ვიქმნენით“ (16, გვ. 80).

16. „წამებათა“ ჟანრის ძეგლებშიც აგიოგრაფები წმინდანებს ადარებენ ბიბლიურ პერსონაჟებს და სხვა დიდ მოწამეებს. ისინი წმინდანთა ნამოქმედარს უძებნიან ბიბლიურ პარალელებს.

„მარტვილობებში“ აგრეთვე ხშირია ავტორთა მიერ ბიბლიური ციტატების გამოყენება. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ჟანრის ძეგლებში მოწამეთა შედარებას ბიბლიურ პერსონაჟებთან არ ეთმობა იმდენად დიდი ადგილი, როგორც ამას ვხვდებით „ცხოვრებათა“ ჟანრის ნაწარმოებებში. მოგვყავს ორიოდე მაგალითი „აბო თბილელის წამებიდან“: მან „ჩუენდა სოფლად

გამოსლვად იგი არა თუ თუთ თავით თჯით განიზრახა, არამედ ვითარცა-იგი უფალმან ჰრქუა ნეტარსა მას აბრაკამს მასვე ქუეყანასა შინა ქალდეველთასა, ვითარმედ „გამოვედ ქუეყანისაგან შენისა და ნათესავისაგან შენისა და სახლისაგან მამისა შენისა და მოვედ ქუეყანასა მას, რომელი მე გიჩუენო შენ“ (16, გვ. 56-57). და კიდევ: „დიდ არს ჩემდა დღე ესე, რამეთუ ვხედავ ორპერძოვე ძლევასა უფლისა ჩემისა იესუ ქრისტისსა, რამეთუ დღესასწაულსა ამას შთაჭდა მდინარესა მას იორდანისასა განშიშულებული ნათლის-ლებად და სიღრმესა მას შინა წყალთასა დამალულისა მის ვეშაპისა თავები ძალითა ღმრთეებისამთა შემუსრა. ჯერ-არს ჩემდაცა დღესა ამას, რათა განვიძარცო შიში ჭორცთა ამათ ჩემთამ, რომელნი სამოსელ არიან სულისა ჩემისა და შტავტდე, ვითარცა სიღრმესა ზღვსასა, შორის ქალაქსა ამას და ნათელ-ვიღო სისხლითა ჩემითა და ცეცხლითა და სულითა, ვითარცა ქადაგა წინამორბედმან იოვანე“ (16, გვ. 68).

აგრეთვე „გობრონის წამებაში“ ქრისტიანმა საზოგადოებამ, როდესაც იხილა წამებული გობრონი, „ჰრწმენა ჭეშმარიტად მარტკლობად მისი. და ესრულ უშუენოდა იგი სისხლისა მის გამოწერითა შუბლსა მისსა, ვითარცა იგი, რაუამს უფალი ჩუენი ცხოვრებისასა მას ვნებასა აღასრულებდა, და გამოიყვანეს იგი ეკლის გპრგპნითა, იხილეს იგი ყოველთა. და ესევითარისა მსგავსებისათვე უფალი იტყვს: „კმა არს მოწაფისა მის, თუ იყოს, ვითარცა მოძღუარი თჯით და უფალი თჯით“ (51, გვ. 182).

\* \* \*

სასწაულთმოქმედებათა აღწერა, როგორც აღვნიშნეთ, ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული მოტივია აგიოგრაფიული ჟანრის ლიტერატურაში. „წამებათა“ ჟანრის ორიგინალურ ძეგლებშიც ჩვენ ვხვდებით სასწაულთა შემთხვევებს, მაგრამ არა იმ რაოდენობით, როგორც „ცხოვრებათა“ ჟანრის ძეგლებში. სასწაულთმედებათა ეს სიმცირე, ჩვენი აზრით, ნაწილობრივ, გამოწვეული უნდა

იყოს „წამებათა“ ქანრის სპეციფიკიდან გამომდინარე. ეს სპეციფიკა კი, როგორც აღვნიშნეთ მდგომარეობს იმაში, რომ ამ ქანრის ძეგლებში ცენტრალური ადგილი უჭირავს წმინდანის მოწამებრივ აღსასრულს, მისი წამების გამომწვევ მიზეზებს, ანუ აზრის კონცენტრირება ხდება მხოლოდ წმინდანის მარტვილობის ირგვლივ და, ამდენად, სასწაულთქმედებათა აღწერისათვის აღარ რჩება დიდი ადგილი და კიდევ ის მომენტიცაა აღსანიშნავი, რომ „ბოროტებითა და ეშმაკებით სავსე ქვეყანა ქრისტიანულ იდეალს უფრო ფანტასტიკურად ესახება, ვიდრე სახარებისეული სამყარო ოცნებისა. მწერალი ფართოდ უხსნის გზას საკუთარ შინაგან ხილვას მოვლენისა ან ლეგენდურ-სასწაულებრივ გადმოცემებს, იმავე გზით შობილთ. სახარებაა მისთვის ამოსავალი, ბიბლიის თვალით უყურებს, აღიქვამს და გარდასახავს იგი ყველაფერს“ (40, გვ. 101).

წვენი მიზანია, წინამდებარე თავში განხილულ „წამებათა“ ქანრის თხზულებებში მოცემულ სასწაულთა აღწერა-დახასიათება და შემდგებ დაჯგუფება სათანადო ტიპების მიხედვით. ესენია:

## I. სასწაულები, რომლებშიც აღწერილია ხილვები და ლვთაებრივი გამოცხადებები.

### 1. ხილვები ცხადში:

ა) ლვთაებრივი გამოცხადება ფართოდ გავრცელებული მოტივია აგიოგრაფიულ ლიტერატურაში. მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ამ გამოცხადებას ეძლევა არა ხილვითი, არამედ სიტყვიერი ფორმა. ანუ ამ დროს წმინდანს ეცხადება უფალი არა ხილულად, არამედ სიტყვიერად. ასეთ შემთხვევას ჩვენ ვაწყდებით „ევსტათი მცხეთელის წამებაში“. მასში აღწერილია ევსტათის სიკვდილის წინა სცენა. მასში წმინდანი ევედრება უფალს მისი ცხედრის მცხეთაში დაკრძალვას, რის შემდეგაც „ესმა ჭმა, რომელი ეტყოდა ევსტათის და პრქუა: „არა უნაკლულცს იყო შენ პირველთა მათ მადლითა კურნებისათვა, რომელთა პრწმენე მე. ხოლო გუამისა შენისათვს ნუ პზრუნავ, ეგრე იყოს, ვითარცა შენ სთქუ ყოფად“ (29, გვ. 44-45).

## 2. ხილვები გარდაცვალებისას:

ა) ხილვათა ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ აგრეთვე სასწაულებრივი ჩვენებები, რომლებიც ხდება წმინდანის გარდაცვალების შემდგომ. ჩვენი აზრით, ეს სასწაულები წარმოადგენს სასწაულების არატიპურ შემთხვევას. მაგალითად, აბო თბილელის წამების შემდგე „ვითარცა შემწუხერდა დღც იგი და იყო უამი პირველი დამისად მის, გარდამოავლინა უფალმან ადგილსა მას ზედა ვარსკულავი მოტყინარც, ვითარცა ლამპარი ცეცხლისად, რომელი მყოვარ უამ დგა ადგილსა მას, სადა დაწუვეს ნეტარი იგი მოწამც ქრისტესი. და დგა იგი ზე პაერთა, ვიდრე სამ უამადმდე, გინა უმეტეს, დამისა მის, რომელი გამოუტევებდა ბრწყინვალებასა არა თუ ვითარცა ცეცხლი ესე ქუეყანასად, არამედ ვითარცა საშინელებად ელვისად, რომელსა ჰქედვიდეს ყოველნი მოქალაქენი, მსაჯულიცა-იგი და ყოველი ერი და მკაფიონი იგი ქრისტეანეთანი და ყოველნი სარკინოზნი და მწირნი, სხვთ მოსრულნი; მყოვარ უამ ჰქედვიდეს გუგათა თუალისათთა, ვიდრემდის ჰქდემებოდაცა მძლავრთა მათ და მი-ვინმე-ვიდეს ხილვად ადგილსა მას მსახულისა მის ამირისანი, რამეთუ ჰგონებდეს, ნუუკუ ქრისტეანეთა ადანთეს სანთელი ადგილსა მას. და ვითარცა მიახლებოდეს ადგილსა მას, იხილეს, რამეთუ აღმაღლდებოდა ვარსკულავი იგი ზე პაერთა“ (16, გვ. 74-75); ან კიდევ აბოს გარდაცვალებიდან მეორე დღეს „დამესა უმეტესდა წყალთა გამოსცეს განსაკურვებელი ნათელი; რომელთა-იგი საოცარ ეგონა ქუეყანასა ზედა და პაერსა ქუშე ცეცხლი იგი ზეცისად, უნდა დაფარვად საკურველებათა მათ, კუალად წყალთა კერვე დააყენეს და კერცა დაშრიტეს ფიცხელთა მათ მფოფინარეთა დელვათა და სიღრმეთა, სადა-იგი შთაყარნეს ღმრთივ პატივცემულნი იგი ძუალნი სანატრელისა მის მოწამისანი, ჭიდსა მას ქუშე, აღმობრწყინდეს ნათელნი სუეტისა მსგავსად, ვითარცა ელვანი, რომელი კუალად მყოვარ უამ დგეს და განათლებული იყო გარემოს კიდეთა მის მდინარისათა კლდც იგი და კბოდენი და ჭიდი იგი, ზმოგან ვიდრე ქუედმდე, რომელსა ეგრევე ყოველი სიმრავლც ქალაქისად ჰქედვიდა...“ (16, გვ. 75). მსგავს სასწაულს ვხვდებით „გობრონის წამებაში“. გობრონის მოწამეობრივი აღსასრულის შემდგე „უფალმა „აჩუენნა სასწაულნი ზეგარდამო, – ნათელნი ბრწყინვალენი დამე ყოველ, ვითარცა ლამპარნი აღნთებულნი“ (51, გვ. 183).

## **II. სასწაულები, რომლებშიც ასახულია ზემოქმედება ადამიანებზე.**

1. ავადმყოფთა განკურნება წმინდანის მიერ, როგორც აღვნიშნეთ, გავრცელებული მოტივია აგიოგრაფიული ჟანრის ლიტერატურაში. მაგალითად „შუშანიკის წამებაში“ „მოვიდოდეს მამანი და დედანი აღნათქუემთა შეწირვად და, რად ვის უკმდა, მიემადლებოდა წმიდითა ლოცვითა ნეტარისა შუშანიკისითა, რომელსა მოსცემდა მას კაცო-მოყუარე ლმერთი: უშვილოთა შვილი, სწეულთა კურნებად, ბრმათა თუალთა ახილვად“ (14, გვ. 22).

2. მარტვილებიც, წმინდა მამების მსგავსად, დაჯილდოებულნი არიან წინასწარმეტყველების უნარით. ისინი წინასწარმეტყველებენ, როგორც რაიმე მოვლენებს, ასევე წინასწარმეტყველებებს თავიანთ სიკვდილს. მათ უფლისაგან ეუწყებათ ესა თუ ის მოვლენა. მაგალითად, აბიბოს ნეკრესელი უწინასწარმეტყველებს დედაკაცს ბერძენთაგან ქვეყნის დაპყრობას: „დედაკაცსა მას უწინასწარმეტყველა შემდგომად ხოლო მისსა მოსლვად ბერძენთად და დაპყრობად ქუეყანისა ამის ჩუენისად, რომელიცა იგი იქმნა მსწრაფლ, მისსავე დედაკაცისა ზე მოვიდეს ბერძენნი და განასხნეს უსჯულონი იგი სპარსნი და დაიპყრეს ქუეყანად ესე ჩუენი“ (31, გვ. 246).

ხოლო აბო თბილელს მოტივირებულად აქვს „გაცნობიერებული“ სიკვდილის წინათგრძნობა და ამბობს: „ხვალე განსლვად არს ჩემი ჭორცოთაგან და მისლვად უფლისა ჩემისა და ღმრთისა იქსუ ქრისტეს თანა“. რამეთუ ესე უფალმან გამოუცხადა თვისსა მას მოწამესა“ (16, გვ. 67).

## **III. სასწაულები, რომელშიც აღწერილია ზემოქმედება მიცვალებულთა სამყაროზე.**

1. საფლავთა და წმინდა ნაწილთა სასწაულები:

ა) სასწაულთა ამ ჯგუფში შედის ისეთი ფართოდ გავრცელებული მოტივი, როგორიცაა წმინდანის გარდაცვალების შემდეგ მისგან სასწაულის მოხდენა. კერძოდ, მის საფლავზე ხელის შეხებით სწეულთა განკურნება. მოგვყავს მაგალითი „აბოს წამებიდან“: „ყოველნივე სიხარულითა და მადლობითა ქრისტესითა მივიდოდეს და აღიღებდეს მიწასაცა მის ადგილისასა, და

მრავალნი სენთაგან შეპყრობილნი მიჰყვანდეს და მასვე დღესა შინა განიკურნებოდეს“ (16, გვ. 74).

#### IV. სასწაულები, რომლებშიც აღწერილია ზემოქმედება მატერიალურ სამყაროზე.

1. სასწაულთა ამ ჯგუფში ვაწყდებით ძალზე გავრცელებულ მოტივს, როდესაც თვისებებს იცვლიან ბუნებრივი და ფიზიკური მოვლენები. მაგალითად, „კოლაელ ყრმათა წამებაში“ აღწერილია, თუ როგორ გათბება მდინარის წყალი ბავშვების ნათლობის დროს: „იყო უამი ზამთრისად და დამც ნეფხვისავ, რამეთუ დღისი ვერ იკადრებდა ნათლის-ცემასა მათსა შიშისაგან წარმართოთავსა და უფალმანცა ჩუქმან იესუ ქრისტემან დამც ნათელ-იღო იორდანესა მდინარცსა იოვანესგან. მაშინ მოსცემდა წყალი იგი მცხინვარებასა სიცივისასა და ვითარცა შთაჭდეს ყრმანი იგი მდინარესა მას და ნათელ-ჟსცა ხუცესმან მან ... მაშინ მოსცა წყალმან მან ფრიადი სიტფორ ვითარცა აბანომან, და ბრძანებითა ღმრთისავთა სამოსელნი სპეტაკნი მოიხუნეს ანგელოზთა ზეცით და შემოსნეს ყრმათა მათ ახალ ნათელ-დებულთა უხილავად კაცთაგან“ (52, გვ. 184).<sup>1</sup>

2. ცხოველთა მოტივი, როგორც აღვნიშნეთ, გავრცელებულია ქართულ აგიოგრაფიულ თხზულებებში, მაგრამ „წამებათა“ უანრის ძეგლები არ გამოირჩევა ამ ტიპის სასწაულთა სიმრავლით. სურათის ნათლად წარმოჩენისათვის მოვიხმობთ მაგალითს „აბიბოს ნეკრესელის წამებიდან“. აბიბოს მოკვდინების შემდეგ მსაჯული ბრძანებს წამებულის გვამის ცხოველებისათვის მიგდებას. მაგარმ მოხდა სასწაული და „სამგზის სანატრელსა მას, ჭორცოა მისთა, არარა შეეხო ყოლადვე მწეცოა და მფრინველოთაგან“ (31, გვ. 245).

ამ სასწაულებზე დაკვირვებებმა ცხადყო, რომ „წამებათა“ უანრის ძეგლებშიც მოიპოვება სასწაულთა შემთხვევები, ოდონდ ნაკლები ინტენსიურობით.

ამრიგად, წინამდებარე თავშიც შეძლებისდაგვარად წარმოდგენილი იყო ცდა „წამებათა“ უანრის ქართული აგიოგრაფიული თხზულებების განხილვისა

<sup>1</sup> ვიმოწმებთ: „წამებად ყრმათად რიცხვთ ცხრათავ“. - ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, (V-Xსს.), თბ., 1963.

სხვადასხვა ასპექტით, კერძოდ, ერთმანეთს შორის სიუკურ-კომპოზიციური პარალელების დადგენით, მსგავსი თუ განმასხვავებელი კომპოზიციური შაბლონების გამოკვლევით და ბოლოს განხილული მასალის სათანადო სქემების მიხედვით დაჯგუფებისა.

## თავი V

### სიუჟეტურ-კომპოზიციური ურთიერთმიმართებანი „წამებათა“ ჟანრის ნათარგმნ აგიოგრაფიაში

რამდენადაც წარმოდგენილი ნაშრომი ითვალისწინებს ორიგინალურ და ნათარგმნ აგიოგრაფიულ თხზულებათა ისტორიულ-შედარებითი მეთოდით კვლევას, წინამდებარე თავში ჩვენი მიმოხილვის საგანი იქნება „წამებათა“ ჟანრის ნათარგმნი აგიოგრაფიული ნაწარმოებები. შეძლებისდაგვარად იქნება ცდა წარმოდგენილ აგიოგრაფიულ თხზულებებს შორის არსებული სიუჟეტურ-კომპოზიციური პარალელების წარმოჩენისა და აგრეთვე მათში სიუჟეტურ-კომპოზიციური ე.წ. შაბლონებისა თუ მოდელების დადგენისა. შევეცდებით, წარმოდგენილი მასალა დავალაგოთ გარკვეული სქემების მიხედვით.

აგიოგრაფიული მწერლობის თავდაპირველ ჟანრად მიჩნეულია ე. წ. „მარტივლობა“, „მოწამეობა“. ამ ჟანრის თხზულებათა შესაქმნელად გამოიყენებოდა ბრალდებულთა დაკითხვისა და გასამართლების ოფიციალური აქტები, რომლებიც ინახებოდა რომაელი პროკურორებისა და მსაჯულთა არქივებში (22, გვ. 140).

აგიოგრაფიის წარმოშობის ძირითადი თეორიული საფუძველი უნდა ვეძიოთ „ახალი აღთქმის“ ლიტერატურაში. „აქ აღწერილმა იესო ქრისტესა და მისი მოწაფეების მოწამეობრივმა აღსასრულმა განსაზღვრა მოწამეთა კულტის აღმოცენება და „მარტივლობათა“ შექმნა“ (10, გვ. 13).

„მოწამეს“ ანუ ბერძნულად მართვის-ს პერიოდა თრი მნიშვნელობა: „მოწმისა“ და „მოწამისა“. პირველი ითვალისწინებდა ქრისტეს დვთაებრიობის დადასტურებას, ქრისტიანული სარწმუნოების აღიარებას, ხოლო მეორე – ამ აღიარებას ტანჯვა-წამების ფონზე. I-IV საუკუნეში ქრისტიანთა წამებები მიმდინარეობდა ძირითადად წარმართთაგან და ამ პერიოდის მოწამეებს „ძველი“ მოწამეები ეწოდებოდათ, ხოლო IV საუკუნიდან, მიუხედავად ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისა, მაინც გრძელდებოდა ქრისტიანთა დევნა-შევიწროება-მარტივლობანი უკვე მწვალებელთაგან და მუსლიმანთაგან, და

შესაბამისად ამ პერიოდის მოწამეებს მოიხსენიებდნენ, როგორც „ახალ“ მოწამეებს.

ჩვენ „წამებათა“ უანრის ორიგინალურ აგიოგრაფიულ თხზულებებთან შესადარებლად გამოვიყენეთ ამავე უანრის ნათარგმნი აგიოგრაფიული ძეგლები პ. კეპელიძის „კიმენის“ I და II ტომიდან. ეს კრებული კიდევ იმით არის საინტერესო, რომ „იძლევა მრავალ ისეთ ძეგლს, რომელთა დედნები დაკარგულია“ (59, გვ. 134).

1. ზოგადად აგიოგრაფიულ ლიტერატურაში და, რა თქმა უნდა, „წამებათა“ უანრის ნათარგმნ აგიოგრაფიულ თხზულებებში, როგორც წინა თავებში აღინიშნა, კანონზომიერ მოვლენად არის მიჩნეული აგიოგრაფის მიერ თხზულების დაწერისა თუ წმინდანის გარდაცვალების დროის დაკონკრეტება, აგრეთვე ავტორის ვინაობის დაფიქსირება. არის შემთხვევები, რომ ავტორი გვაძლევს ეპოქის დახმარებასაც. მაგალითად, „ლუკიანოზის მარტვილობაში“ შემდეგი სიტყვებით არის ეპოქა დახმარებული: „პირველსა წელსა ივლიანე მეფისა უდმრთოვსასა განეფინა ბრძანებად უდმრთებისა მისისად ყოველსა ქუეყანასა, რაოთაუგებდენ ცუდთა ღმერთთა და მრავლითა მოსწრაფებითა განეხუნეს ტაძარნი კერპთანი და რაოთა იდიდებოდიან ჭელთქმნულნი და პატივეცემოდის ქურუმთა მათ კერპთმსახურთა, რომელთა უწოდდა მდდელ... ხოლო რომელი წინააღუდგებოდეს და არა დაემორჩილებოდეს განჩინებულსა მას, მიეცემოდეს იგინი მოუგონებელთა და მწარეთა სატანჯველთა“ (34, გვ. 8).<sup>1</sup>

„მვგენიას წამებაში“ კი ეპოქის დახმარებაზე ასეთ სიტყვებს გვაწვდის ავტორი: „მეფობასა ვალენტიანოსა და ლალინოსისსა აღდგეს ქრისტეანეთა ზედა სიმრავლე წარმართთა პრომს შინა და იდრტკნეს წინაშე მეფისა“ (53, გვ. 81).<sup>2</sup>

ეპოქა აღწერილია აგრეთვე „პანსოფი ალექსანდრიელის წამებაში“: „პანსუფის უკუ ვიტყვ მუშაკსა სიმართლისასა. და სახესა კეთილისა სათხოებისასა: რან იგი მიიღო გპრგპნი მოწამებისად დეკეოზის ზო უსჯულოვსა მის მეფისა. ოდეს იგი იღელვებოდეს მის მიერ ქუანენი“ (57, გვ. 48).<sup>3</sup>

<sup>1</sup> ვიმოწმებთ: „სიმგნე და მოდუაწება წმიდისა მოწამისა ლუკიანოზისი, რომელი იწამა ქალაქსა შინა ბალბაქს“. – ქართული პაგიოგრაფიული ძეგლები, ნაწილი პირველი, კიმენი, ტომი II, კორნ. კეპელიძის რედაქტორობით, ტფ., 1946.

<sup>2</sup> ვიმოწმებთ: „წამება წმიდისა ევგენიასი“. – ქართული პაგიოგრაფიული ძეგლები, ნაწილი პირველი, კიმენი, ტომი II, კორნ. კეპელიძის რედაქტორობით, ტფ., 1946.

<sup>3</sup> ვიმოწმებთ: „წამება წმიდისა და ყოვლად-ქებულისა მოწამისა პანსოფი ალექსანდრიელისად“. ქართული პაგიოგრაფიული ძეგლები, ნაწილი პირველი, კიმენი, ტომი I, კორნ. კეპელიძის რედაქტორობით, ტფ., 1918.

წმინდანის გარდაცვალების დრო მითითებულია „ლუკიანოზის ცხოვრებაში“: „ეწამა წმიდავ მოწამე ქრისტესი ლუკიოს ქალაქსა შინა ბალბაქს, მეფობასა ივლიანცს უღმრთოდსასა, გელმწიფებასა ჰპატიოსისსა ფინიქცს ლიბანისასა, თთუესა აგბსტოსსა ოცდაორსა, ხოლო მეუფებასა ცათა და ქუეყანისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა“ (34, გვ. 15).

ავტორი ასევე ათარიღებს ელიანოსის გარდაცვალებას „ელიანოსის მარტვილობაში“: „აღესრულა წმიდავ მოწამე ელიანოს კეთილითა აღსარებითა და სრულითა სარწმუნოებითა მივიდა წინაშე ქრისტესა თთუესა ნოენბერსა ოცდარვასა“ (56, გვ. 37).<sup>1</sup>

იგივე სურათს ვაწყდებით „ბოას წამებაში“. ბოა „დაკრძალნეს ადლგილსა მას, რომელსა პრქან პურამის, და აღაშვინეს სამარტინო წმიდათა მათ ძუალთა მისთა ზედა, მეფობასა ავრელიანოზისსა და მთავრობასა საკუნდოტისსა, ბორგილთა საბრძანებელსა, ქალაქსა იარაპოლისსა, თთუესა დეკენბერსა ოცდაათსა“ (55, გვ. 50).<sup>2</sup>

რაც შეეხება, აგიოგრაფის ვინაობის დასახელებას, იგი შემდეგი სახით არის დაფიქსირებული „მიქაელის წამებაში“: „მე ბასილი გლახაკმან აღვწერე სარგებლად მწერალთა და მკითხველთა და მსმენელთა“ (54, გვ. 172),<sup>3</sup> ხოლო „ლუკიანოზის წამების“ ავტორი გვამცნობს. რომ „მე, პომფილიოს გლახაკმან, რომელი შენდობითა და მიშუებითა დმრთისადთა ვიქმენ ეპისკოპოს ქალაქსა ბალბაქს... გარდამოვიდე და შევაერთე ესე საწამებელი სადიდებელად წმიდისა მის მოწამისა და საქებელად ახოვნად მოღუაწებისა მისისა და სარგებელად ყოველთა მკითხველთა და მსმენელთა“ (34, გვ. 16).

2. ჩვენს მიერ მოხმობილ „წამებათა“ უანრის ნათარგმნ ძეგლებში აგიოგრაფი დამახასიათებელი თავმდაბლობითა და მოკრძალებით გვამცნობს წმინდანის წამების აღწერის სურვილს. მაგალითად, „ლუკიანოზის წამების“ ავტორი შემდეგს განაცხადებს: „მე, პომფილიოს გლახაკმან... ყოვლითა მოსწრაფებითა წადიერად მიგითხარ თქუენ მსგავსად ძალისა ჩემისა,

<sup>1</sup> ვიმოწმებთ: „წამებად წმიდისა მოწამისა ელიანოსისი, რომელი იწამა არაბეას, ქალაქსა შინა ამანს ბალკანისასა“.- ქართული პაგიოგრაფიული ძეგლები, ნაწილი პირველი, კიმენი, ტომი II, კორნ. კეკელიძის რედაქტორობით, ტფ., 1946.

<sup>2</sup> ვიმოწმებთ: „წამებად წმიდისა მოწამისა ბოასი ქუეყანასა ბორგილთასა, ქალაქსა იარაპოლისასა“.- ქართული პაგიოგრაფიული ძეგლები, ნაწილი პირველი, კიმენი, ტომი II, კორნ. კეკელიძის რედაქტორობით, ტფ., 1946.

<sup>3</sup> ვიმოწმებთ: „წამებად წმიდისა მიქაელისი, რომელი იყო ლავრასა წმიდისა მამისა ჩუენისა საბახესა“.- ქართული პაგიოგრაფიული ძეგლები, ნაწილი პირველი, კიმენი, ტომი I, კორნ. კეკელიძის რედაქტორობით, ტფ., 1918.

საყუარელნო“ (34, გვ. 16). ასევე „გლახაკად“ მოიხსენიებს საკუთარ თაგს „მიქაელის წამების“ ავტორი ბასილი.

3. დასახელებულ თხზულებებშიც აგიოგრაფები თავისი ნაამბობის ჭეშმარიტების დასამტკიცებლად მოიხმობენ წყაროებს და ასახელებენ პირებს, ვისგანაც სმენიათ წმინდანთა წამების შესახებ. „ლუკიანოზის წამების“ ავტორი მოგვითხობს, რომ „მე, პომფილიოს გლახაკმან... ძუელისაგან ქარტისა, რომელსა შინა წერილ იყო ჯენებად წმიდისა ამის მოწამისად, გარდამოვიდე და შევაერთე ესე საწამებელი სადიდებელად წმიდისა მის... რამეთუ არა მცირედ დაკლებად ვიხილე ესევითართა მოღუაწეთა სიმწნით ახოვნებათა მათთა მოთხოვისა დაფარვად, არამედ ყოვლითა მოსწრაფებითა წადიერად მიგითხარ თქუენ მსგავსად ძალისა ჩემისა“ (34, გვ. 16).

ხოლო „მიქაელის წამების“ აგიოგრაფი ასახელებს ამბა ბასილს, რომელმაც უამბო მიქაელის წამების შესახებ თევდორე აბუკურასგან მოთხოვილი ამბავი: „გვთხობდა ამბა ბასილი მდდელი: საბაწმიდელი: კაცი საკპრველი და სასწაულთა მხილველი“ (54, გვ. 165).

4. ისევე, როგორც სახარებაში არ არის აღწერილი მაცხოვრის ყრმობის და ყმაწვილობის პერიოდი, „წამებათა“ ჟანრის ნათარგმნ აგიოგრაფიულ თხზულებებშიც შედარებით მწირი ინფორმაციაა მოცემული წამებულთა ბავშვობის, მათი მიდრეკილებების, გარეგნობის და საერთოდ სხვა ცხოვრებისეული დეტალების შესახებ. ასეთ დეტალებზე აქცენტირება შეიმჩნევა უფრო „ცხოვრებათა“ ჟანრის ნაწარმოებებში. „წამებებში“ კი ყურადღება მეტად გამახვილებულია, თავად ჟანრის სპეციფიკიდან გამომდინარე, იმ დროზე, საიდანაც იწყება წმინდანის ქრისტესმიერ გზაზე შედგომა, რომელიც სრულდება წმინდანის მარტვილობით. მაგრამ მიუხედავად ამ ყველაფრისა, ჩვენ „წამებათა“ ძეგლებიდან ამ დეტალის სანიმუშოდ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს. შემდეგი სიტყვებით წარმოაჩენს აგიოგრაფი პანსოფი ალექსანდრიელის წარმომავლობასა და რელიგიურობას: „იყო ნეტარი ესე ნათესავით ალექსანდრიელი რალისა მამასა ნილო ეწოდებოდა და პატივითა ანთიპატრობისათა იყო იგი პატივცემული“ (57, გვ. 48). პანსოფიმ „მისცა თავი თუსი კითხვასა საღმრთოთა და ღმრთივ-სულიერთა წიგნთასა. და მიერ აღმოივსო საღმრთო და კეთილი გულის-ხმის-ყოფა. და აღმართა კარავი თუსი რტოთა ქუეშე სიბრძნისა ღალისათა: და რაჟამს მიიღო უმეტესი ფლობად შესაკუთრებად ღმრთისა ოდეს იგი მამად მისი ჭორცთა-გან განვიდა და დაუტევა საწუთო ესე: მაშინ დაუტევა

ამანცა სოფელი და უდაბნო შეიყვარა“ (57, გვ. 48). ავტორი საუბრობს აგრეთვე მის სწავლისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე და უფლისაგან გამორჩეულობაზე: მამამ პანსოფი „ვარ აღზარდა ნერგი იგი კეთილი და მიიწია უამსა სასწავლოდ მიცემისა. მისცა იგი ვიეთმე მეცნიერთა გარეშისა სწავლულებისათა. და რაოდენი რად ჯერ-იყო დაისწავა კეთილად: და უფროს ხოლო მისცა თავი თუსი კითხვასა საღმრთოთა და ღმრთივ-სულიერთა წიგნთასა. და მიერ აღმოივსო საღმრთოდ და კეთილი გულის-ხმის-ყოფად (57, გვ. 48). და იგი დაკითხვის დროს ეუბნება მთავარს, რომ „ვინავთგან მივეცი კელთა თქ-ნთა არა უგულებელს მყოს ქ-ემან დან ჩემმან რ-ლმან იგი დირს მიჩინა სუმად ვენაჭისა-გან მისისა ტკბილისა: და ძლიერებითა მისითა დაგშრიტნე ისარნი მტერისანი“ (57, გვ. 49):

ასევე წმინდანის წარმომავლობასა და რელიგიურობაზე არის საუბარი „ბოას წამებაში“: ბოა იყო „შგილი აზნაურთად, და ესხნეს მას მამა-დედანი წარჩინებულნი ქალაქისანი, ფრიად მდიდარნი კაცნი, მორწმუნენი ქრისტეანენი, მოშიშნი ღმრთისანი“ (55, გვ. 44). რაც შეეხება მის რელიგიურობას, ბოა იყო „კაცი მართალი, ღმრთის-მსახური და ღმრთის-მოშიში, და ცხომდებოდა იგი სიწმიდითა. იყო იგი მშვდ და მყუდრო და იქცეოდა იგი სიმდაბლით... და საგვე იყო მადლითა სულისა წმიდისათა, იმარხავნ ყოველთა დღეთა და ილოცავნ დაუცადებელად. და იქცეოდა უბიწოდ სიყრმითგან... აღზარდეს იგი მშობელთა... და ასწავეს მას ღმრთის მეცნიერებად წიგნთაგან საღმრთოთა. და იყო საქმე მისი მარადის მისლვად ეკლესიად, და ისმენ სიტყუათა სახარებისათა და მოციქულთასა“ (55, გვ. 44).

ხოლო ელიანოსი არ გამოირჩეოდა დიდგვაროვანი წარმომავლობით. იგი „მსახური ღმრთისად კეთილითა სარწმუნოებითა; და კელთსაქმრად მისა იყო ქსოვად სელისად. და იყო ქულბაგი მისი კართა თანა ქალაქისთა“ (56, გვ. 32).

5. წმინდანებს ახასიათებთ ხორციელი დიდების უარყოფა და ბოლომდე სარწმუნოებრივ გზაზე დგომა. მაგალითად, ბოას „არა ქუეყანისა სიბრძნისად, არამედ ზეცისად აქუნდა ცხოვრებად; შეურაცხეო სოფელი და ყოველი, რად არს მას შინა. ზეცისასა ხოლო სიმდიდრესა და საუკუნეთა კეთილთა იწრაფდა დამკადრებად და მამული იგი მონაგები განუეცო ობოლთა და მშიერთა და უდონოთა და განაბნია რომელი აქუნდა იგი საფასტ და დაიშთინა მცირედი

რამე, რომელი დღითი-დღედ ეყოფოდა საზრდელად... და განეცხა იგი უოველთა საქმეთა ამის სოფლისათა“ (55, გვ. 45).

ხოლო პანსოფი ალექსანდრიელმა „რაუმს მიიღო უმეტესი ფლობად შესაკუთრებად ღმრთისა ოდეს იგი მამად მისი ჭორცთა-გან განვიდა და დაუტევა საწუთო ესე: მაშინ დაუტევა ამანცა სოფელი და უდაბნოდ შეიყუარა. რა ყლი მონაგები და სიმდიდრე მამული გლახაკთა განუყო: და თუ განვიდა უდაბნოდ. და ოც და შვდისა წლისა ჟამთა იქცეოდა მუნ მოღუაწებითა კეთილითა. და ღა-თისა სათნოდ ცხონდებოდა“ (57, გვ. 48).

6. მარტვილთა რელიგიური მრწამსი იმთავითვე გარკვეულია ჩვენს მიერ დასახელებულ „წამებათა“ უანრის ძეგლებში, ამდენად იშვიათად ვაწყდებით უცხო აღმსარებლობის მქონე ადამიანთაგან ქრისტიანულ რწმენაზე გადმოსვლის შემთხვევებს. „პანსოფი ალექსანდრიელის წამებაში“ აღწერილია, თუ როგორ იწამდა ქრისტიანობა წარმართმა ლიკინიოზმა პანსოფის საღვთისმეტყველო საუბრების შემდეგ. მან განუცხადა მთავარს: „რა მე დიდად გესავ სიბრძნესა ამის კაცისასა. და ვინანი ფა-დ გარდასრულთა-თუს უმეცრებითთა ცოდვათა ჩემთა: და ჭა-დ მრწამს და-თად ჭა-დ ი-ჯ ქ-ე რ-ლსა ესავს კაცი ესე ბრძენი პანსოფი. და გამზადებულ ვარ დათმენად ტანჯვათა სახელისა მისისა-თუს“ (57, გვ. 52). მაგრამ, მიუხედავად მისი მზადყოფნისა, ლიკინიოზი გარკვეულ მიზეზთა გამო გადაურჩა მარტვილობას.

7. წმინდა მოდვაწეებს წინასწარ განაწყობენ და ამზადებენ სასულიერო პირები მოწამებრივი აღსასრულისათვის. ისინი შეაგონებენ წმინდანებს ამქვეყნიური, ხორციელი ტკივილების დათმენით იმქვეყნიური სასულევლის მოპოვებას და მოუწოდებენ სულიერი სიმტკიცისაკენ. მაგალითად, „ევგენიას წამებაში“ ევგენია შემდეგი სიტყვებით მიმართავს სულიერ დებს და ამზადებს მოსალოდნელი განსაცდელისათვის: „საყუარელნო ჩემნო, რომელნი შეითქვენით ჩემთანა მოღუაწებასა ქალწულებისასა, დეგით უკუე მტკიცედ სიყუარულსა ზედა ქრისტისსა; იყავნ სიყუარული მისი გულთა შინა თქუენთა უფროს პირველისა მის და დაითმინეთ მცირედებამ ჭირი, რათა იხარებდეთ უკუნითი უკუნისადმდე. ხოლო მე მიგითუალე თქუენ სულსა წმიდასა და სარწმუნო არს, რამეთუ დაგიცვნეს თქუენ ყოვლისაგან შეგინებისა და მწიკულევანებისა, რათა მოგიყვანეს თქუენ ჩემთანა სასტლოსა მას ზეცისასა, სადა იგი არს სიმღენი იესუ ქრისტი ქორწილსა მას და შუებასა საუკუნესა“ (53, გვ. 81-82).

ხოლო ლუკიანოზი მსაჯულს მიმართავს უფლის სიტყვებით, რომლითაც უფალმა მოუწოდა თავის მოწაფეებს და გაამხნევათ მოსალოდნელი განსაცდელის წინაშე: „მეფეთა და ჭელმწიფეთა წინაშე წარსდგეთ სახელისა ჩემისათვის საწამებლად მათა და ყოველთა წარმართთა; და ოდეს მიგცენ თქუენ, ნუ პზრუნავთ, რასა უკუე იტყოდით, რამეთუ არა თქუენ იყვნეთ მეტყუელნი, არამედ სული იგი მამისა თქუენისად, რომელი იტყოდის თქუენ მიერ“ (34, გვ. 10).

8. წმინდანებს მთელი სიცხადით აქვთ გაცნობიერებული მოსალოდნელი განსაცდელი და მიუხედავად ამის ცოდნისა, ისინი აცხადებენ სრულ მზადყოფნას მოწამებრივ აღსასრულზე უფლისა და რწმენის ერთგულების ნიშნად.

„ბოას წამებაში“ წმინდანი „გულს-იდგინა და სურვიელ იყო სიკუდილსა წამებისასა ქრისტის სახელისათვის და მწრაფლ თვესნი იგი ჭორცნი მიცემად სატანჯველსა. რამეთუ რასა იგი მოაწევდეს მის ზედა უდმრთონი ჭირსა და იწროებასა, სიხარულით დაითმენდა, რავთამცა ლირს იქმნა იგი წმიდათა თანა მარტივობით გადასაცემა. ეგრეთ განმზადებულად დგა ყოვლისა მის ჭირისა დათმენად და მოღუაწებად“ (55, გვ. 45).

ელიანოსი კი შემდეგ სიტყვებს განუცხადებს მსაჯულს: „მტანჯე მე, მ მსაჯულო, და გუემითა შენითა მაზიარე მე უფალსა ლმერთსა ჩემსა იესუ ქრისტესა“ (56, გვ. 34).

„ლუკიანოზის წამებაშიც“ წმინდანი მოსწრაფეა მოწამებრივი გზის: „ამისთვის მოსწრაფე ვარ, რათა ვიღუაწო ვნებითა გუამისა ჩემისათა და ვიქმნე მე მკაფი სასუფეველსა ცათასა; ყავ უკუე აწ რომელი გნებავს, რამეთუ ქრისტი შემწე ჩემდა არს, და შეურაცხვჲყოფ სატანჯველთა შენთა. რამეთუ მან თქუა, მოძღუარმან ცხორებისამან, ვითარმედ ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოწყვდნენ ჭორცნი თქუენნი, ხოლო სულისა ვერ შემძლებელ არიან მოწყვედად, არამედ მისა გეშინოდენ, რომელსა ჭელმწიფებად აქუს სულისა და ჭორცთა წარწყმედად გვჰენიასა შინა ცეცხლისასა“ (34, გვ. 10-11).

ამგვარივე მზაობას მოწამებრივი აღსასრულისათვის აცხადებენ პანსოფი ალექსანდრიელი და მისი ახლადგაქრისტიანებული მეგობარი ლიკინიოზი.

9. წმინდა მოღვაწეები ეწევიან აქტიურ ღვთისმსახურებას. ისინი გამუდმებული ლოცვით, მარხვით, ცდუნებათა დაძლევით სულიერად აწრთობენ საკუთარ თავს. წმინდანები ამას სჩადიან როგორც საპყრობილეში, ასევე მის გარეთ.

პანსოფი ალექსანდრიელმა, როდესაც საპყრობილიდან გათავისუფლდა, „მისცა თავი თვისი წარ პანსოფი პირველსავე ჩუეულებასა. მარხვასა ვიტყვ და ლოცვასა და გარდარეულსა მღვდარებასა“ (57, გვ. 56).

„ელიანოსის წამებაში“, როდესაც დააპატიმრეს აჯანყებულები, ელიანოსი საკუთარი სურვილით შევიდა საპყრობილები, სადაც შეუერთდა პატიმრებს და „ალიშურვა მან შური საღმრთოდ და მიისწრაფა საპყრობილედ და შევიდა და ჯდა მათ შორის; ნუგეშინის სცემდა და განამტკიცებდა მათ და ასწავებდა სიტყუათა ღმრთისათა და სარწმუნოებასა“ (56, გვ. 32). ეს პასაჟი როგორდაც მიგვახედებს ცოტნე დადიანის ქმედებისაკენ.

ხოლო ბოა „განეყენა იგი ყოველთა საქმეთა ამის სოფლისათა და მარადის მადლობასა, ვედრებასა და ლოცვასა შესწირავნ ღმრთისა“ (55, გვ. 45).

10. საზოგადოებასთან წმინდანის გამომშვიდობებაც არის ერთ-ერთი გავრცელებული პასაჟი „წამებათა“ ჟანრის აგიოგრაფიულ ძეგლებში. სულიერ სამწყსოსთან მათი გამომშვიდობება ატარებს საოცრად სევდიან ხასიათს, რადგანაც წმინდანებმა იციან მოსალოდნელი განსაცდელის შესახებ და ისინი უკანასკნელად მიმართავენ და ნუგეშს სცემენ თანამოაზრებს.

„ევგენიას წამებაში“ წმინდანი ასეთი სიტყვებით ემშვიდობება თავის სულიერ დებს: „ხოლო ამიერითგან ნუღარა ჰგონებთ, ვითარმცა იხილეთ პირი ჩემი ჭორციელად, არამედ იპყარო საქმე ჩემი და სლვავ ჩემი, ვითარცა სარკმ, თქუენ შორის და ჰბაძევდით შურსა ამას ჩემსა და მოღუაწებასა, ვითარ იგი ვიქცეოდე თქუენ შორის“. და ვითარცა დაასრულა წმიდამან ეგგენია სიტყუავ ესე, ჰამბორს-უყვეს ურთიერთას, და იყო ტირილი დიდი და ცრემლოვანებავ მათ შორის, და ნუგეშინის სცა მათ ეგგენია და განამტკიცნა ყოველნი, და ყველოცვა და განეშორა მათგან“ (53, გვ. 82).

11. წმინდანები წამების წინ კიდევ ერთხელ აღავლენენ ლოცვას, სამადლობელს სწირავენ უფალს, რადგან უფალმა გამოარჩია ისინი და მოუგლინა მოწამებრივი გზა, აღსასრული მისსავე სახელის სადიდებლად. წმინდანები აგრეთვე შესთხოვენ უფალს სხვა წამებულთა გვერდით მათთვის სათანადო ადგილის მიჩნას.

„ბოას წამებაში“ წმინდანის უკანასკნელი სიტყვები და სათხოვარი მოგვაგონებს ეპიზოდს „ევსტათი მცხეთელის წამებიდან“, სადაც ევსტათი შესთხოვს უფალს მისი ძვლების მცხეთაში დაკრძალვას, რათა არ წაბილწონ ცხოველებმა და ფრინველებმა მისი ცხედარი. ბოა შემდეგი სიტყვებით

მიმართავს „უფალს: „უფალო იესუ ქრისტე... სადა იპოოს ნაწილი ძუალთა ჩემთავ, ნუ შეეხებინ მათ სული ბოროტი, მავნებელი კაცთავ და პირუტყუთავ. გადიდებ შენ, უფალო, და გმადლობ და გაქებ და გაპურთხევ, რამეთუ დირსმყავ მე სიკუდილსა ამას წამებისასა სახელისა შენისათვს წმიდისა, რომელსა გული მითქუმიდა სიყრმით ჩემითგან. აწ უფალო იესუ ქრისტე, ძეო ლმრთისა ცხოველისაო, ისმინე ჩემი, გლახაკისა მონისა შენისა, და მომმადლე თხოვავ ესე ჩემი და მიითუალე დათხევავ სისხლთა ჩემთავ. რამეთუ შენ ხარ მფარველი ჩემი და ჭელთა შენთა შევჭედრებ სულსა ჩემსა“ (55, გვ. 49).

თითქმის იგივეს შესთხოვს „უფალს წმინდა ლუკიანოზიც: „შ უფალო ლმერთო ჩემო... რომლისა მომართ მოვივლტოდე მე სიყრმით ჩემითგან, რომელმან მომანიჭე მე მოთმინებავ ვიდრე აღსასრულადმდე... სასოო განწირულთაო, შეივედრე სული ჩემი მშვდობით და შეპრთე იგი მონათა შენთა თანა წმიდათა, რათა მათთანა ლირს ვიქმნე სასუფელსა ცათასა და ცხორებასა საუკუნესა“ (34, გვ. 13).

ხოლო „წმიდამან მიქაელ... განკვინა ზეწარი თვესი და თავყუანის სცა სამგზის ოლსა და მშვდობავ დაუტევა ერსა და ევედრებოდა ყლსა: შემმოსეთ მე სქემითა ჩემითა და წარმგრაგნეთ ზეწარსა ჩემსა და მიმეცით მოძღუარსა ჩემსა, რა მან მიმცეს მიწასა“ (54, გვ. 171).

12. „ცხოვრებათა“ ჟანრის აგიოგრაფიული ნაწარმოებებისაგან განსხვავებით „წამებთა“ ჟანრის ნათარგმნ აგიოგარფიულ თხზულებებში წამებულთა გარდაცვალების, დაკრძალვის და გლოვის რიტუალი აღიწერება უფრო ტრაგიკულ ფონზე. ეს ტრაგიზმი კი იმაში მდგომარეობს, რომ ურწმუნოთაგან მიმდინარეობდა ქრისტიანთა დევნა-შევიწროება. აღწერილია თუ როგორ ანადგურებდნენ, წვავდნენ და მიმოფანტავდნენ წმინდანთა გვამის ნაშთებსაც კი მწამებლები, რათა შიშის ზარი დაეცათ სხვა ქრისტიანებს შორის. ამდენად, მარტვილნი ადესრულებოდნენ არა ბუნებრივი სიკვდილით, წმინდა მამათაგან განსხვავებით, არამედ ტანჯვა-წამებით.

„პანსოფი ალექსანდრიელის წამების“ მიხედვით ურწმუნო მთავრისაგან გაგზავნილმა კაცმა „აღუდვა დამე ცეცხლი ქუაბსა მას სადა იგი იყო ნეტარი პანსოფი და სხუანი იგი ძმანი. და ეგრეთ დაიწუნეს წნი იგი ქუაბსა მას შინა და შეპვედრნეს სულნი თვესნი ჭელთა ოისათა. და მიღეს გპრგპნი წამებისა. ჭელითა ანგელოზთათა: ესრეთ აღასრულა ცხორებავ თვესი საკურველმან და

დიდმან პანსოფი“ (57, გვ. 59) და მორწმუნებმა „წარმოიხუნეს ნაწილნი იგი წ~თა მათ ქს-მოწამეთანი: და დასხნეს ადგილსა წ~სა გალობითა და ქებითა“ (57, გვ. 59).

„ევგენიას წამებაში“ კი „მოავლინა მეფემან ერთი მცედართაგანი და წარპკუეთა თავი მისი. და მოვიდეს ნათესავნი მისნი და წარიღეს გუამი წმიდისა ევგენიაისი და დაპკრძალეს გარეშე ქალაქსა... რამეთუ ადგილსა მას დაემარხნეს წმიდასა ევგენიას მრავალნი მოწამენი“ (53, გვ. 84).

ასევე თავის მოკვეთა ბრძანა მსაჯულმა წმინდა მიქაელის მიმართ. და წმინდანმაც „დაიწერა ჯუარი და მოუდრიკა თავი მასკლსა და სიკუდილსა საცხორებელსა: მაშინ მექრმლემან წარპკუეთა წმიდად იგი თავი მისი და აღიღო კელითა თუსითა. ტიროდა და ამბორს უყოფდა: და ყ~ლი ერი ტიროდა“ (54, გვ. 171). ამის შემდეგ გაიმართა დავა ქალაქის მცხოვრებლებსა და მონაზვნებს შორის, თუ სად დაკრძალულიყო მიქაელი. დავა გადაწყდა მიქაელის ცხედრის მონაზვნებზე ბოძებით. და მონაზვნებმა მიქაელის ცხედრით „ვ~ა მიიწინეს ლავრად. გამოეგებნეს მამანი კერეონებითა და საცეცხურებითა და დიდითა პატივითა შემოიდეს ეკლესიად გალობითა...

მაშინ აღასრულეს ფსალმუნებად და ყ~ლი განწესებად შესუენებულთად და დადგეს იგი სამარხოსა მარტილთასა. მამათა და მოწამეთა დამწუართასა“ (54, გვ. 172).

ხოლო რაც შეეხება ბოას აღსასრულს, „მოიყვანეს იგი განმზადებულსა მას ადგილსა. და დაადგინეს წმიდად ბოა ფერწთა ზედა მისთა და გარემოაწყვეს მათ სიმრავლე შეშისად და აღუდვეს ცეცხლი ძლიერად, ვიდრემდის აღასრულეს დაწუგად წმიდისად მის. ხოლო წმიდამან ბოა დაიწერა სახლ ჯუარისად ყოველთა ასოთა მისთა და აღმოუტევა სული და მისცა კელთა დამბადებელისა თუსისათა... და მოიღო მან გპრგპნი დიდებისად ყოველთა თანა წმიდათა. და შემდგომად დაცხორომისა ცეცხლისა მის და დაწუგისა წმიდისა მის შეკრძეს ყოველნი ქრისტეანენი... და აღიხუნეს ნაწილნი იგი წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ბოადსნი და დაპკრძალნეს ადგილსა მას, რომელსა პრქან პურამის, და აღაშშნეს სამარტილ წმიდათა მათ ძუალთა მისთა ზედა“ (55, გვ. 50).

13. აგიოგრაფს აღაფრთოვანებს წამებულის ნამოქმედარი და, ამდენად, ავტორისაგან წმინდანის ღვაწლის განდიდება და ხოტბის შესხმა მნიშვნელოვან ადგილს იკავებს „წამებათა“ უანრის ნათარგმნ აგიოგრაფიულ თხზულებებში.

შემდეგი სიტყვებით იწყებს პანსოფი ალექსანდრიელის შემკობას აგიოგრაფი თხზულების დასაწყისში: „თხრობად თქუენდა მნებავს საყუარელნო. და უწყებად საქმესა და წარმართებასა კაცისა ამის ღმრთივ-განბრძნობილისასა. პანსუფის უკუ ვიტყვ მუშაკსა სამართლისასა. და სახესა კეთილისა სათხოებისასა: რან იგი მიიღო გვრგვნი მოწამებისავ“ (57, გვ. 48).

წმინდა ელიანოსს კი ავტორი შემდეგი ეპითეტებით ამკობს: „ახოვანი მოღუაწე“, „დამტკიცებული სარწმუნოებასა ზედა ქრისტისსა“.

14. აგიოგრაფიულ თხზულებებში, როგორც ცნობილია, არცოუ მცირე ადგილი ეთმობა აგიოგრაფთა მიერ წმინდანთათვის ბიბლიური არქეტიკების დაძებნას. ჩვენ მრავლად გვხვდება მაგალითები, როდესაც აგიოგრაფები ბიბლიურ წიგნებში უძებნიან წმინდანთა სახეებს და მათ ნამოქმედარს პარალელებს. მსგავს შემთხვევებს ვაწყდებით „წამებათა“ ჟანრის ნათარგმნ ძეგლებშიც, ოდონდ შედარებით მცირე რაოდენობით. სანიმუშოდ მოვიყვანო რამდენიმე მაგალითს: „ელიანოსის წამება“: „აღიღო წმიდამან ტპროი იგი შეშისავ და აღიდვა იგი მჯართა თუსთა ზედა; და მიემსგავსა იგი ქრისტესა, უფალსა თუსსა, და ნაყოფიერ ყო სული თუსი საღმრთოთა ნაყოფითა“ (56, გვ. 36).

დახრჩობისგან სასწაულებრივად გადარჩენილ ევგენიაზე კი აგიოგრაფმა შემდეგი სიტყვები ათქმევინა ხალხს: „ღმერთი არს ეგაენიავს თანა წყალთა მათ ზედა, ვითარცა პეტრცს თანა, და არა უტევა იგი დანოქმად!“ (53, გვ. 84).

ხოლო ბოამ „კეთილად სლვითა მისითა განცხადებულად ყვნა საქმენი მისნი, განგებითა და წარმართებითა სულიერითა, და ემსგავსებოდა იგი ანგელოზთა სრბითა მისითა და კაცობრივსა ბუნებასა სძლო“ (55, გვ. 44-45).

\* \* \*

წმინდანთაგან სასწაულთა ქმნადობას „წამებათა“ ჟანრის ნათარგმნ აგიოგრაფიულ თხზულებებშიც ენიჭება ერთ-ერთი უმთავრესი დატვირთვა, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ „წამებებში“ ყურადღება უფრო მეტად აქცენტირებულია წმინდანთა მარტვილობაზე. მათში ყურადღება იმდენად არის გამახვილებული მარტვილთა სულიერ სიმტკიცეზე და მოწამებრივ აღსასრულზე, რომ უკანა პლანზე გადადის „ცხოვრებათა“ ჟანრისათვის აგრერიგად დამახასიათებელი მნიშვნელოვანი მოტივი სასწაულეთმოქმედებისა.

შევეცდებით ჩვენს მიერ განხილულ „წამებათა“ ჟანრის ნათარგმნ აგიოგრაფიულ თხზულებებშიც სასწაულთა სახეების გამოყოფას და სქემატურ დაჯგუფებას.

## I. სასწაულები, რომლებშიც აღწერილია ხილვები და ლგთაებრივი გამოცხადებები.

### 1. ხილვები ცხადში:

ა) ხილვათა ჯგუფს მივაკუთვნებთ სასწაულთა ისეთ გავრცელებულ ფორმას, როგორიცაა ნათლით შემოსილი წმინდანის ხილვა. წმინდანები არა მარტო თავად არიან ნათლით მოსილნი და გაბრწყინებულნი, არამედ მიმდებარე ტერიტორიასაც პფენენ ნათელს. ასეთი სასწაული გვხვდება „ევგენიას წამებაში“. ევგენია, როდესაც შეიყვანეს „საპყრობილესა ბნელსა და უბრძანეს, რამთა იყოს მუნ შინა ათდღო და არა უჩუენონ გემოვ ჭამადისავ. ხოლო საპყრობილო იგი განათლდა ფრიად და შემდგომად გამოსლვისა მისისა დარჩა ბრწყინვალებავ იგი ნათლისავ ადგილსა მას“ (53, გვ. 84).

ბ) ხილვა აქვთ არა მარტო სასულიერო პირებს, არამედ ჩვეულებრივ მოკვდავებსაც. „ევგენიას წამებაში“ გარდაცვლილი წმინდანის საფლავთან მყოფ მტირალ დედას „წმიდავ ევგენია გამოეცხადა მას მღვდარესა შუვადამეს ოდენ, და ემოსა სამოსელი ოქროქსოვილი და თავსა ედგა გპრგბნი, და იყო მის თანა სიმრავლო ქალწულთავ. და პრქუა დედასა თჯსსა: „მხიარულ იყავ და იხარებდ,

დედაო ჩემო, რამეთუ უფალმან შემიწყნარა მე წმიდათა თანა... და ამას რავ ეტყოდა, გამოჩნდა ნაწილი დიდებისად, რომელი ვერ შესაძლებელ არს კაცთაგან ხილვად, და ანგელოზი უგალობდეს ღმერთსა წმითა, რომელი ვერ შესაძლებელ არს მითხოვბად“ (53, გვ. 84-85).

### 2. ხილვები ძილის დროს:

ძილში ხილვები აქვთ როგორც სასულიერო პირებს, ასევე ჩვეულებრივ ადამიანებსაც. მათ ეცხადებათ უფლის რჩეულნი, რომელთაგანაც იღებენ გარკვეულ დავალებებს. მაგალითად, მორწმუნე ქალს, რომელიც ეზოში დაკრძალავს პატივით წმინდა ლუკიანოზის ცხედრის ნაწილს, „მეორესა დამესა გამოეცხადა მას წმიდავ იგი მოწამე ქრისტესი და პრქუა: „მე ვარ ლუკიოს, რომელი აღსარებისათვის ქრისტესისა ფრიად ვიგუემე ქალაქსა შინა ბალბაქს, არამედ გრწმენინ და ვითარცა ქრისტეს-მორწმუნისა თანა იყავნ ნაწილი ეგვ ასოთა ჩემთავ დამარხულ შენთანა“ (34, გვ. 14).

### 3. ხილვები გარდაცვალებისას:

ა) წმინდანებს სიკვდილის წინაც აქვთ დვთაებრივი გამოცხადებები, როგორც ხილული, ისე სიტყვიერი სახით. წმინდა ბოას სიკვდილის წინ „ესმა წმით ზეცით, რომელი ეტყოდა მას: „მოვედ, ბოა, სარწმუნო და გონიერო მონაო, და შევედ სიხარულსა უფლისა შენისასა სასუფეველსა ცათასა, რამეთუ მომიმადლებიეს ყოველი, რომელი ითხოვვ, და უფროდისიცა ამისსა მიგმადლო; სადაცა ითქუმოდის სახელი შენი და იყოს ნაწილი ძუალთა შენთავ, ივლტოდეს მუნით ყოველი ვნებად კაცთავ და პირუტყუთავ“ (55, გვ. 49).

## II. სასწაულები, რომლებშიც აისახება ზემოქმედება ადამიანებზე.

1. წმინდათაგან უკეთურთა და ურწმუნოთა დასჯის მაგალითებს ვაწყდებით „წამებათა“ ჟანრის ნათარგმნ აგიოგრაფიულ ნაწარმოებებშიც. ასე, მაგალითად, წმინდა ევგენია როდესაც ლოცულობდა, „ლოცვასა ოდენ მისსა იყო ძრვად დიდი ფრიად ადგილსა მას და შეეშინა ყოველთა მუნ მდგომარეთა და შეიძრა საფუძველი საკერპოვსა მის და დაეცა კერპითურთ და არარად დაშთა ადგილსა მას, რომელი არა შეიმუსრა, გარნა ადგილისა მის, სადა იგი დგა წმიდავ

ევგენია. და იყო ესე წინაშე ყოვლისა მის ერისა, რომელი მოსრულ იყვნეს, რათა იხილონ მოღვაწებად მოწამისა მის ქრისტისად“ (53, გვ. 84).

2. წმინდა მოღვაწეთაგან გავრცელებულია როგორც ადამიანთაგან ეშმაკის განსხმა, ასევე სხვადასხვა არსებებად ტრანსფორმირებულ ეშმაკთა განდევნა თავისი სადგომიდან. „პანსოფი ალექსანდრიელის წამებაში“ აღწერილია, თუ როგორ გაიპო ზღუდე საპყრობილები და წმინდა პანსოფისთან და ლიკინიოზთან „გამოვიდა მიერ მსგავსი რამე დედაკაცისად ნაქმნევ ხენეში. რა იყო სამოსელი მისი ვად მწკრე. და კუბასტი მისი ვად ტყავი ვეშაპისათ. და ფერი მისი ვად ვეცხლისათ. და თალნი მისნი ვად ვეცხლინი. პირი მისა შავ. ვად მელანი. და თმანი თავისა მისისანი იყვნეს ვად გუელნი. შუბლსა მისსა იყვნეს რქანი ვად ვერძისანი. და ზურგსა ზად მისსა იყვნეს ფრთენი. და ჭამლად ესხნეს მას ნაკუერცხალნი ცეცხლისანი. ენავ მისი შავ და გესლიან ვად ასპიტისად“ (57, გვ. 55), რომელიც რქით შეიპრეს წმიდა მოღვაწეებმა და როდესაც განიზრახეს მისი მოკვლა, „ეშმაკი იგი ევედრებოდა საკპრველსა პანსოფის. და ეტყოდა. გაფიცებ შენ თავსა უკუდავისასა ნუ განმხეთქ მე. და უპოუ განმიტეო. აღვიარო ყად რად იგი ვიზრებ მე. რა მოვედ ცოუნებად მაგათდა და შეშინებად და ამისთვის ხატი ესე შევიმოსე“ (57, გვ. 55). პანსოფიმაც მოსთხოვა ეშმაკს, რომ არ ევნო მათთვის და ისე განდევნა.

3. წმინდანთაგან ამა თუ იმ მოვლენის წინასწარმეტყველება დამახასიათებელია აგრეთვე „მარტვილობებისთვისაც“. მარტვილებს უფლისაგან ეუწყებათ თავიანთი მოწამებრივი ადსასრულის შესახებ. აქ შეიძლება მოვიხმოთ პასაჟი „ევგენიას წამებიდან“, როდესაც „შეემთხვა წმიდად ევგენია ბასილიას და პრქუა მას ვითარმედ „უფალმან გამომიცხადა მე შენთვს, რამეთუ ქალწულებისა და მოღუაწებისა შენისათვს გელის შენ გპრგპნი“. ხოლო ბასილია პრქუა წმიდასა ევგენიას: „და მეცა ქრისტემან მარწმუნა შენთვს, ვითარმედ მიიღო გპრგპნი მოწამებისად ორწილად: ერთი გპრგპნი ღუაწლისა მისთვს, რომელი იღუაწე ალექსანდრიას, ხოლო მეორც დათხევისათვს სისხლთა შენთავსა“ (53, გვ. 81).

### **III. სასწაულები, რომლებშიც ასახულია წმინდანის ჩაურევლად უფლისაგან მოვლენილი სასწაულები.**

1. „წამებათა“ უანრის ნათარგმნ აგიოგრაფიულ თხზულებებში ვაწყდებით შემთხვევებს, რომლებშიც აღწერილია უკეთურებასა და ურწმუნოებაზე უფლისაგან მოვლენილი ლვთაებრივი რისხვა. „ევგენიას წამებაში“ ასეთი ლვთაებრივი რისხვა გადმოვიდა წარმართთა კერპზე: როდესაც „აბრატის და იაკინთოს შეიძყრეს და მიიყვანეს საკერპოდ, რაოთა უზორონ კერპსა ზევსს. ხოლო მათ განიპყრნეს კელნი თჯსნი დმრთისა მიმართ და ილოცვიდეს. და ვითარცა აღასრულეს ლოცვად მათი, მეყსეულად დაეცა კერპი იგი ფერტთა თანა მათთა, რომლისათვის აიძულებდეს ზორვასა, და იქმნა იგი ვითარცა მტუერი“ (53, გვ. 83).

ხოლო „ელიანოსის წამებაში“, როდესაც ელიანოსს გამოუტანეს განაჩენი, წმინდანმა შესთხოვა უფალს, რომ „გამოაჩინე, უფალო, ჩემზედა ძალი შენი და ჰეშმარიტებად. მომეც მე, დმერთო, წინააღდგომად მსაჯულსა ამას უშჯულოსა და ერსა მისსა უკეთურსა, რაოთა არა თქუან: სადა უპუე არს დმერთი იგი მისი“. მაშინ გამოუჩნდა მას ანგელოზი უფლისად და ალი იგი ცეცხლისად დაშრიტა და ძალი მტარვალთად მათ დაჰჭინა, და დაეცნეს იგინი ქუეყანასა ზედა, ვითარცა მკუდარნი, და კრულებანი იგი საკრველთა მისთანი ცეცხლითა დაწუნეს და განიგსნენ წმიდისა მისგან“ (56, გვ. 35).

2. არის სასწაულები, რომლებშიც წარმოჩენილია წმინდა მოღვაწეებზე უფლისაგან მოვლენილი თანადგომა და შეწევნა განსაცდელის უამს სხვადასხვა სახით. მაგალითად, „მიქაელის წამებაში“, როდესაც ამირ-მუმლმა მიქაელის შესახებ ბრძანა შიშველი ფეხით გადვივებულ ნაკვერჩხალზე დაყენება, წმინდანმა ილოცა და „ცეცხლი იგი მოლენდებოდა. და წმიდასა მას არა ევნებოდა“ (54, გვ. 170). ხოლო ამირ-მუმლმა, როდესაც ბრძანა „მოღებად მოთხისა რკინისად დაკლიტულისად. და დასწავლულისად. და ბრძანა განღებად და აღმაღებად შივშაგისა მცირისად დაბეჭდულისად: რალსა იყო წერილი წამალი შესასუმელი წამსა მაკუდინებელი რალისად არს სახელი სამსალად... ბრძანა მოღებად ჰურჭელისად. დასხმად თაფლ-წყლისად. და ჩართვად წამლისად. და მიცემად მონაზონისად... მაშინ მონაზონმან აღიმაღლა ჭმად და თქუა: მრწამს მამად: ძღვ და სული წმიდად. და დასწერა ჯუარი საუფლოდ და არა შეეშინა შესუა და ძალითა ღალისა ჩანისა... არად ევნო“ (54, გვ. 170-171).

ხოლო საპყრობილები მიმავალმა ნაწამებმა ლუკიანოზმა ილოცა და უფალს შესთხოვა დახმარება და „გითარცა აღასრულა ლოცვა ესე, გარდამოწდა ანგელოზი უფლისად ზეცით და შეახო მას და მუნქუესვე განიკურნა გუამი მისი გუემულებისაგან. და პრქუა მას: „მჯნე იყავ და განძლიერდი, რამეთუ მე შენთანა ვარ, იტყვს უფალი“ (34, გვ. 11).

#### IV. სასწაულები, რომლებშიც ჩანს ზეგავლენა მიცვალებულთა სამყაროზე.

1. საფლავთა და წმიდა ნაწილთა სასწაულები:

ა) „წამებათა უანრის ნათარგმნ აგიოგრაფიულ ძეგლებშიც არცოუ იშვიათად მოიპოვება სასწაულები, რომლებშიც აღწერილია გარდაცვლილ მარტვილთაგან ავადმყოფთა განკურნება, ადამიანთაგან ეშმაკების განსხმა და უკეთერთა დასჯა. ეს სასწაულები კი ხორციელდება წმინდანთა საფლავზე ან წმინდა ნაწილებზე ხელის შეხებით.

გარდაცვლილი წმინდანისაგან სნეულთა განკურნებაზე მაგალითი მოგვყავს „მიქაელის წამებიდან“. წამებული წმინდანის ცხედარი, როდესაც მიასვენეს ეკლესიაში, „იყო ლავრასა შინა ძმა უძლური. სახელით თევდორე. სამისა წლისა ქუემდებარე. და ვა ესმა მას... მოუღებია ქალაქით წამებული. ევედრებოდა რა ჩაიყვანონ ეკლესიად. რა იხილოს წა იგი რ მეგობარი იყო მისი და არავინ უსმინა: მაშინ აღიმაღლა ჭმა ტირილისად და ეტყოდა: შ ძმა მიქაელ. ნე დაივიწყებ მეგობარსა. უკუეთუ გაქუს მადლი წა ქა ღირს-მყავ მე შენსა ნახვასა და მუნქუესვე აღდგა და განძლიერდა: და შთავიდოდა ეკლესიად“ (54, გვ. 172).

ასევე განიკურნენ პანსოფი ალექსანდრიელის საფლავთან სნეული და განიდევნენ ეშმაკები: „ურიცხუნი სნეული განიკურნებიან და ეშმაკნი იდევნებიან“ (57, გვ. 59).

ხოლო გარდაცვლილ წმინდათაგან უკეთერთა დასჯაზე მეტყველებს ერთი მაგალითი „ლუკიანოზის წამებიდან“. წამებულ ლუკიანოზს, როდესაც ათლიდნენ სხეულის ნაწილებს, ამ პროცესს შეუერთდა ერთი მეაქლემე. თავის მახვილით მანაც იწყო „გამოღებად კელითა თუსითა შინაგანთა ასოთა უბიწოდესა მის მსხუერპლისათა ცოხნად კბილითა. მას უამსა მეყსა შინა მიიღო მან მისაგებელი, მსგავსი საქმეთა მისთავ, რამეთუ მუნქუესვე წარმოსცვეს თუალნი მას და

ყოველთა აქლემთა მისთა, დაისხნეს ქუეყანასა ზედა, ვითარცა მახულითა აღმოგდნილნი, და დაშთეს იგინი ბრმად. და ვითარცა იხილეს ესე უღმრთოთა მათ, დაუკრდა ფრიად საკურველებისა მისთვს, რომელი იქმნა მეაქლემესა ზედა. მაშინ ერთმან მათგანმან მოიბნა აქლემნი იგი და მეაქლემც და შეჰყვანდა ქალაქად. და ვითარცა მიიწია კართა ქალაქისათა, დაეცა მეაქლემც იგი და სულნი წარპტდეს საქებელად და სადიდებლად ღმრთისა და საჯსენებლად წმიდისა მის მოწამისა, რომელთა იხილეს იგი“ (34, გვ. 13-14).

ბ) წმინდანის ცხედართან დაკავშირებული სასწაულები, ჩვენი აზრით, საინტერესო შემთხვევას წარმოადგენს აგიოგრაფიულ თხზულებებში. ზოგიერთი მიცვალებული წმინდანი ირგვლივ სასიამოვნო სურნელოვან გარემოს ქმნის, ზოგის ცხედარიც უხრწნელად ინახება, ხოლო „ელიანოსის წამებაში“ ვაწყდებით სასწაულს, რომლის მიხედვით წმინდანის გვამი არა თუ იწვება წამების დროს, არამედ ოქროს მსგავსად განბრწყინდება: „გუამი მისი პატიოსანი არა დაიწუა, არცა დაიკსნა სიტყვსა მისებრ მსაჯულისა, არამედ გამოიკურვა და უფროდ თქროდსა განწმდნა და გამოგჭნდა ჩუენ, ყოველთა მონათა ქრისტისთა“ (56, გვ. 37).

2. არის სასწაულები, რომლებშიც გარდაცვლილი წმინდანის ნებით აღესრულება ადამიანი ან ცხოველი. სანიმუშოდ მოგვყავს პასაუი „მიქაელის წამებიდან“: მიქაელი, როდესაც აღესრულა „მოძღუარი მისი მტირალი თუალითა. მგლოვარს გულითა. და მოხარული სულითა. მოწაფესა თუსსა და მოწამესა ქრისტისა ესრულ ეტყოდა: უკუთუ გაქუს კადნიერებად ქრისტის თანა დღესა მეშვდესა წარმიყვანე მე შენ თანა: და დღესა მეშვდესა დავშმარხეთ მოძღუარი მოწაფისა თანა“ (54, გვ. 172).

ამრიგად, წინამდებარე თავში „წამებათა“ ჟანრის ნათარგმნი აგიოგრაფიული თხზულებების მიმოხილვით, მათ შორის სიუჟეტურ-კომპოზიციური თვალთახედვით მსგავსი თუ განმასხვავებელი ნიშნების დადგენით, იყო კიდევ ერთი ცდა ნაშრომში დასმული პრობლემატიკის უფრო ფართო ჭრილში გარკვევისა და ამ მხრივ თრიგინალურ და ნათარგმნ აგიოგარფიულ თხზულებათა ერთმანეთთან შედარებითი მეთოდით კვლევის საქმეში სათანადო დასკვნების გამოტანისა.

და კიდევ: ამ მონაკვეთში შეგნებულად თავი ავარიდეთ სხვადასხვა მკვლევართა მოსაზრებათა მოხმობას მხოლოდდა იმ მოსაზრებით, რომ გვეჩვენებინა საკუთარი თვალთახედვა საკითხისა აგიოგრაფიული ძეგლების მონაცემებთა მიხედვით.

## დასკვნა

ამგვარად, ჩვენი სადისერტაციო თემის მიზანს წარმოადგენდა სიუჟეტურ-კომპოზიციური თვალსაზრისით განგვეხილა „ცხოვრებათა“ და „წამებათა“ უანრის ქართული ორიგინალური და ნათარგმნი აგიოგრაფიული ნაწარმოებები, წარმოგვეჩინა აგიოგრაფიისათვის დამახასიათებელი შაბლონური ელემენტები, მოდელები და დაგველაგებინა ისინი გარკვეული სქემების მიხედვით.

პირველ თაგში განვიხილეთ „ცხოვრებათა“ უანრის შემდეგი ქართული აგიოგრაფიული თხზულებები: „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, „იოვანე ზედაზნელის ცხოვრება“, „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“, „იოვანესა და ეფთვიმე ათონელების ცხოვრება“, „ილარიონ ქართველის ცხოვრება“, „შიოსა და ეგაგრეს ცხოვრება“, და „დავით გარეჯელის ცხოვრება“.

აღნიშნულ მასალაზე დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი საერთო სიუჟეტურ-კომპოზიციური ელემენტები, სქემები:

1) ავტორის მიერ ნაწარმოების დასაწყისში ან ბოლოში თხზულების შექმნის დროის აღნიშვნა, წმინდა მოღვაწის გარდაცვალების დათარიღება და ხოგიერთ შემთხვევაში, აგიოგრაფის ვინაობის დაკონკრეტება.

2) აგიოგრაფის თავმდაბლობის გამოხატულება წმინდანის ცხოვრების აღწერისას.

3) აგიოგრაფის მიერ მკითხველის დარწმუნება თავისი ნაამბობის ჭეშმარიტებაში.

4) წმინდანის გამორჩეულობა ბაგშვილის:

ა) წმინდანის წარმომავლობა;

ბ) წმინდანის გარეგნობა;

გ) წმინდანის სწავლისადმი მიღრეკილება;

დ) წმინდანის რელიგიურობა;

ე) უფლისაგან წმინდანის გამორჩეულობა;

5) წმინდანისაგან ხორციელი დიდების უარყოფა და განმარტოების სურვილი.

6) წმინდანს, მიუხედავად განმარტოებისა, თან ახლავს სულიერი ძმა.

7) წმინდანისაგან უფლის სიყვარულისათვის ყოველგვარი ასკეტური ყოფის ატანა და სულიერი ღწვა.

8) წმინდანი შედარებით მაღალ იერარქიულ დონეს ან არ თანხმდება, ან თანხმდება დიდი თხოვნის შემდეგ.

9) უფლისაგან წმინდანზე დაკისრებული სულიერი მისია.

10) წმინდანის სულიწმინდის წინამდოლობით მგზავრობა.

11) მცირეწლოვანი ყრმების წმინდანთაგან დამოწაფება.

12) წმინდანი შემოიკრებს სულიერ საძმოს, რომელიც თანდათან ფართოვდება, მათთან ერთად აშენებს და განაახლებს ეკლესია-მონასტრებს და თავადვე ადგენს მონასტრის წესდებას.

13) წმინდანის მიმართ სულიერი ძმების, მოწაფეების მორჩილების გამოხატულება.

14) წმინდა მამები საზრდოს მიღებისას ხშირად მსჯელობენ ხოლმე საღვთისმეტყველო საკითხებზე და დამეებს ათენებენ ამ სულიერ საუბრებში.

15) წმინდანის თავმდაბლობის წარმოჩენა.

16) წმინდანს არ სურს სასწაულთა გახმიანება, მაგრამ სასწაული მაინც არ იმაღება.

17) სახელის მოხვეჭის შემდეგ წმინდანთან სასულიერო და საერო პირთა მისვლა და კურთხევის თხოვნა.

18) წმინდა მამათა შორის არსებული სულიერი მეგობრობა.

19) სასულიერო და საერო პირებს შორის არსებული ურთიერთობის წარმოჩენა; საერო პირებისაგან მატერიალური მხარდაჭერა სასულიერო პირებზე, სანაცვლოდ კი – სულიერ მამათაგან კურთხევის მიცემა და ლოცვებში მათი მოხსენიება.

20) წმინდანისა და მისი მოწაფეების ტირილით ურთიერთგამომშვიდობება ადგილსამყოფელის შეცვლის ან აღსასრულის დროს.

21) წმინდანის სიკვდილის წინ მოწაფეებისაგან მონახულება და მის მიერ მოწაფეთა დალოცვა და კურთხევა.

22) წმინდანის გარდაცვალების, დაკრძალვისა და გლოვის რიტუალი.

23) წმინდანი იკრძალება მის მიერ აშენებულ ეკლესიაში ან განმარტოების ადგილას გამოქვაბულში.

24) აგიოგრაფისაგან წმინდანზე ხოტბის შესხმა.

25) წმინდანის შედარება ბიბლიურ პერსონაჟებთან და სხვა წმინდა მამებთან.

26) თხზულებებში გეოგრაფიული აღწერილობა.

რამდენადაც სასწაულთმოქმედებებს მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა „ცხოვრებათა“ და „წამებათა“ უანრის ნაწარმოებებში, ჩვენ შევეცადეთ დასახელებულ თხზულებებში მოგვეხდინა სასწაულთა კლასიფიცირება და დავაჯგუფეთ ისინი სათანადო ტიპის მიხედვით. ესენია:

### I. ხილვები და დვოთაებრივი გამოცხადებები:

- 1) ხილვები ცხადში:
  - ა) ხილვა იმ ადგილისა, სადაც უნდა აშენდეს ეკლესია;
  - ბ) წმინდანთა სასწაულებრივი გამოჩენა და მისი ნათლის სვეტით შემოსვა;
- 2) ხილვები ძილის დროს:
  - ა) ერთი და იგივე ხილვა რამდენიმე სასულიერო მოღვაწისა ერთდროულად;
  - 3) ხილვები გარდაცვალებისას:
    - ა) წმინდანს მიცვალების უამს აქვს ხილვა;
    - ბ) სხვა სასულიერო პირთა ხილვა რომელიმე წმინდა მამის გარდაცვალებისას;

### II. ზემოქმედება ადამიანზე:

- 1) ურწმუნოთა და უკეთურთა სასწაულებრივი დასჯა;
- 2) სწეულთა განკურნება;
- 3) ადამიანთაგან ეშმაკეულის გაძევება;
- 4) წმინდა მამებს აქვთ წინასწარმეტყველებისა და დაფარულთა ცნობის უნარი;
- 5) წმინდა მოღვაწეთაგან სასწაულის მოხდენა, მიუხედავად მათი არყოფნისა სასწაულის განხორციელების ადგილას;

### III. ზეგავლენა მიცვალებულთა სამყაროზე:

- 1) საფლავთა და წმინდა ნაწილთა სასწაულები:
  - ა) წმინდანის სიკვდილის შემდეგ ადამიანთა განკურნება და ადამიანთაგან ეშმაკების გაძევება;
  - ბ) მიცვალებული წმინდანისაგან სურნელოვანი გარემოს შექმნა;
- 2) ცოცხალი წმინდანის ზემოქმედება მიცვალებულებზე;
- 3) ადამიანის სასწაულებრივი დასჯა წმინდანისაგან და სხვა სასულიერო პირისაგან ერთდროულად;
- 4) წმინდანის ლოცვის შედეგად ბოროტი ძალის დამარცხება, მოკვდინება;

5) წმინდა მამისაგან ადამიანის ან ცხოველის მკვდრეთით აღდგენა;

#### **IV. ზემოქმედება მატერიალურ სამყაროზე:**

- 1) წმინდანის ძალის პიპერბოლოზაცია;
- 2) წმინდანისაგან სტიქიონთა მართვა-დამორჩილება;
- 3) ბუნებრივი და ფიზიკური მოვლენების თვისებათა შეცვლა;
- 4) წმინდა მამათაგან ნივთიერებათა და საგანთა ბუნების შეცვლა;
- 5) საკვების გამრავლება და წყაროს აღმოცენება;
- 6) წმინდანისა და ცხოველთა სამყაროს ურთიერთობა;

რაც შეეხება მეორე თავს, მასში მიმოვიხილეთ „ცხოვრებათა“ უანრის ქართულად ნათარგმნი შემდეგი აგიოგრაფიული ნაწარმოებები: ანტონი დიდის, თევდოსი დიდის, ეფრემ ასურის, საბა განწმენდილისა და იოვანე ოქროპირის „ცხოვრებები“.

დასახელებული მასალის შედარების საფუძველზე გამოვლინდა ერთმანეთისთვის დამახასიათებელი შემდეგი სიუჟეტურ-კომპოზიციური მოდელები:

- 1) აგიოგრაფის მიერ თხზულების შექმნის დროის აღნიშვნა, წმინდანის გარდაცვალების დათარიღება და ზოგიერთ შემთხვევაში ავტორის ვინაობის დადგენა.
- 2) აგიოგრაფისგან თავმდაბლობის გამოჩენა წმინდანის მოღვაწეობის ასახვის დროს.
- 3) აგიოგრაფისგან მოხმობა იმ წყაროსი, რომელზე დაყრდნობითაც ხდება „ცხოვრების“ აღწერა.
- 4) წმინდანის გამორჩეულობა სიყმაწვილეში:

  - ა) წმინდა მოღვაწის წარმომავლობა;
  - ბ) გარეგნული მონაცემების აღწერა;
  - გ) განსაკუთრებული დამოკიდებულება სწავლისადმი;
  - დ) წმინდანის დრმა რწმენა უფლისადმი;
  - ე) წმინდანი ხელდასმულია უფლისაგან;

- 5) წმინდანისაგან ხორციელი ფუფუნების უარყოფა და სწრაფვა მარტობისაკენ.
- 6) განმარტოების სურვილის მიუხედავად, წმინდანს მეგზურობას უწევს ან მასთან ბინას იდებს სულიერი ქმა.

7) წმინდანის სულიერი წრთვნა და მოღვაწეობა უფლის სიყვარულისათვის.

8) წმინდა მოღვაწე უარყოფითად არის განწყობილი მაღალ თანამდებობრივ საფეხურზე ასვლის, მაგრამ ზოგჯერ თანხმდება კიდევ დიდი თხოვნის შედეგად.

9) წმინდანზე უფლისაგან დაკისრებული მისია.

10) წმინდანის უფლის წინამდღოლობით სვლა.

11) წმინდანისგან მცირეწლოვანი ყრმების აღსაზრდელად აყვანა.

12) მიუხედავად განდეგილობისა, წმინდანი იკრებს სულიერ თანამოაზრებს, რომელთა რიცხვი თანდათან იზრდება და ისინი ერთად აგებენ ეკლესიებს, სენაკებს. წმინდანი აგრეთვე აწესებს ეკლესიის წესდებას.

13) სულიერი შვილების მორჩილება წმინდანისადმი.

14) წმინდა მამათა სულიერი საუბრები და მსჯელობები საზრდოს მიღების დროს.

15) წმინდანს ახასიათებს თავმდაბლობა.

16) წმინდანს არ სურს თავისი დვაწლის წარმოჩენა, მაგრამ უფლის ნებით ყველაფერი მაინც გაცხადდება.

17) სახელის განდიდების შემდეგ წმინდანისკენ მოისწრაფის საერო და სასულიერო პირები და ითხოვენ კურთხევას.

18) სასულიერო და საერო პირთა ურთიერთდამოკიდებულების ასახვა; საერო პირები მატერიალურად ეხმარებიან სასულიერო პირებს ეკლესიების, საავადმყოფოებისა და გლახაკთა თავშესაფარი ადგილების მშენებლობის დროს, სანაცვლოდ კი ითხოვენ კურთხევას.

19) წმინდა მამათა და სულიერი სამმოს მწეხარებითა და ტირილით ურთიერთგამოშვიდობება ადგილმდებარეობის შეცვლის დროს ან კიდევ გარდაცვალების წინ.

20) სულიერი შვილებისგან გარდაცვალების წინ წმინდა მამის მონახულება და მისგან ლოცვა-კურთხევის მიღება.

21) წმინდა მამათა გარდაცვალების, დასაფლავებისა და გლოვის რიტუალი.

22) წმინდა მამები იკრძალებიან თავიანთი მოღვაწეობის ადგილას, ეკლესიაში, ან სრულიად უცხო ადგილას.

23) აგოგრაფისგან წმინდანის ქება-დიდებით შემკობა.

24) აგიოგრაფისაგან წმინდანის შედარება ბიბლიურ წინაპართან.

25) ბუნების აღწერილობა.

სასწაულთმოქმედებები, როგორც ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული მოტივი აგიოგრაფიულ თხზულებებში, ფართო სპექტრით არის წარმოდგენილი „ცხოვრებათა“ ჟანრის დასახელებულ ნათარგმნ აგიოგარფიულ ნაწარმოებებში. სათანადო განხილვის შედეგად ისინი შინაარსობრივად დაჯგუფდა შემდეგი ტიპის მიხედვით:

### I. ხილვები და დვოთაებრივი გამოცხადებები:

1) ხილვები ცხადში:

- ა) წმინდა მამებს აქვთ ჩვენება იმ ადგილისა, სადაც უნდა აიგოს ეკლესია;
- ბ) წმინდა მამათა სასწაულებრივი გამოჩენა საზოგადოებაში და მათი ნათლით შემოსვა;
- გ) უფლის გამოცხადება წმინდანზე არა ხილული, არამედ სიტყვიერი ფორმით;

დ) დვოთაებრივი სასწაულებრივი ჩვენებები;

ე) ორ სხვადასხვა პიროვნებაზე ერთროულად მოვლენილი ხილვა ერთსა და იმავე საკითხზე;

ვ) მისტიკური სასწაულები;

2) ხილვები ძილის დროს:

ა) ძილის დროს რამდენიმე პიროვნებაზე ერთდროული გამოცხადება წმინდანისა ერთსა და იგივე დავალებაზე;

3) ხილვები გარდაცვალებისას:

ა) თავიანთი აღსასრულის დროს წმინდა მამებს აქვთ ხილვა;

ბ) წმინდა მამათა ჩვენება სხვა სასულიერო პირთა გარდაცვალების დროს;

### II. ზემოქმედება ადამიანზე:

1) ბოროტა და ურწმუნოთა სასწაულებრივი დასჯა;

2) წმინდანთაგან ავადმყოფთა განკურნება;

3) ადამიანთაგან ეშმაკისეული ძალების განდევნა;

4) წინასწარმეტყველებისა და საიდუმლოთა შეცნობის უნარი;

5) წმინდანის დაუსწრებლად სასწაულის მოხდენა;

### III. წმინდანის ჩაურევლად უფლისაგან მოვლენილი სასწაულები:

1) უფლისაგან რისხვის სახით მოვლენილი სტიქიური უბედურებები;

2) უფლისაგან უკეთურ ადამიანებზე მოვლენილი ღვთაებრივი რისხეა;

3) წმინდა მამებზე უფლისაგან მოვლენილი მხარდაჭერა;

#### **IV. ზემოქმედება მიცვალებულთა სამყაროზე:**

1) საფლავთა და წმინდა ნაწილთა სასწაულები:

ა) წმინდანის გარდაცვალების შემდეგ წმინდა ნაწილთა ხელის შეხებით ადამიანთა განკურნება და მათგან ეშმაკთა განსხმა;

ბ) გარდაცვლილი წმინდანის ცხედრის გაუხსრწნელად შენახვა;

გ) გარდაცვლილ წმინდანთაგან ადამიანთა და ცხოველთა სიკვდილისაგან გადარჩენა;

2) წმინდანისაგან ადამიანის მკვდრეობით აღდგენა;

3) გარდაცვლილ წმინდანთაგან ცოცხალ ადამიანებზე წინასწარმეტყველება;

#### **V. ზემოქმედება მატერიალურ სამყაროზე:**

1) წმინდანის ძალის პიპერბოლიზება;

2) წმინდა მამათაგან ბუნებრივი მოვლენების მართვა-დამორჩილება;

3) წმინდა მოღვაწეთაგან სტიქიონთა ბუნების შეცვლა;

4) ნივთიერებისა და საგნის ბუნების შეცვლა;

5) წყაროს გაჩენა და საკვების გამრავლება;

6) წმინდა მამათა ურთიერთობა ცხოველთა სამყაროსთან.

მესამე თავში ჩვენ ერთმანეთს შევადარეთ თანამედროვე ქართულ ენაზე გადმოთარგმნილი „ცხოვრებათა“ ჟანრის ორი აგიოგრაფიული ძეგლი „იოანე დამასკელის და კოზმან იერუსალიმელისა“ და „წმინდა პახომიოსის ცხოვრებები“. განხილვის შედეგად გამოიკვეთა ორივე ნაწარმოებისათვის დამახასიათებელი შემდეგი სიუჟეტურ-კომპოზიციური ელემენტები: თხზულების დაწერის დროის დაკონკრეტება; აგიოგრაფთა თავმდაბლობა და მათ მიერ დამოწმება იმ წყაროსი, რომელზე დაყრდნობითაც ხდება წმინდანთა ცხოვრებების აღწერა; წმინდანთა სოციალური და ეროვნული წარმომავლობა, მათი სიყრმისეული მიღრეკილებები, უფლისაგან გამორჩეულობა. აგრეთვა, ნაჩვენებია წმინდანთაგან ხორციელი დიდების უარყოფა, მათზე უფლისაგან დაკისრებული სულიერი მისია და საერთოდ სულიერი ღწვის გზა. თხზულებებში შეიმჩნევა წმინდა მოღვაწეთაგან სხვა პირთა დამოწაფების, სულიერ თანამოაზრეთა შემოკრების და, მიუხედავად თავმდაბლობისა, მათი

საქმიანობის საზოგადოებაში გაცხადების მცდელობა. წარმოდგენილია ასევე წმინდანთა გარდაცვალების, დაკრძალვისა და გლოვის რიტუალი, ავტორთაგან წმინდანზე ხოტბის შესხმა და ბიბლიურ წინაპართან შედარება. ამავდროულად განხილულია წმინდანთაგან ჩადენილი სასწაულები და დალაგებულია ისინი შეძლებისდაგვარად გარკვეული სქემების მიხედვით.

პირველ, მეორე და მესამე თავებში განხილულმა მასალამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ აგიოგრაფიული ლიტერატურის ჩამოყალიბებისას არსებობდა გარკვეული სიუჟეტურ-კომპოზიციური სქემები, მოტივები, რომელთა გამოყენებაც გახდა აუცილებელი ყველა ერის ქრისტიანულ მწერლობაში. კალევის შედეგებმა ცხადყო, რომ არსებობს ბევრი საერთო მოტივი ქართულ და ნათარგმნ აგიოგრაფიას შორის. შევეცდებით წარმოვაჩინოთ მათი მსგავსება-განსხვავებანი. გასათვალისწინებელია ის, რომ მესამე თავში შემცირებული სახით წარმოდგენილი სიუჟეტურ-კომპოზიციური მოტივები, გამოწვეული უნდა იყოს რედაქციული ხარვეზებიდან გამომდინარე.

თხზულებებში ერთნაირად არის აღწერილი ნაწარმოების შექმნისა და წმინდანის ადსასრულის დათარიღება; აგიოგრაფთა თავმდაბლობა და მათ მიერ დამოწმება იმ წყაროსი, რომელზე დაყრდნობითაც ხდება წმინდანთა ცხოვრების აღწერა; წმინდანის გამორჩეულობა ბავშვობაში წარმომავლობის, გარეგნობის, სწავლისადმი მიღრეკილების, რელიგიურობისა თუ უფლისგან ხელდასმულობის მხრივ. აგრეთვე ნაჩვენებია წმინდანთაგან ხორციელი დიდების უარყოფა და განმარტოება, მაგრამ, მიუხედავად განმარტოებისა, სულიერი ძმის თანხლება. ერთმანეთის მსგავსად არის აღწერილი წმინდანის მგზავრობა სულიწმინდის წინამდოლობით, მასზე უფლისგან დაკისრებული სულიერი მისია და საერთოდ, წმინდანის სულიერი ღწვის გზა. თხზულებებში შეიმჩნევა წმინდა მოღვაწეთაგან სხვა პირთა დამოწაფების, სულიერ თანამოაზრეთა შემოკრებისა და ეკლესია-მონასტრების აშენება-განახლების ფაქტები. აგიოგრაფთაგან წარმოჩენილია წმინდა მოღვაწეთა თავმდაბლობა, სულიერი შვილების მორჩილება მის მიმართ და, მიუხედავად წმინდანთა წინააღმდეგობისა, მათი საქმიანობის საზოგადოებაში გაცხადება.

მართალია, „იოვანე დამასკელის და კოზმან იერუსალიმელისა“ და „წმინდა პახომიოსის ცხოვრებებში“ ჩვენ ვერ ვხვდებით, მაგრამ ქართულ და სხვა ტიპის ნათარგმნ აგიოგრაფიულ თხზულებებში ფრიად გავრცელებული მოტივია წმინდანის მიერ ყოველგვარ დაწინაურებაზე უარის თქმა, მაგრამ

ზოგიერთ შემთხვევაში მათი დათანხმება ამ წინადაღებაზე; საკვების მიღებისას საღვთისმეტყველო საკითხებზე მსჯელობა და წმინდანისა და მოწაფეების ტირილით ურთიერთგამომშვიდობება ადგილსამყოფელის შეცვლისა თუ აღსასრულის დროს.

ჩვენი აზრით, საინტერესო შემთხვევას წარმოადგენს დასახელებულ ქართულ აგიოგრაფიულ ძეგლებში წმინდა მამათა შორის არსებული სულიერი მეგობრობა, რომელსაც ვერ ვხვდებით ნათარგმნ აგიოგრაფიულ თხზულებებში. სამივე თავში ერთნაირად არის წარმოდგენილი სასულიერო და საერო პირთა ურთიერთობა, წმინდანის სახელის მოხვეჭის შემდეგ ან გარდაცვალების წინ მასთან საერო და სასულიერო პირების მისვლა, მათი დალოცვა წმინდანის მიერ. მიუხედავად იმისა, რომ პირველ და მეორე თავში გარკვეული ადგილი ეთმობა სიკვდილის წინ წმინდანის მოწაფეებისგან მონახულებას და მათ ლოცვა-კურთხევას, წმინდანთა დაკრძალვას მათ მიერ აგებულ ეკლესიებში ან განმარტოების ადგილას და აგრეთვე გეოგრაფიულ აღწერილობას, მესამე თავში ასეთ ეპიზოდებს ვერ ვხვდებით. ყველა აგიოგრაფიულ თხზულებაში ფართოდ არის წარმოდგენილი წმინდანის გარდაცვალების, დაკრძალვისა და გლოვის რიტუალი, აგიოგრაფთაგან წმინდანზე ხოტბის შესხმა და ბიბლიურ წინაპართან მათი შედარება.

სამივე თავში წარმოდგენილია სასწაულთმოქმედებათა ფართო სპექტრი. მათი უმეტესობა ბიბლიურ, ტიპურ სასწაულებს მოგვაგონებს, მაგრამ ვაწყდებით აგრეთვე სასწაულთა ორიგინალურ შემთხვევებსაც. შევეცდებით გამოვავლინოთ მათი მსგავსება-განსხვავებანი:

ქართულ და ნათარგმნ აგიოგრაფიაში ხილვებსა და ღვთაებრივ გამოცხადებებში გამოიყოფა ხილვები ცხადში, ძილის დროს და გარდაცვალებისას. თავის მხრივ, ცხადში ხილვის ჯგუფში, ქართულ და ნათარგმნ აგიოგრაფიაში ფრიად გავრცელებულია წმინდანის სასწაულებრივი გამოჩენისა და ეკლესიის ასაგები ადგილის ჩვენების ეპიზოდები; უფლისაგან წმინდანზე არა ხილულ, არამედ სიტყვიერ გამოცხადებას და ღვთაებრივ სასწაულებრივ ჩვენებებს, დასახელებული ქართული აგიოგრაფიული თხზულებებისაგან განსხვავებით, ვხვდებით ნათარგმნ აგიოგრაფიულ თხზულებებში. ორიგინალურ სასწაულს ვხვდებით მხოლოდ და მხოლოდ მეორე თავში წარმოდგენილ ნათარგმნ აგიოგრაფიულ თხზულებებში. ესენია ორ

სხვადასხვა პიროვნებაზე ერთდროულად მოვლენილი ხილვა ერთსა და იმავე საკითხზე და მისტიკური სასწაულები.

ძილის დროს ხილვებში, პირველ და მეორე თავში ჩვენ გამოვყავით ტიპობრივი სასწაული, რომელშიც ერთნაირი გამოცხადება აქვთ ერთდროულად რამდენიმე პიროვნებას. მესამე თავში, მართალია, ვერ ვხვდებით, მაგრამ პირველ და მეორე თავში ძალზედ გავრცელებულია სასწაული, რომელშიც ასახულია გარდაცვალების წინ წმინდანთა ჩვენება და სხვა პირთა ხილვა რომელიმე წმინდა მამის გარდაცვალებისას.

მეორე დიდ ჯგუფში გაერთიანებულია ადამიანზე ზემოქმედების სასწაულთა სახეები, რომელთა უმრავლესობა ფართოდ გავრცელებულია ქართულ და ნათარგმნ აგიოგრაფიაში. ესენია: უკეთურთა სასწაულებრივი დასჯა წმინდანთაგან, ადამიანთაგან ეშმაკისეული ძალების განდევნა, წმინდანთა წინასწარმეტყველების უნარი, წმინდანისგან სასწაულის მოხდენა მათ დაუსწრებლად და სნეულთა განკურნება, თუმცა ამ უკანასკნელი ტიპის სასწაულს ვერ ვხვდებით „იოვანე დამასკელის და კოზმან იერუსალიმელისა“ და „წმინდა პახომიოსის ცხოვრებებში“.

მესამე ჯგუფში თავმოყრილ წმინდანის ჩაურევლად უფლისაგან მოვლენილ სასწაულთა ტიპებს, როგორებიცაა, მაგალითად, წმინდანზე ღვთისგან მოვლენილი მხარდაჭერა, ბოროტ ადამიანებზე მოვლენილი ღვთაებრივი რისხვა და უფლისგან რისხვის სახით მოვლენილი სტიქიური უბედურებები, მართალია, საერთოდ ვერ ვხვდებით ჩვენს მიერ განხილულ ქართულ აგიოგრაფიულ თხზულებებში, მაგრამ მრავალი ასეთი სასწაული მოიპოვება ნათარგმნ აგიოგრაფიაში, თუმცა „იოვანე დამასკელის და კოზმან იერუსალიმელისა“ და „წმინდა პახომიოსის ცხოვრებებში“ ვერ ვხვდებით უფლისგან რისხვის სახით მოვლენილი სტიქიური უბედურების მაგალითს.

მეოთხე ჯგუფში აღწერილია მიცვალებულთა სამყაროსთან დაკავშირებული სასწაულები. საფლავთა და წმინდა ნაწილთა სასწაულებში გაერთიანებული ისეთი ტიპები, როგორებიცაა, მაგალითად გარდაცვლილი წმინდანის მიერ ადამიანთა განკურნება ან ეშმაკის გაძევება და აგრეთვე გარდაცვლილი წმინდანის მიერ სურნელოვანი გარემოს შექმნა ან გვამის უხრწნელად შენახვა, მეტად გავრცელებული შემთხვევებია ქართულ და ნათარგმნ აგიოგრაფიაში. სამივე თავში გავრცელებულია აგრეთვე წმინდანის მიერ ადამიანთა თუ ცხოველთა მკვდრეთით აღდგენის ფაქტები.

ჩვენი აზრით, რამდენიმე ორიგინალურ სასწაულთან გვაქვს საქმე მხოლოდ ქართულ აგიოგრაფიაში. ესენია: ცოცხალი წმინდანის ზემოქმედება მიცვალებულზე, ადამიანის სასწაულებრივი დასჯა წმინდანისაგან და სხვა სასულიერო პირისაგან ერთდროულად და წმინდანის ლოცვის შედეგად ბოროტი ძალის დამარცხება, მოკვდინება. დასახელებულ ნათარგმნ აგიოგრაფიულ თხზულებებში გვხვდება აგრეთვე ორი არატიპური სასწაული გარდაცვლილ წმინდანთაგან ადამიანთა და ცხოველთა სიკვდილისაგან გადარჩენისა და ცოცხალ ადამიანებზე წინასწარმეტყველების სახით.

ჩვენ მიერ განხილულ ქართულ და ნათარგმნ აგიოგრაფიულ თხზულებებში ფართოდ გავრცელებულია მეხუთე ჯგუფში გაერთიანებული მატერიალურ სამყაროსთან დაკავშირებული სასწაულები. ესენია: წმინდანთა ძალის პიპერბოლიზაციის, მათგან სტიქიონთა თვისებათა და საგანთა ბუნების შეცვლის, საკვების გამრავლებისა და წყაროს აღმოცენების, ცხოველთა სამყაროსთან ურთიერთობის და ბოლოს წმინდა მამათაგან სტიქიონთა მართვა-დამორჩილების სახეები. თუმცა, მესამე თავში ვხვდებით დასახელებულ სასწაულთაგან მხოლოდ უკანასკნელს.

ამგვარი მსგავსება-განსხვავებანი არის გამოვლენილი „ცხოვრებათა“ ჟანრის ქართულ და ნათარგმნ აგიოგრაფიაში.

მეოთხე თავში სიუჟეტურ-კომპოზიციური პარალელების დადგენის მიზნით ჩვენი კვლევის საგანი გახდა „წამებათა“ ჟანრის ქართული ორიგინალური აგიოგრაფიული თხზულებები. „შუშანიკის წამების“, „აბო თბილელის წამების“, „კოსტანტი-კახის მარტვილობის“, „ევსტათი მცხეთელის წამების“, „აბიბოს ნეკრესელის წამების“, „გობრონის წამების“, „არჩილ მეფის წამების“ და „კოლაელ ყრმათა წამების“ შესწავლის საფუძველზე გამოიკვეთა შემდეგი სიუჟეტურ-კომპოზიციური მოდელები:

1) აგიოგრაფისგან თხზულების შექმნისა და წმინდანის გარდაცვალების დროის დაფიქსირება, აგრეთვე ავტორის ვინაობის დასახელება.

2) ავტორთა მოკრძალება წამებულთა მარტვილობის აღწერის სურვილის დროს.

3) აგიოგრაფთა ცდა მკითხველის დარწმუნებისა თავისი მონათხობის ჭეშმარიტებაში.

- 4) ყურადღების შედარებით ნაკლები გამახვილება წამებულთა ბავშვობაზე.
- 5) წმინდა მოღვაწეთაგან ამქვეყნიური დიდების უარყოფა.
- 6) განსხვავებული აღმსარებლობის მქონე ადამიანთა გაქრისტიანება, რაც იწვევს შემდგომში მათ წამებას.
- 7) წმინდანთა შორის სულიერი მეგობრობა.
- 8) წმინდანის შემზადება სასულიერო თუ საერო პირთაგან მოწამებრივი ცხოვრებისათვის.
- 9) წმინდანის მზადყოფნა მოწამებრივი აღსასრულისათვის.
- 10) საპყობილები წმინდანის სულიერი ღწვა.
- 11) წმინდანის სახელის მოხვეჭის შემდეგ მასთან საერო და სასულიერო პირთა მისვლა და მათი კურთხევა.
- 12) წმინდანის გამომშვიდობება საზოგადოებასთან.
- 13) სიკვდილის წინ წმინდანის ლოცვა და ვედრება უფლისადმი.
- 14) წამებულთა სიკვდილის, გლოვის და დაკრძალვის რიტუალის აღწერა.
- 15) აგიოგრაფთაგან წამებულთა დვაწლის განდიდება.
- 16) წმინდანის შედარება ბიბლიურ პერსონაჟებთან.

სასწაულთმოქმედებათა აღწერას, „ცხოვრებათა“ ჟანრისაგან განსხვავებით, შედარებით ნაკლები ადგილი ეთმობა „წამებათა“ ჟანრის აგიოგრაფიაში. მიუხედავად ამისა, ჩვენ მიერ შესწავლილ ქართულ აგიოგრაფიულ ძეგლებში სასწაულთა სახეები დაჯგუფდა შემდეგი ტიპების მიხედვით:

### I. ხილვები და დვთაებრივი გამოცხადებები:

- 1) ხილვები ცხადში:
- ა) წმინდანზე უფლის გამოცხადება არა ხილული, არამედ სიტყვიერი ფორმით;

### 2) ხილვები გარდაცვალებისას:

- ა) სასწაულებრივი ჩვენებები წმინდანის გარდაცვალების შემდეგ;

### II. წმინდანთა ზემოქმედება ადამიანებზე:

- 1) წმინდანთაგან ავადმყოფთა განკურნება;
- 2) წმინდანთა წინასწარმეტყველების უნარი;

### III. ზეგავლენა მიცვალებულთა სამყაროზე:

- 1) საფლავთა და წმინდა ნაწილთა სასწაულები:
- a) გარდაცვლილი წმინდანის საფლავზე ხელის შეხებით სნეულთა განკურნება;

#### **IV. ზემოქმედება მატერიალურ სამყაროზე:**

- 1) ბუნებრივი და ფიზიკური მოვლენების თვისებების შეცვლა;
- 2) ცხოველთა სამყაროს კავშირი წმინდანთან;

ჩვენი განხილვის ობიექტი მეხუთე თავში იყო „წამებათა“ უანრის ნათარგმნი აგიოგრაფიული თხზულებები, კერძოდ „ლუკიანოზის“, „მიქაელის“, „პანსოფი ალექსანდრიელის“, „ბოას“, „ელიანოსის“ და „ევგენიას წამებები“. ამ თხზულებათა ერთმანეთთან შედარების საფუძველზე მივიღეთ შემდეგი სიუჟეტურ-კომპოზიციური სქემები:

- 1) აგიოგრაფი ავტორისაგან თხზულების შექმნის და წმინდანის გარდაცვალების დროის დაზუსტება, აგრეთვე, ეპოქის დახასიათება.
- 2) აგიოგრაფები იჩენენ თავმდაბლობას წმინდანთა წამების აღწერის სურვილის დროს.
- 3) აგიოგრაფი ავტორისგან საზოგადოებისთვის უწყება იმ ჭეშმარიტი წყაროსი, რომელზე დაყრდნობითაც აღწერა მარტვილობა.
- 4) თხზულებებში წამებულთა ბავშვობის წარმოჩენა.
- 5) წმინდანთაგან ხორციელი პატივის უარყოფა და სარწმუნოებრივ გზაზე ყოფნა.
- 6) განსხვავებული აღმსარებლობის მქონე ადამიანის ქრისტიანულ რელიგიასთან მიახლება.
- 7) წმინდანთა წინასწარი მომზადება სასულიერო პირთაგან მოწამებრივი აღსასრულისათვის.
- 8) წმინდანთა მზაობა მოწამებრივ აღსასრულზე უფლის სიყვარულისათვის.
- 9) წმინდანთა სულიერი წრთვნა და მოდვაწეობა საპყრობილებიც და მის გარეთაც.
- 10) წმინდანის და საზოგადოების ერთმანეთთან გამომშვიდობება.
- 11) წამების წინ წმინდანისგან ლოცვის წარმოთქმა და ვედრება უფლისადმი.
- 12) წმინდანთა ტანჯვა-წამების, დაკრძალვისა და გლოვის რიტუალი.

13) აგიოგრაფისგან წმინდანზე ხოტბის შესხმა და მისი ნამოქმედარის განდიდება.

14) წამებულთა შედარება ბიბლიურ წინაპართან.

„წამებათა“ უანრის ნათარგმნ აგიოგრაფიაში სასწაულთა სახეები შინაარსობრივად დავაჯგუფეთ შემდეგი ტიპის მიხედვით:

**I. სასწაულები, რომლებშიც წარმოჩენილია ხილვები და ღვთაებრივი გამოცხადებები:**

1) ხილვები ცხადში:

ა) ნათლით არა მარტო წმინდანის, არამედ მისი სამყოფელის მოფენა;

ბ) ხილვა აქვთ სასულიერო პირების გარდა ჩვეულებრივ მოკვდავებსაც;

2) ხილვები ძილის დროს;

3) ხილვები გარდაცვალების დროს:

ა) გარდაცვალების წინ წმინდანზე სიტყვიერი ღვთაებრივი გამოცხადება;

**II. წმინდანთა ზეგავლენა ადამიანებზე:**

1) წმინდანთაგან ურწმუნოთა სასწაულებრივი დასჯა;

2) წმინდანთა მიერ ეშმაკთა განდევნა;

3) წმინდა მოღვაწეთაგან მოვლენათა წინასწარმეტყველება;

**III. წმინდანთა მონაწილეობის გარეშე უფლისგან მოვლენილი სასწაულები:**

1) უკეთურებსა და ურწმუნებზე თავსდამტყდარი ღვთაებრივი რისხვა;

2) წმინდანებზე უფლისაგან მოვლენილი მფარველობა;

**IV. ზემოქმედება მიცვალებულთა სამყაროზე:**

1) საფლავთა და წმინდა ნაწილთა სასწაულები:

ა) გარდაცვლილი წმინდანისაგან სწორობის განკურნება, უკეთურთა დასჯა და ეშმაკეულთა განდევნა;

ბ) გარდაცვლილი წმინდანის ცხედრის გაბრწყინება;

2) გარდაცვლილი წმინდანის ნებით ადამიანის გარდაცვალება;

მეოთხე და მეხუთე თავებში „წამებათა“ უანრის ქართული და ნათარგმნი აგიოგრაფიული ძეგლების შესწავლამ ცხადყო, რომ „წამებათა“ უანრის აგიოგრაფიაშიც არსებობს სხვადასხვა ქვეყნის სასულიერო ლიტერატურისთვის დამახასიათებელი აგიოგრაფიული შაბლონები. ჩვენი მიზანია, განხილულ თხზულებებში საერთო და განმასხვავებელ ელემენტთა გამოყოფა.

ჩვენ მიერ დასახელებულ ქართულ და ნათარგმნ აგიოგრაფიულ თხზულებებში ერთმანეთის მსგავსად არის მოცემული ავტორისგან წმინდანის გარდაცვალებისა და თხზულების შექმნის თარიღის დაკონკრეტება; აგიოგრაფთა თავმდაბლობის წარმოჩენა, აგრეთვე ავტორთა მიერ იმ ჭეშმარიტ წყაროზე მითითება, რომელსაც ეფუძნება მათი თხრობა. თხზულებებში შედარებით ნაკლებად არის ყურადღება გამახვილებული წმინდანთა ბავშვობაზე. ორივე თავში შეიმჩნევა უცხო ადმსარებლობის მქონე ადამიანის გაქრისტიანებისა და წმინდანისაგან ამქვეყნიური დიდების უარყოფის შემთხვევები, აგრეთვე აღწერილია წმინდანთა წინასწარი შემზადება სასულიერო მოღვაწეებისაგან მძიმე, მოწამებრივი განსაცდელისათვის. წარმოჩენილია წმინდანთა მზადყოფნა მოწამებრივ ადსასრულზე. ხოლო, რაც შეეხება განსხვავებებს, მხოლოდ ქართულ „წამებათა“ უანრის თხზულებებში ვხვდებით წმინდანთა შორის არსებული სულიერი მეგობრობისა და საერო და სასულიერო პირთაგან სახელმოხვეჭილი წმინდანის მონახულების და მათი კურთხევის ფაქტებს. ქართულ და ნათარგმნ თხზულებებში ერთნაირად არის წარმოდგენილი წმინდანთა სულიერი წრთვნის, მათი და საზოგადოების ურთიერთგამოშვიდობებისა და წამების წინ წმინდანის უფლისადმი ლოცვა-ვედრების სურათები. „წამებათა“ უანრის ქართულ და ნათარგმნ აგიოგრაფიაშიც ფართოდ გავრცელებულია წამებულთა ტანჯვა-წამების, დაკრძალვის და გლოვის რიტუალის აღწერა, აგიოგრაფისაგან წამებულთა ღვაწლის განდიდება და მათი მიმსგავსება ბიბლიურ პერსონაჟებთან.

რაც შეეხება სასწაულთმოქმედებებს, მართალია „წამებათა“ უანრის ნათარგმნ და ქართულ აგიოგრაფიაში ისინი ისე მრავალფეროვნად არ არის წარმოდგენილი, როგორც „ცხოვრებათა“ უანრის თხზულებებში, მაგრამ მაინც გამოიყოფა გარკვეული მსგავსი თუ განსხვავებული ჯგუფები.

პირველ ჯგუფში თავმოყრილია ღვთაებრივი გამოცხადებები და ხილვები ცხადში, ძილში და გარდაცვალებისას, რომელთაგანაც ორს, ხილვებს ცხადში და გარდაცვალებისას ვხვდებით ქართულ და ნათარგმნ აგიოგრაფიაში, მაგრამ სხვადასხვა ტიპის სასწაულებით. მხოლოდ ქართულ აგიოგრაფიაში ვაწყდებით სიტყვიერი ფორმით წმინდანზე უფლის გამოცხადების შემთხვევას, ხოლო ნათარგმნ აგიოგრაფიაში ვხვდებით სასწაულს, რომელშიც ნათლით მოხილია არა მარტო წმინდანი, არამედ მისი სამყოფელიც, აგრეთვე ვაწყდებით

შემთხვევას, როდესაც, სასულიერო პირების გარდა, ხილვა აქვთ ჩვეულებრივ ადამიანებსაც. გარდაცვალების დროს ხილვებში მეოთხე თავში ანუ ქართულ „წამებებში“ მოცემულია წმინდანის გარდაცვალების შემდეგ მოვლენილი სასწაულებრივი ჩვენებები, ხოლო მეხუთე თავში აღწერილია სიკვდილის წინ წმინდანზე უფლის სიტყვიერი გამოცხადების შემთხვევა. ქართული თხზულებებისაგან განსხვავებით ძილში ხილვის სასწაულს ვხვდებით ნათარგმნ აგიოგრაფიაში.

მეორე ჯგუფში აღწერილია წმინდანთა ადამიანებზე ზემოქმედების სასწაულთა ტიპები, რომელთაგან წმინდანის წინასწარმეტყველების უნარით დაჯილდოების შემთხვევას ვხვდებით ორივე თავში, მაგრამ სასწაულთა ისეთ გავრცელებულ ფორმას, როგორიცაა წმინდანთაგან ავადმყოფთა განკურნება, ვხვდებით მხოლოდ ქართულ „წამებათა“ ჟანრის ძეგლებში, ისევე, როგორც ურწმუნოთა დასჯისა და ეშმაკთა გაძევების ფაქტებს ვაწყდებით მხოლოდ ჩვენ მიერ დასახელებულ „წამებათა“ ჟანრის ნათარგმნ აგიოგრაფიაში.

წმინდანთა მონაწილეობის გარეშე უფლისაგან მოვლენილ სასწაულთა ჯგუფში გაერთიანებულ სასწაულებს, რომლებიც არის უკეთურებზე თავსდამტყდარი დვთაებრივი რისხებისა და წმინდანზე უფლისგან მოვლენილი მფარველობის ამსახველი სასწაულები, ქართული თხზულებებისაგან განსხვავებით ვხვდებით მხოლოდ ნათარგმნ აგიოგრაფიულ ძეგლებში.

მეოთხე ჯგუფში გაერთიანებულია მიცვალებულთა სამყაროსთან დაკავშირებული სასწაულები. მეოთხე და მეხუთე თავში ვხვდებით საფლავთა და წმინდა ნაწილებთან დაკავშირებულ ისეთ გავრცელებულ სასწაულის ტიპს, როგორიცაა გარდაცვლილი წმინდანის საფლავზე ხელის შეხებით ადამიანთა განკურნება, უკეთურთა დასჯა და ეშმაკთა განდევნა ადამიანთაგან. ჩვენი აზრით, საინტერესო შემთხვევას ვხვდებით „წამებათა“ ჟანრის ნათარგმნ აგიოგრაფიაში გარდაცვლილი წმინდანის ცხედრის გაბრწყინების და მიცვალებული წმინდანის ნებით ადამიანის გარდაცვალების სახით.

მეხუთე ჯგუფში თავმოყრილი მატერიალურ სამყაროზე ზემოქმედების სასწაულები წარმოჩენილია მხოლოდ ქართულ „წამებათა“ ჟანრის აგიოგრაფიაში. ესენია წმინდანისაგან ბუნებრივი და ფიზიკური მოვლენების თვისებათა შეცვლა და ცხოველთა სამყაროსთან დაკავშირებული სასწაულები.

ჩვენი აზრით, კვლევის შედეგებმა მოგვცა საინტერესო შედეგი და კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ არსებობდა აგიოგრაფიული შაბლონები, მოდელები,

რომელთა გამოყენებაც სავალდებულო გახდა ყველა ერის ქრისტიანულ მწერლობაში.

ამგვარად, ჩვენ მიერ განხილული „ცხოვრებათა“ და „წამებათა“ უანრის ქართული ორიგინალური და ნათარგმნი აგიოგრაფიული თხზულებების სიუკეტურ-კომპოზიციური თვალთახედვით მიმოხილვა არის კიდევ ერთი ცდა ნაშრომში დასმული პრობლემატიკის უფრო ფართო ჭრილში შესწავლისა.

## **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. **აბულაძე ი.,** ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1973.
2. **ათანასე ალექსანდრიელი,,** ცხორებათ წმიდისა მამისა ჩუენისა ანტონისი. მამათა ცხორებანი (ბრიტანეთის მუზეუმის ქართული ხელნაწერი XI საუკუნისა). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ვახტანგ იმნაიშვილმა. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1975.
3. **არისტოტელე,** პოეტიკა. ძველი ბერძნულიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ. საბჭოთა ხელოვნება №12, 1976.
4. **არისტოტელი,** პოეტიკა. წინასიტყვაობა, თარგმანი და კომენტარები პროფ. ს. დანელიასი. თბილისი: სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1944.
- 5 **ბარამიძე რ.,** კომპოზიციის საკითხი ქართულ აგიოგრაფიულ თხზულებებში. საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე. ტ. 15, №9, 1954.
6. **ბარამიძე რ.,** ნარკვევები მხატვრული პროზის ისტორიიდან. ლიტერატურა და ხელოვნება. თბილისი: 1966.
7. **ბარამიძე რ.,** ნარკვევები ქართული აგიოგრაფიის ისტორიიდან (V-XI), თბილისი: 1957.
8. **ბარამიძე რ.,** ქართული პროზის საკითხები. თბილისი: 1996.
9. **ბიბლია,** საქართველოს საპატიოარქო. თბილისი: საქართველოს საპატიოარქოს გამოცემა, 1989.

10. **გაბიძაშვილი ე.,** ქართული ნათარგმნი პაგიოგრაფია. თბილისი: 2004.
11. **გიორგი მერჩულევ,** შრომად და მოღუაწებად გრიგოლისი არქიმანდრიტისად  
ხანცთისა და შატბერდისა აღმაშენებელისად. ძველი ქართული  
აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი I (V-Xსს.). ილია აბულაძის  
ხელმძღვანელობით და რედაქციით. თბილისი: საქართველოს სსრ  
მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1963.
12. **გიორგი მთაწმიდელი,** ცხორებად იოვანესი და ეფთზმესი. ძველი ქართული  
აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი II (XI-XVსს.). თბილისი: 1967.
13. **გოლიაძე ო.,** ძველი ქართული მწერლობის ლიტერატურული  
ეტიკეტისათვის (V-XIII სს.). თბილისი: 1998.
14. **იაკობ ცურტაველი,** წამებად წმიდისა შუშანიკისი დედოფლისად. ძველი  
ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი I (V-Xსს.). ილია  
აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბილისი: საქართველოს სსრ  
მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1963.
15. **ინგოროვა ნ.,** ასკეტური მოღვაწეობის ასახვა ძველ ქართულ მწერლობაში.  
საკანდიდატო დისერტაცია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2001.
16. **იოანე საბანისძე,** წამებად პაბოვსი, რომელი იწამა ქართლს შინა, ქალაქსა  
ტფილისს, გამოთქმული იოვანე ძისა საბანისი. ძველი ქართული  
აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V-Xსს.). ილია აბულაძის  
ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბილისი: საქართველოს სსრ  
მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1963.
17. **იოანე სინა-მთის მამასახლისისა კლემაქსი,** რომელ არს კიბე. გამოცემული  
ათონის წმიდის მთის ახალ-ქართველთ წმიდის იოანეს ღვთისმეტყველის  
სავანისა. ფოთი: სტამბა ლ. მ. ტუდუშისა, 1902.

18. იოგანე დამასკელისა და ქოზმან იერუსალიმელის ცხოვრება, ბიზანტიური მწერლობის ქრესტომათია, ტ. II. კვირიკაშვილი ლ. (პასუხისმგებელი რედაქტორი). თბილისი: გამომცემლობა „ქველი“, 1993.
19. „იოგანე ოქროპირის ცხოვრების“ ძველი ქართული თარგმანი და მისი თავისებურებანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო რ. გვარამიამ. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1986.
20. პეპელიძე პ., უცხო ავტორები ძველ ქართულ ლიტერატურაში. ეტიუდები. ტ. V. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1957.
21. პეპელიძე პ., ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული პარალელური. ეტიუდები. ტ. II. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1945.
22. პეპელიძე პ., ქართული ნათარგმნი აგიოგრაფია. ეტიუდები. ტ. V. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1957.
23. პეპელიძე პ., ქართული წვლილი ბიზანტიურ ლიტერატურაში. ეტიუდები. ტ. III. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1955.
24. პეპელიძე პ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1980.
25. პეპელიძე პ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1981.
26. პეპელიძე პ., ცხოველთა მოტივი აგიოგრაფიულ მწერლობაში. ეტიუდები. ტ. III. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

გამომცემლობა, 1955.

27. **ქვირიკაშვილი ლ.**, (პასუხისმგებელი რედაქტორი). ბიზანტიური მწერლობის ქრესტომათია, ტ. II. თბილისი: გამომცემლობა „ქველი“, 1993.
28. **ქოპლატაძე გ.**, ლიტერატურისმცოდნეობა არისტოტელეს მოძღვრებაში. თბილისი: გამომცემლობა „ლოგოსი“, 2007.
29. **მარტინიშვილი და მოთმინებად ევსტათი მცხეთელისამ**, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი I (V-Xსს.). ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1963.
30. **მაჩიტაძე ზ.**, „წმიდათა ცხოვრებანი“ იანვარი-ივნისი, წიგნი პირველი. თბილისი: გამომცემლობა „ბაჯმი“, 2006.
31. **მოქალაქობად და წამებად აბიბოს ნეკრესელი ეპისკოპოსისამ**, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი I (V-Xსს.). ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1963.
32. **მრევლიშვილი ნ.**, გრიგოლ ნოსელის „გრიგოლ საკვირველმოქმედის ცხოვრების“ ქართული ვერსია. საკანდიდატო დისერტაცია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2002.
33. **სარჯველაძე ზ.**, ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1995.
34. **სიმჭხნე და მოღუაწებად წმიდისა მოწამისა ლუკიანოზისი, რომელი იწამა ქალაქსა შინა ბალბაქს**, ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები. ნაწილი პირველი, კიმენი, ტომი II. კორნ. კეკელიძის რედაქტორობით. ტფილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1946.
35. **სირაძე რ.**, ქართული აგიოგრაფია. თბილისი: გამომცემლობა

„ნაკადული“, 1987.

36. **სირამე რ.**, ძველი ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების საკითხები. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1975.

37. **სირამე რ.**, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. თბილისი:  
„გამომცემლობა განათლება“, 2005.

38. **სოხამე ნ.**, გრიგოლ დიდის „დიალოგონი“. თბილისი, 2002.

39. **ფარულავა გრ.**, „ასკეზი – მხედრობა“. „ცისკარი“, №7-8-9. თბილისი, 1996.

40. **ფარულავა გრ.**, მხატვრული სახის ბუნებისათვის ძველ ქართულ პროზაში. თბილისი: „განათლება“, 1982.

41. **ცხორებად და განგებად წმიდისა მამისა ჩუენისა უდაბნოსა მთიებისა და მონაზონთა მოძღვრისა ეფრემისი**, მამათა ცხორებანი (ბრიტანეთის მუზეუმის ქართული ხელნაწერი XI საუკუნისა). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ვახტანგ იმანიშვილმა. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1975.

42. **ცხორებად და მოქალაქობად დავით გარესჯელისად**, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი I (V-Xსს.). ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1963.

43. **ცხორებად და მოქალაქობად ილარიონ ქართველისად**, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი II (XI-XVსს.). თბილისი: 1967.

44. **ცხორებად და მოქალაქობად იოვანე ზედაზნელისად**, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი I (V-Xსს.). ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1963.

45. **ცხორებად და მოქალაქობად სერაპიონისი**, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები წიგნი I (V-Xსს.). ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1963.
46. **ცხორებად და მოქალაქობად შიონი და ევაგრესი**, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი I (V-Xსს.). ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1963.
47. **ცხორებად და წამებად კოსტანტისი ქართველისად**, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი I (V-Xსს.). ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1963.
48. **ცხორებად ნეტარისა მამისა ჩუენისა საბახსი**, მამათა ცხორებანი (ბრიტანეთის მუზეუმის ქართული ხელნაწერი XI საუკუნისა). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ვახტანგ იმნაიშვილმა. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1975.
49. **ცხორებად წმიდისა მამისა ჩუენისა თევდოსისი**, მამათა ცხორებანი (ბრიტანეთის მუზეუმის ქართული ხელნაწერი XI საუკუნისა). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ვახტანგ იმნაიშვილმა. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1975.
50. **წამებად არჩილ მეფისად**, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი II (XI-XVსს.). თბილისი: 1967.
51. **წამებად გობრონისი, რომელი განიყვანეს ყველის ციხით**, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი I (V-Xსს.). ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1963.

52. წამებად ყრმათად რიცხვთ ცხრათად, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი I (V-Xსს.). ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1963.
53. წამებად წმიდისა ევგენიაძესი, ქართული პაგიოგრაფიული ძეგლები. ნაწილი პირველი, კიმენი, ტომი II. კორნ. კეკელიძის რედაქტორობით. ტფილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1946.
54. წამებად წმიდისა მიქაელისი, რომელი იყო ლავრასა წმიდისა მამისა ჩუენისა საბახესსა, ქართული პაგიოგრაფიული ძეგლები, ნაწილი პირველი, კიმენი, ტომი I, კორნ. კეკელიძის რედაქტორობით. ტფილისი: საქართ. რკ. გზ. სამმართველოს ტიპო-ლიტოგრაფია, 1918.
55. წამებად წმიდისა მოწამისა ბოაძესი ქუეყანასა ბორგილთასა, ქალაქსა იარაპოლისასა, ქართული პაგიოგრაფიული ძეგლები. ნაწილი პირველი, კიმენი, ტომი II. კორნ. კეკელიძის რედაქტორობით. ტფილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1946.
56. წამებად წმიდისა მოწამისა ელიანოსისი, რომელი იწამა არაბეას, ქალაქსა შინა ამანს ბალკანისასა, ქართული პაგიოგრაფიული ძეგლები. ნაწილი პირველი, კიმენი, ტომი II. კორნ. კეკელიძის რედაქტორობით. ტფილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1946.
57. წამებად წმიდისა და ყოვლად-ქებულისა მოწამისა პანსოფი ალექსანდრიელისად, ქართული პაგიოგრაფიული ძეგლები, ნაწილი პირველი, კიმენი, ტომი I, კორნ. კეკელიძის რედაქტორობით. ტფილისი: საქართ. რკ. გზ. სამმართველოს ტიპო-ლიტოგრაფია, 1918.
58. წმინდა პახომიოსის ცხოვრება, ბიზანტიური მწერლობის ქრესტომათია, ტ. II. კვირიკაშვილი ლ. (პასუხისმგებელი რედაქტორი). თბილისი: გამომცემლობა „ქველი“, 1993.

59. **ხინთიბიძე გ.**, ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობები. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1969.
60. **ხინთიბიძე გ.**, ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისათვის. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1982.
61. **ჯავახიშვილი ივ.**, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. თხულებანი თორმეტ ტომად. ტ. VIII. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1977.
62. **Демин А.С.**, О древнерусском литературном творчестве. «Языки славянской литературы». Москва, 2003.
63. **Кайда Л.Г.**, Стилистика текста: от теории композиции – к декодированию. Москва: Издательство «Флинта», Издательство «Наука», 2004.
64. **Лихачев Д.С.**, Поэтика древнерусской литературы. Ленинград, «Художественная литература», 1971.
65. **Лихачев Д. С.**, Работа, которую необходимо продолжить. «Вопросы литературы», №9. Москва, 1963.
66. **Энциклопедический словарь** Ф. А. Брокгауза и И. А. Ефрана. Т. XIX. С.Пб., 1896.